DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library (AWDL) hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library at New York University.

- Creator: Licheli, V. / ლიჩელი, ვ. / Личели, В.
- Title: საქართველოს არქეოლოგიური საკითხები ტომი I / СБ. Вопросы Археологии Грузии том I
- Publication Date: 1978
- Publisher: Georgian National Academy of Sciences, GNM Archaeological Center
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_d62331fe70

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum and the Institute of Archaeology and Ethnography in the National Academy of Sciences of the Republic of Armenia. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

Rights

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes, in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world to the widest possible audience. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from The Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: http://dcaa.hosting.nyu.edu/dscc/takedown-notice.

საქართველოს არქეოლოგიის საკითხები

«მეცნიერება» 1978

IVE
3320

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი
არქეოლოგიური კომისია

18633

საქართველოს არქეოლოგიის საკითხები

I



გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი — 1978



902.6(С 41)
902.6(47 922)
Ს 323

კრებულში წარმოდგენილია გამოკვლევები ბრინჯაოს, ანტიკური და საშუალო საუკუნეების ეპოქების საქართველოს არქეოლოგიის უმთავრეს პრობლემებზე და ახლად აღმოჩენილი ძეგლების შესახებ, აგრეთვე რეცენზიები უახლეს საბჭოურ და საზღვარგარეთულ გამოცემებზე.

В сборнике представлены материалы и исследования о наиболее важных проблемах археологии Грузии бронзового, античного и средневекового периодов. Публикуются также рецензии на новейшие советские и зарубежные работы.

Ს 10602 / М 607(06)—78 213—77 © გამომცემლობა „მეცნიერება", 1978

23178

გურანდა ფხაკაძე

მტკვარ-არაქსისა და დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის კულტურების ზოგიერთი შეხვედრა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე

(ტაბ. 1—4)

ამ ბოლო ხანებში გაშლილი არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად, რომელიც კავკასიასა და, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებს, თანდათან ქრება თეთრი ლაქები ჩვენს არქეოლოგიურ რუკაზე და არქეოლოგია ისტორიკოსთათვის მტკიცე დასაყრდენი ხდება პირველყოფილი საზოგადოების ეკონომიური, სოციალური თუ სულიერი მდგომარეობის სურათის აღსადგენად.

არქეოლოგიის მრავალ პრობლემას შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია ლითონის ადრეული ეტაპის ძეგლების და კულტურის შესწავლას. როგორც ცნობილია, აღმ. ამიერკავკასიაში გავრცელებულმა ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურამ ფართო რეზონანსი მიიღო. მისი შესწავლით დაინტერესებულია არა მარტო ჩვენი, არამედ უცხოელი მკვლევრებიც. ყოველწლიურად მატულობს ამ პერიოდის ძეგლები შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, კახეთში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, ჩრდილო კავკასიაში, წინა აზიასა და ანატოლიაში. წარმოიშვა და წყდება მრავალი საკითხი: ამ კულტურის წარმოშობის, გავრცელების, სხვა კულტურებთან ურთიერთობის, ეთნიკური კუთვნილების.

დასავლეთ საქართველოში ამ მხრივ განსხვავებული მდგომარეობაა. რა თქმა უნდა, აქაც არის გათხრილი და შესწავლილი ენეოლითისა თუ ადრებრინჯაოს ხანის სხვადასხვა პუნქტები, მაგრამ ეს შესწავლა გეგმაზომიერ და სისტემატური ხასიათს არ ატარებს. მაგალითად, სადღეისოდ ყველაზე უკეთ გამოქვაბულებია გამოკვლეული: სამელე[1] და სამერცხლე კლდე, ძუძუანა[2], დარკვეთი[3], მოწამეთა[4], საგვარჯილე[5]. უფრო ნაკლებად გორანასახლა-

---

[1] გ. ჯავახიშვილი, დასავლეთ საქართველოს ადრესამიწათმოქმედო კულტურის ისტორიისათვის, ავტორეფერატი. თბ., 1971.

[2] დ. თუშაბრამიშვილი, ყვირილას ხეობის 1968—1969 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები, საქართველოს სახ. მუზეუმის ანგარიშები, II, 1971.

[3] Л. Небиридзе, Некоторые итоги раскопок Даркветского навеса. Археологические открытия 1969 г.

[4] გ. ფხაკაძე, ძვ. წ. IV—III ა. წ. ძეგლები იმერეთის ტერიტორიაზე, ხელნაწერი, 1970.

[5] ნ. კილაძე, მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი „საგვარჯილე", საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIV, № 9, 1953, გვ. 561.

რები: დაბლაგომი, არგვეთი, დიხა-გუძუბა, რომელიც კოლხეთის დაბლობზე მდებარეობს და პირობითად განეკუთვნება ამ პერიოდს[6].

ჯერ კიდევ წინა წლებში არსებული მასალების შესწავლა-შედარებამ დაგვანახვა, რომ დასავლეთ საქართველოში ძეგლების სამი ჯგუფის გამოყოფა შეიძლება:

1. იმერეთის გორა-ნასახლარები: დაბლაგომი, არგვეთი და საჩხერეს ყორღანები, რომლებიც თავისი მასალებით მტკვარ-არაქსის კულტურასთან ახლოს დგანან და გარკვეულ პერიოდში ამ კულტურის წრეში ექცევიან, თუმცა თითოეულ ამ ძეგლზე დასავლური ელემენტებიც შეიმჩნევა.

2. დასავლეთ საქართველოს გამოქვაბულები (იმერეთისა და აფხაზეთის), რომელთა მასალებიც მეტ ურთიერთობას ამჟღავნებენ ჩრდ.-დას. კავკასიის ყუბანისპირეთის მასალებთან. მაიკოპსა და ნოვოსვობოდნაიასთან (კერამიკა და ქვის იარაღები).

3. კოლხეთის დაბლობი და აფხაზეთის ზღვისპირა ზოლი გეოგრაფიულად ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენენ. ამ ტერიტორიაზე ისეთი მასალა გვხვდება, რომელიც რამდენადმე განსხვავდება ზემოხსენებული მასალებისაგან და შეიცავს ყველა იმ ელემენტს, რაც შემდეგში გვიანი ბრინჯაოს კოლხურ კულტურას ახასიათებს.

ჯერ კიდევ 1940 წ. პროფ. კუფტინი განიხილავდა რა საჩხერეს, ცარცის გორისა და ქორეთის კერამიკას, აღნიშნავდა მათ დიდ მსგავსებას თრიალეთის მასალებთან შავპრიალა სარჩულიანი ზედაპირით, ჭურჭლებისა და ყურების ფორმითა და რელიეფური ორნამენტით: „საოცარია დამთხვევა ხრამისა და ზემო ყვირილას აუზის კერამიკულ წარმოებაში იმ ეპოქაში, რომელიც წინ უსწრებდა თრიალეთის კულტურის კერის აყვავებას. ეს დამთხვევა არ ამოიწურება მარტო ტექნიკური ჩვევებით, არამედ ეხება ფორმის თავისებურ დეტალებსაც, რაც მიგვითითებს მათ მჭიდრო კავშირსა და შესაძლებელ ეთნიკურ ერთიანობაზე საქართველოს მოსახლეობისა უკვე უძველესი ბრინჯაოს ეპოქის ბოლოსათვის“[7]. კიდევ მეტი, იგი თვლიდა, რომ „სტილისტური და ტექნიკური ერთიანობა უძველესი ბრინჯაოს ხანის კერამიკული წარმოებისა ზემო ყვირილის აუზსა და თრიალეთში იქცევა გასაღებად ძირითადი ეთნიკური სუბსტრატის პრობლემის გადასაჭრელად, რომელიც გაფორმდა გუთნურ მიწათმოქმედებასა და განვითარებულ მეტალურგიაზე გადასვლის პროცესში დასავლეთ და ცენტრ. ამიერკავკასიაში“[8].

მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ამავე ყვირილას აუზში არის გათხრილი და შესწავლილი გამოქვაბულები, რომლებიც ამავე ეპოქას განეკუთვნებიან, მაგრამ განსხვავდებიან თავისი კერამიკითა და ხასიათით საჩხერის მასალებისაგან და მათი მტკვარ-არაქსის კულტურის წრეში შემოყვანა გაძნელდება.

მაგრამ ამავე დროს იმერეთის ტერიტორიაზე და არცთუ მაინცდამაინც ზემო ყვირილას აუზში არის გორა-ნამოსახლარები, რომლებიც აშკარად

---

[6] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. II, стр. 161, 1950.

[7] Б. А. Куфтин, К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии, КСИИМК, VIII, 1940, стр. 8, 10, 14, 35; მ ი ს ი ვ ე, Археологическая маршрутная экспедиция 1945 г. в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949, стр. 75, 77.

[8] Б. А. Куфтин, Арх. марш. эксп. в бассейне рек Квирилы, Проне, Лиахви и Среднего Риони в 1951 г. „საქ. სახელ. მუზეუმის მოამბე“, XXX, გვ. 151.

მტკვარ-არაქსის კულტურას განეკუთვნებიან, თუმცა გარკვეულად დასავლურ კულტურის ნიშნებსაც ატარებენ. ასეთად, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ დაბალაგომი, რომელიც კოლხეთის დაბლობის საზღვარზე მდებარეობს, და ბ. კუფტინის დროს იყო გათხრილი, მის მიერვე იყო აღნიშნული ამ მასალის მკვეთრი განსხვავება რიონისპირა ნასახლართა კერამიკისაგან, თუმცა რატომღაც ბ. კუფტინს იგი მტკვარ-არაქსის კულტურისადმი აღარ მიუკუთვნებია, თუმცა კი შეამჩნია ეს მსგავსება.

ამ ბოლო ხანებში მათ დაემატა არგვეთის გორა-ნასახლარი, რომელიც ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესო ძეგლს წარმოადგენს. დაბლაგომისა და არგვეთის მასალებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ასე მარტივად არ შეიძლება მათი მთლიანად რომელიმე კულტურისადმი მიკუთვნება. ამის ნათელსაყოფად მოკლედ გავიხსენოთ ორივე ნასახლარის მასალები.

დ ა ბ ლ ა გ ო მ ი ს აღმოჩენები ჯერ კიდევ 1929 წ. მოხდა. 1936 წ. გათხრები ჩაატარეს ბ. კუფტინმა[9] და ნ. ხოშტარიამ[10]. აქ დამოწმებულია ანტიკური, გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ფენები. ნაციხვარის აღმ. ფერდობზე ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი აღმოჩნდა. კულტურული ფენის სისქე 1,5 მ; მონაპოვარის უმრავლესობას კერამიკა შეადგენს (ტაბ. 1). იგი ხელითაა ნაკეთები და ფერისა და ფორმების მრავალფეროვნებით ხასიათდება. თიხის ცომს ურევია ქვიშა, ქარსი, კირი, და დაფხვნილი კერამიკა; გამოწვის ხარისხით კერამიკაში რამდენიმე ჯგუფი შეიმჩნევა: 1) შავპრიალა კერამიკა ვარდისფერ სარჩულზე, 2) წაბლისფერი და მოწითალო-მოწაბლისფრო პრიალა ნაკეთობები ზოგჯერ მუქ სარჩულზე და 3) არათანაბრად გამომწვარი მოვარდისფრო-ნაცრისფერი ან მურანაცრისფერი ნაკეთობანი, ზედ შავი ლაქებით. ფორმის მიხედვით კარგად გამოიყოფა პითოსები, ქოთნები, კოჭბები, დერგები, ქილისებრი ჭურჭლები. პითოსები, ქოთნები და კოჭბები ხასიათდებიან ცილინდრული ყელით, ოდნავგადმოშლილი პირით, მხართან ტეხილით გამოყოფილი ოდნავწიბოიანი მუცლითა და ბრტყელი ძირით. უმრავლესი მათგანი ნახევარსფერული ყურებითაა შემკული, რომლებიც ყელისა და მხარის საზღვარზეა მოთავსებული. მთელი ეს კერამიკა ახლო მსგავსებას ამჟღავნებს მტკვარ-არაქსის ნაკეთობებთან — ფერით, გამოწვით, პროფილით, ყურების ფორმითა და მიმაგრების ადგილითაც. დაბლაგომის მასალის მსგავსებას აღმ. საქართველოს მასალებთან: დიდუბე, კიკეთსა და თრიალეთთან თავის დროზე ხაზი გაუსვეს ბ. კუფტინმა[11] და ოთ. ჯაფარიძემ[12].

დაბლაგომის კერამიკა ახლო დგას მტკვარ-არაქსის მასალებთან ორნამენტის მიხედვითაც. ორნამენტი აქაც უმეტესად პითოსებზე გვხვდება და წარმოადგენს რელიეფური სწორი ხაზების კომბინაციას ან რელიეფურ ნალისებურ ფიგურას. ერთ შემთხვევაში ირიბი რელიეფური ხაზები ფოსოებთან ერთად გვხვდება, როგორც კოდასა[13] და სამშვილდეში. საინტერესოა ერთი

---

[9] Б. А. К у ф т и н, დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

[10] Н. Х о ш т а р и а, Древнее поселение в Дабла-Гоми, 1941,

[11] Б. А. К у ф т и н, Материалы к археологии Колхиды, т. II, Тб., 1950, стр. 116.

[12] ოთ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში, თბ., 1956, გვ. 40.

[13] Г. П х а к а д з е, Археологические исследования в с. Кода на территории строительства птицефермы, თბ . 1977.

წაბლისფერი პრიალა პითოსი, რომლის ნახევარსფერული ყურის ქვედა ნაწილი წაგრძელებული და ულვაშისებურად ამაღლებულია ჭურჭლის ზედაპირზე. რითაც ძალიან მოგვაგონებს ქვაცხელასა და მეტეხის ჭურჭლებს, სადაც ესეთი შემკულობა ხშირია.

დაბლაგომში არის რამდენიმე ფრაგმენტი, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ჯამები უნდა ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ ისინიც ტიპიური მტკვარ-არაქსული პროფილით ხასიათდებიან და შვერილებით და კოპებით არიან შემკული (ტაბ. 1).

ამ კერამიკასთან ერთად უნდა მოვიხსენიოთ დისკოსებური სახურავების ფრაგმენტები, შუაში ნახევარსფერული ყურით, განივკვეთში მრგვალბრტყელი, როგორც მტკვარ-არაქსის კულტურის სახურავების უმრავლესობა.

ზემოაღნიშნული კერამიკული ნაკეთობები (ანგობირებული და ნაპრიალებია. გადანატეხში ორ- და სამფენიანი) იმდენად მსგავსია მტკვარ-არაქსულისა, რომ ალბათ მათი გამორჩევა გაძნელდებოდა, თუ არა თიხის შედგენილობა, რომელსაც დიდი რაოდენობით ურევია ქარსი და დაფხვნილი კერამიკა, რაც აღმ. ამიერკავკასიის ძეგლების ნაწარმში არ შეიმჩნევა. მტკვარ-არაქსის კულტურაშივე (კიკეთი[14], სამშვილდე[15]) პოულობს პარალელებს დაბლაგომის მილისებურყელიანი, მრგვალმუცლიანი ჭურჭლებიც.

ამავე დროს დაბლაგომის მასალაში არის კერამიკის მეორე მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ზემოაღწერილი ნაკეთობებისაგან სრულიად განსხვავდება. იგი უმეტესად ერთფრადაა გამომწვარი — ნაცრისფერი ან მუქამონაცრისფროა და ჭილებისა და დერგის ფორმის ჭურჭლებითაა წარმოდგენილი. ჭილისებურ ჭურჭლებს ოდნავგადაშლილი პირი აქვთ და პირის ქვეშ შვერილები, ხოლო დერგებს მკვეთრად გამოსახული ჭობიანი პირები, ჭობა ხან დაწახნაგებულია, ხან მომრგვალებული, ხან კი ყელზედაც გადმოდის. ეს ჭურჭლები თავისი ფერით, ფორმითა და გამოწვით ძალიან გვანან დიხა-გუძუბას ქვედა ფენისა და ოჩამჩირეს ადრებრინჯაოს ხანის ნაკეთობებს. მსგავსება ვლინდება ფორმების უმცირეს დეტალებში (პირი, ჭობა, შვერილები (ტაბ. $2_{1305, 1348, 1351}$).

საინტერესოა, რომ ამ რიგის ჭურჭლებთან ლენტისებური ბრტყელი ყურები გვხვდება, რომლებიც პატარა წინაშვერის საშუალებით ჩამაგრებულია ჭურჭლის კედელში, ასეთი ყურები, მიძერწვის ასეთივე წესით დადასტურებულია ოჩამჩირესა[16] და დიხა-გუძუბაზე[17]. ამავე ძეგლებზე პოულობს ანალოგებს დაბლაგომის ის ჭურჭლები, რომელთაც ძირზე სელისა და ჭილის ანაბეჭდი ეტყობათ. ამ რიგის ჭურჭლებს ორნამენტი არა აქვს. რამდენიმე ჭურჭელს რელიეფური ზოლი გაუყვება, რომელიც ზემოდან დაკეჭნილია. დაკეჭნილია ის შვერილებიც და ქიმებიც, რომლებიც ამ ჭურჭლებს ახასიათებს. შემკულობის ასეთი ხერხი ისევ კოლხეთის დაბლობის უძველეს ნასახლარებთან დიხა-გუძუბასა და ოჩამჩირესთან აკავშირებს ამ მასალას.

როგორც დაბლაგომის კერამიკული მასალის განხილვამ გვიჩვენა, აქ საინტერესო მოვლენასთან გვაქვს საქმე. კერამიკის ერთი ნაწილი მტკვარ-არაქსის

---

[14] გ. ფხაკაძე, ქვემო ქართლის ენეოლითი, თბ., 1963, გვ. 58, სურ. II.

[15] გ. მირცხულავა, სამშვილდე, თბ., 1975, ტაბ. XVII.

[16] А. Соловьев, Энеолитическое селище у Очамчирского порта в Абхазии, Труды Абхазского инст-та, 1935, 15, стр. 46.

[17] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 446.

მასალებს უკავშირდება, მეორე ნაწილი კი კოლხეთის დაბლობის უძველეს ნასახლართა კერამიკასთან აბამს კავშირს. თანაარსებობს ამ ორი ტიპის კერამიკა?, თუ არის მათ შორის რაიმე ქრონოლოგიური სხვაობა?

როგორც უკვე აღინიშნა, დაბლაგომის ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კულტურული ფენის სისქე 1,5 მ და იგი მთლიანად ერთ ეპოქას განეკუთვნება. ჯერ კიდევ ბ. კუფტინმა გამოყო მასალების მიხედვით მასში სამი ჰორიზონტი: ქვედა ჰორიზონტი (1,5—1 მ) ხასიათდება შავპრიალა ვარდისფერსარჩულიანი კერამიკით, მოზრდილი ჰიდრიის ფორმის ჭურჭლებით ნახევარსფერული ყურებით. შუა ჰორიზონტს (0,8—0,5 მ) მიეკუთვნება პითოსები პატარა ყურებით ყელისა და მხრის საზღვარზე, მილისებური ჭურჭლები და დისკოსებური სახურავები. სულ ზედა ჰორიზონტს კი წარმოადგენენ მურა-მოშავო ფერის ქილისებრი ჭურჭლები დაკეჭნილი შვერილებით[18] ე. ი. ზედა ჰორიზონტი ასრულებს თავის არსებობას ეპოქაში, რომელიც ოჩამჩირის ქვედაფენისა და დიხა-გუძუბას ქსოვილიანი კერამიკის ფენის სინქრონულია.

ასეთი პერიოდიზაციისათვის მტკიცე სტრატიგრაფიული მონაცემები არ არსებობს, მაგრამ ერთი ცხადია, რომ ქვევით მტკვარ-არაქსის ტიპის კერამიკული ნაკეთობები ჭარბობს: შავი და წაბლისფერი პრიალა პითოსები, კოჭბები, ქოთნები, ჯამები, მილისებურყელიანი ჭურჭლები რელიეფური ხაზებითა და ფოსოებით, ნახევარსფერული ყურებით. ისეთი მასალა, რომელიც ამ კულტურის განვითარების ადრეულ ეტაპს მიეკუთვნება კიკეთის, დიდუბის, სამშვილდის, კოდის, თრიალეთის მსგავსი. ზედა ფენაში კი თითქმის მთლიანად კოლხეთის დაბლობის ნასახლარებისათვის დამახასიათებელი ფორმებია გაბატონებული: მურა-ნაცრისფერი ქილები და დერგები, ქსოვილის ანაბეჭდით ძირზე, ლენტისებური ყურებით და დაკეჭნილი შვერილჭიმებით.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ დაბლაგომის ნასახლარზე მტკვარ-არაქსის გავლენა უფრო ადრეულ ეტაპს მიეკუთვნება, ხოლო შემდეგ მას დასავლური კოლხური ადრებრინჯაოს კულტურა ფარავს, რომელიც უფრო მოგვიანოა.

არგვეთის გორა-ნასახლარი. იგი სოფელ არგვეთში მდებარეობს, მდ. ლაშურას ნაპირას, მდინარე თანდათან რეცხავს ნასახლარს და მდინარის ჭრილში კარგად ჩანს კულტურული ფენები. ითხრებოდა 1963, 1964 წ. რ. აბრამიშვილის ხელმძღვანელობით[19].

გორაზე წარმოდგენილია სხვადასხვა ეპოქის მასალები: ფეოდალური, ანტიკური; 0,8 მ სიღრმიდან კი იწყება ძირითადი ფენა — ადრებრინჯაო, რომელიც 2,30 მ სიღრმემდე ვრცელდება.

გორაზე № 1 თხრილში დადასტურებული იყო საცხოვრებლის ნაშთი თიხატკეპნილი იატაკით. იქვე დიდი რაოდენობით აღმოჩენილი ბათქაში, რომელზეც წნელის ანაბეჭდია შემორჩენილი, გვაფიქრებინებს, რომ საცხოვრებლის მოწნული კედლებიც შემდეგ თიხით იყო შელესილი. თხრილის დასავლეთ გაგრძელებაზე აღმოჩნდა სათავსო თიხატკეპნილი იატაკით, ბათქაშებითა და ალიზის გამოუწვავი კერით. კერაში და მის გარშემო მიმოფანტული იყო უამრავი კერამიკული ფრაგმენტი, კაჟისა და ქვის იარაღები, ძვალი.

---

[18] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 139.

[19] დიდ მადლობას მოვახსენებთ რ. აბრამიშვილს, რომელმაც მოგვცა საშუალება დეტალურად გაგვეხილა და შეგვესწავლა მის მიერ მოპოვებული მასალები.

კერამიკა მონაპოვრის უდიდეს უმრავლესობას შეადგენს და ფერებისა და ფორმების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ჭურჭლები ხელითნაძერწია. თიხის ცომს ურევია ქვიშა, ქარსი, კვარცი. გამოწვის მიხედვით რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა: 1. შავპრიალა ვარდისფერ ან ღია ნაცრისფერ სარჩულზე, 2. მოვარდისფრო და წაბლისფერი პრიალა ზედაპირდახეთქილი, 3. მოვარდისფრო-ნაცრისფერი შავი ლაქებით, გადანატეხში სამფენიანი, 4. მურა-ნაცრისფერი და მურა-მოშავო ერთფენიანი ფრაგმენტები.

ჭურჭელთა უმრავლესობას შიდა ზედაპირი კარგად აქვს მოსწორებული, ანგობირებული. ბევრს მუქი წითელი საღებავის კვალიც ეტყობა. კედლის სისქე 2,2 სმ-დან (დიდი ზომის ჭურჭლები) 0,8 სმ-მდე გვხვდება (მომცრო ჭურჭლები). ფორმის მიხედვით კარგად გამოიყოფა: დერგები, პითოსები, ქოთნები, კოჭბები, ჯამები და ქილები.

პითოსები ორყურა — ლამაზი ფორმის მკვეთრპროფილიანი ჭურჭლებია პირგადმოშლილი, ცილინდრული ყელით, რომელიც ტეხილით გადადის წიბოიან მუცელზე და ვიწროვდება ბრტყელი ძირისკენ. ყურები მიმაგრებულია ყელისა და მხარის საზღვარზე, ის ან ნახევარსფერულია ან მრგვალბრტყელგანიკვეთიანი (ტაბ. $3_{189, 159}$). პითოსები შავპრიალა ვარდისფერ სარჩულზე ან მოწაბლისფრო პრიალაა. ქოთნები იმავე ფორმისაა, რაც პითოსები, ასევე ორყურაა, ყური ოდნავგადმოშლილი პირიდან იწყება და მხარზე მაგრდება. პირთან მობრტყო მოედანს ქმნის, მონაცრისფრო-ვარდისფერია შავი ლაქებით.

კოჭბებიც ხასიათდება სწორი ან ოდნავგადმოშლილი პირით, ცილინდრული ყელით, წიბოიანი მუცლით და ბრტყელი ძირით. ყური ყელისა და მხარის საზღვარზეა მიძერწილი.

ჯამები ორი ტიპისაა: მრგვალკედლიანი ბრტყელ ძირზე და ყელჩაზნექილი, მუცელწიბოიანი, ძირისაკენ მკვეთრად შევიწროებული. შავპრიალა ან ვარდისფერ-მონაცრისფრო პრიალა. ქვაბ-ქოთნები შედარებით ნაკლებია, ახასიათებთ შეზნექილი ყელი და ცილინდრული ტანი ბრტყელ ძირზე; ზოგ ნატეხზე შემორჩენილია ძუძუსებური კოპი, სამ ნატეხზე კი ქიმისებური შვერილი ყელის ქვეშ (ტაბ. $3_{103, 93, 77}$).

მთელი ზემოაღწერილი კერამიკა, თავისი ფერით, გამოწვით, ფორმა-პროფილით, ყურებით ზედმიწევნით ემსგავსება მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლების: დიდუბის, კიკეთის[20], სამშვილდის[21], ჭულბაქების[22], ქვაცხელის[23], მეტეხის[24] და სხვ. კერამიკას. ეს მსგავსება ხშირად უმცირეს დეტალებშიც ვლინდება. მაგ., შვერილ-კოპები ჯამებზე, ნახევარსფერული ყური პითოსებზე, ცრუყური ქოთანზე (თრიალეთი), ყურები, რომელიც პირთან შეერთებისას მობრტყო მოედანს ჰქმნიან (თრიალეთი, ჭულბაქები, ხიზანაანთ გორა). საინტერესოა, რომ აქაც გვაქვს ისეთი ყური, როგორც დაბლაგომში, რომლის ფუძეც ულვაშისებურადაა წაგრძელებული და ამაღლებული ჭურჭლის ზედაპირიდან ქვაცხელასა და მეტეხის კერამიკის მსგავსად. აქვე უნდა მოვიხსენიოთ მოზრ-

---

[20] გ. ფხაკაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 77—84, ტაბ. XVI.

[21] გ. მირცხულავა, დასახ. ნაშრ., გვ. 45—46.

[22] ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

[23] ლ. ღლონტი, ალ. ჯავახიშვილი, ურბნისი I, თბ., 1962 წ. ტაბ. IV.

[24] გ. ფხაკაძე, ადრებრინჯაოს ნასახლარი სად. მეტეხთან, „მაცნე", 1968, № 6.

დილი ჭურჭლები კვერცხისებური კორპუსით, გადაშლილი პირით და გამოყვანილი ყელით, რომლებიც ძალიან ახლოს დგანან ხიზანაანთ გორის[25], ასეთსავე ჭურჭლებთან მხოლოდ ყურები იშვიათად აქვთ. უმრავლესობა ამ ზემოაღწერილი მტკვარ-არაქსული ტიპის ჭურჭლებისა ნანახი იყო სათავსოს თიხატკეპნილ იატაკზე in situ ალიზის კერაში და მის გარშემო 2,30 მ სიღრმეზე.

როგორც თავიდან აღვნიშნეთ, ადრებრინჯაოს კულტურული ფენის სისქე 1,5 მ-ია. თითქმის მთელი ამ ფენის სისქეზე მტკვარ-არაქსის კერამიკა ბატონობს, თუმცა თანდათან მას ერევა ჭილისა და დერგის ფორმის რუხი და მურა-მონაცრისფრო ჭურჭლები, რომლებიც უკვე ამავე ფენის ზედა ჰორიზონტში 1—0,8 მ-ს აშკარად ჭარბობენ (ტაბ. $4_{203, 116}$).

ჭილები ოდნავპირგადმოშლილი მომრგვალოტანიანი ჭურჭლებია, ზოგჯერ ჭუსლიან ძირზე. დერგები დიდი ზომისაა, სქელკედლიანი (2 სმ). აქვთ მკვეთრად გამოსახული ჭობიანი პირები, მრგვალი მუცელი და შეზნექილი ყელი. ჭობა ხან მრგვალი ფორმისაა, ხან დაწახნაგებული, ხან კი ჭურჭლის ყელზედაც გადმოდის. ამ ჭურჭლებთან ერთად მატულობს ბრტყელი ლენტისფორმის ყურები, რომლებიც ისევ ყელსა და მხარზე არიან მიძერწილი. თუ მტკვარ-არაქსული ტიპის კერამიკას ორნამენტი არ ჰქონდა, კულტურული ფენის ზედა ნაწილში ორნამენტი მოჭარბებულია. იგი გვხვდება ქოთნებსა და დერგებზე რელიეფური ზოლების სახით, რომლებიც ზემოდან დაკეჭნილია, ან თითის დადებითაა დაჭდეული (ტაბ. $4_{73, 77}$), დაკეჭნილია ის ჭიმისებური შვერილები, რომლებიც ჭურჭელს ამკობს (ტაბ. 4_{174}) ჭურჭლების ეს ჯგუფი საგრძნობლად განსხვავდება მტკვარ-არაქსული ჭურჭლებისაგან და თავისი ფერით, გამოწვით, ფორმა-პროფილით, დაკეჭნილი ორნამენტით, დაკეჭნილი შვერილებით, ლენტისებური ყურებით, მომრგვალებული და პირზე გადმოსული ჭობით ახლო მსგავსებას პოულობენ დასავლეთ საქართველოს, კერძოდ კოლხეთის დაბლობის ცნობილ ძეგლებთან დიხა-გუძუბასა და ოჩამჩირესთან[26], გუანდრასა[27] და მაჭარასთან[28]. საინტერესოა, რომ კერამიკის ეს ნაწილი ზედაპირის დამუშავებითაც კოლხეთის დაბლობსა და აფხაზეთის ზღვისპირა ზოლის უძველეს ნასახლარებს უკავშირდება. ესაა ზედაპირის მოსწორება რაღაც საშუალებით, რომელიც ზედ ხაზებს ტოვებს.

არგვეთის კერამიკული მასალის განხილვამ ცხადი გახადა, რომ ის მოვლენა, რაც დაბლაგომში იყო შემჩნეული, გამეორდა არგვეთის მასალებშიაც. ადრებრინჯაოს კულტურული ფენის ქვედა დონეებზე მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი ნაწარმი გვხვდებოდა, თუმცა თითო-ოროლა დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი ჭურჭლის ფრაგმენტი იყო, ზემოთ კი დასავლურ ქართულმა, კოლხეთის დაბლობისა და ზღვისპირა ზოლის უძველეს ნასახლართა კერამიკამ იჩინა თავი, იმ კერამიკამ, რომელიც შემდეგ შუა და მით უფრო გვიანი ბრინჯაოს ეპოქებში მთელ დასავლეთ საქართველოს კულტურას ახასიათებს.

---

[25] ი. კიკვიძე, ხიზანაანთ გორის ადრე ბრინჯაოს ხანის ნასახლარი, თბ., 1972, გვ. 59, სურ. 17.

[26] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. II, стр. 134.

[27] И. Цвинария. Археологические раскопки в Гуандра. Рукопись.

[28] В. Бжания, Поселение Мачара, эпохи энеолита и бронзы в Абхазии, СА, 1966, № 1.

ყოველ შემთხვევაში დაბლაგომისა და არგვეთის ნასახლართა კერამიკა იმის მაჩვენებელია, რომ ამ ტერიტორიაზე ხდებოდა ორი კულტურის შეხვედრა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მტკვარ-არაქსისა და დასავლეთ საქართველის ადრებრინჯაოსი. იმის თქმაც შეიძლება, რომ ამ ორი კულტურის გარკვეულ მონაცვლეობასაც ჰქონდა ადგილი, ჯერ მტკვარ-არაქსის კულტურის სფეროში იყო ეს ტერიტორია მოქცეული, უფრო გვიან კი დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის კულტურა ფარავს მას.

საჩხერის მასალები[29], რომელიც ჩვენ არაერთხელ ვახსენეთ და რომელიც, სამწუხაროდ, მხოლოდ სამარხეული კომპლექსებით არის წარმოდგენილი, კულტურის მონაცვლეობაზე ვერაფერს გვაძლევს, მაგრამ ძალიან საყურადღებოა იმით, რომ ის კიდევ უფრო ორგანულადაა დაკავშირებული მტკვარ-არაქსის კულტურასთან, ვიდრე არგვეთი ან დაბლაგომი. მთელი კერამიკა შავპრიალაა ვარდისფერსარჩულზე: დერგები, პითოსები, კოჭობები, ჯამები, პირდაპირ იმეორებს თრიალეთის, ქვაცხელას, ხიზანაანთ გორის ფორმებს და ახლოს დგას ორნამენტითაც. აქ გვაქვს თრიალეთისა და ქვაცხელას ტიპის ამოკაწრული გეომეტრიული ორნამენტი, ბევრია რელიეფური სპირალური სახეები, რომლებიც ჭურჭლის მთელ ტანზეა განლაგებული. მაგრამ ამავე მასალაში შეიმჩნევა განსხვავებული ელემენტები, რომელიც მიუთითებს მის კავშირს დასავლეთთან.

ბ. კუფტინი ქორეთის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილ მრგვალძირიან, მრგვალმუცლიან ჭურჭელს მაიკოპის ვერცხლის ჭურჭელს უკავშირებდა, დასავლურია ერთი შავპრიალა, მუცელწიბოიანი ბადია, რომელსაც წყვილი ყურები აქვს და შიდაპირზე ქსოვილის ანაბეჭდი ეტყობა. წყვილი ყურები დიხა-გუძუბას მასალების მსგავსია, ხოლო ქსოვილი დაბლაგომისა და ოჩამჩირის ტიპის. აქვეა ერთი ცილინდრული ტოლჩა, რომელსაც ტანზე წიწვისებური ორნამენტი და ნაჭდევები აქვს, ისე როგორც მაჭარისა და ლეჩკოპის მასალებს (ტაბ. 2₁, ₂, ₃)

საჩხერის მასალის დიდი მსგავსება შიდა ქართლის მასალებთან შემჩნეული აქვს ოთ. ჯაფარიძეს და ამის შესახებ იგი წერს: „შეიძლება ვიფიქროთ, რომ ყვირილის ზემო წელზე მოსახლე ტომები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი შიდა ქართლში გვიანენეოლითის საფეხურზე მსხდომ მიწათმოქმედ ტომებთან და აქეთ ამიერკავკასიის ენეოლითისათვის დამახასიათებელი ელემენტები უფრო გვიანამდე შემორჩაო“. როდესაც ოთ. ჯაფარიძე ამას წერდა, მაშინ შიდა და ქვემო ქართლის მტკვარ-არაქსის ძეგლები ენეოლითად თარიღდებოდა, ხოლო საჩხერეს ადრებრინჯაოს ხანას მიაკუთვნებდნენ, ახლა კი, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მტკვარ-არქსის კულტურა ძირითადად ადრებრინჯაოა, მაშინ საჩხერის მასალა ქვაცხელასა და ხიზანაანთ-გორას დაუახლოვდება და ყველა ეს ძეგლი ადრე ბრინჯაოს ეპოქის ფარგლებში მოექცევა[30]. იგივე აზრი აქვს გამოთქმული ოთ. ჯაფარიძეს დაბლაგომთან დაკავშირებით ახლახან გამოსულ ნაშრომშიაც.

ამრიგად, დაბლაგომის, არგვეთისა და საჩხერეს მასალების განხილვამ დაგვარწმუნა, რომ ისინი თავისი კერამიკის ხასიათით აღმოსავლურ ამიერკავკა-

[29] საჩხერის მასალები დაწვრილებით გამოქვეყნებული და შესწავლილია ოთ. ჯაფარიძის ნაშრომებში „ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში,“ თბ., 1956 წ.; ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961.

[30] ოთ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ. გვ. 189; ოთ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1976, გვ. 109.

სის ადრებრინჯაოს კულტურულ წრეს განეკუთვნებიან, თუმცა ბევრი აქვთ საერთო დასავლეთთან, სადაც ისინი ტერიტორიულად მდებარეობენ. მაშასადამე, ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ გორა-ნამოსახლარებზე ჩანს მტკვარ-არაქსისა და კოლხეთის ადრებრინჯაოს კულტურის შეხვედრები, სადაც ჯერ მტკვარ-არაქსის კულტურა დომინანტობს, ხოლო შემდეგ მას ცვლის დასავლეთის ადრებრინჯაოს ხანის კულტურა, რომელიც უფრო მოგვიანოა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის მდგომარეობაც, რომ სამივე განხილული ძეგლი სხვადასხვა გეოგრაფიულ რაიონში მდებარეობს: დაბლაგომი კოლხეთის დაბლობის საზღვარზეა, არგვეთი შუა იმერეთის პლატოზე, ხოლო საჩხერე ყვირილას ზემო წელზე მთის წინა ზოლში და მაინც სამივე ერთი ხასიათის მატარებელია.

იმერეთის ტერიტორიაზე გორა-ნამოსახლარებთან ერთად გამოქვაბულებიც გვაქვს, რომლებიც ძველი ქვის ხანის მასალების გარდა, ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანის ფენებსა და მასალებს შეიცავს. ასეთია სამელე კლდე, სამერცხლე კლდე, ძუძუანა, დარკვეთი, მოწამეთა, საგვარჯილე, მაგრამ ამათი კერამიკა საგრძნობლად განსხვავდება გორა-ნამოსახლარის მონაპოვრებისაგან. ჭურჭლების უმეტესობა ნაცრისფერია, ან ვარდისფერი შავი ლაქებით; შეღებილი და მოპრიალებული ფრაგმენტებიც ბევრია, მაგრამ მათ არაფერი აქვთ საერთო „მტკვარ-არაქსის“ ნაკეთობებთან. ჭურჭლების უმეტესობა ქილის ფორმისაა, თუმცა ქოთნის გამოყვანილი ყელის ფრაგმენტებიც გვხვდება. ბევრია მრგვალძირიანი, ძაბრისებურყელიანი, მრგვალმუცლიანი ჭურჭლები. კერამიკა სადაა, ერთადერთი ორნამენტი, რომელიც ჩანს ესაა ნახვრეტები ყელის გარშემო და ა. წ. „მარგალიტოვანი“ ორნამენტი. გამოქვაბულების კერამიკა თავისი ფერით, გამოწვით, ფორმებით და ორნამენტით სრულიად განსხვავდება ამავე ტერიტორიის გორა-ნამოსახლარების კერამიკისაგან და მით უფრო მტკვარ-არაქსის ნაკეთობებისაგან და ძალიან ემსგავსება აფხაზეთის „ვორონცოვის“ გამოქვაბულისა[31] და ჩრდილო დასავლეთ კავკასიის, ყუბანის-პირეთის მაიკოპის კულტურის ძეგლების მასალებს[32].

რით შეიძლება აიხსნას ერთსა და იმავე ტერიტორიაზე მდებარე გორა-ნასახლარებისა და გამოქვაბულების მასალების ასეთი სხვაობა, გადაჭრით ძნელი სათქმელია. ალბათ მისი ახსნა უნდა ვეძიოთ მეურნეობრივი ხასიათის განსხვავებაში ამ ძეგლებს შორის და აგრეთვე გარკვეულ ქრონოლოგიურ სხვაობაშიც.

ი. გ. ფხაკაძე

О НЕКОТОРЫХ ВСТРЕЧАХ КУРО-АРАКССКОЙ И ЗАПАДНОГРУЗИНСКОЙ РАННЕБРОНЗОВОЙ КУЛЬТУР НА ТЕРРИТОРИИ ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ (табл. 1—4)

Резюме

Изучение материалов эпохи энеолита и ранней бронзы Западной Грузии дало нам возможность выделить три группы памятников.

1. Имеретинские холмы-поселения: Даблагоми, Аргвети и Са-

[31] Л. Н. Соловьев, Новый памятник культурных связей — стоянки Воронцовской пещеры, Тр. Абх. Инст-та, 29.

[32] А. А. Формозов, Каменный век и энеолит Прикубанье, стр. 64—73; დ. თუშაბრამიშვილი, ლ. ნებიერიძე, ყვირილის ხეობისა და ცუცხვათის არქეოლოგი-

чхерские курганы, выявляющие большое сходство с Куро-Аракской культурой.

2. Пещерные стоянки Западной Грузии (Самеле, Самерцхле, Моцамета, Сагварджиле и др.), имеющие много общего с пещерами Абхазии и с Северо-Западным Кавказом.

3. Древнейшие поселения Колхидской низменности: Диха-Гудзуба, Очамчире, Лечкоп, Гуандра и др., отличающие от обеих групп и содержавшие все элементы колхидской культуры.

В настоящей работе рассматриваются поселения Даблагоми, Аргвети и Сачхерские курганы. Эти памятники интересны тем, что материалы, а в частности, керамика носит черты как Куро-Аракской, так и западногрузинской раннебронзовой культуры. Керамика Куро-Аракского типа — чернолощенные пифосы, миски, кружки, горшки на розовой подкладке, с полусферическими ручками, рельефным и вдавленным орнаментом — встречается в нижних горизонтах этих поселений, а на верхних уровнях этого же культурного слоя появляется керамика типа древнейших поселений Колхидской низменности (Диха-Гудзуба, Очамчире), которая характеризуется карасо- и банкообразными формами, нарезным рельефным рантом, дольчатыми выступами, ленточными ручками и др.

Наличие на поселениях двух типов керамики указывает на определенную взаимосвязь на этой территории двух культур Восточнозакавказской Куро-Аракской и западногрузинской раннебронзовой. Причем сначала доминирует Куро-Аракская культура, сменившаяся впоследствии культурой древнейших поселений Колхидской низменности.

ური ექსპედიციების 1970—1971 წწ. ძირითადი შედეგები, საქართველოს, სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, III, თბ., 1974, გვ. 78.

ტარიელ ჩუბინიშვილი

ერთი დათარილების ცდა ნაყოფიერების კულტის ისტორიიდან

(ტაბ. 5—6)

1928 წელს აკად. გ. ჩიტაიამ გამოაქვეყნა მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომი „ეთნოგრაფიული მგზავრობიდან აღბულაღის რაიონში“[1]. ნაშრომში ავტორი იკვლევს საქართველოს ამ კუთხეში ხმარებული ერქვანის ტიპოლოგიას და იძლევა ახალ საყურადღებო მასალებს მიწის ხვნასთან დაკავშირებული ჩვეულებების შესახებ. აქ ჩვენს ყურადღებას იპყრობს ავტორის მიერ მაგიის ერთ-ერთი უძველესი გამოვლენის ფაქტი, როდესაც სხვადასხვა მოვლენების იდენტურობა-მსგავსების გზით ადამიანი ცდილობს მისთვის სასურველი შედეგის მიღწევას.

გ. ჩიტაია გვამცნობს, რომ გარკვეულ ხანაში ხალხური გაგებით სქესობრივი აქტი წარმოდგენილი იყო, როგორც ხვნა, სადაც მიწა მდედრობითი სქესის წარმომადგენელია და ნაყოფიერების საშოა, ხოლო ერქვანი — ფალოსია. ავტორი აღნიშნავს, რომ ქართული „ხვნა“ coitus-ის მნიშვნელობასთან ახლო უნდა იდგეს. ამის შესატყვისად მეგრულში მას ეგულება „ხოდუა“ ‖coitus, სადაც „ნ“-ს შენაცვლება „დ“-თ დამოწმებული მოვლენაა (მაგ., ჯუნა-ჯუდა)[2]. იმერულ თქმაში გვხვდება „ხტული“ სადაც „ტ“ მიღებულია „ნ“-ს „დ“-თი შენაცვლების გზით. ქართულში ამავე ძირიდან „ხვადი“ „ო“ და „ვა“-დ დაშლითაა მიღებული, რაც მამალი სქესის ცხოველს ნიშნავს. ავტორი სვამს საკითხს, ხომ არ არის ქართული „ხვნა“ და მეგრული „ხოდუა“ შესატყვისი ფორმები[3].

როგორ აისახა ეს შესატყვისობა უძველეს ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში?

ამასთან დაკავშირებით გ. ჩიტაია აღნიშნავს გვალვის საწინააღმდეგო ჩვეულების — „წყლის მოხვნის“ წესის შესახებ: „სოფ. ქსოვრისში გვალვის დროს, სოფლის ქალები აჩაჩს წაიღებენ ხევში, წყალზე. იქ თავმოყრილი ქალები გატიტვლდებიან. მათგან ნაწილი აჩაჩში შეებმის, ნაწილი „გუთნისდედა“ და „მეხრეებია“, სხვები ერთიმეორეს წყალს ასხამენ: თითოეული ცდილობს მეორეს წყალი შიგ სასირცხო ნაწილებში შეასხას. ამავე დროს აჩაჩას მართავს, ხარებს მიერეკება ერთ-ერთი ქალი, რომელსაც ჯოხი ჰკიდია (ვითომ

---

[1] გ. ჩ ი ტ ა ი ა, ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბულაღის რაიონში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. 4, 1928, გვ. 203—230.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 226.

[3] ი ქ ვ ე.

ფალოსია) და მამაკაცურ სქესობრივ წესებს იჩენს სხვების მიმართ, განსაკუთრებით იმის მიმართ, რომელიც „vulva“-ს სახელს („მუტა“-ს) ატარებს. „გუთნისდედა“ კი „ხარებს“ დაჰკივის „გასწი, გასწი კარგად „მოხანი“ შე ასეთო და ისეთო“ და ამა თუ იმ ხარს უძახის — ამან და ამან კოიტუსი გიყო-ო. ამ დროს ის ასახელებს ამ სოფლის ყველაზე არასიმპატიურ პიროვნებას, რითაც ცის გაჯავრებას ცდილობს, რომ ავდარი მოვიდეს“. გ. ჩიტაია ასეთივე ჩვეულებას ადასტურებს სოფ. პიტარეთსა და ერთაწმინდაში[4].

გ. ჯალაბაძე თავის სადოქტორო ნაშრომში აღნიშნავს, რომ კახეთშიც გვალვიანობის დროს სცოდნიათ გუთნით „წყლის მოხვნა“. იგი სთვლის, რომ წყლის მოხვნის წესი, ძირითადად, ბარისა და ზეგანის სოფლებისათვის იყო დამახასიათებელი[5].

ზემოთ მოტანილ წეს-ჩვეულებაში სხვაღასხვა დროის დაფენებები და კომპონენტებია, მაგრამ ამათგან მთავარი მაინც „სქესობრივი აქტით“ ბუნებაში ნაყოფიერების გამოწვევა-გაძლიერება ჩანს, სადაც ხაზგასმულია ამ აქტში მამაკაცის როლი. ის ფაქტი, რომ განაყოფიერების რიტუალში მხოლოდ ქალები მონაწილეობენ ამ წესის დიდ სიძველეზე მიგვითითებს.

ჩვენ მიერ ხსენებული მეტად საინტერესო ისტორიულ-ეთნოგრაფიული ფაქტის დათარიღება, ვფიქრობთ, შესაძლებელია ზოგიერთი არქეოლოგიური მასალის საშუალებით.

ცხადია, რომ მამაკაცის მონაწილეობის მნიშვნელობა განაყოფიერების აქტში თვალსაჩინო უნდა გამხდარიყო მწარმოებლობითი მეურნეობის განვითარების გარკვეულ საფეხურზე, როდესაც მამაკაცის შრომითმა საქმიანობამ გადააჭარბა ქალის შრომას, თუნდაც მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაში, და ამავე დროს ემპირიული ცოდნის დაგროვების გზით ცხადი გახდა, რომ გამანაყოფიერებლის გარეშე განაყოფიერება შეუძლებელია. მიწათმოქმედებაში ამ აზრის განმტკიცება უნდა მომხდარიყო ხვნის პროცესში; ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ფლორენციის არქეოლოგიურ მუზეუმში დაცულ ანტიკურ ჯამზე მოცემულია საგნის გამოხატულება, რომელიც ერთი და იგივე დროს ერქვანიცაა და ფალოსიც, გვიანდელი ანარეკლია იმ პირველად წარმოდგენასთან შედარებით, როდესაც ეს ცნებები გაიგივებული იყო[6].

სამხრეთ კავკასიაში გამანაყოფიერებელი ფალოსის პრაქტიკული მნიშვნელობა ყველაზე მძლავრად წარმოდგენილია ძვ. წ. მე-3 ათასწლეულის „მტკვარ-არაქსის კულტურაში“ (ადრეულ ბრინჯაოს ხანაში).

ადრეულ ბრინჯაოს ხანაში სხვა რიგის თიხის ზესადგარებთან ერთად კარგადაა ცნობილი ე. წ. ნალისებური ზესადგარები, რომლებიც საოჯახო და საკულტო კერებზე იდგმებოდა. ახალციხის ამირანის გორაზე პირველად თვალნათლივ გამოჩნდა ამ ანთროპომორფული, იტიფალური, ზესადგარების საკულტო დანიშნულება. როგორც გაირკვა, ეს ზესადგარები ანსახიერებს იტიფალურ ფეხებგაშლილ მამაკაცებს, რომლებსაც ზოგჯერ თავზე ხარის რქებიც აქვთ (ტაბ. 6₃). ამ ზესადგარებს კერაზე დგამდნენ, რის შედეგად „ხდებოდა“ მათი „განაყოფიერება“[7]. ამ აქტით სრულდებოდა სიმპა-

---

[4] გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბულაღის რაიონში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. 4, 1928, გვ. 224—225.

[5] გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა საქართველოში, თბ., 1971, გვ. 228—230.

[6] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 226.

[7] ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორა, თბ., 1963, გვ. 65, 66.

თიური მაგია, რასაც უნდა გამოეწვია მდედრობითი სქესის „დედამიწის“ გაღაყოფიერება, ნაყოფიერების მატება და ოჯახში დოვლათის დაგროვება[8].

სამხრეთ კავკასიაში ახლად აღმოჩენილი ძვ. წ. V—IV ათასწლეულთა ადრესამიწათმოქმედო კულტურაში ქალების გამომსახველ პატარა თიხის ქანდაკებებს გარდა ჩნდება მამაკაცის სახის გამომსახველი, ქვაზე შესრულებული სკულპტურები; ასე მაგალითად, ქვემო ქართლის გვიანნეოლითური მასალებიდან აღსანიშნავია არახლო I სამოსახლოზე აღმოჩენილი წითელ კენჭზე ამოკვეთილი შუბლისაკრავიანი, დიდცხვირა, ძლიერი და ყოვლისშემძლე მამაკაცის სახე (ტაბ. 5).

როგორც ახლა ირკვევა, ამავე ხანაში პირველად აშკარად ვლინდება მამაკაცის როგორც გამნაყოფიერებლის მნიშვნელობა: ქვემო ქართლის დაბალი ველების სამოსახლოებზე (არახლო I, იმირის გორა)[10]. ჩნდება კერამიკა, რომელზედაც დანაძერწის სახით, სქემატურად წარმოდგენილია ხელებაპყრობილი იტიფალური მამაკაცები (ტაბ. 6 $_{1—2}$). ამავე დროს არახლოს ენეოლითურ მასალებში მოიპოვება ტოტებწაჭრილი, გრძელი ირმის რქა, რომელიც შესაძლოა, გ. ჯალაბაძის აზრით, სახვნელი თარიღი — ერქვანი ყოფილიყო[11]. მის მიერ მოცემული რეკონსტრუქციით აქ შემორჩენილია იარაღის სახელური და კბილა (ტაბ. 5$_1$).

ყველა მონაცემით ჩანს, რომ ქვემოთ ქართლის დაბალი ველების ბინადარი მიწათმოქმედი მოსახლეობა ძვ. წ. V—IV ათასწლეულებში უკვე ბევრად დაცილებულია სამიწათმოქმედო კულტურის საწყის ეტაპებს, რაც ე. წ. ნეოლითური რევოლუციის სახელწოდებითაა ცნობილი.

ეს ის ხანაა, როდესაც ადამიანი უკვე იცნობს ლითონს და იწყებს ისეთ საზოგადოებრივ ცხოვრებას, რომლის თითქმის ყველა დარგში შრომის მესვეურად მამაკაცი ჩანს და პატრიარქალურ გვარს მტკიცე საფუძველი ეყრება.

ჩვენი აზრით, ადვილად დასაშვებია, რომ სწორედ ენეოლითურ ხანაში უნდა ჩასახულიყო ის ჩვეულება, რომელიც გ. ჩიტაიამ თეთრწყაროში პირველად დაადასტურა და ამრიგად გამოავლინა უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის ცნობიერებაში ხვნისა და სქესობრივი აქტის გაიგივება.

არაა გამორიცხული, რომ „წყლის მოხვნა“ ეს ამავე დროს ბრძანებლობითი მაგიაა — ცის გასაჯავრებლად და ავდრის გამოსაწვევად — ამ წესჩვეულებაში იგი „პირველადი ბირთვია“, რომელიც გაავდრებისას იწვევს მდინარეთა ადიდებას, რის გამოც ადვილად ხერხდება მდინარის წყილს მოწყვეტა და სათესი ფართობების მორწყვა.

---

[8] იქვე, ი. კიკვიძე, კავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურაში კერის და კერის ზესადგარების დანიშნულება და სემანტიკა. თბილისის სახელ. უნივერსიტეტის შრომები, № 162, 1975, გვ. 27.

[9] ტ. ჩუბინიშვილი, ენეოლითური კულტურა საქართველოში, 1970 წ.

[10] ლ. ღლონტი, ა. ჯავახიშვილი, თ. კიღურაძე, ხრამის დიდი გორის ანთროპომორფული ქანდაკებები, „ძეგლის მეგობარი“, № 33, სურ. II; Т. Н. Чубинишвили, Г. Г. Пхакадзе, Г. И. Мирцхулава, Д. Д. Гогелия, Л. В. Прищипенко, Итоги Квемо-Картлийской археологической экспедиции за 1974.

[11] ტ. ჩუბინიშვილი, ახალი მასალები ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ისტორიისათვის, „ძეგლის მეგობარი“, № 33.

ვვარაუდობთ, რომ ბარში და ზეგნებზე სასოფლო პრიმიტული ირიგაციის პირობებში საგაზაფხულო მოსავლის მოყვანასთან დაკავშირებით ამ მაგიას უდიდესი შთაგონებითი ძალა ექნებოდა მინიჭებული.

Т. Н. ЧУБИНИШВИЛИ

ИЗ ИСТОРИИ КУЛЬТА ПЛОДОРОДИЯ
(ОПЫТ ДАТИРОВКИ ОДНОГО МАГИЧЕСКОГО ОБРЯДА)

(табл. 5—6)

Резюме

В статье дана попытка увязать между собой некоторые этнографические и археологические данные и с учетом определенных грузинских и мегрельских терминов, обозначающих вспахивание поля и акт совокупления (coitus), установить время возникновения одного земледельческого магического обряда — «вспахивание воды», выполняемого в Грузии при засухе.

В данном обряде, в котором участвовали лишь одни обнаженные женщины, «земля» олицетворяло женское начало, а «соха» — мужской фалл, при чем, подчеркивалась большая значимость оплодотворяющего мужского начала.

На южном Кавказе ярко выраженное значение оплодотворяющего мужского начала определяется с III тыс. до н. э., в т. н. «Куро-Араксской» культуре. В это время бытуют очажные, культовые глиняные подставки, изображающие фаллических, иногда, рогатых мужчин, оплодотворяющих очаг — землю и приносящих семье блага плодородия (табл. 6_3).

Но не менее важны и новые материалы предшествующей эпохи энеолита. В V—IV тыс. до н. э. встречаются первые скульптурки мужчин — на гальке изображено лицо волевого мужчины с диадемой на голове (табл. 5_1). На энеолитической керамике также представлены схематические налепы фаллических фигурок (табл. $6_{,2}$). Эти материалы синхронизируются с находкой оленьего рога, который, мог быть, в древности применяем в качестве сохи (табл. $5_{,2}$).

Эти новые материалы, несомненно, знаменуют возрастающую роль, в V—IV тыс. до н. э., мужского труда в хозяйстве, что должно было породить в сознании земледельцов того времени отожествление акта оплодотворения с процессом пахоты.

Д. Л. МУСХЕЛИШВИЛИ

К ВОПРОСУ О СВЯЗЯХ ЦЕНТРАЛЬНОГО ЗАКАВКАЗЬЯ С ПЕРЕДНИМ ВОСТОКОМ В РАННЕАНТИЧНУЮ ЭПОХУ

(табл. 7—8)

Археологическая экспедиция Института истории, археологии и этнографии (руковод. академик АН Груз. ССР. Н. А. Бердзенишвили) в течение восьми лет, с 1954-го по 1961 гг. производила раскопки древнего поселения эпохи поздней бронзы и раннего железа на холме Ховлегора. Холм расположен на краю предгорной долины правобережья р. Куры около сел. Ховле (Каспский р-н Груз. ССР). В результате полевой работы был вскрыт мощный культурный слой, который содержал восемь стратиграфических строительных горизонтов (Ховле I—VIII, отсчитывая сверху вниз).

18833

Выявился довольно сложный облик памятника. Оказалось что с определенного времени (Ховле V) вокруг холма, на котором было расположено древнейшее поселение (Ховле VIII—VI), появляется новое, которое отделяется от холма, превратившегося к этому времени в цитадель и место отправления культа, глубоким рвом и мощной каменной оградной. Еще позднее (Ховле IV) от поселения отделяется производственный участок — керамическая мастерская. Добавим к этому, что раскапывался, правда недостаточно интенсивно, и могильник ховлегорийского поселения, а также проводились контрольно-разведывательные раскопки в окрестностях для уяснения ряда вопросов, возникавших в процессе раскопок.

Такой большой, сравнительно, размах полевых работ, который был результатом широко поставленной в историческом аспекте проблемы, обусловил тот факт, что поселение Ховлегора стало памятником первостепенной важности для решения кардинальных социально-экономических, культурно-исторических и даже этногенетических проблем общества периода разложения первобытно-общинных отношений на территории Грузии.

Именно поэтому некоторые специалисты, историки и археологи, не обходятся уже в своих работах без учета результатов ховлегорийской экспедиции, без учета давно обработанного и изученного, но, к сожалению, пока еще не опубликованного ее материала.

Естественно, здесь мы не коснемся всех тех проблем, которые возникли в результате изучения ховлегорийского материала. В данный момент нас интересует лишь один частный вопрос, поставленный впервые также ховлегорийской археологической экспедицией, а именно вопрос о керамике «красного обжига».

Нижние горизонты поселения (Ховле VIII—IV), которые датируются второй половиной II-го и началом I-го тысячелетия до н. э. ха-

საქ.17

рактеризуются черной и серой, часто лощенной, посудой. Керамика эта, хотя и имеет своеобразные черты, отражающие, по-видимому, локальную специфику, в общем аналогична (формы, орнаментация, технология) керамике позднебронзовой эпохи, известной из других пунктов восточной Грузии. Она бытует и в последующих горизонтах (Ховле III—II), переживая некоторые изменения.

В последней фазе периода Ховле IV (конец VII в. до н. э.) появляются единичные экземпляры, совершенно отличной от черной и сероглиняной посуды, керамики «красного обжига».

В III-ем горизонте эти две группы сосуществуют примерно в равном процентном соотношении, а во II-м — светлоглиняная посуда количественно явно преобладает, становясь в последнем периоде, насколько можно судить по сильно потревоженному и поэтому фрагментарно раскрытому горизонту Ховле I, единственным видом местного керамического производства.

Не имея здесь возможности коснуться детально вопроса хронологии, отметим однако, что горизонт Ховле III довольно точно датируется VI в. до н. э. Горизонт же Ховле II—V в. до н. э. Где-то на рубеже V—IV вв. до н. э. констатируется факт насильственного разрушения всего поселения Ховлегора, после чего в том же, видимо, IV-м веке на короткое время замечается некоторое возрождение жизни только на одном участке холма (Ховле I). Вскоре, однако, поселение Ховлегора перестает существовать.

Учитывая вышеозначенные изменения в керамическом производстве Ховлегорийского поселения, мы еще в 1959 году высказали мнение, что для территории восточной Грузии, точнее Нижней Картли (район к югу от Куры) рубеж VI—V вв. до н. э. является той хронологической вехой, когда наблюдается перелом в технике керамического производства, т. е. когда вместо производства до этого преимущественно черной и сероглиняной посуды, широко распространяется производство керамики красного обжига. Тогда это явление нам представлялось следствием местного развития производительных сил[1].

Действительно, это доказывается не только наличием таких форм красной керамики, которые генетически связаны с черноглиняной посудой, но и вскрытыми на производственном участке Ховлегора гончарными печами, которые наглядно показывают процесс постепенного конструктивного усовершенствования, связанного несомненно с процессов развития керамического производства[2]. В этой связи знаменательно, что в более ранних типологических печах была обнаружена черная и сероглиняная посуда, идентичная керамике Ховле IV, а в более поздней — красноглиняная посуда соответствующая керамике Ховле III—I.

Таким образом, отрицать факт местного развития керамического производства, который выявился в распространении посуды красного обжига, не представляется возможным. Однако, последующие раскопки Ховлегора, и изучение нами всего выявившегося материала, да-

---

[1] Р. Абрамишвили, Д. Мусхелишвили, Г. Цкитишвили. Отчет археологических раскопок Ховлегора за 1958 г. Научная сессия, посвященная итогам полевых археологических исследований в Грузии 1958 г. Тб., 1959, стр. 20—21 (на груз. языке). Отметим, что термин «красноглиняная» или «керамика красного обжига» мы употребляем здесь условно для обозначения светлоглиняной посуды разных оттенков от кирпично-красного до бледножелтого.

[2] Очерки истории Грузии. т. I. 1970, стр. 628 (на груз. языке).

ли основание для иной постановки вопроса, что мы и отметили в свое время[3].

Дело в том, что значительную часть красноглиняной керамики невозможно связывать генетически с раннее бытовавшей черной и сероглиняной посудой. Напротив, помимо разницы в технологии, керамика красного обжига выявляет совершенно новые формы. Кроме того следует особо отметить, что вся эта посуда, в отличие от более ранней и современной ей черно-серой керамики, как правило, не орнаментирована, исключая большие карасы с рельефным орнаментальным поясом — сам по себе чуждый элемент.

Совершенно новым является окраска многих сосудов частично или полностью красной краской.

Все сказанное выше заставляет нас прийти к определенному выводу, а именно, что факт появления на поселения Ховлегора керамики красного обжига с полной ясностью указывает на проникновение сюда нового культурного потока. Однако, интересующий нас вид керамики настолько самобытен и отличен от местной традиционной черносерой посуды, а перемена настолько неожиданна, быстра и сильна, что думается, говорить только о внешнем влиянии недостаточно.

Мы думаем, что указанная красноглиняная керамика свидетельствует о проникновении в местную среду нового этнического элемента, который привнес сюда же новую культурную струю.

При этом следует подчеркнуть: не может быть речи о каком-либо насильственном вторжении и это явление надо мыслить как процесс, довольно правда интенсивной, инфильтрации. Об этом свидетельствует, как полное отсутствие каких-нибудь следов серьезных разрушений в периоде Ховле IV, так и бытование в Ховле III—II, рядом с новой керамикой, старой, местной посуды, а также наличие старых бытовых традиций (строительная техника, кухонные печи и др.).

Не отрицая, таким образом, возможности местного развития керамического производства, тем не менее, мы должны признать, что этот процесс совпал с процессом инфильтрации новых этнических и культурных элементов.

Каким образом следует оценивать эти новые явления и с чем они связаны?

Достаточно сравнить интересующую нас ховлегорийскую керамику периода Ховле III с соответствующим материалом, происходящим из урартских центров, и мы сразу же убедимся в большом сходстве, а то и в их идентичности.

ამ ჯგუფის აკინაკთა შორის თავისებურებით გამოირჩევა თლის სამაროვნის №85 სამარხში აღმოჩენილი აკინაკი, რომლის პირი რკინისაა, ხოლო ტარი და ვადა — ბრინჯაოსი (ტაბ. 9,4). ბრინჯაოს ტარი სამნაწილიანია, ხოლო ტარის სიგრძივ განაჭერში ჩადგმულია რკინის ბრტყელი ღერო. ბ. ტეხოვი ამ აკინაკს ძვ. წ. VIII ს. დასასრულით ათარიღებს და ამრიგად, აკინაკების გაჩენის თარიღად ეს ხანა აქვს დადგენილი[24]. როგორც ჩანს, თლის აკინაკის ადრეული დათარიღების საფუძველი მკვლევრისათვის არის სატევრის ბრინჯაოს ტარი. მართალია, ბრინჯაოს ტარისა და რკინის პირის შეთავსების მოვლენა სწორედ წინასკვითურ ხანაშია ცნობილი დნეპრისპირეთსა და კავკასიაში, მაგრამ იქ წარმოდგენილი სატევრები და მახვილები იარაღის ამ სახეობის სულ სხვა ტიპს განეკუთვნებიან[25]. სკვითური ტიპის ბიმეტალური სატევრების დათარიღებისას კი ამოსავალი ყოველთვის არის იარაღის ცალკეული დეტალების ფორმები[26]. როგორც ითქვა, თლის აკინაკის თავისებურება ტარის სტრუქტურაშიც იჩენს თავს და მას სკვითურ ბიმეტალურ აკინაკებს შორის ეძებნება უშუალო ანალოგიები. შვეულლილვაკიანი ტარები ფართოდ არის გავრცელებული ადრეულ სკვითურ აკინაკებს შორის ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა და კავკასიაში, შედარებით იშვიათია სიგრძივი განაჭერის მქონე ტარიანი აკინაკები. ასეთია რაიგოროდის №2 ყორღანში აღმოჩენილი მახვილი, რომელიც მასთან ერთად სამარხში ნაპოვნი შავლაკიანი კილიკის წყალობით ძვ. წ. VI ს. შუაწლებზე ადრეული ხანით ვერ დათარიღდება[27] და ერთი სავრომატული აკინაკი, რომელიც თლის სატევრის ზუსტი ანალოგიაა და რომელსაც დეტალების ფორმის მიხედვით ძვ. წ VII ს. დასასრულით ათარიღებენ[28]. თლის აკინაკიც საერთო ტოპოლოგიური ნიშნების მიხედვით უნდა დათარიღდეს. თუ კიდეც გავიზიარებთ მისი ძვ. წ. VIII ს. დათარიღებას, მივიღებთ დიდ ქრონოლოგიურ შუალედს ამ აკინაკსა და ტიპოლოგიურად სრულიად მსგავს აკინაკებს შორის, რომლებიც ძვ. წ. VII ს. მიწურულს ჩნდება და ფართოდ ვრცელდება ძვ. წ VI საუკუნეში. ასე რომ, ასეთი ადრეული თარიღი დაუშვებელია თუნდაც იმის გამო, რომ აკინაკი ტიპოლოგიურად მეტად სწრაფად ვითარდება და მისი ევოლუცია დროის ასეთ დიდ მონაკვეთს არ უნდა მოიცავდეს. თლის ნიმუში ერთი საუკუნით ვერ დაშორდება მის იდენტურ რკინის აკინაკებს და ამდენად, მსგავ-

---

დაათარიღა ძვ. წ. VI ს. (რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი..., გვ. 131). თლის სამაროვნის პეპლისებურვადიანი და ძელაკისებურტარისთავიანი აკინაკების შემცველ კომპლექსებს ბ. ტეხოვი ძვ. წ. VII ს. დასასრულითა და ძვ. წ. VI ს. ათარიღებს (Б. В. Техов, СА, 3, 1972, გვ. 30—32). ტარის თავმომტვრეულ აკინაკებს ბრილის სამარხიდან და ჩობანლუკიდან ვათარიღებთ ვადის მიხედვით, რომელსაც ჯერ არა აქვს დაკარგული მასიურობა და ადრეულობის მანიშნებელი მკვეთრი მოხაზულობა.

[24] Б. В. Техов, დასახ. ნაშრ., გვ. 32.

[25] А. И. Тереножкин, Культура предскифского времени в среднем Поднепровье, ВССА, 1954, გვ. 104, ნახ. 11; Б. Н. Граков, Старейшие находки железных вещей в европейской части СССР, СА, 1958, № 4, стр. 5.

[26] А. И. Мелюкова, დასახ. ნაშრ., გვ. 48, 59; Е. К. Максимов, М. Р. Полесских, დასახ. ნაშრ., გვ. 248, ნახ. 1, 1; В. Б. Виноградов, დასახ. ნაშრ., გვ. 121; А. В. Збруева, დასახ. ნაშრ., გვ. 99, ტაბ. XXI, 11.

[27] М. И. Ростовцев, Скифия и Боспор, გვ. 480; А. И. Мелюкова, დასახ. ნაშრ. ტაბ. 15, 3.

[28] К. Ф. Смирнов, დასახ. ნაშრ., გვ. 11, ნახ. 1,4.

სად ამ ჯგუფის სხვა აკინაკებისა, ძვ. წ. VII ს. დასასრულითა და ძვ. წ. VI ს. უნდა დათარიღდეს[29].

ამ სერიის აკინაკთა შორის ყურადღებას იპყრობს სოფ. კოლხიდაში აღმოჩენილი რკინის აკინაკი, რომელსაც ბრინჯაოს ორნამენტირებული ჭარჭაში აქვს (ტაბ. 9,3). დეტალების არქაული ფორმების მიხედვით (პეპლისებური ვადა, სამნაწილიანი ტარი) ეს აკინაკი ძვ. წ. VI ს. თარიღდება. სატევრის ვადის მთლიანად მოთავსებაც ბუდეში (რასაც კოლხიდის აკინაკის მაგალითზე ვხედავთ) ადრეული ხანის აკინაკის ჭარჭაშის დამახასიათებელი ნიშანია[30]. კოლხიდის აკინაკი თავისი ჭარჭაშითურთ უნიკალური მაგალითია სკვითური და ადგილობრივი ელემენტების ერთ ნივთში შერწყმისა: ერთი მხრივ, აკინაკის ფორმა და ჭარჭაშის სახეებით შემკობა ეხმაურება სკვითური სამყაროდან ცნობილი აკინაკების ნიმუშებს, ხოლო, მეორე მხრივ, თვით ჭარჭაშის დეკორი (რელიეფური ორნამენტი: გრეხილი ზონარი, სპირალი, სათვალისმაგვარი დეტალი და გველის გამოსახულება, რაც ხშირად გვხვდება კოლხურ-ყობანური თუ აღმოსავლეთ-ამიერკავკასიური კულტურების ბრინჯაოს ნივთებზე[31]) ამ ნივთს ადგილობრივი კულტურის ტრადიციებს უკავშირებს (თუმცა მხატვრული სტილით ჩვენთვის ცნობილ ადგილობრივი ხელოვნების ნიმუშებისაგან განსხვავებულია). ამავე დროს, თავისებური გადმოცემა ისეთი დეტალებისა, როგორიცაა ჭარჭაშის გვერდითი შვერილი (რომელიც სწორი წაგრძელებული მოყვანილობისაა, ნაცვლად სკვითური ჭარჭაშების ფრთისმაგვარი შვერილისა) და მარყუჟის ფორმის ლილვაკით შემოსაზღვრული ჭარჭაშის ბოლო (რომლის მსგავსი სკვითურ ჭარჭაშებს შორის არ იძებნება) გვაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სკვითური სამყაროსათვის ტიპიური ფორმის ადგილობრივ გააზრებასთან. ხომ ცნობილია, რომ სკვითური აკინაკების გავრცელების ტერიტორიაზე (საკუთრივ სკვითური მიწა-წყლის გარეთაც) იარაღის სხვადასხვა დეტალსა თუ მორთულობაში ადგილობრივი ელემენტი არის ხოლმე შეტანილი[32].

---

[29] თვით თლის № 85 სამარხეული კომპლექსის შემადგენლობაში შემავალი ბრინჯაოს ნივთები — ბალთა, ჭურჭელი და ცული არ იძლევა სამარხის ზედმიწევნით ზუსტად დათარიღების შესაძლებლობას (კომპლექსი გამოქვეყნებულია Б. В. Техов, СА, 3, 1972, გვ. 31, ნახ. 2, 231—245): ბრინჯაოს ჭურჭელი, სარწყულას ტიპისა, კავკასიაში ძვ. წ. VIII ს. II ნახევრისა და VI ს. კომპლექსებში გვხვდება (Е. И. Крупнов, Жемталинский клад, М., 1952, стр. 27), სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ბალთის ტიპის არსებობის ხანა ძვ. წ. VII—VI სს. უნდა მოიცავდეს (О. А. Артамонова-Полтавцева, Культура Северо-Восточного Кавказа в скифский период, СА, 1950, XIV, стр. 85, 100). ხოლო რაც შეეხება ბრინჯაოს მოხატულ ცულებს, გამოთქმულია მოსაზრება, რომ გეომეტრიული ორნამენტით შემკული ბრინჯაოს ცულები ძვ. წ. VIII—VII სს. და VI ს. დასაწყის ხანებში არსებობს (ლ. ფანცხავა, კოლხური და ყობანური კულტურების მხატვრული ხელოსნობის ძეგლების ისტორიისათვის, თბ., 1975, საკანდიდატო დისერტაცია).

[30] А. И. Мелюкова, დასახ. ნაშრ., გვ. 63.

[31] Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 г. в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949, стр. 27; П. Уварова, Могильники Северного Кавказа, МАК, вып. VIII, М., 1900, таб. IV, 3. გვ. 36, ნახ. 39, 40. ტაბ. XIV, 6; XIV, 4; XIX, 4; VII, 1; ლ. ფანცხავა, ბრინჯაოს ცული ანთროპომორფული გამოსახულებით, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, № 7, 1971, გვ. 77; გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 99.

[32] Н. А. Онайко, О центрах производства золотых обкладок ножен и рукояток ранних скифских мечей, найденных в Приднепровье, Сб. «Культура античного Мира», М., 1966.

საქართველოში მოპოვებული სკვითური ტიპის აკინაკების მეორე სახეობას წარმოადგენს აკინაკები, რომელთაც აქვთ ძელაკისებური ტარისთავი და თირკმლისებური ვადა (ტაბ. 9,5). ამგვარი აკინაკები აღმოჩენილია ბრილში[33]. მათ აქვთ სამნაწილიანი, შვეულლილვაკებიანი ტარის ღერო, ტარი არ არის მასიური, ტარისთავი გრძელი ძელაკის ფორმისაა; ანალოგიური აკინაკები სკვითურ სამყაროში კარგადაა ცნობილი და საქართველოს ეს ნიმუშები, ამ ტიპის აკინაკების შემცველი სკვითური ყორღანების მსგავსად, ძვ. წ. VII ს. დასასრულითა და ძვ. წ. VI ს. უნდა დათარიღდეს[34].

საქართველოს ნივთიერ კულტურაში წარმოდგენილია კიდევ ერთი ტიპი სკვითური აკინაკებისა. ესაა თლის № 139 სამარხის რკინის აკინაკი, რომელსაც აქვს მარტივი ანტენისებური ტარისთავი და მასიური პეპლისებური ვადა (ტაბ. 9,6). ტარისთავის ვოლუტები ძლიერაა მორკალული, იკვრება. მარტივი ანტენისებური ტარისთავების მქონე აკინაკები სკვითურ სამყაროში ძვ. წ. VI ს. ჩნდება და მათი არსებობის ხანა მოიცავს ძვ. წ. VI ს და V ს. პირველ ნახევარს[35]. სავრომატების მიწა-წყლიდან მომდინარე ამ ტიპის აკინაკებს ძვ. წ. VI—IV სს. ფარგლებში აქცევენ[36]. საყურადღებოა, რომ ვოლუტებიანი აკინაკი ტიპოლოგიურ სიახლოვეს პოვებს სკვითურ და სავრომატულ უადრეს ნიმუშებთან. ამასთან, არქაული ფორმები თლის აკინაკის ისეთი ნიშანდობლივი დეტალებისა, როგორიცაა ვადა და ტარი, რომელიც ზუსტად თანხვდება ამავე სამაროვნის არქაული აკინაკების ფორმებს, სავსებით დასაშვებს ხდის მის დათარიღებას ძვ. წ. VI ს-ით.

სრულიად სხვაგვარია სოხუმის მთის № 4 სამარხეული კომპლექსის ანტენისებურტარისთავიანი რკინის აკინაკი. მას აქვს პეპლისებური ვადა და ზემოთკენ გაფართოებული სადა ტარის ღერო, ხოლო ტარისთავის ანტენისებური შვერილების ბოლოებზე ფრინველის თავის გამოსახულებაა წარმოდგენილი (ტაბ. 9,7)[37]. ზუსტი ანალოგია სოხუმის მთის აკინაკს სკვითურ კულტურაში არ ეძებნება (ამგვარი რკინის ერთი აკინაკი ანანინოს სამაროვანზეა აღმოჩენილი[38]), მაგრამ ცალკეული დეტალების მიხედვით შეიძლება მისი გარკვეული ხანისათვის მიკუთვნება: ძვ. წ. V ს. ჯერ კიდევ არის ხმარებაში ანტენისებურტარისთავიანი და პეპლისებურვადიანი აკინაკები, ხოლო მარტივვოლუტებიანი ტარისთავი ძვ. წ. V ს. დასაწყისში ადგილს უთმობს რთულ ანტენებს, რომლებიც ცხოველსახოვანი სტილითაა წარმოდგენილი; პეპლისებური ვადა კი ძვ. წ. V ს. დამლევს ცრუ სამკუთხედის მოყვანილობის ვადით იცვლება[39]. მაშასადამე, ძვ. წ. V საუკუნეა პეპლისებური ვადისა და ცხოველსახოვანი ანტენების თანაარსებობის ხანა სკვითურ კულტურაში, და, საფიქრებელია, სოხუმის მთის აკინაკის შესახებაც იგივე უნდა ითქვას.

საქართველოში მოპოვებული აკინაკების ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაცია განმაზოგადებელი დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს.

---

[33] გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრ., ტაბ. XLIII, 1 და XLIV, 3.
[34] А. И. Мелюкова, დასახ. ნაშრ., ტაბ. 15—2, 4—7, 9, 10. გვ. 47.
[35] იქვე, გვ. 60.
[36] К. Ф. Смирнов, დასახ. ნაშრ., გვ. 19.
[37] Б. В. Техов, СА, 1973, 3. ნახ. 2, 306.
[38] А. В. Збруева, დასახ. ნაშრ., გვ. 104, ტაბ. XXI, 20.
[39] А. И. Мелюкова, დასახ. ნაშრ., გვ. 60.

როგორც გაირკვა, საქართველოს ნივთიერ კულტურაში უპირატესად წარმოდგენილია ის აკინაკები, რომელთაც აქვთ სწორი ძელაკისებური ტარისთავი და მაღალი პეპლისებური ვადა. მიღებულია, რომ სკვითებში ეს იყო აკინაკის თავდაპირველი ფორმა[40]. დღეისათვის უკვე სარწმუნოდაა მიჩნეული, რომ სკვითური სატევრები არ არის ადგილობრივი წარმომავლობისა, ვინაიდან სკვითიაში მათი შორეული პროტოტიპიც კი არ იძებნება[41]. აკინაკის სწორედ ეს ტიპი (ძელაკისებურტარისთავიანი და პეპლისებურვადიანი) აქვთ მკვლევართა მხედველობაში, როცა აღნიშნავენ, რომ იარაღის ეს ფორმა ირანული აღმოსავლეთიდან არის გავრცელებული არქაული ხანის სკვითურ კულტურაში[42].

ანალოგიური აკინაკები ირანულ სამყაროში იყო გავრცელებული: დარიოსის აკლდამისა და პერსეპოლისის რელიეფებზე[43], ასევე ამუ-დარიის განძის ბალთაზე[44] გამოსახულია ადამიანები, რომლებიც სავსებით მსგავსი იარაღით არიან აღჭურვილი. ამ გამოსახულებათა მიხედვით ასკვნიან, რომ ძვ. წ. VI—V სს. აკინაკები, რომლებიც ადრეული სკვითური აკინაკების მსგავსია, ფართოდაა გავრცელებული ირანული აღმოსავლეთის ტერიტორიაზე.

მეტად საყურადღებოა, რომ აკინაკის სწორედ ეს თავდაპირველი ფორმა, რომელიც შეაღწევს შავიზღვისპირეთის სკვითიაში აღმოსავლეთიდან, გვხვდება საქართველოს სკვითური ტიპის მასალას შორის. სავსებით ანალოგიური აკინაკები სკვითურ სამყაროში ცნობილი არ არის, იქ თითქმის ყოველი ნიმუში თავისებურ ვარიანტს ჰქმნის (თუმც გაერთიანებულია გარკვეულ ჯგუფში). საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული აკინაკების უმეტესობა კი სავსებით იდენტურია, ხმარებაშია დროის გარკვეულ მონაკვეთში, სახელდობრ, ძვ. წ. VII ს. მიწურულსა და ძვ. წ. VI საუკუნეში და ამის შემდეგ აქ აღარ გვხვდება[45]. ასეთი მასობრივობა საქართველოს არქეოლოგიურ მონაპოვარში წარმოდგენილი ერთი ტიპის აკინაკებისა (25 ც)[46] და მათი სრული თანხვდენა გვავარაუდებს აკინაკების ძველი საქართველოს ტერიტორიაზე დამზადების შესაძლებლობას[47]. ამასვე მოწმობს კოლხიდის აკინაკი თავისი ჭარჭაშითურთ. საქართველოში აღმოჩენილი სკვითური ტიპის იარაღის მრავალრიცხოვნობამ სამეცნიერო ლიტერატურაში დასვა საკითხი ამ იარაღის ჩრდილოეთ შავი-

---

[40] А. И. Мелюкова, დასახ. ნაშრ., გვ. 60.

[41] П. Д. Либеров, დასახ. ნაშრ., გვ. 154.

[42] ასე ფიქრობდა ჯერ კიდევ მ. როსტოვცევი; ის კელერმესისა და მელგუნოვის აკინაკების ჭარჭაშის ოქროს გარსაკრავების მხატვრული სტილის ანალიზის შედეგად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ არა მარტო ფორმა იარაღისა, არამედ თვით ორნამენტიც აღმოსავლური ხასიათისაა (М. И. Ростовцев, Скифия и Боспор, стр. 469—470).

[43] E. H. Minns, Scythians and Greeks, Cambridge, 1913, გვ. 59, სურ. 12.

[44] М. И. Артамонов, Сокровища саков, М., 1973, გვ. 8—9, ნახ. 2—3.

[45] ერთადერთი გამონაკლისია სოხუმის მთის აკინაკი, რომელიც, როგორც გაირკვა, სკვითური კულტურისათვის არ არის ტიპიური.

[46] ამ ტიპის აკინაკები (ძელაკისებურტარისთავიანი და პეპლისებურვადიანი) ა. მელიუკოვას ნაშრომის გამოცემის დროისათვის სულ 21 ცალია; ცნობილი სკვითურ კულტურაში (А. И. Мелюкова, დასახ. ნაშრ., გვ. 49).

[47] ამ თვალსაზრისით საინტერესო იქნება აღინიშნოს, რომ თლის სამაროვანზე ძვ. წ. VII—VI სს. კომპლექსებში აღმოჩენილი რკინის ნახელავის მიკროსტრუქტურული ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ ეს ნივთები ადგილობრივი ოსტატების მიერაა შექმნილი (СА, 1973, № 3, გვ. 155—161).

ზღვისპირეთში ამიერკავკასიიდან გავრცელების შესახებ[48]. მაგრამ საქართველოს არქეოლოგიური კომპლექსებიდან ცნობილი აკინაკების ადრეული თარიღებისა და მრავალრიცხოვნობის მიხედვითაც ვერ მივიჩნევთ აკინაკს კავკასიისათვის დამახასიათებელი ტიპის იარაღად, ვინაიდან მას არც პროტოტიპი მოეპოვება ადგილობრივ ნივთიერ კულტურაში და არც მისი შემდგომი განვითარება მომხდარა. სკვითური ტიპის კულტურებში ყველგან, სადაც კი შეაღწია იარაღის ამ თავდაპირველმა ფორმამ, მოხდა მისი განვითარება გარკვეული მიმართულებით, სხვადასხვა ცვლილებების შეტანით ამა თუ იმ დეტალის გადმოცემაში, ზოგ შემთხვევაში სატევრის ადგილობრივი ფორმის გამოდევნაც კი მოხდა. საქართველოში კი ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი აკინაკის თავდაპირველი ტიპიდან ნაწარმოები ფორმები. ვინაიდან საქართველოში მოპოვებული სკვითური ტიპის აკინაკების უმეტესობა წინააზიური წარმომავლობის აკინაკების ჯგუფს განეკუთვნება, ამდენად საფიქრებელია, რომ იარაღის ეს სახეობა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ირანული აღმოსავლეთიდან გავრცელდა დასავლეთ ამიერკავკასიის (კერძოდ, ძველი საქართველოს) გზით.

როგორც ჩანს, აკინაკის თავდაპირველი ფორმა სკვითებშიც და სავრომატულ კულტურაშიც ერთი საერთო წყაროდან ვრცელდება ამიერკავკასიის მეშვეობით. ის გარემოება, რომ საქართველოში აღმოჩენილი აკინაკები ტიპოლოგიურად სკვითურ ნიმუშებთან უფრო ახლოსაა, ვიდრე სავრომატულთან, იმაზე მიგვანიშნებს, რომ ძველი საქართველოს მოსახლეობას სწორედ სკვითურ ტომებთან ჰქონდა გარკვეული სახის ურთიერთობა. ხოლო სკვითებმა იარაღის ეს სახეობა მეზობელ ტომებს გააცნეს და ამ ტიპის იარაღის მესაკუთრეთა სახელი დაიმკვიდრეს.

ს ა ო მ ა რ ი ც უ ლ ე ბ ი. საქართველოს ნივთიერ კულტურაში ვავრცელებულ რკინის საომარ ცულებს შორის გამოიყოფა რამდენიმე ჯგუფი, რომელიც გარკვეულ მსგავსებას ავლენს სკვითურ სამყაროში ცნობილ ამავე სახეობის იარაღთან. კლასიფიკაციის შედეგად ამ ცულებში გამოირჩევა სამი ტიპი: ჩაქუჩისებურყუიანი საომარი ცულები, კონუსისებრთავიანი მოხრილი ცული და პირწამახული ცულები[49].

პირველი ჯგუფის ცულები საქართველოს ბევრ სხვადასხვა პუნქტშია ნაპოვნი: სამთავროს სამაროვანზე[50], დვანში[51], თლის საფარხებში[52], წითელ შუქურას ნეკროპოლზე[53], ყულანურხვაში[54]. ისინი სწორტანიანებია, სატარე მოთავსებული აქვთ ცულის თითქმის შუა ნაწილში; პირი სატარედან თანაბრად ფართოვდება ორივე მხარეს, ოდნავ ფართოვდება სატარეს შემდეგ

---

[48] გ. გობეჯიშვილი, ძველი ქართული სამთამადნო და მეტალურგიული წარმოების ნაშთები სოფ. ლებთან, საქ. სსრ მეცნიერებათა აკად. მოამბე, ტ. XII, 1952, № 3, გვ. 188; Е. И. Крупнов, დასახ. ნაშრ., გვ. 64.

[49] ამიერკავკასიის რკინის საომარი ცულების ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაცია მ. პოვრებოვას ეკუთვნის (М. Н. Погребова, Железные топоры скифского типа в Закавказье, СА, 2, 1969).

[50] რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი..., ტაბ. I, 8, 9.

[51] ს. მაკალათია, დასახ. ნაშრ., გვ. 29, სურ. 10.

[52] Б. В. Техов, Раскопки Тлийского могильника в 1960 г., СА, 1963, № 1, стр. 169, рис. 5.

[53] М. М. Трапш, Труды, 2, стр. 91; таб. XIX, 9, стр. 171.

[54] М. М. Трапш, Труды, 1, стр. 125; таб. V, 26, стр. 153.

ყუაც, რომელიც ბოლოკვეთილია, მომრგვალებული (ტაბ. 10, 1—2). სკვითურ კულტურაში ამ სახეობის სულ ხუთი ცულია ცნობილი[55]. ყველა კომპლექსი საქართველოს სხვადასხვა პუნქტიდან, რომელიც ამ ჯგუფის რკინის ცულებს შეიცავს, ერთ ხანას მიეკუთვნება, სახელდობრ, ძვ. წ. VII ს. დასასრულსა და VI ს.[56] სკვითურ სამყაროში კი ამ ტიპის ცულების გავრცელების ხანაა ძვ. წ. VI ს. შუახანები, ან მისი მეორე ნახევარი[57]. ასე რომ, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ცულები რამდენადმე ადრეული ჩანს. მიღებულია, რომ ეს ჩაქუჩისებურყუიანი საომარი ცულები ამიერკავკასიის ბრინჯაოს შესაბამისი ფორმის ცულების ბაზაზე ყალიბდებოდა[58]. სამეცნიერო ლიტერატურაში დღეისათვის გრძელყუიანი საომარი ცულების წარმოშობის მხარედ კავკასიაა მიჩნეული და ჩაქუჩისებრყუიან საომარ ცულს განიხილავენ, როგორც სკვითური საომარი ცულის ამოსავალ ფორმას[59].

მეორე ტიპის რკინის ცული ერთი ნიმუშის სახითაა წარმოდგენილი და შომდინარეობს სამთავროს სამაროვნის № 196 ორმოსამარხიდან. ის ჩაქუჩისებრყუიანი საომარი ცულების ნაირსახეობას ეკუთვნის: სატარეს მიშართ ამ ცულის ყუაცა და პირიც დაშვებულია, ამდენად ცული მორკალულია. ყუა მრავალგანივკვეთიანია, ვიწრო; ყუის თავს კონუსის ფორმა აქვს. პირი სატარეს ვიწრო მრავალგანივკვეთიანი ყელით უერთდება, ყელიდან კი უცებ ფართოვდება და საკმაოდ განიერ ფრთას ქმნის (ტაბ. 10, 5)[60]. ამგვარი რკინის ცულები სკვითურ ყორღანებშია აღმოჩენილი[61] და მათ ა. მელიუკოვა აერთიანებს სკვითური გრძელყუიანი საომარი ცულების მეორე ტიპში ყველა იმ ნიშნის საფუძველზე, რომელიც საქართველოს ნიმუშისთვისაცაა დამახასიათებელი[62]. ამ უკანასკნელს მ. პოგრებოვა ამიერკავკასიაში გავრცელებული რკინის ცულების II ტიპს მიაკუთვნებს და აღნიშნავს, რომ ანალოგიური ცულები გაცილებით უფრო ხშირად გვხვდება სკვითურ კომპლექსებში[63].

სკვითურ სამყაროში ყველაზე ადრეული ნიმუშები ამ ტიპის ცულებისა ძვ. წ. VI საუკუნისაა[64], სამთავროს სამაროვნის ის ფენა კი, რომელსაც ჩვენ-

---

[55] А. И. Мелюкова, დასახ. ნაშრ., გვ. 66, ტაბ. 21—9, 14, 19, 22.

[56] რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ. წ. XIV—VI სს.), სსმმ, ტ. XXII-B, თბ., 1961, გვ. 372; Б. В. Техов, Раскопки Тлийского могильника в 1960 г. СА, 1969, I, стр. 169; М. М. Трапш, Труды, 2, 1969, стр. 82; М. Н. Погребова, დასახ. ნაშრ., გვ. 183.

[57] В. А. Ильинская, Скифы..., стр. 69—70.

[58] რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების..., გვ. 375; М. Н. Погребова, დასახ. ნაშრ., გვ. 183.

[59] В. А. Іллінська, Скифські сокіри, Археологія, т. XII, 1961, Київ, стр. 49—52; М. Н. Погребова, დასახ. ნაშრ., გვ. 185—186.

[60] რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე..., ტაბ. 1, 10.

[61] В. А. Ильинская, Скифы, გვ. 44; მისივე, Керамика скифских погребений посулья, ВССА, გვ. 179, ტაბ. III, 8; А. И. Мелюкова, დასახ. ნაშრ. გვ. 67, ტაბ. 21—11, 12, 13.

[62] იქვე, გვ. 67.

[63] М. Н. Погребова, დასახ. ნაშრ., გვ. 184. სტატიაში ამ გვერდზე საუბარია სამთავროს სამაროვნის 27-ე სამარხის ცულზე, მაგრამ აღწერის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ ავტორი აქ გულისხმობს 196-ე სამარხის ცულს. აქვე უნდა ითქვას, რომ 196-ე სამარხში სხვა სკვითური იარაღი არაა აღმოჩენილი.

[64] Н. А. Онайко, დასახ. ნაშრ., გვ. 159; В. А. Ильинская, Скифы..., стр. 72; А. И. Мелюкова, დასახ. ნაშრ., გვ. 67; В. Г. Петренко, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

თვის საინტერესო რკინის ცულის შემცველი ორმოსამარხი მიეკუთვნება, ძვ წ. VII ს. მეორე ნახევრითა და VI ს. თარიღდება[65]. ასე რომ, საქართველოში აღმოჩენილი ამ ტიპის ცული სკვითური ადრეული ნიმუშების სინქრონული (შეიძლება რამდენადმე უფრო ადრეულიც) უნდა იყოს.

ცალკე ჯგუფს ქმნიან პირწამახული რკინის ცულები. ასეთი ცულები საქართველოში ორია ნაპოვნი: დვანის №2 სამარხში[66] და ბრილის სამაროვანზე[67]. დვანის ცულის პირი სატარედან ვიწროვდება და წვეტით მთავრდება, აქვს მრგვალი სატარე, ყუა ვიწროყელიანია, კონუსისებრთავიანი (ტაბ. 10,3). რაც შეეხება ბრილის ცულს, მისი პირი ვიწროა, განივკვეთში რომბის ფორმისაა და წვეტით ბოლოვდება, ხოლო ყუა ცულის პირის სახითაა წარმოდგენილი, რომელსაც მორკალული ტანი აქვს; სატარეს მიმართ პირიცა და ყუაც დაშვებულია, სატარე მრგვალია (ტაბ. 10, 6). მიუხედავად ამ ორი ცულის ყუის აშკარა სხვაობისა, მათ ერთ ჯგუფში პირობით ვაერთიანებთ ვიწრო პირის მიხედვით. საბრძოლო იარაღის ეს ფორმა სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგადად „клевец“-ის სახელით არის ცნობილი, ცალკეული დეტალების სხვაობის გათვალისწინების გარეშე. დვანის ცულს სკვითურ კულტურაში ცნობილ პირწამახულ საომარ ცულებს შორის ზუსტი ანალოგია არ მოეპოვება[68]. ბრილის ცული კი ტიპოლოგიურად ძლიერ ახლოა ტამანის ნახევარკუნძულზე ცუკურსკი ლიმანთან გათხრილი ყორღანის საყოველთაოდ ცნობილ ბრინჯაოს ცულთან, რომელიც ე. პრუშევსკაიას მიერ ამავე ყორღანში ნაპოვნი როდოსული ენოხოიას წყალობით ძვ. წ. 600 წლითაა დათარიღებული[69]. ანალოგიური ცულები სკვითური კულტურის ფარგლებს გარეთაცაა ცნობილი და ყველგან ძვ. წ. VI ს. თარიღდება[70]. იგივე ხანა უნდა ვიგულისხმოთ დვანისა და ბრილის პირწამახული ცულების მიმართ.

საომარი ცულების ეს სახეობა საკუთრივ სკვითურ კულტურაში ფართოდ გავრცელებული არ ყოფილა. მ. როსტოვცევი თავის დროზე ცუკურსკი ლიმანის ცულს ხეთური კულტურის სიძველეებს უკავშირებდა[71], მაგრამ დღეისათვის საყოველთაოდ მიღებულია მოსაზრება იარაღის ამ სახეობის ანანინოდან გავრცელების შესახებ[72], და ის მცირერიცხოვანი ნიმუშები, რომლებიც კავკასიაშია ცნობილი, როგორც ჩანს, ანანინოს კულტურის შემქმნელ ტომებთან ურთიერთობის გზით უნდა გავრცელებულიყო ჩრდილოეთ შავი-

---

[65] რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე..., გვ. 125, 132; მისივე, რკინის ათვისების საკითხისათვის..., გვ. 372.

[66] ს. მაკალათია, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

[67] გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, გვ. 167, ტაბ. XLV, 1.

[68] ჩვენთვის ცნობილია ანალოგიური ცული წინაკავკასიის სკვითური ტიპის მასალას შორის: В. Б. Виноградов, დასახ. ნაშრ., გვ. 345, ნახ. 29, 1.

[69] Е. О. Прушевская, Родосская ваза и бронзовые вещи из могилы на Таманском полуострове, ИАК, Вып. 63, 1917.

[70] Е. И. Крупнов, დასახ. ნაშრ., გვ. 205, 209, ტაბ. XXXVI, 1; Г. Т. Ковпаненко, Памятники раннескифского времени Каневщины, ПСА, 1971, გვ. 116, 119, ნახ. 2, 41; J. de Morgan, Mission scientifique au Caucase, t. I. Papis, 1889, გვ. 98, ნახ. 53; რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის..., გვ. 372; М. Н. Погребова, დასახ. ნაშრ., გვ. 183.

[71] М. И. Ростовцев, Скифия и Боспор, стр. 347.

[72] В. А. Іллінська, Скифські сокіри, стр. 52.

ზღვისპირეთში და აქედან, შესაძლებელია, კავკასიაში, ვინაიდან ამ ტიპის საომარი ცულები მდ. კამისპირეთის მოსახლეობის (ანანინოს კულტურის მატარებელი ტომების) ორიგინალურ იარაღადაა მიჩნეული[73].

მაშასადამე, საქართველოში აღმოჩენილი რკინის საომარი ცულების კლასიფიკაციის შედეგად ირკვევა, რომ ცულის ერთი სახეობა, სახელდობრ, ჩაქუჩისებრყუიანი საომარი ცული, არის სკვითური საომარი ცულის ამოსავალი ფორმა. რაც შეეხება სამთავროს № 196 ორმოსამარხის რკინის ცულს, ის სკვითურ კულტურაში უფრო ხშირად გვხვდება. ხოლო ვიწროპირიანი ცულები არც კავკასიისათვის და არც სკვითური სამყაროსათვის არაა ტიპიური. ისინი ანანინოს კულტურის წრეს უკავშირდებიან და უნდა ვიფიქროთ, რომ ანანინოდან ეს ფორმა გავრცელდა სკვითებში, აქედან კი მას კავკასიის მოსახლეობა ეზიარა.

ასეთი დასკვნის შემდეგ იქნებ არც იყოს გამართლებული ამიერკავკასიის ზემოგანხილული ცულების განსაზღვრა, როგორც „სკვითური ტიპის“ ცულებისა. განსაკუთრებით ეს ითქმის ჩაქუჩისებრყუიანი საომარი ცულების შიმართ, რომლებიც საყოველთაოდაა გავრცელებული ძვ. წ. VI საუკუნის საქართველოს ნივთიერ კულტურაში[74].

ი ს რ ი ს პ ი რ ე ბ ი. საქართველოში ხშირია ბრინჯაოსა და რკინის (ზოგჯერ ძვლის) სპეციფიკური ფორმის ისრისპირების აღმოჩენის შემთხვევები, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპასა და ციმბირში კარგად ცნობილ ისრისპირთა მოყვანილობას იმეორებენ და რომელთაც, ჩვეულებრივ, სკვითური კულტურისათვის დამახასიათებელ იარაღად მიიჩნევენ.

საქართველოში მოპოვებული სკვითური ტიპის ისრისპირები კლასიფიცირებულია და დათარიღებული (დაფნისფოთლისებური ორფრთიანი; რომბისებური; სამფრთიანები, მასრაზე დეზით; სამფრთიანები უდეზო; სამწახნაგა მოკლემასრიანი, უდეზო, ორფრთიანი, მასრაზე დეზით), ისინი მთლიანად თავსდება ა. მელიუკოვასეული კლასიფიკაციის პირველ ქრონოლოგიურ ჯგუფში, რომელიც ძვ. წ. VII ს. მეორე ნახევრით (ან VII ს. დასასრულით) და ძვ. წ. VI ს. პირველი ნახევრით განისაზღვრება[75]. ამ ჯგუფისათვის დამახასიათებელი ისრისპირები აღმოჩენილია სამთავროს სამაროვანზე[76], თლის სამარხში[77], ყულანურხვას ნეკროპოლზე[78], დვანში[79], წითელი შუქურას სამარხში[80], ბეშთანეთის ციხის სამაროვანზე[81], განთიადში[82], მელაანში (ტაბ.

---

[73] А. В. З б р у е в а, დასახ. ნაშრ., გვ. 30, 104, ტაბ. XXII.

[74] ამ მოსაზრებით ცულები არა არის დატანილი სკვითური კულტურის ძეგლების საქართველოში გავრცელების რუკაზე. როგორც ირკვევა, პირველი ჯგუფის ცულები ტიპიურია ადგილობრივი კულტურისათვის (რუკაზე კი აღნიშნულია მხოლოდ ადგილობრივისათვის უცხო „სკვითური“ ძეგლები), პირწამახული ცულები კი არც სკვითებისთვისაა დამახასიათებელი; გამონაკლისია სამთავროს № 196-ე სამარხის ცული, მაგრამ ის ჯერჯერობით ერთადერთია საქართველოში და არც სკვითებშია მისი ზუსტი ანალოგია მიკვლეული.

[75] А. И. М е л ю к о в а, დასახ. ნაშრ., გვ. 18—19, ტაბ. V, I.

[76] რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი..., გვ. 127—130, ტაბ. I.

[77] Б. В. Т е х о в, СА, № 3, 1972, ნახ. 2, 269, სამარხი № 129.

[78] М. М. Т р а п ш, Труды, I, გვ. 133, ტაბ. V.

[79] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, დასახ. ნაშრ., ნახ. 9, 10.

[80] М. М. Т р а п ш, Труды. II, стр. 181.

[81] Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, I, Тб., 1941, გვ. 42, ნახ. 43.

[82] გ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, ქვემო ქართლი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბ., 1974, გვ. 93—97, ტაბ. IX.

11)[83]. საქართველოს სხვადასხვა ადგილას ნაპოვნი ეს ისრისპირები ადგილობრივი წარმოებისა არ უნდა იყოს, სხვაა, როცა საქმე ეხება წინა აზიას, სადაც ამ სახის ისრისპირები ფართოდ შემოდის ხმარებაში და არის საბუთი იმისა, რომ ისინი ადგილზე ჩამოისხმებოდა[84].

ცხენის აქაზმულობის ნაწილები: ლაგმები და საყბეურები. საქართველოს სკვითურინვენტარიანი არქეოლოგიური კომპლექსებიდან ჯერჯერობით ორი ბრინჯაოს ლაგამია ცნობილი: ერთი ნაპოვნია ყულანურხვას სამაროვნის № 4 სამარხში[85]. ეს არის ბრინჯაოს ორნაწილიანი ლაგამი, რომელიც უზანგის მოყვანილობის რგოლით ბოლოვდება და აქვს რკინის ორი საყბეური, სამი მარყუჟით (ტაბ. 12, 3, 5). ბრინჯაოს ასეთივე ლაგამია აღმოჩენილი თლის № 68 სამარხში[86], სადაც ლაგამს თან აქვს რქის სამნაჩვრეტიანი ორნამენტირებული საყბეურები (ტაბ. 12, 1, 2, 4). აღნიშნული ლაგმები უზანგის მოყვანილობის რგოლებით დაბოლოებული ბრინჯაოს სხმული ლაგმების იმ სახეს განეკუთვნება, რომლებიც ა. იესენმა ლაგამთა III ტიპის ჯგუფში გააერთიანა. ამ სქხის ლაგმები ფართოდ არის გავრცელებული ჩრდილოეთ კავკასიასა და შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე რაიონებში და განსაკუთრებით დამახასიათებელია კელერმესის კომპლექსთათვის[87], რომელნიც, როგორც ადრე ითქვა, დღეისათვის შედარებით კარგად თარიღდება იმპორტული ნივთების წყალობით არაუგვიანეს ძვ. წ. VI ს. პირველი ნახევრისა.

როგორც ითქვა, თლის ბრინჯაოს ლაგამს თან აქვს რქის სამნაჩვრეტიანი საყბეურები, რომელთა ქვედა ბოლო ჩლიქის სახითაა წარმოდგენილი. საყბეურები ორნამენტირებულია: შიდა მხარეს, ორ სიგრძივ ღარს შორის, განივი ირიბი ჭდეებია დატანილი, ხოლო ნახვრეტების გასწვრივ შესქელებული ადგილები შემკულია სოლარული ნიშნებით — ეს არის ირიბი ჯვრის მოყვანილობის ორნამენტი, რომელსაც ცენტრში რგოლი აქვს შუაში წერტილით (ტაბ. 12, 1—2).

ძვლის საყბეურის ქვედა ბოლოს ცხოველის ჩლიქის სახით წარმოსახვა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის სკვითური კულტურისათვის ჩვეული მოვლენაა[88]. ოთხსხივიანი სოლარული ნიშანიც, როგორც ირკვევა, წმინდა სკვითური ორნამენტია. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის არქაული ხანის სკვითური ყორღანებიდან ცნობილია საკმაოდ მრავალრიცხოვანი სერია ძვლის საყბეურებისა, რომელიც, სხვა სახის ნახატთან ერთად, სოლარული ნიშნებსაც შეიცავს[89].

---

[83] კ. ფიცხელაური, ირი-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა კულტურა, თბ., 1965, გვ. 106.

[84] Б. Б. Пиотровский, Ванское царство, М., 1959, стр. 248.

[85] М. М. Трапш, Труды, I.

[86] Б. В. Техов, Скифские элементы в материальной культуре Юго-Осетии, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 45.

[87] А. А. Иессен, К вопросу о памятниках VIII—VII вв. до н. э. на Юго-Европейской части СССР (Новочеркасский клад), СА, XVIII, 1953, გვ. 52, ნახ. 2; გვ. 101; В. А. Ильинская, Скифы..., стр. 105—106; М. И. Вязьмитина, Ранние памятники скифского звериного стиля, СА, 2, 1963, გვ. 159, ნახ. 1.

[88] В. А. Ильинская, დასახ. ნაშრ., გვ. 107, ტაბ. XX, XIII—XIV.

[89] М. И. Вязьмитина, დასახ. ნაშრ., გვ. 166, ნახ. 7; В. А. Ильинская, დასახ. ნაშრ., გვ. 45, ნახ. 23, 3.

სკვითურ სამყაროში უზანგის მოყვანილობის რგოლებიანი ბრინჯაოს ლაგმისა და არქაული სკვითური ხელოვნებისათვის სპეციფიკური ორნამენტით შემკული ძვლის საყბეურების (ისევე როგორც რკინის საშმარყუჟიანი საყბეურების) თანაარსებობის ხანაა ძვ. წ. VII ს. დასასრული და VI ს. პირველი ნახევარი, შემდეგში სკვითურ კულტურაში ეს მოვლენა აღარ შეინიშნება[90]. ასე რომ ამავე ხანებით უნდა განისაზღვროს ყულანურხვასა და თლის სამარხების შესაბამისი ნიმუშები.

საქართველოს არქეოლოგიურ კომპლექსებში ბრინჯაოს ლაგმები სწორედ შავიზღვისპირეთის მხარეში მოსახლე სკვითებთან კონტაქტების შედეგად უნდა იყოს მოხვედრილი: მათ თან აქვს საყბეურები, რომელთაგან ერთი წყვილი შესაბამისი ფორმის ლაგამთან შეთავსებით მხოლოდ საკუთრივ სკვითური კულტურის წრიდან არის ცნობილი, ხოლო მეორე არქაული სკვითური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ორნამენტითაა შემკული.

ძვლის საყბეურის ნაწილები აღმოჩენილია სამთავროს სამაროვნის № 106 ორმოსამარხშიც (ტაბ. 12, 6, 7). ეს ნივთები რ. აბრამიშვილმა განსაზღვრა, როგორც ფრაგმენტები საყბეურისა, რომლის ერთი მხარე ცხენის ჩლიქით ბოლოვდება, ხოლო მეორე გრიფონის თავის გამოსახულებას წარმოადგენს და ანალოგიურ მასალასთან შედარების საფუძველზე ისინი ძვ. წ. VI ს. ფარგლებში მოაქცია[91].

ცხოველის ჩლიქის სკულპტურული გამოსახულებით დაბოლოებული საყბეურების ღერო გეომეტრიული ორნამენტით არის შემკული: ნახატი შედგება ამონაჭერი სამკუთხედებისაგან, რომლებიც ფუძითაა ერთმანეთისაკენ მიმართული და დიაგონალებითაა გაყოფილი (ტაბ. 12, 7). ორი კონცენტრული წრით შედგენილი დეკორი, რომელსაც შუაში წერტილი აქვს, დატანილია ძვლის საყბეურის მეორე ნატეხზე (ტაბ. 12, 6).

საყბეურის ორნამენტით შემკობა და მათი ზოომორფული გაფორმება წმინდა სკვითური მოვლენაა, რომელიც გარკვეული პერიოდისათვის, სახელდობრ, ძვ. წ. VII ს. დასასრულისა და ძვ. წ. VI ს. პირველი ნახევრისთვისაა დამახასიათებელი. სამთავროს საყბეურებს უშუალო ანალოგიები ეძებნება ადრეარქაულ სკვითურ ხელოვნებაში[92], ასე რომ ეს საყბეურები, მათზე მოთავსებული სკულპტურული გამოსახულებებითა და ჭრილი სახეებით, არქაული ხანის სკვითური კულტურისათვის ტიპიურ ნაწარმოებებად გვევლინებიან.

სამთავროს ამავე № 106 ორმოსამარხში აღმოჩენილია ძვლის პატარა ნივთები, რომელთაც ცილინდრული ტანი და მომრგვალებული თავი აქვთ[93]. შესაძლებელია, რომ ისინი აღვირის მოსართავი საგნები იყოს. მსგავს ძვლის ნივთებს „ლურსმნების“ სახელით იხსენიებენ და ისინი ნაპოვნია ადრესკვითურ ყორღანებში, რომლებიც ძვ. წ. VII ს. დასასრულითა და VI ს. პირველი ნახევრით თარიღდება[94].

ცხოველსახოვანი სტილის ხელოვნების ნიმუ-

---

[90] В. А. Ильинская, დასახ. ნაშრ., გვ. 104—108.

[91] რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი..., გვ. 131, ტაბ. I, 4', 42.

[92] М. И. Вязьмитина, დასახ. ნაშრ., გვ. 160—166, ნახ. 1, 2, 4, 5, 7.

[93] რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი..., ტაბ. I, 43.

[94] В. А. Ильинская, Относительная хронология раннескифских курганов бассейна р. Тясмин, СА, № 3, 1973, стр. 10, 15. ნახ. 5, 6.

შ ე ნ ი ბ ა. საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში სკვითური ცხოველსახოვანი სტილით შესრულებული გამოსახულებები გვხვდება შეიარაღებასა და ცხენის აკაზმულობასთან დაკავშირებულ ნივთებზე. ამ უკანასკნელზე ზემოთ იყო საუბარი. ამჯერად ჩვენს განკარგულებაშია ოთხი ნახევაროვალის მოყვანილობის ბუნიკი, რომელიც ცხოველის მორკალული ფიგურით არის შემკული (ტაბ. 13, 1, 3—5). სამი ამ ბუნიკთაგანი თლის სამაროვანზეა აღმოჩენილი (№ 258 და № 216 სამარხების ბუნიკები ძვლისაა, ხოლო № 164 სამარხისა — ბრინჯაოსი)[95]. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია კიდევ ერთი ბრინჯაოს ბუნიკი, რომელსაც ბ. კუფტინი დ. როკას სამაროვნიდან მომდინარედ მიიჩნევს[96]. ყველა ბუნიკი ქარქაშის (სატევრის ან დანის) კუთვნილი იქნებოდა.

ყურადღებას იპყრობს ამ ბუნიკებზე მოთავსებული გამოსახულებანი — ცხოველის მოხრილი, ან როგორც ამ პოზას განმარტავენ საგანგებო სამეცნიერო ლიტერატურაში, „კატისებური მტაცებლის მორკალული ფიგურა".

თლისა და როკას ბუნიკებზე კატისებური მტაცებლის (ავაზის) ფიგურა ამოზნექილი რელიეფით არის შესრულებული. გამოსახულებანი ძლიერ გვაწან ერთმანეთს, უმნიშვნელო განსხვავებაა ზოგიერთი დეტალის გადმოცემაში. ცხოველები წარმოდგენილია მოხრილ პოზაში, ისინი თითქოს ზურგზე წვანან მოკეცილები ისე, რომ კუდი თავთან მოდის. გამოსახულია ცხოველის თავი, ფეხები და კუდი. თავის სტილიზაცია ერთნაირი აქვთ: ყური გულისებრი მოყვანილობისაა, თვალი გადმოცემულია წრით.

ადრე ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა ამ ბუნიკების ფორმისა და მათი გამოსახულებების ხასიათის შესწავლის საფუძველზე გამოგვეთქვა მოსაზრებანი სკვითური ცხოველსახოვანი სტილის ხელოვნების ნიმუშების საქართველოს ნივთიერ კულტურაში გავრცელების შესახებ[97]. გაირკვა, რომ ქარქაშის ბუნიკის ის ფორმა, რომელიც საქართველოშია ნაპოვნი, საყოველთაოდ მიღებული მოსაზრების თანახმად სკვითებში ირანული აღმოსავლეთიდან ვრცელდება ძელაკისებურტარისთავიან და პეპლისებურვადიან აკინაკებთან ერთად. ასევე აღმოსავლურია ბუნიკის მოხრილი ცხოველით შემკობის პრინციპიც. რაც შეეხება თვით გამოსახულებებს, ისინი შესრულებულია სპეციფიკური სკვითური მხატვრული სტილით, რომლის თავისებურებანი ჯერ კიდევ წინააზიურ სკვითურ გარემოში ყალიბდება ძველაღმოსავლური მემკვიდრეობის საფუძველზე სკვითებსა და წინა აზიის მოსახლეობას შორის არსებული მუდმივი კონტაქტების ხანაში, ე. ი. ძვ. წ. VII ს. საქართველოს არქეოლოგიური კომპლექსებიდან მომდინარე ბუნიკები კი ფორმისა და გამოსახულებების მიხედვით ძვ. წ. VII ს. დასასრულითა და VI ს. თარიღდება. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ვივარაუდეთ, რომ სკვითური სტილით გააზრებული სახე ავაზის მორკალული ფიგურისა საქართველოს ნივთიერ კულტურაში წინა აზიიდან ვრცელდება.

სრულიად უნიკალური თლის № 246 სამარხში აღმოჩენილი ძვლის ბუნიკი, რომელიც სკვითურ ცხოველსახოვანი სტილის ხელოვნებაში კარგად

---

[95] Б. В. Техов, О некоторых предметах скифского «звериного» стиля, Тезисы докл. III Всесоюзн. научной конф. по вопр. скифо-сарматской археологии, М., 1972, стр. 39-40.

[96] Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года..., стр. 25.

[97] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 78, № 1, 1975, გვ. 225—227.

ცნობილი მტაცებელი ფრინველის სკულპტურულ გამოსახულებას წარმოადგენს (ტაბ. 13,2). მას არწივიც შეიძლება ვუწოდოთ და გრიფონიც, ვინაიდან არა აქვს ამკარა ნიშნები კონკრეტული სახისა: წარმოდგენილია ზოგადად მტაცებელი ფრინველი, რომელსაც აქვს მძლავრი მორკალული ნისკარტი და დიდი მრგვალი თვალი. ნისკარტი ისეა მოკაუჭებული, რომ მრგვალ ნახვრეტს ჰქმნის, რომელსაც კონცენტრული წრეხაზი შემოუყვება; ასეთივე ღარი დაუყვება ნისკარტს. თვალი ორი კონცენტრული წრით არის შედგენილი, ხოლო მისი ბუდე შწვანე ფერის პასტითაა ინკრუსტირებული. თვალი ფრინველის თავის საერთო კონტურიდან წამოშვერილია და ამდენად ბუნიკს, რომელიც გამოსახულების ფორმას თანხვდება, „სამყურას“ მოყვანილობა აქვს. რომლის შუა ნაწილს მომრგვალებული თვალი წარმოადგენს.

მტაცებელი ფრინველი ძალიან ხშირად გვხვდება სკვითური ცხოველსახოვანი სტილის ხელოვნების ძეგლებზე, მაგრამ ბუნიკის გრიფონის ან არწივის თავის გამოსახულებად გააზრების შემთხვევა ჩვენთვის არ არის ცნობილი[98].

ასე რომ, უშუალო ანალოგია თლის № 246 სამარხის ბუნიკს არ ეძებნება. ფრინველის თავის ანალოგიური გამოსახულებები გვხვდება სკვითურ სამყაროში გავრცელებულ სხვადასხვა ფორმის ნივთებზე: საყბეურებზე, ძვლის ფირფიტებზე[99], ძვლის სათასმე ბალთებზე[100], განსაკუთრებული მსგავსებაა თლის გამოსახულებასა და ზივიეს განძის ვერცხლის ლანგრის[101] მტაცებელი ფრინველის თავებს შორის; ასეთივე გამოსახულებებია წარმოდგენილი ზივიეს ოქროს ლენტებზეც[102], სადაც ფრინველის მრგვალი თვალები ფირუზისფერი მინანქრითაა ინკრუსტირებული და ამ ნიშნით კიდევ მეტად უახლოვდება მათ თლის ბუნიკის გამოსახულება.

სკვითური ყორღანები, რომლებშიც თლის ფრინველის თავის ანალოგიური გამოსახულებებით შემკობილი სხვადასხვა ნივთებია აღმოჩენილი, ძვ. წ. VII ს. დასასრულითა და ძვ. წ. VI ს. დასაწყისი ხანებით თარიღდება[103]. რაც შეეხება ზივიეს განძს, ის სხვადასხვა დროისა და სტილის ნივთების შემცველ სამარხად არის აღიარებული, რომელსაც სხვადასხვა მკვლევარი განსხვავებული დროით ათარიღებს: მკვლევარნი, რომელთაც მიაჩნიათ, რომ განძის ნივთებში მნიშვნელოვნად იგრძნობა მესოპოტამიური ტრადიციები, ასურული და ფინიკიური ელემენტები, მას ძვ. წ. IX—XIII სს. ათარიღე-

---

[98] უნდა ითქვას, რომ ჩრდილო კავკასიაში გვხვდება სატევრის ქარქაშის ბრინჯაოს ბუნიკები, რომელთაც მტაცებელი ფრინველის თავის ძლიერ სტილიზებულ გამოსახულებად მიიჩნევენ. ამ ბუნიკებს აქვთ სპირალურად დახვეული ბოლო და მრგვალი კოპი, რომლებსაც პ. უვაროვა აღიქვამდა, როგორც ფანტასტიკური ფრინველის ნისკარტსა და თვალს (MAK, 8, გვ. 275—276, ტაბ. XV, 4,5). ამგვარი ბუნიკი აღმოჩენილია დვანის სამაროვანზეც, № 4 სამარხში. ვინაიდან ბუნიკის ეს სახე სკვითური კულტურისათვის არ არის ტიპიური, მას არ განვიხილავთ სკვითური ხელოვნების ნიმუშებთან ერთად.

[99] М. И. Вязьмитина, დასახ. ნაშრ., გვ. 162, ნახ. 5, გვ. 161, ნახ. 3.

[100] А. А. Иессен, Некоторые памятники..., გვ. 115, ნახ. 3.

[101] R. Ghirshman, Perse..., Proto-iraniens. Mèdes. Achéménides, Paris, 1963, p. 109, fig. 142.

[102] R. Ghirshman, Perse..., გვ. 112, ნახ. 147. რ. გირშმანი ამ გამოსახულებებს „მოკაუჭებულნისკარტიან თავებს“ უწოდებს.

[103] Б. Б. Пиотровский, Ванское царство, стр. 240; М. И. Вязьмитина, დასახ. ნაშრ., გვ. 159.

ბენ[104]. სხვებს, რომლებიც მომხრენი არიან ჩათვალონ, რომ წამყვანი ელემენტი ამ ნივთებში სკვითურია, თარიღი გადმოაქვთ ძვ. წ. VI ს. დასაწყისზე[105]. სპილენძის აბაზანის ფრაგმენტების მიხედვით, რომელშიც განძი იყო დაფლული, განძის დამარხვის თარიღად ძვ. წ. 600 წელია ნავარაუდევი[106]. ასე რომ, თლის № 246 სამარხის ბუნიკის თარიღიც ძვ. წ. VII ს. დამლევითა და VI ს. დასაწყისი ხანით უნდა განისაზღვროს.

სკვითური სტილით შესრულებული მტაცებელი ფრინველის სახე, განსხვავებით იმ ორიენტალიზებული გრიფონების გამოსახულებებისაგან, რომლებიც წინააზიური წარმომავლობის ნივთებზეა ხოლმე წარმოდგენილი, სკვითურ კულტურაში მკვლევართა ერთი ნაწილის მიერ თვითმყოფად მოვლენადაა მიჩნეული[107]. საწინააღმდეგო მოსაზრების თანახმად კი, გრიფონის სახე არქაულ სკვითურ ხელოვნებაში წინა აზიის ძველი ხელოვნების გავლენით ჩნდება[108]. ბ. პიოტროვსკის აზრით, ასურეთსა და ურარტუში ის ყველაზე გავრცელებული მითიური და მხატვრული სახე იყო და აქედან ამიერკავკასიის მეშვეობით გავრცელდა სკვითებში[109].

თლის ბუნიკი, წარმოდგენილი მტაცებელი ფრინველის თავის სახით, არქაული სკვითური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი სტილითაა შესრულებული. ამავე დროს, ხელოვნების ეს ნაწარმოები სკვითური სამყაროდან ცნობილ ძეგლთაგან მაღალმხატვრული ღირსებით გამოირჩევა და სტილისტურად მეტ მსგავსებას ავლენს ზივიეს განძის ნივთებზე მოთავსებულ ანალოგიურ გამოსახულებებთან. ვფიქრობთ, რომ ამ ბუნიკის შესახებაც იგივე შეიძლება ითქვას, რაც ავაზის მორკალული ფიგურით შემკული ბუნიკების შესახებ; საქართველოს მატერიალურ კულტურაში ის სამხრეთიდან უფრო ჩანს გავრცელებული, წინა აზიაში ჩამოყალიბებული სკვითური კულტურის წრიდან, ვიდრე ჩრდილოეთ შავიზღვისპირა სკვითური სამყაროდან[110].

საქართველოში აღმოჩენილ სკვითური ცხოველსახოვანი სტილით შესრულებულ ნივთებს, როგორც სკვითური ხელოვნების უადრეს და ტიპიურ ნაწარმოებებს, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებათ ადრესკვითური მხატვრული სტილის წარმომავლობის გარკვევის თვალსაზრისით.

---

[104] R. D. Barnett, The Treasure of Ziwiye, Iraq, XVIII, p. 2, 1956, p. 111.

[105] Б. Б. Пиотровский, დასახ. ნაშრ., გვ. 255.

[106] R. D. Barnett, დასახ. ნაშრ., გვ. 114.

[107] М. Н. Погребова, Грифон в искусстве Северного Причерноморья в эпоху архаики, КСИИМК, 22, 1948, стр. 67; В. А. Ильинская, Некоторые мотивы..., стр. 106.

[108] М. И. Артамонов, Происхождение скифского искусства, СА, № 4, 1968, стр. 40.

[109] Б. Б. Пиотровский, Ванское царство, стр. 242.

[110] საინტერესოა აღინიშნოს, რომ თლის ბუნიკი ეკუთვნის სატევარს, რომელიც სკვითური კულტურისათვის არ არის დამახასიათებელი. ასევე არ არის ცნობილი სკვითებში, როგორც ითქვა, არწივის სახით გაფორმებული ბუნიკი. თლის ბუნიკის ფორმას ანალოგია ირანულ სამყაროში ეძებნება: დარიოსის საგანძურის რელიეფზე გამოსახულია აკინაკი, რომლის ჭარჭაშის ბუნიკზე, მართალია, მოხრილი ცხოველია წარმოდგენილი, მაგრამ მას ისეთივე „სამყურას“ მოყვანილობა აქვს, როგორც თლის ბუნიკს, ხოლო ხაზოვანი ორნამენტი, რომელიც კონცენტრული ღარებითაა შედგენილი, ერთგვარად თლის ბუნიკის ფრინველის ნისკარტს მოგვაგონებს (E. Porada, The Art of Ancient Iran, London, New—Iork, 1965, p. 140, fig. 76).

მ. არტამონოვის აზრით, სკვითური მხატვრული სტილის უძველესი ნაწარმოებები ჩნდება ჩრდილო-დასავლეთ ირანში, ზივიეს განძის ნივთებს შორის, რომელიც მკვლევარს ძვ წ. VII ს. დასასრულის სამეფო სამარხის ინვენტარად მიაჩნია[111]. მაგრამ თარიღი არ არის ერთადერთი განმსაზღვრელი. საქმე ისაა, რომ ზივიეს განძის ნივთებზე სკვითური სტილიზაციისათვის დამახასიათებელი ნიშნები წარმოდგენილია ძველაღმოსავლური ხელოვნების ნიშნებთან ერთად. სკვითური ხელოვნების უადრესი ძეგლები აღმოსავლურ ხელოვნებაზეა დამოკიდებული. წინა აზიაშიც და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთშიც ადრესკვითური ხელოვნება შეთავსებულია წინააზიური წარმოშობის სახეებთან და ფორმებთან, რომელთაც ამ ხელოვნებაში გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ[112]. სკვითური ხელოვნების თანამედროვე მკვლევარს პ. ამანდრის ასევე მიაჩნია, რომ ძვ. წ. VII ს. მეორე ნახევრისა და VI ს. პირველ ნახევრის სამხრეთ რუსეთის ხელოვნება — ერთადერთი, რომელსაც აქვს უფლება სკვითურად იწოდოს — განვითარების ორიენტალიზებულ სტადიაში იმყოფება[113].

საქართველოში აღმოჩენილი სკვითური ცხოველსახოვანი სტილის ხელოვნების ნიმუშების მიხედვით თეორია სკვითური ხელოვნების ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში მახლობელი აღმოსავლეთიდან გავრცელების შესახებ კიდევ ერთ დამატებით საბუთს იძენს.

ასეთია საქართველოში მოპოვებული სკვითური ტიპის მასალა, რომლის ტიპოლოგიური დაჯგუფებისა და მხატვრულ-სტილისტური ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ მასში გაირჩევა, ერთი მხრივ:

ა. სკვითურად აღიარებული ნივთების ის ტიპები, რომლებიც შავიზღვისპირეთის სკვითურ სამყაროში ირანული აღმოსავლეთიდან ვრცელდება (აკინაკები, ქარქაშის ბუნიკები);

ბ. მხატვრული ნივთები, რომლებიც სტილიზაციის წინააზიურ სკვითურ გარემოში ჩასახულ ელემენტებს შეიცავს (ავაზისა და მტაცებელი ფრინველის სახით შემკული ბუნიკები);

ხოლო, მეორე მხრივ:

ა. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის არქაული ხანის სკვითური კულტურისათვის დამახასიათებელი მასალა (ბრინჯაოს ლაგმები და ძვლის ორნამენტირებული საყბეურები);

ბ. საკუთრივ სკვითური კულტურისათვის ნაკლებტიპიური, მაგრამ სკვითებისათვის ცნობილი და მათთან ურთიერთობის შედეგად მოხვედრილი ელემენტები (ანანინოს კულტურაში გავრცელებული პირწამახული ცულები).

ეს მასალა საქართველოში ძვ. წ. VII ს. დასასრულიდან ვრცელდება, ე. წ. „სკვითური კულტურის“ ჩამოყალიბების თანადროულად.

ახლა ჩვენს წინაშე დგება საკითხი, როგორ და რა პირობებში მოხდა სკვითური ტიპის ნივთების გავრცელება საქართველოს მატერიალურ კულტურაში. ამ საკითხზე სპეციალისტები სხვადასხვა აზრისანი არიან: საქარ-

---

[111] М. И. Артамонов, Скифо-сибирское искусство звериного стилья, ПСА, стр. 26.

[112] М. И. Артамонов, დასახ. ნაშრ., გვ. 26—28.

[113] P. Amandry, L'art scythe archaïque, Sonderdruck aus Archäologischer Anzeiger, Heft 4, 1965, p. 913—914.

თველოში სკვითური ნივთების აღმოჩენებს, ჩვეულებრივ, ან სკვითებს წინა აზიაში ლაშქრობას უკავშირებენ[114], ან იმ კავშირით ხსნიან, რომელიც არსებობდა ადრესკვითურ სამყაროსა და ამიერკავკასიას შორის[115]; არის კიდევ ერთი მოსაზრება, რომლის თანახმად სკვითური ძეგლების დასავლეთ ამიერკავკასიაში გავრცელება ამ ტერიტორიაზე სკვითური ტომების მყარად დამკვიდრებით არის ახსნილი[116].

საქართველოს არქეოლოგიურ კომპლექსებში წარმოდგენილი სკვითური ტიპის ნივთების შესწავლას რამდენადმე განსხვავებულ დასკვნებამდე მივყავართ.

საქართველოს ნივთიერ კულტურაში სკვითური ელემენტების გავრცელება ვერ აიხსნება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან დაძრული სკვითური ტომების წინა აზიაში ლაშქრობით, რომელიც, ძველაღმოსავლური წყაროების მიხედვით, ძვ. წ. VII ს. პირველ ნახევარში ივარაუდება, ვინაიდან, ჯერ ერთი, სკვითური მასალა საქართველოდან ძვ. წ. VII ს. დასასრულზე ადრეული ხანით არ თარიღდება და, მეორეც, როგორც ცნობილია, წინა აზიაში შეჭრილი ტომები „წინარესკვითური“ არქეოლოგიური კულტურის მფლობელები იყვნენ[117].

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ საქართველოში მოპოვებულ სკვითური ტიპის მასალაში ჰარბობს წინააზიური წარმომავლობის ნივთები და მხატვრული სახეები. წინა აზიიდან გავრცელებული ეს ფორმები და მოტივები სკვითურ სამყაროში სწრაფად ტრანსფორმირდება და მომდევნო ხანებში ფართოდ ვრცელდება, საქართველოში კი „თავდაპირველი“ ფორმებია მხოლოდ წარმოდგენილი და მათი არსებობის ხანა მოიცავს დროის გარკვეულ მონაკვეთს, სახელდობრ, ძვ. წ. VII ს. დასასრულსა და VI ს. ამდენად, საფიქრებელია, რომ მათი ამიერკავკასიაში გავრცელება ხანმოკლე, უფრო სწორად, ეპიზოდური ისტორიული პროცესის შედეგი უნდა იყოს.

აქ საინტერესო იქნება შევეხოთ სკვითების წინა აზიაში ყოფნის საკითხს. ასურული და ძველბერძნული წყაროების შესწავლის საფუძველზე დადგენილია, რომ ძვ. წ. VII ს. 70-იან წლებში წინა აზიაში შეჭრილმა სკვითებმა იქ თითქმის ერთი საუკუნე დაჰყვეს და აქტიურად მონაწილეობდნენ აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში. გამოთქმულია მოსაზრება, რომ წინა აზიაში თითქმის საუკუნიანი ყოფნისა და პოლიტიკური მარცხის შემდეგ, მიდიის მეფის, კიაქსარის მმართველობის დროს, დაახლოებით ძვ. წ. VII—VI სს. მიჯნაზე სკვითური ტომები გაემართნენ კავკასიის გავლით ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, სადაც მოიტანეს ე. წ. „სკვითური“ კულტურა[118].

ვფიქრობთ, რომ ზემოაღნიშნული ფაქტი საქართველოს ნივთიერ კულტურაში წინააზიური წარმომავლობის სკვითური ნივთების გავრცელებისა შეიძლება ამ მოვლენას დაუკავშირდეს.

---

[114] Е. И. Крупнов, О походах скифов через Кавказ. ВССА, стр. 186—194.

[115] Б. Б. Пиотровский, დასახ. ნაშრ., გვ. 245—256.

[116] М. Н. Погребова, Железные топоры..., стр. 186.

[117] И. М. Дьяконов, История Мидии, М-Л., 1956, стр. 244; თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 171.

[118] И. М. Дьяконов, დასახ. ნაშრ., გვ. 291; М. И. Артамонов, Скифское царство, СА, № 3, 1972, стр. 56—51.

უკანასკნელ ხანებში გამოითქვა მოსაზრება, თითქოს სკვითური ტომების სამხრეთიდან მოძრაობის ამბავი ასახულია ძველ ქართულ საისტორიო წყაროში[119]. ბევრჯერ აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში და საყოველთაოდაა დღეისათვის მიღებული, რომ ლეონტი მროველის თხზულებაში აღწერილი „გამოსლვა ხაზართა“ სკვითების ლაშქრობის ამსახველია და „ხაზართა“ სახელში იგულისხმებიან ჩრდილოეთის მომთაბარენი — სკვითები. მაგრამ არასოდეს მიუქცევიათ ყურადღება იმისათვის, რომ „მეფეთა ცხოვრებაში“ მოთხრობილია სკვითების მიდიიდან გამოძევებისა და ქართლში მოსვლის შესახებ კიაქსარის მმართველობის ხანაში: „ხოლო მასვე ჟამსა მოვიდეს თურქნი, ოტებულნი მისვე ქაიხოსროსაგან. გამოვლეს ზღუა გურგანისი აღმოყვეს მტკუარსა და მოვიდეს მცხეთას სახლი ოცდა რვა“[120] .თუ მისაღებია ვ. კოვალევსკაიას მოსაზრება ქაიხოსროს კიაქსართან გაიგივებისა[121], ხოლო თურქთა-სკვითებად მიჩნევის შესახებ, მაშინ ხელთ გვექნება ერთადერთი და ნათელი მითითება სკვითური ტომების წინააზიიდან საქართველოში მოსვლაზე. არქეოლოგიური მასალაც მოწმობს, რომ სამხრეთიდან მოდის წინააზიური ნაკადი სკვითური კულტურისა, რომელსაც ეპიზოდური ხასიათი აქვს, ასე რომ ვარაუდი სკვითების წინა აზიიდან ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში გამგზავრების შესახებ ახალ ნივთიერ და წერილობით საბუთს იძენს[122].

როგორც ჩანს, ჩრდილოეთისაკენ მსვლელობისას წინა აზიიდან მომავალმა სკვითურმა ტომებმა დასავლეთ ამიერკავკასიაში განავრცეს წინააზიური ფორმები და სიუჟეტები; ამავე დროს, როგორც მ. პოგრებოვა აღნიშნავს, დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე აითვისეს მათ ჩაქუჩისებრყუიანი საომარი ცულის ფორმა[123], რომელიც შემდეგ სკვითურ ყორღანებშიც გვხვდება. ის გარემოება, რომ საქართველოს ნივთიერ კულტურაში არ ჩანს შეჯახებების კვალი სკვითებსა და ადგილობრივ მკვიდრთ შორის[124], იმაზე მეტყველებს, რომ ამათ შორის მშვიდობიანი ურთიერთობა იყო. კიდევ მეტი,

---

[119] В. Б. Ковалевская, Скифы, Мидия, Иран во взаимоотношениях с Закавказьем по данным Леонти Мровели, მეცნ. აკად. „მაცნე“, № 3, 1975, გვ. 68—69.

[120] ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 15.

[121] В. Б. Ковалевская, დასახ. ნაშრომი, გვ. 68; „ქაიხოსრო“ მ. ანდრონიკაშვილის გამოკვლევით, ქაი (სეფეწული)+ხოსრო (სახელოვანი) ნიშნავს; „ხოსრო“ ავრეთვე დადასტურებულია „ქასრე“-ს ფორმითაც. ასე რომ, „ქაი-ქასრეს“ გაიგივება კიაქსართან სავსებით დასაშვებია (მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966, გვ. 505—506, 517).

[122] არ შეიძლება არ გავიხსენოთ ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისი (დაფუძნებული ამიერკავკასიის ტოპონიმიკის ანალიზზე) სკვითური ტომების სამხრეთიდან მოსვლის შესახებ, რომლის თაობაზეც კ. სმირნოვი შენიშნავდა, რომ სკვითურ-სარმატული ტომების მოძრაობა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ არქეოლოგიური მონაცემებით არ დადასტურდება (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, I, თბ., 1950, გვ. 248, 251; К. Ф. Смирнов, Савроматы, М., 1964, стр. 15).

[123] М. Н. Погребова, დასახ. ნაშრ., გვ. 186.

[124] გამონაკლისია მელაანის სამლოცველო და ნამოსახლარი „მოჭრილი გორა“, რომლებიც, კ. ფიცხელაურის აზრით, სკვითური ისრებით შეიარაღებულმა მეომრებმა გაანადგურეს (კ. ფიცხელაური, დასახ. ნაშრ., გვ. 106). ეს ისრისპირები შეიძლება მიდიელთა კუთვნილი იყოს, რადგან მათი შეიარაღება ძლიერ გავდა სკვითურს და ბევრი „სკვითური ტიპის“ ისრისპირია დღეისათვის მოპოვებული იმ ადგილებიდან, სადაც ბრძოლები მიდიელთა მონაწილეობით წარმოებდა (М. И. Дьяконов, История Мидии, стр. 254).

გ. მელიქიშვილის გამოკვლევის თანახმად, ამიერკავკასიის ხალხები ძვ. წ. VI ს. დასაწყისში ამხობენ ურარტუს ძალაუფლებას სამხრეთ ამიერკავკასიაში მყოფ სკვითურ-კიმერიულ ტომებთან კავშირში, რომლებიც ამ ხანად ამიერკავკასიის ტომთა მსხვილი გაერთიანების, სასპერების გავლენის ქვეშ იმყოფებიან[125]. თუ გავიზიარებთ ლეონტი მროველის თხზულებაში მოხსენიებულ „თურქთა“ სკვითურ ტომებთან გაიგივების ვერსიას, უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული წყაროს მიხედვითაც სამხრეთიდან მოსული სკვითები საქართველოს მოსახლეობის მოკავშირენი არიან: მოსულმა თურქებმა მცხეთის მამასახლისს „ალუთქუეს შეწევნა სპარსთა ზედა. ხოლო მამასახლისმან მცხეთელმან აუწყა ყოველთა ქართველთა. ინებეს დამეგობრება მათ თურქთა, რამეთუ აქუნდა შიში სპარსთა, და შემწეობისათჳს დაიმეგობრნეს თურქნი იგი გამოსხმულნი, და განიყვანეს ყოველთა ქალაქთა შინა“[126].

არ უნდა დაგვაფიქროს იმან, რომ წინააზიურ ფორმებთან ერთად საქართველოს არქეოლოგიურ კომპლექსებში წმინდა სკვითური ნივთები (ლაგმები და ორნამენტირებული საყბეურები) და სკვითებთან ურთიერთობის შედეგად მოხვედრილი სხვა კულტურის ელემენტები (ანანინოს კულტურაში გავრცელებული პირწამახული ცულები) გვხვდება. ი. დიაკონოვი შენიშნავს, რომ წინააზიური სკვითური კულტურა მრავალი ნიშნით უახლოვდება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის სკვითურ კულტურას და ვარაუდობს, რომ ეს საერთო ნიშნები შეიძლება წინააზიურ გარემოში შეიქმნა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში მოხვდა ამ ორ სკვითურ სამყაროს შორის უწყვეტი კავშირის წყალობით[127]. ვფიქრობთ, რომ საქართველოს არქეოლოგიური მასალა მხარს უჭერს ამ ვარაუდს. მაშინ უფრო ნათელი ხდება, რატომ ჩნდება საქართველოს ნივთიერ კულტურაში როგორც წმინდა სკვითური, ისე წინააზიური გავლენით ჩამოყალიბებული, მაგრამ სკვითური კულტურისათვის დამახასიათებელი ელემენტები. უნდა ვიფიქროთ, რომ ამიერკავკასიაში ერთმანეთს ხვდება ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მომავალი ნაკადები. მაშასადამე, სკვითური ძეგლების საქართველოში გავრცელების ყველა შემთხვევა არ შეიძლება ერთი კონკრეტული მოვლენის ანარეკლად მივიჩნიოთ და ურთიერთობათა მრავალსახეობა უნდა ვივარაუდოთ.

საქართველოს სკვითურინვენტარიანი არქეოლოგიური კომპლექსების ხასიათი არ გვაძლევს უფლებას გავიაზროთ მ. პოგრებოვას მოსაზრება მთელი ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე სკვითური ტომების მყარად დაბინადრების შესახებ. მისი აზრით, ისინი ძვ. წ. VI ს. დამკვიდრდნენ დასავლეთ ამიერკავკასიაში წინა აზიიდან გამოძევების შემდეგ და ძვ. წ. IV—III საუკუნეებისათვის უკვე გაითქვიფენ ადგილობრივ მოსახლეობაში, მაგრამ ისე, რომ შემოინახეს საკუთარი ტომობრივი სახელი. ამითაა ახსნილი ის გარემოება, რომ ძვ. წ. IV—III სს. მხატვრულ ნივთებზე სკვითები გამოსახულია ცულებით, რომელთა მსგავსი რკინის იარაღი აღმოჩენილია სოხუმის მთაზე[128].

საქართველოს სკვითური ტიპის მასალის ადგილობრივ კულტურასთან მი-

---

[125] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, стр. 233.

[126] ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, გვ. 15.

[127] М. И. Дьяконов, История Мидии, стр. 253.

[128] М. Н. Погребова, დასახ. ნაშრ., გვ. 186.

მართებაში შესწავლა არ იძლევა საშუალებას საქართველოს სკვითურინვენტარიანი კომპლექსები სკვითების კუთვნილად მივიჩნიოთ. იშვიათი გამონაკლისის გარდა[129], ჩვენს განკარგულებაშია უპირატესად ადგილობრივი კულტურისათვის ტიპიური ინვენტარის შემცველი სამარხები, რომლებშიაც სკვითური სამყაროსათვის დამახასიათებელი ესა თუ ის ფორმაა წარმოდგენილი[130]. რაც შეეხება ძვ. წ. III ს. საქართველოში სკვითების მოსახლეობის საკითხს, ვფიქრობთ, რომ მხოლოდ და მხოლოდ სოხუმის მთის რკინის ცულების მიხედვით ამის ვარაუდი არ შეიძლება. ეს ცულები, როგორც ირკვევა, კოლხური ცულების შემდგომი განვითარების შედეგია (ტაბ. 10, 4, 7, 8)[131]. ძვ. წ. IV—III სს. სკვითური ტომების ამიერკავკასიის ტერიტორიაზე არსებობა არქეოლოგიური მონაცემებით არ დასტურდება. სკვითური ელემენტი ამ ხანის კომპლექსებში სუსტად არის წარმოდგენილი როგორც სოხუმის მთაზე, ასევე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც ამ ტიპის რკინის ცულებია გავრცელებული. ამასთან ძნელია ვიფიქროთ, რომ დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე დამკვიდრებული და ასიმილირებული სკვითური ტომების (თუ კიდევაც იყო ასეთი) კულტურა სკვითურ მიწა-წყალზე მოსახლე სკვითების კულტურის კვალდაკვალ განვითარებულიყო.

ასეთია ის დასკვნები, რომლებიც შეიძლება გაკეთდეს დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით.

М. С. ПИРЦХАЛАВА

К ВОПРОСУ О РАСПРОСТРАНЕНИИ ПАМЯТНИКОВ СКИФСКОЙ КУЛЬТУРЫ В МАТЕРИАЛЬНОЙ КУЛЬТУРЕ ДРЕВНЕЙ ГРУЗИИ

(табл. 9—14)

Р е з ю м е

В материальной культуре Древней Грузии выявлен материал скифского типа, в результате изучения которого выясняется, что среди памятников скифской культуры из Грузии выделяются, с одной стороны:

а) предметы скифского типа, имеющие переднеазиатское происхождение (акинаки, наконечники ножен);

б) художественные вещи с зародившимися в Передней Азии элементами стилизации (образы свернувшейся пантеры и головы хищной птицы);

а с другой стороны:

а) характерные для собственно Причерноморской скифской куль-

---

129 არის შემთხვევები, როცა არქეოლოგიური კომპლექსის ინვენტარი ძირითადად სკვითური ტიპის ნივთებისაგან შედგება, მაგრამ ასეთ დროს სკვითური მასალა მხოლოდ ისრისპირებით არის ხოლმე წარმოდგენილი (გ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 96—97); ნ. მ ა მ ა ი ა შ ვ ი ლ ი, კ. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი..., კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წ., თბ., 1974, გვ. 23—24).

130 საინტერესო იქნებოდა სკვითური ინვენტარის გაანალიზება ცალკეული რეგიონების მიხედვით, მაგრამ დღეისათვის არამცთუ ყველა რეგიონი არაა თანაბრად შესწავლილი, არამედ, არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალის ნაწილიც ჯერ გამოუქვეყნებელია. ასე რომ, მასალის ვანაწილება რეგიონების მიხედვით ვერ შეგვიქმნიდა ობიექტურ სურათს.

131 ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 29—30.

туры элементы (бронзовые удила и костяные орнаментированные псалии);

б) предметы, менее характерные для скифской культуры, но попавшие в местную среду через скифов (клевцы ананьинской культуры).

Среди материалов скифского типа, найденных в Грузии, весьма примечательно преобладание вещей восточного происхождения. Эти формы в Скифии быстро трансформируются и получают широкое распространение в последующее время, в то время как в Грузии представлены лишь их начальные формы и бытуют они на протяжении сравнительно короткого отрезка времени, а именно, в конце VII—VI вв. до н. э. Распространение скифских элементов в Закавказье — результат короткого исторического процесса, и этот факт наличия вещей переднеазиатского происхождения в Грузии мы склонны связывать с известным в истории скифов явлением — уходом скифов из Азии в Северное Причерноморье через Закавказье.

Вместе с тем, наличие в местной культуре вещей, характерных для Причерноморской Скифии, следует объяснить существованием контактов грузинских племен со скифами Причерноморья.

Таким образом, на основе анализа скифского облика с территории Грузии, распространение скифских элементов в местной среде нельзя связывать с одним конкретным явлением и следует предположить многообразие взаимоотношений.

ნინო კილურაძე

კოლხური სოფელი ანტიკურ ხანაში

დასავლეთ საქართველოში უკანასკნელ წლებში ფართოდ გაშლილმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ ჩვენი ისტორიოგრაფიის წინაშე ახალი პრობლემები დააყენა. მათ შორის აღსანიშნავია ანტიკური ხანის კოლხური სოფლის რაობის საკითხი. თუ მანამდე ძირითადი ყურადღება ანტიკური ხანის ქალაქებს და საქალაქო ცხოვრებას ექცეოდა, ახლა ნათელი გახდა, რომ სასოფლო თემის, ანტიკური სოფლის შესწავლის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის სრული წარმოდგენა.

საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ამ ბოლო დროს ინტენსიურად მუშავდება ეს თემატიკა[1]. დასავლეთშიც იყო და არის ცდები ანტიკური ეპოქის სასოფლო დასახლებების შესწავლისა, მაგრამ ტრადიციულად ავტორები ძირითადად წერილობითი წყაროების ანალიზს ეყრდნობიან[2]. ჩვენში ნასოფლარების არქეოლოგიურ შესწავლას საფუძველი აკად. ნ. ბერძენიშვილმა ჩაუყარა. ორმოცდაათიან წლებში მისი თაოსნობით დაიწყო ნასოფლარ ნაჰივჰავების არქეოლოგიური გათხრები, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა[3].

წერილობით წყაროებში თითქმის არ არის ასახული ანტიკური ხანის კოლხური სოფელი; მიუხედავად ამ მცირე მონაცემებისა, მათი ანალიზი გვაძლევს ზოგიერთი საინტერესო დაკვირვების საშუალებას. მაგალითად, ჰიპოკრატე, აღწერს რა კოლხეთის ზღვისპირა ზოლს ფასისის შესართავის სექტორში, აღნიშნავს: „ეს ქვეყანა (ἡ χώρη) ჭაობიანია, თბილი, წყლიანი და ტყიანი... ადამიანებს საცხოვრებელი (ἡ δίαιτα) ჭაობებში აქვთ და (მათი) ხისა (ξύλινα) და ლერწმის (καλαμίνα) სახლები (οκήματα) წყალზეა გამართული“-ო (Hip. 15)[4]. მართალია, ჰიპოკრატე არ ახსენებს სოფელს (κώμη), მაგრამ, რო-

[1] Е. С. Голубцева. Очерки социально-политической истории Малой Азии в I—III вв. Независимая сельская община. М., 1962; И. Т. Кругликова. Исследования сельских поселений Боспора, ВДИ, № 2, 1969; И. Т. Кругликова. Боспор в позднеантичное время. Очерки экономической истории. М., 1966.

[2] G. Fougers. Kôme. DS DAGR III. Paris, 1889; D. Magie. Roman Rule in Asia Minor II Princeton, 1950, გვ. 1022 და შემდ. შენიშვნა 69; Эмилио Черни. Город и деревня в доримской Италии, ВДИ, № 2, 1967.

[3] გ. ლომთათიძე, ფეოდალური საქართველოს ქალაქებისა და საწარმოო კერათა ისტორიისათვის, კრ. „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“, თბილისი, 1959, გვ. 5.

[4] თ. ყაუხჩიშვილი, ჰიპოკრატე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1965, გვ. 45; ი. პანტიუხოვი ფიქრობდა, რადგან ჰიპოკრატეს მიხედვით საცხოვრებელი ნაგებობები კოლხებს წყალზე ჰქონდათ გამართული, აქ ხმინჯიანი სახლები უნდა ვიგულისხმოთ. И. Пантюхов. О пещерных и позднейших жилищах на Кавказе. Тифлис, 1890.

გორც ჩანს, ამ ტიპის დასახლება უნდა ვიგულისხმოთ ჭაობებში განლაგებულ „საცხოვრებლებში“. ჰიპოკრატეს მიხედვით, ფასიანელების ანუ ფასისის მიდამოებში მცხოვრებ კოლხთა დასახლებები, არხების (διῶρύχες) ნაპირებზე უნდა ყოფილიყვნენ გაშენებულნი, რადგან ის საგანგებოდ აღნიშნავს: „ფასიანები ცოტას დადიან ფეხით ქალაქებსა და ემპორიონებში, არამედ დაცურავენ აღმა-დაღმა ერთ ხეში ამოღებული ნავებით, რადგან არხები ბევრია“[5]. ფასიანების ქვეშ აქ ფასისის მცხოვრებნი კი არ იგულისხმებიან, არამედ ქალაქის სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიის მცხოვრებნი და ალბათ ამის გამო უწოდებს მათ ჰიპოკრატე — ფასიანებს. როგორც ვხედავთ, ფასიანელები ქალაქში ჩამოდიოდნენ და გარკვეული სავაჭრო ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ მასთან, ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ჰიპოკრატეს მიერ აღწერილ დასახლებათა ტიპს უახლოვდება კოლხეთის დაბლობში გავრცელებული, არხების სისტემით გარშემორტყმული ხელოვნურ ბორცვებზე, ე. წ. დიხა-გუძუბებზე განლაგებული ნასოფლარები[6]. ჰიპოკრატეს ხელოვნურ ბორცვებზე გაშენებული საცხოვრებლები რომ ენახა, იგი, ჩვენი აზრით, აუცილებლად აღნიშნავდა კიდეც ამ გარემოებას.

ხე რომ ძირითადი სამშენებლო მასალა ყოფილა კოლხეთში, კარგად ჩანს ქსენოფონტის „ანაბასისიდან“-აც. ხისგან აგებდნენ საცხოვრებელ სახლებს, ზღუდეებს, სიმაგრეებს, კოშკებს და სხვ. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მისი ცნობები სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის ქართველურ ტომთა დასახლების ფორმების შესახებ. მართალია, ეს ტომები (დრილები, მოსინიკები, ტრაპეზუნტის სანახების კოლხები) არ შედიოდნენ კოლხეთის სამეფოს საზღვრებში და სოციალურ-ეკონომიური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ, მაგრამ მათი ეთნიკური სიახლოვე გვაფიქრებინებს, რომ მათ ყოფაში, დასახლების ხასიათში ბევრი რამ უნდა ყოფილიყო საერთო. საყურადღებოა, რომ მათი სოფლები გორაკებზე იყო განლაგებული. თ. მიქელაძის დაკვირვებით, ამ ქართველურ ტომებში დასახლების ძირითადი სახეობა სოფელი იყო[7]. ქსენოფონტი არაერთხელ იხსენიებს მაღლობებზე განლაგებულ კოლხთა მრავალრიცხოვან სოფლებს (ἐνπολλαῖς κώμαις, Ανაβ., IV, 8, 20). ბერძენთა არმია 30 დღის განმავლობაში იყო დაბანაკებული კოლხურ სოფლებში, რომელთა მკვიდრნი მიწათმოქმედებას და მეცხოველეობას (მათ შორის მეფუტკრეობას) მისდევდნენ. ქსენოფონტი სხვა ქართველური ტომების მიწა-წყალზე გავლისას ნანახი დასახლებული პუნქტების აღნიშვნისათვის ხმარობს სხვადასხვა ტერმინებს: πόλις, πολισμα, χωρίον. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ განსხვავება ტერმინებში გამოწვეულია თვით ამ დასახლებული პუნქტების განსხვავებული ხასიათით, მათი ადმინისტრაციული თუ ეკონომიური სტატუსის სხვაობით. πόλις-ში უნდა ვი-

---

[5] თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრომი.

[6] დაწვრ. იხ. Г. Лордкипанидзе, К истории древней Колхиды, Тбилиси, 1970, стр. 44—45. აქვე ბიბლიოგრაფია. სამშენებლო ტექნიკის შესახებ იხ. А. И. Джавахишвили, Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V—III тыс. до н. э., Тбилиси, 1973, стр. 358 и сл

[7] თ. მიქელაძე, სქენოფონტეს „ანაბასისი“ (ცნობები ქართველი ტომების შესახებ), თბილისი, 1967, გვ. 53. მ. როსტოვცევი თავის დროზე აღნიშნავდა, რომ მცირე აზია, მიუხედავად დიდი მდიდარი ქალაქების არსებობისა მაინც სოფლების ქვეყნად რჩებოდაო. M. Rostovtzeff. The Social and Economic History of Roman Empire, Oxford, 1926, გვ. 239. იგივე თამამად შეიძლება კოლხეთზეც გავრცელდეს.

გულისხმოთ გალავნით დაცული, თვითმმართველობის მქონე, გარკვეული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიის ცენტრი, ქალაქი. სხვები კი სხვადასხვა სიდიდის და ეკონომიურ-პოლიტიკური მნიშვნელობის დაბებს, სასოფლო ტიპის დასახლებებს უნდა აღნიშნავდნენ. κώμη — სოფელია[8]. ეს ცნება ანტიკურ ხანაში იცვლიდა შინაარსს, მაგრამ ყოველთვის უპირისპირდებოდა ქალაქს, პოლისს[9].

მომდევნო ხანის ბერძენ-რომაელ ავტორთა შრომებში აღარ გვხვდება ცნობები კოლხეთის სოფლებზე. ძნელი ასახსნელია ის ფაქტი, რომ სტრაბონი, მაგალითად, იბერიისა და ჩრდილო შავიზღვისპირეთისაგან[10] განსხვავებით, სულ არ იხსენიებს კოლხეთის სოფლებს. ამგვარად, ნათელია, რომ ანტიკური კოლხეთის სოფლის შესწავლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არქეოლოგიურ მასალებს ენიჭებათ.

ოცდაათიან წლებში დაიწყო კოლხეთის „გორა-ნამოსახლარების“ არქეოლოგიური შესწავლა და აღნუსხვა. ბ. კუფტინის მიხედვით, რომელიც ნაოხვამუს, დიხა-გუძუბას და სხვა ძეგლების შესწავლის შედეგებს ეყრდნობოდა, ისინი ბრინჯაოს ხანის ნასოფლარებს წარმოადგენდნენ. ის ფიქრობდა, რომ ამ ტიპის ძეგლებზე დადასტურებული ხის ნაგებობანი, წნულკედლებიანი, ბათქაშით შელესილი, თიხატკეპნილიატაკიანი და კონუსურსახურავიანი, ისლით დახურული სახლები ცალკეულ საოჯახო გვაროვნულ დასახლებებს წარმოადგენდნენ[11]. ა. ჯავახიშვილის აზრით, ამ „გორა-ნამოსახლარებზე“ გამოვლენილი ნაგებობები გვაროვნული კოლექტივების დასახლებებს კი არ წარმოადგენენ, არამედ დიდი თუ შედარებით პატარა ოჯახების განცალკევებულ საცხოვრებლებს[12]. ცალკეულ ბორცვებზე განლაგებულ საცხოვრებელთა ჯგუფს საგვარეულო დასახლება, სოფელი უნდა შეედგინა. ამ მონაცემების მიხედვით კოლხეთში არსებობს ტერიტორიალურ-სასოფლო-თემი, რომელიც ცალკეულ ოჯახთა ნათესაურ კავშირებზეა დამყარებული. ამგვარად, კოლხური სოფელი მონათესავე კოლექტივების დასახლებას წარმოადგენდა, რომელიც დიდი ან შედარებით პატარა ოჯახებისაგან შედგებოდა[13].

რკინის ფართო სამეურნეო ათვისებასთან ერთად მკვეთრი ცვლილება განიცადეს ძველმა კოლხურმა დასახლებებმა. ცალკეული თემები, რომლებ-

---

[8] М. М. Максимова, Античные города Юго-Восточного Причерноморья. М., 1956. გვ. 122; თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

[9] Daremberg et Saglio, DAGR, გვ. 852. ასე ესმოდა ეს ცნება პლატონსაც (Platon leg 626c).

[10] სტრაბონი აღნიშნავს „... და მართლაც იბერია კარგადაა დასახლებული მეტწილად, როგორც ქალაქებად, ასევე დაბებად“ (Strabo, XI, 31). აქ დაბების (*επoικιoις*) ქვეშ ჩვეულებრივ დიდ სოფელს გულისხმობენ, რომელიც პოლისს უპირისპირდება. დაწვრ. იხ. ო. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო, თბილისი, 1968, გვ. 49; И. Т. Кругликова, Боспор в позднеантичное время, стр. 63.

[11] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, Тбилиси, 1950. стр. 171—173.

[12] А. И. Джавахишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 362.

[13] საყურადღებო მასალებს ვპოულობთ ჭართულ, კერძოდ, სვანურ ეთნოგრაფიულ მასალებში. სვანური დასახლების, სოფლის საფუძველს ტერიტორიალურ-საგვარეულო დაყოფა წარმოადგენდა. მეზობლური პრინციპები კი, როგორც მკვლევარნი აღნიშნავენ, შედარებით ახალი დანერგილია. რ. ხარაძე, ა. რობაქიძე, სვანური სოფელი, თბილისი, 1964; А. Робакидзе, К вопросу о форме поселения в Сванети, Краткие сообщения ИЭ АН СССР, XXIX, М., 1958.

საც უფრო ხელსაყრელი გეოგრაფიულ-ეკონომიური მდებარეობა ეჭირათ, განვითარდნენ და დაწინაურდნენ. ისინი გარკვეული „ქვეყნის“ სათავეში მოექცნენ[14] და ძვ. წ. VI—V სს. საქალაქო ცენტრებად ჩამოყალიბდნენ. როგორც ვხედავთ, ანტიკური კოლხეთის საზოგადოებისთვისაც დამახასიათებელია ქალაქი და მასზე პოლიტიკურად დამოკიდებული გარკვეული სასოფლო-სამეურნეო მიწაწყალი, ტერიტორია. ნ. ბერძენიშვილი ციხე-გოჯზე და ვარციხეზე დაკვირვებისას აღნიშნავდა, რომ თითოეული ამ ქალაქის საზოგადოება ეს თითოეული „ქვეყანაა“, ხოლო ესა თუ ის ქალაქი ამ ქვეყნის საზოგადოებრივ-სამეურნეო, ე. ი. სოციალურ-ეკონომიური განვითარების გამოხატულება თავისი სოფლის მეურნეობით, ვაჭრობით, ფულით.

მისი აზრით, მთელი დასავლეთ საქართველო ასეთ დიდ თუ პატარა „ქვეყნებად“ იყოფოდა[15]. ანტიკური ხანის კოლხეთში, როგორც ჩანს, საქალაქო თემები ფლობდნენ გარკვეულ სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებს, რომლებზედაც განლაგებული იყო დაბა-სოფლები. ქალაქები კი ამ „ქვეყნების“ პოლიტიკურ-ეკონომიურ ცენტრებს წარმოადგენდნენ. ანტიკურ ეპოქაში ქალაქი ეკონომიურად გაბატონებული იყო სოფელზე[16].

ანტიკურ ხანაში კოლხეთის სოფლებში კვლავ ძველი სამშენებლო ხერხებია გავრცელებული. ტრადიციულია ხის, წნულკედლებიანი, თიხით შელესილი, თიხატკეპნილიატაკიანი ფაცხის ტიპის საცხოვრებელი სახლები. ისინი დასავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის ერთ-ერთ დამახასიათებელ ელემენტს წარმოადგენენ. ქვისა და ალიზის ნაგებობანი კოლხეთში, ისევე როგორც კრამიტიანი გადახურვა, ფართოდ მხოლოდ ელინისტურ ხანაში ვრცელდება. კოლხური სოფლისთვის დამახასიათებელია დასახლების გაფანტული ტიპი, რომელიც დღემდე შემორჩა. ანტიკური ხანის რამდენიმე ნასოფლარი იქნა გამოვლენილი 1963 წელს გურიანთის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის მიერ, რომელსაც აკად. ნ. ბერძენიშვილი ხელმძღვანელობდა[17]. სუფსა-ნატანების ორმდინარეთში, მთისწინა ზოლში, გორაკებზე ერთმანეთისაგან 2—3 კმ-ის დაშორებით ძვ. წ. V—II სს. არსებობდა სასოფლო დასახლებების წყება. აქაც სახლები ხისა ყოფილა, წნულკედლებიანი; თიხით შელესილი. ნასოფლარების კულტურულ ფენებში აღმოჩენილია ჭიოსის, თაზოსის, ლესბოსის, სინოპეს და ანტიკური ხანის სხვა საწარმოო ცენტრების ტარა, რაც გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობის მაჩვენებლად შეიძლება გამოდგეს. ანალოგიური სასოფლო დასახლებებია რიონის მარცხენა ნაპირზე, ასევე მთისწინა ზოლში, საჯავახო-დაფნარი-დაბლაგომი-მთისძირი-შუამთა-ციხესულორის ხაზზე, რომლებიც, ჩვენის აზრით, „ვანის ქვეყანაში“ შედიოდნენ[18]. ამ სასოფლო დასახლებების ცხოვრებაში

---

[14] დ. ხახუტაიშვილი, იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, თბილისი, 1966, გვ. 69—72. 100.

[15] ნ. ბერძენიშვილი, ლაზიკის ისტორიული გეოგრაფიისათვის, მასალები, ჭუთაისი, 1964, გვ. 24.

[16] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა. კრ. მარქსი და ენგელსი ანტიეროობის შესახებ, თბილისი, 1937, გვ. 198.

[17] ნ. ვაშაკიძე, გურიანთის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, II, თბილისი, 1971, გვ. 13—21.

[18] Н. Ш. Кигурадзе, К истории населения Центральной Колхиды в античную эпоху. Даппарское селище и могильник в V—III вв. до.н. э. Автореферат, Тбилиси, 1972, стр. 8.

გარკვეული როლი რიონის საერთაშორისო სავაჭრო მაგისტრალსაც უნდა ეთამაშა. დაფნარში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა გვიჩვენა, რომ ანტიკური ხანის ნასოფლარზე, ხის წნულკედლებიანი, ბათქაშით შელესილი სახლები, ერთმანეთისაგან მეტნაკლებად დაშორებით, გაფანტულად იყვნენ განლაგებულნი, გორაკების კალთებზე, ხელოვნურ თუ ბუნებრივ ტერასებზე. ბათქაშის ზოგიერთ ფრაგმენტზე გვხვდება ფოთლების ანაბეჭდები. სპეციალისტების ვიზუალური დაკვირვებით ისინი თხმელას (Alnus) ეკუთვნიან. ასეთივე ფოთლისანაბეჭდიანი ბათქაშები ვანის ნაქალაქარის ძვ. წ. V—IV სს. ფენებშიაც არის დადასტურებული. როგორც ჩანს, სახლის მშენებლობისას ნედლ, ახლადგასხეპილ ხეებს იყენებდნენ, რომლებსაც ფოთლები აქა-იქ ჰქონდა შერჩენილი. სწორედ ამიტომ აღიბეჭდა ფოთლების გამოსახულებებიც ნედლ თიხაზე. როგორც ჩანს, შემდეგ თიხით შელესილ კედლებს სუსტად გამოწვავდნენ კიდეც. თიხით შელესილ ხის, წნულკედლებიანი ნაგებობების მშენებლობის ანალოგიური ხერხი კარგადაა ცნობილი უძველესი დროიდან[19], ამ ტიპის სახლები — „ფაცხა“ სულ ბოლო დრომდე იყო გავრცელებული დასავლეთ საქართველოში. ფაცხა ჩვეულებრივ ერთი ოთახისაგან შედგებოდა, მის შუა ნაწილში კერა იყო მოწყობილი. ბათქაშიან ნაგებობასთან დაკავშირებული კერის ნაშთები შინაური ცხოველის ძვლებთან ერთად გამოვლენილი იყო დაბლაგომში[20]. ხის, ბათქაშით შელესილი ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლები მანძილით დაშორებული ძვ. წ. V—IV სს. სახლები გაითხარა რიონის მარცხენა ტერასაზე, სოფელ საქორქიოში 1973 წ.[21]. დასახლების ასეთი გაფანტული ფორმა, რომელიც დღემდე შემორჩა დასავლეთ საქართველოს, ანტიკურ ხანაში გაბატონებული ჩანს.

როგორც აღვნიშნეთ, ხის წნულისანაბეჭდიანი გამომწვარი ბათქაშის ფრაგმენტები ხშირად გვხვდება კოლხეთის ანტიკური ხანის ნამოსახლარებზე[22]. ამ დროის არაერთი ნასოფლარი აღმოაჩინა დასავლეთ საქართველოს საძიებო და კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციებმა აბაშის, ცხაკაიას, ხობის, გეგეჭკორის რაიონებში. ამ ტიპის ძეგლები აღმოჩენილია რაჭა-ლეჩხუმში, დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში[23] და სხვ. ჯერჯერობით

---

[19] Э. Тейлор, Первобытная культура. М., 1939. стр. 126; E. Violl et le Duc. The Habitations of men in all Ages. Michigan, 1971.

[20] Н. В. Хоштария, Древнее поселение в Даблагоми, თბილისი, 1941, საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 194.

[21] თ. მიქელაძე, მ. ბარამიძე, გ. ლორთქიფანიძე..., კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება. 1973 წ., თბილისი, 1974.

[22] ო. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თბილისი, 1966, გვ. 65, 143.

[23] გ. გრიგოლია, გ. ფხაკაძე, მ. ბარამიძე, გ. ლორთქიფანიძე, დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის მუშაობის შედეგები, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. V, თბილისი, 1973, გვ. 31; გ. გრიგოლია, ნ. ოქროპირიძე, ვ. ჯაფარიძე, ვ. წირღვავა, შ. ჩართოლანი, დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1971 წელს ჩატარებული მუშაობის შედეგები. არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წ. თბილისი, 1972, გვ. 29; თ. მიქელაძე, მ. ბარამიძე, კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე კვლევა-ძიება 1971 წელს. არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს. თბილისი, 1972, გვ. 27; გ. გობეჯიშვილი, შუა კავკასიონის სამხრეთ კალთების ბრინჯაო-რკინის ხანის ექსპედიციის კვლევა-ძიებანი. სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1962 წლის საველე

არც ერთი ანტიკური ხანის ნასოფლარი ბოლომდე არ არის არქეოლოგიურად შესწავლილი.

საყურადღებოა, რომ ცენტრალურ კოლხეთში ამ სასოფლო დასახლებებს უკავშირდებიან ქვევრსამარხების სამაროვნები. ისინი ეკუთვნიან მიწათმოქმედებს, კოლხ მეთემეებს, უშუალო მწარმოებლებს, რომელთაც აპოლონ როდოსელი „კოლხთა შვილებს“, „სახლეულთა წარმომადგენლებს“ უწოდებს[24]. ვანის ნაქალაქარზე ქვევრსამარხები არ დასტურდება, მაგრამ მის ვრცელ სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიისათვის კი დაკრძალვის დამახასიათებელი ტიპია. როგორც ჩანს, მმართველი კლასის წარმომადგენლებს განსხვავებული დაკრძალვის წესი და სამარხის ტიპი ახასიათებდათ. დღეისათვის ცენტრალურ კოლხეთში ქვევრსამარხები აღმოჩენილია 30-მდე პუნქტში.

დაფნარში ჩვენ გავთხარეთ და შევისწავლეთ ძვ. წ. IV—II სს. დათარიღებული ორმოცამდე ქვევრსამარხი. ისევე როგორც დაბლაგომში, დაფნარშიც ქვევრსამარხები ჯგუფ-ჯგუფად, საკარმიდამო ნაკვეთებზე, ეზოებში იყო განლაგებული. ცხადია, ის ნაკვეთები, სადაც დაკრძალვა ხდებოდა, არ შეიძლებოდა მეთემეთა შორის გადანაწილების საგანი ყოფილიყო. ფ. ენგელსი აღნიშნავდა „პირველი მიწის ნაკვეთი — რომელიც ცალკე პირის კერძო საკუთრებად იქცა, ეზო იყო“-ო[25]. ეზოს სამუდამოდ მფლობელობაში მიმაგრება, საერთო სათემო მფლობელობიდან გამოყოფა — სათემო მიწათმფლობელობის რღვევის საწყისი ეტაპის მაჩვენებელია. შემდეგი ეტაპი იყო ზვრებისა თუ ბაღების ხანგრძლივი და შემდეგ მუდმივი გაპიროვნება. აკად. გ. მელიქიშვილის დაკვირვებით, კოლხეთში ამ დროს მიწაზე კერძო საკუთრების გაჩენა საკმაოდ შორს იყო წასული. ინტენსიური მეურნეობა მოითხოვდა ინდივიდუალურ მიწათმფლობელობას განსაზღვრული დროის განმავლობაში. იგი ვერ ითმენდა ხშირ გადანაწილებას[26]. როგორც ცნობილია ეს პროცესი დაიწყო ანტიკურ ხანაში და დასრულდა მომდევნო ეპოქაში გლეხთა ინდივიდუალური, საკომლო მემკვიდრეობითი კერძო მიწათმფლობელობის გაბატონებით.

კოლხეთის ანტიკური ხანის სასოფლო თემში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიური დიფერენციაციის პროცესებმა თავისებური ასახვა პოვა სამარხეულ

ლე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბილისი, 1963; ლ. სახაროვა, შუა კავკასიონის სამხრეთ კალთების ბრინჯაოს ხანის ექსპედიციის ლეჩხუმის რაზმის 1962 წლის ანგარიში. სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1962 წლ. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. თბილისი, 1963, მოხსენებათა მოკლე შინაარსი. გ. გობეჯიშვილი, შ. ჩართოლანი. სვანეთის არქეოლოგიური დაზვერვა 1964 წელს. XIV სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1964 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. მოკლე ანგარიშები, თბილისი, 1965; ჯ. ნადირაძე, საჩხერის რაიონში წარმოებული გათხრების ანგარიში. XVIII სამეცნიერო სესია მიძღვნილი საქართველოში 1968 წელს წარმოებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. მოკლე ანგარიშები, თბილისი, 1968, გვ. 21—23; მისივე, მოდინახეს ადრეანტიკური და ელინისტური ხანის სამარხები. კრ. არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს. თბილისი, 1972, გვ. 38—40; რ. აბრამიშვილი, არგვეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში. XIV სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1964 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. მოკლე ანგარიშები, თბილისი, 1965, გვ. 39—42.

[24] Т. К. Микеладзе, К вопросу о периодизации истории древней Колхиды, Сб. Вопросы древней истории, КБС., IV, 1973.

[25] ფ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, თბილისი, 1932, გვ. 200.

[26] Г. А. Меликишвили, К истории древней Колхиды. Тбилиси, 1959, стр. 165, 200.

ინვენტარში. მისი შემადგენლობა, როგორც ჩანს, კანონიკურად იყო განსაზღვრული, ხოლო რაოდენობა და ხარისხი გარდაცვლილის ეკონომიურ შეძლებაზე იყო დამოკიდებული. სამარხეული ინვენტარის შემადგენელ ელემენტებს წარმოადგენენ: 1. თიხის ჭურჭელი: ჯამ-ქოთნები, დოქები, კოჭებები, შედარებით მდიდრულ სამარხებში — ამფორები და იმპორტული ჭურჭლები; 2. სამკაულები: სამაჯურები, კირკლები, საყურე და სასაფეთქლე რგოლები. ბეჭედ-საბეჭდავები, მძივები; 3. მონეტები და სხვ. ინვენტარში არ გვხვდება იარაღი, რასაც უდავოდ კლასობრივი ახსნა უნდა მოენახოს; მით უმეტეს, რომ თანადროული მდიდრული სამარხებისათვის იარაღი აუცილებელი კომპონენტია. ეს ნიშნავს იმას, რომ მიწათმოქმედთა ფენიდან გამოყოფილია პროფესიონალი მეომრები, რიგითი მეთემეები კი საჯარო ხელისუფლებას ჩამოშორებულნი არიან. დაფნარში გვხვდება მდიდრული და შედარებით ღარიბული სამარხები, რაც მეთემეთა შიგნით არსებულ ეკონომიური უთანასწორობის ნათელი დადასტურებაა. იმპორტული ნაწარმი, მონეტები, ბეჭედ-საბეჭდავები გვიჩვენებენ, რომ სოფლის მოსახლეობის ერთი ნაწილი მჭიდროდ არის ჩაბმული ქვეყნის ფულად-სასაქონლო ურთიერთობში. ფული ყოფის აუცილებელი ელემენტი გამხდარა, რაც სოფლის სოციალურ-ეკონომიური განვითარების მაჩვენებელია. ფ. ენგელსის მიხედვით, „განვითარების გზაზე შემდგარმა ფულის მეურნეობამ დაშალა სოფლის თემის ნატურალური მეურნეობა. გვაროვნული წყობილება სრულიად ვერ ურიგდებოდა ფულის მეურნეობას“[27].

ვაჭრობის განვითარებას, ფულად ურთიერთობაში მეთემეთა მასების ჩაბმას, უნდა გამოეწვია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდა, რიგი ხელოსნური დარგების განვითარება, რასაც მოჰყვა თემის შიგნით ქონებრივი და შემდეგ, სოციალური უთანასწორობის გაღრმავება რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

დაფნარში მოპოვებული არქეოლოგიური მასალების მიხედვითაც, ანტიკური ხანის სასოფლო დასახლებათა ეკონომიურ საფუძველს მიწათმოქმედება, მევენახეობა-მეღვინეობა შეადგენდა. არქეოლოგიური გათხრების დროს დაფნარში მიკვლეული იქნა ძვ. წ. V—IV სს. დათარიღებული რკინის წარმოების ნაშთებიც. ამ ახალი მონაცემების მიხედვით სახელოსნოები მხოლოდ კოლხეთის ქალაქებისათვის არ უნდა იყოს დამახასიათებელი. როგორც ჩანს, მათ გარკვეული ადგილი ეჭირათ სასოფლო დასახლებათა ეკონომიკაშიც.

ამგვარად, კოლხური სოფელი რთული სოციალურ-ეკონომიურ უჯრედს წარმოადგენს, რომლის შესწავლა კოლხეთის სამეფოს ისტორიის რიგ საკითხებს ახლებურად გააშუქებს.

Н. Ш. КИГУРАДЗЕ

КОЛХСКОЕ СЕЛО АНТИЧНОЙ ЭПОХИ

Резюме

Проблема изучения античных селищ является наиболее актуальной в нашей историографии. В статье дается попытка исследования социально-экономической сущности сельских поселений античной Кол-

[27] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა; კრებული მარქსი და ენგელსი ანტიკურობის შესახებ, თბილისი, 1937, გვ. 163.

хиды, связанных с непосредственными производителями, общинниками-земледельцами. Сопоставляя письменные источники с археологическими данными (результаты исследования кувшинных погребений), автор приходит к заключению, что Колхида была густо заселена. В античную эпоху отдельные поселения превратились в центры сельскохозяйственных округов, подчинив многочисленные деревни и поселки. Увеличение импорта в IV—III вв. до н. э. в колхской деревне позволяет говорить об участии общинников в товарно-денежных отношениях страны. К этому времени уже сложился традиционный для Западной Грузии тип хуторского поселения.

А. А. НУЦУБИДЗЕ

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ РАСКОПКИ В СЕЛ. АБАНО

(табл. 15—27)

Во время дорожных работ у села Абано Карельского района в местечке Цихиана был поврежден могильник. Об этом сообщили в Институт истории, археологии и этнографии им. И. Джавахишвили АН ГССР, и появилась необходимость срочно раскопать памятник с целью его спасения.

Цихиана является топонимом. Она представляет собой доломитовую возвышенность высотой 10 м и площадью 100×70 м и хорошо выделяется среди окружающего рельефа (табл. 15_1, 26_1). Доломит употребляется в металлургическом производстве и поэтому на Цихиана устроен карьер Рустависского металлургического завода. В результате поверхность горы сильно повреждена (табл. 25_2). Несмотря на это, здесь удалось собрать керамику раннебронзового, позднебронзового — железного и позднефеодального периодов.

§ I. АРХЕОЛОГИЧЕСКИЙ МАТЕРИАЛ, СОБРАННЫЙ НА ЦИХИАНА

а) Керамика раннебронзового периода

Фрагмент глиняного сосуда (табл. 16_{22}). Черепок черного цвета, поверхность лощенная, круглоушный, изготовлен вручную из шлаковой глины, найден на восточном склоне горы.

Фрагмент глиняного сосуда (табл. 16_{24}). Черепок серого цвета, тонкий слой поверхности черный, орнаментирован вырезанными линиями, изготовлен вручную из шлаковой глины, найден на восточном склоне горы.

б) Керамика позднебронзовой — железной эпохи

Фрагмент дерги (табл. 16_1). Черепок серого цвета, тонкий слой поверхности черный, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины, найден на восточном склоне горы.

Фрагмент дерги (табл. 16_2). Черепок серого цвета, орнаментирован параллельно вырезанными концентрическими линиями, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины, найден на северном склоне горы.

Фрагмент сосуда (табл. 16_3). Черепок черного цвета, орнаментирован волнисто вырезанными линиями, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины, найден на восточном склоне горы.

Фрагмент сосуда (табл. 16_4). Черепок черного цвета, орнаментирован параллельно вырезанными концентрическими линиями, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины, найден на южном склоне горы.

Фрагмент горшка (табл. 16_5). Черепок серого цвета, тонкий слой поверхности черный, орнаментирован параллельно вырезанными концентрическими линиями, а под ними короткими косыми, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины, найден на южном склоне горы.

Фрагмент сосуда (табл. 16_6). Черепок серого цвета, тонкий слой поверхности черный, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины, найден на западном склоне горы.

Фрагмент сосуда (табл. 16_7). Черепок серого цвета, тонкий слой поверхности черного цвета, ушко изготовлено вручную из шлаковой глины, найден на восточном склоне горы.

Фрагмент сосуда (табл. 16_8). Черепок серого цвета, тонкий слой поверхности черный, орнаментирован параллельно вырезанными концентрическими линиями, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины, найден на северо-восточном склоне горы.

Фрагмент миски (табл. 16_9). Черепок черного цвета, изготовлен на гончарном круге из шкаловой глины, найден на юго-западном склоне горы.

Фрагмент миски (табл. 16_{10}). Черепок черного цвета, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины, найден на юго-западном склоне горы.

Фрагмент миски (табл. 16_{11}). Черепок серого цвета, тонкий слой поверхности черный, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины, найден на южном склоне горы.

Бронзовое шило (табл. 16_{12}), найдено на южном склоне горы.

Фрагмент миски (табл. 16_{13}). Черепок черного цвета, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины, найден на южном склоне горы.

Фрагмент миски (табл. 16_{14}). Черепок черного цвета, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины, найден на южном склоне горы.

Терочный камень (табл. 16_{15}), найден на восточном склоне горы.

Фрагмент сосуда (табл. 16_{16}). Черепок серого цвета, тонкий слой поверхности черный, ушко изготовлено вручную из шлаковой глины, найден на юго-западном склоне горы.

Фрагмент сосуда (табл. 16_{17}). Черепок серого цвета, тонкий слой поверхности черный, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины, найден на восточном склоне горы.

Фрагмент миски (табл. 16_{18}). Черепок серого цвета, тонкий слой поверхности черный, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины, найден на южном склоне горы.

Фрагмент сосуда (табл. 16_{19}). Черепок серого цвета, тонкий слой поверхности черный, орнаментирован пареллельно вырезанными концентрическими рядами из коротких косых линий, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины, найден на южном склоне горы.

Фрагмент миски (табл. 16_{20}). Черепок черного цвета, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины, найден на южном склоне горы.

Железный наконечник стрелы (табл. 16_{21}), найден на южном склоне горы.

Фрагмент сосуда (табл. 16_{23}). Черепок черного цвета, орнаментирован волнисто вырезанными концентрическими линиями, окаймленными сверху и снизу короткими косыми линиями, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины, найден на южном склоне горы.

Фрагмент сосуда (табл. 16_{25}). Черепок серого цвета, тонкий слой поверхности черный, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины, найден на южном склоне горы.

Кроме этого, на поверхности Цихиана собраны мелкие фрагменты глиняных сосудов позднефеодальной эпохи.

§ 2. АРХЕОЛОГИЧЕСКИЙ МАТЕРИАЛ, ПОЛУЧЕННЫЙ ПРИ РАСКОПКАХ ПОВЕРХНОСТИ ЦИХИАНА

(позднефеодальная эпоха)

Поверхность Цихиана, которая казалась неповрежденной (10×7 м), разделили на двухметровые квадраты и сняли слой гумуса толщиной в 20 см, лежащий непосредственно на доломитовой скале. Во время раскопок стало ясно, что и эта часть горы была повреждена, следовательно, полученный здесь археологический материал не является in situ (табл. 15_1, раскоп № 1).

В раскопе были обнаружены фрагменты следующих глиняных сосудов:

Фрагмент сосуда (табл. 17_1). Черепок серо-черноватого цвета, ушко овальное в сечении, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины, найден в квадрате № 1.

Фрагмент сосуда (табл. 17_2). Черепок кирпичного цвета, ушко в сечении лентовидной формы, изготовлен на гончарном круге из шлаглины, найден в квадрате № 1.

Фрагмент глиняной трубы (табл. 17_3). Черепок кирпичного цвета, изготовлен из шлаковой глины, найден в квадрате № 3.

Фрагмент миски (табл. 17_4). Черепок кирпичного цвета, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины, найден в квадрате № 3.

Фрагмент сосуда (табл. 17_5). Черепок кирпичного цвета, орнаментирован рельефной веревкообразной линией, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины, найден в квадрате № 5.

Фрагмент сосуда (табл. 17_6). Черепок серого цвета, орнаментирован рельефной полоской, которая пересекается косыми рельефными линиями, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины, найден в квадрате № 5.

Фрагмент сосуда (табл. 17_7). Черепок кирпичного цвета, орнаментирован рельефными линиями, которые рассекаются круглыми вмятинами, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины, найден в квадрате № 7.

Фрагмент сосуда (табл. 17_8). Черепок кирпичного цвета, орнаментирован рельефными концентрическими линиями, которые имеют на себе круглые вмятины, заходящие друг на друга, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины, найден в квадрате № 9.

Фрагмент сосуда (табл. 17_9). Черепок кирпичного цвета, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины, найден в квадрате № 9.

Фрагмент сосуда (табл. 17_{10}). Черепок кирпичного цвета, орнаментирован рельефной линией, разрезанной косыми короткими линиями, изготовлен на гончарной круге из шлаковой глины, найден в квадрате № 9.

Фрагмент сосуда (табл. 17_{11}). Черепок кирпичного цвета, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины, найден в квадрате № 10.

Фрагмент сосуда (табл. 17_{12}). Черепок серого цвета, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины, найден в квадрате № 10.

§ 3. АРХЕОЛОГИЧЕСКИЙ МАТЕРИАЛ, ПОЛУЧЕННЫЙ ПРИ РАСКОПКАХ ЮЖНОГО СКЛОНА ГОРЫ ЦИХИАНА

(позднебронзовая — железная эпоха)

На южном склоне Цихиана, который от горы отдален шоссейной дорогой, у левого берега реки Проне на поверхности видны фрагменты глиняных сосудов с черным черепком. Здесь был заложен шурф 3×3 м и глубиной 3 м. Во время раскопок стало очевидным, что это место потревожено при прокладке шоссейной дороги (табл. 15_1; шурф № 4; табл. 25_3). В результате культурный слой, характерный для позднебронзовой — железной эпохи, лежал на культурном слое позднефеодальной эпохи и т. д.

В шурфе обнаружены фрагменты глиняных сосудов, которые датируются позднебронзовой — железной эпохой (табл. 15_1, раскоп № 2).

Фрагмент сосуда (табл. 18_1). Черепок серого цвета, тонкий слой поверхности черный, поверхность лощенная, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины.

Фрагмент сосуда (табл. 18_2). Черепок серого цвета, тонкий слой поверхности черный, орнаментирован параллельно вырезанными концентрическими линиями, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины.

Фрагмент сосуда (табл. 18_3). Черепок серого цвета, тонкий слой поверхности черный, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины.

Фрагмент сосуда (табл. 18_4). Черепок серого цвета, тонкий слой поверхности черный, поверхность лощенная, орнаментирован параллельно вырезанными концентрическими линиями, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины.

Фрагмент сосуда (табл. 18_5). Черепок серого цвета, ушко в сечении круглое, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины.

Фрагмент сосуда (табл. 18_6). Черепок серого цвета, тонкий слой поверхности черный, ушко в сечении лентовидной формы, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины.

Фрагмент сосуда (табл. 18_7). Черепок серого цвета, тонкий слой поверхности черный, ушко в сечении лентовидной формы, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины.

Фрагмент сосуда (табл. 18_8). Черепок серого цвета, тонкий слой поверхности черный, ушко в сечении круглое, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины.

Фрагмент сосуда (табл. 18_9). Черепок пепельного цвета, тонкий слой поверхности черный, орнаментирован параллельно вырезанными концентрическими волнистыми и прямыми линиями; изготовлен на гончарном круге из шлаковой глины.

Фрагмент миски (табл. 18_{10}). Черепок серого цвета, тонкий слой поверхности черный, ушко в сечении круглое, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины.

Фрагмент миски (табл. 18_{11}). Черепок пепельного цвета, тонкий слой поверхности черный, поверхность лощенная, орнаментирован концентрически вырезанной волнистой линией, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины.

Фрагмент миски (табл. 18_{12}). Черепок серого цвета, тонкий слой поверхности черный, поверхность лощенная, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины.

Фрагмент миски (табл. 18_{13}). Черепок пепельного цвета, тонкий слой поверхности черный, поверхность лощенная, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины.

Фрагмент сосуда (табл. 18_{14}). Черепок серого цвета, тонкий слой поверхности черный, ушко в сечении круглое, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины.

Фрагмент сосуда (табл. 18_{15}). Черепок пепельного цвета, тонкий слой поверхности черный, поверхность лощенная, орнаментирован параллельно вырезанными линиями, между которыми имеются «звездочки» и т. д., изготовлен на гончарном круге из шлаковой глины.

Фрагмент миски (табл. 18_{16}). Черепок пепельного цвета, тонкий слой поверхности черный, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины.

Фрагмент миски (табл. 18_{17}). Черепок серого цвета, тонкий слой поверхности черный, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины.

Фрагмент миски (табл. 18_{18}) .Черепок черного цвета. Изготовлен на гончарном круге из шлаковой глины.

Фрагмент миски (табл. 18_{19}). Черепок черного цвета, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины.

Фрагмент миски (табл. 18_{20}). Черепок черного цвета, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины.

Фрагмент сосуда (табл. 18_{21}). Черепок пепельного цвета, тонкий слой поверхности черный, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины.

Фрагмент сосуда (табл. 18_{22}). Черепок черного цвета, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины.

Глиняная модель колеса (табл. 18_{23}). Черепок пепельного цвета, тонкий слой поверхности серый, изготовлен вручную из шлаковой глины.

§ 4. МОГИЛЬНИК У ЦИХИАНА

(середина I тыс. до н. э.)

В 100 м к востоку от горы Цихиана у шоссейной дороги встречались обломки глиняных сосудов черного цвета и человеческих костей. На этом месте была заложена траншея (7×4 м), выявившая 6 могил (табл. 15_1; траншея № 3, табл. 15_2).

Могила № 1 (табл. 15_2, 26_1) представляла собой прямоугольную яму (26×0,9 м) с направлением с запада на восток. Покойник лежал в скорченном положении, на левом боку, головой на восток, от поверхности земли на 1 м. Непосредственно под ним лежал другой покойник в том же положении, но на правом боку. Оба скелета принадлежали взрослым. У их ног находился скелет ребенка в скорченном положении, на левом боку, головой на восток. Рядом с черепом верхнего покойника найден глиняный сосуд — хелада, а у спины — горшок. У груди обнаружены бронзовая подвеска и булав. Рядом с шейными позвонками лежали пять сердоликовых бус. У черепа нижнего покойника найден железный топор. Рядом с черепом ребенка обнаружены две подвески из бронзовой проволоки, у его груди — хелада, а у спины — обсидиановый отщеп.

Железный топор (табл. 19_1). Топоры, похожие на этот, найдены

в Мцхета и датируются X—VIII вв. до н. э. и VII—V вв. до н. э. ([1] см. хронологическую таблицу № 135; [2], табл. VIII; [3], табл. $XX_{13,17}$, стр. 191); в Юго-Осетии VI в. до н. э. ([4], стр. 215, рис. 55_2, 56_{11}, 78); в Триалети началом VI в. до н. э. ([5], стр. 45, стр. 221); в Курзу ([6], рис. 41); в Уреки — VI в. до н. э. ([7], стр. 64, рис. 20); в Итхвиси — серединой VI в. до н. э. ([8], стр. 44, табл. I_8); в Абхазии — VII—V вв. до н. э. ([9], стр. 54, табл. VIII_{10}, $IX_{1,13}$, X_1; [10], стр. 186, стр. 250, табл. IX_6, рис. $4_{1—6}$, табл. $XIX_{1, 12}$); в Болниси — VI—V вв. до н. э. ([11], стр. 117, табл. VII_4); в Баджити — эллинистическим периодом ([12], стр. 27, стр. 67, рис. 27_1); в Днепром бассейне — VII—VI вв. до н. э. ([13], стр. 43, рис. 86_7).

Топоры такой формы функционируют и последующие века ([14], стр. 173). Некоторые авторы считают эти топоры наследниками бронзовых топоров колхидского типа ([7], стр. 63; [3], стр. 191), а иные рассматривают их как характерный элемент скифской культуры ([4], стр. 215).

Горшок (табл. 19_2). Черепок серого цвета, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины.

Серьга (табл. $19_{3—4}$). Изготовлена из бронзовой проволоки, концы раскройные. Серьги, похожие на эту, найдены в Тбилиси, Вани, Даблагоми, Тетрицкаро, датируются VI—V вв. до н. э. ([15], стр. 36—37, табл. 19_2); в Гетрицкаро — III—I вв. до н. э. ([16], стр. 161—162), в Мцхета — VI—IV вв. до н. э. ([17], стр. 21); ([16], стр. 166); в Триалети — VII—V вв. до н. э. и VI—V вв. до н. э. ([18], стр. 107, табл $XII_{3,9,6}$; [5], стр. 42, рис. 40_3). В некоторых случаях в Самтаврских кувшинных погребениях находили по одной серьге ([16], стр. 149—152).

Бронзовая подвеска (табл. 19_5), орнаментирована волнистой линией.

Бронзовая булавка (табл. 19_6).

Сердоликовые бусины (табл. 19_7), 5 штук, сферической формы, просверлены с одной стороны.

Обсидиановый отщеп (табл. 19_8), не обработан.

Кувшин (табл. 19_9). Черепок пепельного цвета, тонкий слой поверхности черный, ушко в сечении круглое, орнаментирован вертикально вырезанными зигзагообразными линиями, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины.

Похожие на этот кувшины были найдены в Юго-Осетии, датируются эллинистическим периодом ([12], стр. 27; [19] рис. 9); в Мцхета — XI—X вв. до н. э. ([20], стр. 185—186, табл. VII); в Бакуриани ([21], табл. XV_8); в Итхвиси — серединой V в. до н. э. ([8], стр. 44, табл. II_{12}), в Пичвнари ([3] табл. XXV_2); в Абхазии — IX—VII вв. до н. э. и VIII—VI вв. до н. э. ([10], стр. 52, стр. 163, табл. I_1, IX_{12}; $XXXI_{1,2,4}$; $XXXVI_{1,2}$). Некоторые авторы такие кувшины считают характерным элементом колхидской культуры и датируют на VI—V вв. до н. э. ([22], стр. 112, рис. 24).

Кувшин (табл. 19_{10}). Черепок серого цвета, тонкий слой поверхности черный, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины. Аналогичный этому кувшину приведен на табл. 19_9, они различаются лишь размером.

Могила № 2 (табл. 15_2, 26_2) представляла собой прямолинейную яму (1,1×0,8 м) с направлением с запада на восток. Покойник лежал в скорченном положении, на правом боку, головой на восток, от поверхности земли на 1 м. Рядом с черепом обнаружены горшок и пиала, у бедра — горшок с одной ручкой. На среднем пальце ле-

вой руки было бронзовое колечко, у шеи найдены костяная и сердоликовая бусины. У груди лежала железная булавка. Рядом с восточной стеной могилы обнаружен бронзовый четырехугольный наконечник копья.

Горшок (табл. 20_1). Черепок серого цвета, тонкий слой поверхности черный, ушко в сечении лентовидной формы, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины. Горшки, похожие на тот, найдены в Вани, датируются IV—III вв. и III—I вв. до н. э. ([24], стр. 131, 271; [23], стр. 64, табл. III_{11}); в Мцхета — VI—IV вв. до н. э. ([25], табл. $VII_{2,3,4}$); в Триалети — VII—V вв. до н. э. ([18], стр. 107, табл. $XIII_{44,2}$); в Юго-Осетии — эллинистическим периодом ([26], стр. 18, рис. 8_1); в Пичвнари — VI—IV вв. до н. э. ([27], стр. 89—91, табл. II_5, XVIII); в Тетрицкаро — VI—IV вв. до н. э. ([32], стр. 46—47, табл. 1_1).

Колечко (табл. 20_2), изготовлено из бронзовой проволоки, концы раскрыты. Такие колечки в большом количестве найдены в археологических памятниках Кавказа позднебронзовой и железной эпох.

Костяная бусина (табл. 20_3) пуговицеобразной формы.

Пастовая бусина (табл. 20_4), имеет форму усеченного конуса.

Стеклянная бусина (табл. 20_5) зеленого цвета с желтыми шишечками.

Похожие на эту бусины найдены в Абхазии, датируются V—II вв. до н. э. ([10], стр. 254, табл. XXXV_{19}); в Мцхета — второй половиной I тыс. до н. э. ([17], стр. 35); в Юго-Осетии — эллинистическим периодом и второй половиной I тыс. до н. э. ([12], стр. 27, 67, табл. VI_6; [52], табл. 1_{17}, III_7, IV_5); в Триалети — Ахеменидской эпохой ([5], табл. II); в Пичвнари — VI—IV вв. до н. э. [(27], стр. 89—91, табл. X); в Нижнем Поволжье — VI—V вв. до н. э. ([29], стр. 86); по нижнему течению р. Днепра — III—II вв. до н. э. ([36], стр. 247, рис. 12_{18}, 14_9); у станицы Пошковской — VII—V вв. до н. э. ([28], стр. 309, рис. 5_{17}, 8_3, 10_7).

Сердоликовая бусина (табл. 20_6) сферической формы, просверлена с одной стороны.

Сердоликовая бусина (табл. 20_7) биконической формы, просверлена с одной стороны.

Бронзовый наконечник стрелы (табл. 20_8).

Железная булавка (табл. 20_9).

Миска (табл. 20_{10}). Черепок черного цвета, изготовлена на гончарном круге из шлаковой глины. Похожие миски были найдены в Мцхета, датируются VI—IV вв. до н. э. ([17]), табл. XVII_3), в Вани — второй половиной V в. до н. э. ([24], стр. 239, рис. 223); в Уплисцихе — VI—IV вв. до н. э. ([25], стр. 138, табл. $XXXIX_{1—3}$); в Итхвиси — серединой V в. до н. э. ([8], стр. 44, табл. $1_{13, 14}$); в Абхазии — V—II вв. до н. э. ([10], стр. 243, табл. 1_{12} на Северном Кавказе — VII—V вв. до н. э. ([28], стр. 309, рис. 7_{10}); по нижнему течению р. Волги — VI—V вв. до н. э. ([29], стр. 88).

Горшок (табл. 20_{11}). Черепок серого цвета, тонкий слой поверхности черный, изготовлен вручную из шлаковой глины. Аналогичный этому сосуду приведен в табл. 20_1, они различаются лишь размерами.

Могила № 3 (табл. 15_2, 26_3) представляла собой прямоугольную яму (1,2×1 м) с направлением с запада на восток. Покойник лежал в скорченном положении, на правом боку, головой на восток, от поверхности земли на 1,5 м. У южной стены могилы находился скелет овцы головой на восток. Рядом с черепом человека лежали глиняные сосуды хелада, миска и пиала, у ног — цалкура. Под черепом обнаружена золотая серьга, у шеи — сердоликовая буса и восемь сереб-

ряных бус биконической формы. Между скелетами человека и овцы лежал обсидиановый отщеп.

Хелада (табл. 21_1). Черепок серого цвета, ушко в сечении круглое, изготовлен вручную из шлаковой глины. Подобная хелада найдена в Вани и датируется III—I вв. до н. э. ([23], стр. 64, табл. III_9).

Серьга (табл. 21_2), изготовлена из бронзовой проволоки с раскрытыми концами.

Сердоликовые бусины (табл. 21_3), 6 штук, сферической формы, просверлены с одной стороны.

Серебряные бусины (табл. 21_4), 8 штук, биконической формы, представляют собой две полусферы, припаянные друг к другу.

Пастовая подвеска (табл. 21_5) голубого цвета. Похожие подвески найдены в Триалети, датируются Ахеменидской эпохой ([30], табл. II_{14}), в Тетрицкаро — VI—V вв. до н. э. ([31], стр. 46—47, табл. II_{13}).

Золотая серьга (табл. 21_6). Аналогичная серьга найдена в Триалети и датируется VII—V вв. до н. э. ([18], стр. 107, табл. XII_{379}).

Серебряная бусина (табл. 21_7) и две сердоликовые. Лежали у кисти правой руки покойника.

Миска (табл. 21_8). Черепок серого цвета, тонкий слой поверхности черный, изготовлена вручную из шлаковой глины.

Обсидиановый скребок (табл. 21_9).

Пиала (табл. 21_{10}). Черепок черного цвета, изготовлена вручную из шлаковой глины.

Хелада (табл. 21_{11}). Черепок серого цвета, изготовлена вручную из шлаковой глины. Похожие глиняные сосуды найдены в Тетрицкаро, датируются VI—IV вв. до н. э. ([31], стр. 46—47, табл. II); в Триалети — VII—V вв. до н. э. ([18], стр. 107, табл. XII_{403}); в Мцхета ([21], табл. XI, IV_3, стр. 71); в Абхазии — VIII—VI вв. до н. э. ([10], стр. 52, табл. 1_5).

Могила № 4 (табл. 15_2, 27_1) представляла собой прямоугольную яму (1,4×1 м) с направлением с запада на восток. Покойник лежал в скорченном положении, на левом боку, головой на восток, от поверхности земли на 1,2 м. У его черепа обнаружены хелада, горшок с одной ручкой, кочоби и пиала, у затылка — железная мотыга. На кистях обеих рук были железные браслеты. У шеи найдены две серебряные бусы, а у груди — железная булавка.

Браслет (табл. $22_{1,2}$) изготовлен из толстой железной проволоки с раскрытыми концами.

Серебряные бусины (табл. 22_3), 2 штуки, биконической формы, представляют собой две полусферы, припаянные друг к другу.

Железная булавка (табл. 22_4).

Хелада (табл. 22_5). Черепок серого цвета, тонкий слой поверхности черный, ушко в сечении лентовидной формы, изготовлена на гончарном круге из шлаковой глины.

Железная мотыга (табл. 22_6). Похожие на эту мотыги найдены в Юго-Осетии, датируются эллинистическим периодом ([12], стр. 27 табл. VIII_4) и IX—X вв. до н. э.; в Курзу; в Тхмори; в Ожора ([6], стр. 28, табл. $VIII_{15,16}$, $XVII_{5,10}$, XXII_5, XXVI_3); в Кахети датируются первой половиной I тыс. до н. э. ([32], стр. 367, 382, табл. XIII_2).

Кочоби (табл. 22_7). Черепок серого цвета, тонкий слой поверхности черный, изготовлен вручную из шлаковой глины. Такие сосуды найдены в Кахети, датируются I в. до н. э. — I в. ([33], стр. 92, табл. V, IX в, XIV); в нижней Картли III—I вв. до н. э. ([16], стр. 161—162,

табл. V_4); на Северном Кавказе — VII—VI вв. до н. э. ([28], стр. 309, рис. 9_{18}).

Пиала (табл. 22_3). Черепок кирпичного (?) цвета, изготовлена на гончарном круге из шлаковой глины.

Цалкура (табл. 22_9). Черепок серого цвета, тонкий слой поверхности черный, изготовлена на гончарном круге из шлаковой глины.

Могила № 5 (табл. 15_2, 27_3) представляла собой прямоугольную яму (0,7×0,8 м) с направлением с запада на восток. В могиле похоронен маленький ребенок в скорченном положении, на левом боку, головой на восток, от поверхности земли на 1,5 м. Рядом с черепком находился горшок с одной ручкой. На кисти левой руки был бронзовый браслет с бронзовой цепочкой.

Браслет (табл. 23_3) изготовлен из бронзовой проволоки с раскрытыми концами, на нем висит бронзовая цепочка.

Горшок (табл. 23_4). Черепок серого цвета, тонкий слой поверхности черный, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины.

Могила № 6 (табл. 15_2, 27_2) представляла собой овальную яму диаметром 3,5 м. У юго-восточной стены могилы в 1,3 м от поверхности обнаружен скелет лошади головой на восток. На шее лошади находился бронзовый колокольчик, в зубах железные удила, у лба — бронзовая пуговица. У западной стены могилы захоронен покойник в сидячем положении, прислонившийся спиной к торсу лошади.

Череп покойника находился у северной стены могилы. Рядом с ним лежала миска, у правой руки — пиала и серебряная пуговица. Между черепом и скелетом покойника обнаружены 2 бронзовых наконечника. Стрелы скифского типа. В центре могилы найдены 4 обсидиановых отщепа.

Бронзовые наконечники стрел (табл. $24_{1,2}$) скифского типа, трехгранные. Похожие на них наконечники стрел обнаружены в Мцхета; в Бешташени, датируются второй половиной VII в. — VI в. до н. э. ([1], см. хронологическую таблицу — № 63, 66); в Кахети — VI в. до н. э. ([34], стр. 105, 148, табл. $XXVIII_{2,8}$); в Цицамури — VI в. до н. э. ([5], стр. 47, рис. 41_5); в Юго-Осетии — VII—VI вв. до н. э. ([4], стр. 134, рис. 77_8); в Итхвиси — серединой V в. до н. э. ([8], стр. 44, табл. 1_4); в Вани — третьей четвертью IV в. до н. э. ([24], стр. 203, рис. 175); в Абхазии — VII—VI вв. до н. э. ([10], стр. 164, табл. $V_{18—19}$); на Северном Кавказе — VII—V вв. до н. э. ([28], стр. 309, рис. 5) и VII—VI вв. до н. э. ([35], стр. 137, см. хронологическую таблицу рис. 16); в бассейне нижнего течения р. Днепра — III—II вв. до н. э. ([36], стр. 247, рис. 5_3, 10_5); в Западном Подонье — VII—VI вв. до н. э. ([13], рис. 8_{19}); в юго-западной Сибири — V—III вв. до н. э. ([37], стр. 97—99, рис. 2, 13, 14), в Средней Азии — VIII—IV вв. до н. э. ([36], стр. 248, рис. 1,3). Некоторые из этих наконечников костяные, но все они одного типа и считаются характерным элементом скифской культуры ([39], стр. 47—48, рис. 1, 4, 5). Такие же наконечники стрел найдены в развалинах урартского города Теишебаини, а также в Кархемиши, который был разгромлен в 504 г. до н. э. царем Навуходоносором ([40], стр. 148; [5], стр. 44, рис. 41).

Серебряная пуговица (табл. 24_3) полусферической формы.

Бронзовая пуговица (табл. 24_4) кругло-плоская. Такие пуговицы в археологических комплексах на Кавказе появляются в XIII—XI вв. до н. э. ([41], стр. 110, 119, рис. 89, 90).

Железные удила (табл. 24_5), имеют 4 бронзовые подвески. Аналогичные удила найдены в Кахети, датируются VII—VI вв. до н. э. ([34], стр. 147, табл. XXIII_3); в Азербайджане — XIII—XI вв. до н. э. ([41],

стр. 119, табл. XXXIX$_{1,2}$). На Северном Кавказе — VII—VI вв. до н. э. ([35], стр. 137, рис. 12, см. хронологическую таблицу); в юго-западной Сибири — V—III вв. до н. э. ([37], стр. 97—99, рис. 3, 9, 10, 11). Подвески, похожие на те, что были на вышеописанных удилах, встречены в Мцхета, датируются второй половиной VII—VI вв. до н. э. ([1], см. хронологическую таблицу № 41); в Итхвиси — серединой V в. до н. э. ([8], стр. 44, табл. I$_{16}$); в юго-западной Сибири — V—III вв. до н. э. ([34], стр. 97—99, рис. 3, 9, 10, 11). Эти подвески костяные; но типологически они близки с бронзовыми подвесками из с. Абано (см. таблицы).

Обсидиановые отщепы (табл. 24$_6$). 4 шт.

Бронзовый колокол (табл. 24$_7$) с прорезанным боком и железным язычком. Похожие на него колокольчики обнаружены: в Мцхета, датируются VI—IV вв. до н. э. ([17], стр. 31, табл. XVIII$_8$) и V—IV вв. до н. э. ([16], стр. 151); в Ахалгори — V—IV вв. до н. э. ([42], стр. 58); в Казбеги; в Брили, в Ардасубани — серединой I тыс. до н. э., VI—V вв. до н. э. ([43], стр. 58, см. в сноске) и V—IV вв. до н. э. ([44], стр. 68); в Болниси — VI—V вв. до н. э. ([11], стр. 117, табл. VII$_2$); в Ахалцихе ([45], стр. 21; табл. XVII$_5$); в Юго-Осетии — VIII—VI вв. до н. э. ([4], стр. 134; рис. 103$_3$); в Дапнари — IV в. до н. э. ([46], стр. 58—59); в Абхазии — VII—VI вв. до н. э. ([10], стр. 186; табл. IV$_6$, XXII$_5$).

Пиала (табл. 24$_3$). Черепок черного цвета, изготовлен вручную из шлаковой глины.

Миска (табл. 24$_9$). Черепок черного цвета, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины.

В 100 м к западу от Цихнана у дороги обнаружены человеческие кости. Здесь раскопана одна могила (табл. 15$_1$, траншея № 4, табл. 23$_{1,2}$). Покойник лежал в скорченном положении, на правом боку, головой на восток. У черепа найден кочоби, а у шеи — шейный браслет.

Кочоби (табл. 23$_1$). Черепок серого цвета, тонкий слой поверхности черный, изготовлен на гончарном круге из шлаковой глины.

Шейный браслет (табл. 23$_2$), изготовлен из железной проволоки с раскрытыми концами.

Таким образом, в местечке Цихнана раскопано 7 могил. На примере найденного археологического материала нет возможности высказать мнение о погребальном обряде. Между тем, известно, что в синхронном могильнике из Мцхета женщин хоронили на левом, а мужчин — на правом боку ([17], стр. 36). Причем у черепа покойника всегда находили глиняные сосуды ([17], табл. IV—V), так же, как и в могильнике у сел. Абано. Что же касается одновременного захоронения с покойником лошади, то такой обряд не характерен для Грузии. Все же такие захоронения зафиксированы в Кахети, Итхвиси, Вани. В Алазанской долине (Кахети) в 1974 году была раскопана могила, которую археологи назвали «могилой скифа».

Археологические комплексы, обнаруженные в могильнике из села Абано, датируются, в общем, серединой I тыс. до н. э. Более точно датировать их пока не удается. Ясно одно, что все шесть могил, раскопанных с восточной стороны Цихнана, одновременные. Располагаясь близко (табл. 15$_2$, 0,3—1 м), они ни в одном случае не перекрывают друг друга. Возможно, погребальные ямы были перекрыты деревянными балками, хорошо видно на примере могилы № 5 (стр. 69), где череп лежал в 1 м от костей покойника. Откатиться череп мог с течением времени только в пустоте, т. е. в могиле, имевшей сверху перекрытие. Над перекрытиями были каменные или земляные насыпи, которые хорошо видны в течение долгого времени (20—30 лет) до своего

нивелирования и до обвала деревянного перекрытия. Пока различать ранее устроенные могилы, покойников хоронили на том месте. Очевидно, этим и объясняется, что могилы, располагаясь рядом, не перекрывали друг друга. Следуя этому, можно сказать, что все они принадлежат одному или двум поколениям одной патриархальной семьи.

При знакомстве с археологическим материалом из погребений сел. Абано привлекает внимание тот факт, что часть глиняных сосудов изготовлена вручную (могила № 2, табл. 20_{11}, стр. 67; могила № 3, табл. $21_{1,8,10,11}$, стр. 68; могила № 4, табл. 22_7, стр. 68; и т. д.). Такие сосуды не характерны для археологических памятников Грузии середины I тыс. до н. э. и все же они встречаются на некоторых памятниках; в Мцхета — VI—IV вв. до н. э. ([17], стр. 27), в Триалети — VII—V вв. до н. э. ([18], стр. 21), в Абхазии — VII—VI вв. до н. э. ([9], стр. 54, 68). Глиняные сосуды, изготовленные вручную, характерны для памятников I тыс. до н. э. Северного Кавказа и территорий, расположенных к востоку, северу и западу от него. Такие глиняные сосуды найдены: на северо-восточном Кавказе, датируются началом I тыс. до н. э. ([47] стр. 41, рис. $21_{1—4}$, рис. 70); в Алтайском крае — V—III вв. до н. э. ([48], стр. 61, рис. 5) и VII—VI вв. до н. э. ([49], стр. 45, рис. $5_{2,3,6}$); на Северном Кавказе ([35], стр. 461, табл. XXXIX табл. $XXIV_{1—6}$); в бассейне реки Днестра — VIII—VII вв. до н. э. ([13], стр. 21—25, рис. $3_{1—7}$, рис. $9_{1—7}$); в нижнем бассейне р. Днестра III—II вв. до н. э. ([36], стр. 247, рис. $18_{1—6}$, рис. $31_{2—9}$, рис. $32_{1—7}$ и т. д. Очевидно, в середине I тыс. до н. э. с Северного Кавказа в Грузию проникает культура изготовления глиняных сосудов вручную. Исторической науке известно, что именно в это время с Северного Кавказа в Закавказье проникают киммерийцы и скифы ([50], стр. 118), что хорошо прослеживается на археологическом материале конца VII — начала VI вв. до н. э. ([51], стр. 33, 117, 122). В закавказских археологических комплексах появляются наконечники стрел скифского типа (см. выше). Предполагается, что их занесли скифы. Возможно, что и культура изготовления глиняных сосудов вручную также занесена ими, поскольку эта культура не характерна не только для Грузии I-го тыс. до н. э., но и для соседних с ней районов, кроме северных.

Ввиду того, что в местечке Цихиана закончились дорожные работы и карьер Руставского металлургического завода перестал функционировать, археологическому памятнику в ближайшее время разрушение не угрожает, следовательно в срочных раскопках его нет необходимости. Но выявление новых археологических комплексов могло бы внести ясность в поставленном вопросе.

ИСПОЛЬЗОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Р. Абрамишвили, К вопросу датировки памятников эпохи поздней бронзы и широкого освоения железа, обнаруженных на Самтаврском могильнике (на грузинском языке), Вестник Гос. музея Грузии XIX-А. XXI-В, Тб., 1959.
2. Г. А. Ломтатидзе, Археологические раскопки в Мцхета, Тбилиси, 1955.
3. Археология Грузии, Тб., 1959 (на груз. яз.).
4. Б. В. Техов, Очерки древней истории и археологии Юго-Осетии, Тб., 1941.
5. Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941.
6. Д. Л. Коридзе, К истории Колхидской культуры (на груз. яз.). Тб., 1965.
7. Н. В. Хоштария, Археологические (раскопки) исследование Уреки. Материалы по археологии Грузии и Кавказа, I. Тб., 1955.

8. Ю. Гагошидзе, Погребение из Итхвиси (на груз. яз.), Вестник Государственного музея Грузии, т. XXV-В. Тб., 1968.
9. А. Каландадзе, Археологические памятники Сухумской горы, Сухуми, 1954.
10. М. М. Трапш, Труды, II, Сухуми, 1969.
11. С. Л. Гзелишвили, Железно-плавное дело в древней Грузии, Тб., 1964.
12. Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1954 г. в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949.
13. А. И. Мелюкова, Памятники скифского времени лесостепного среднего поднестровья, Материалы и исследования по археологии СССР, № 64, Москва-Ленинград, 1958.
14. Г. А. Ломтатидзе, Некрополь II века в Клдеети, Тб., 1957.
15. А. Бохочадзе, Раннеантичные погребения в окрестностях Тетри-Цкаро, Тб., 1962.
16. В. Толордава, Материалы к истории Иберского царства в III—I вв. до н. э. Тб., 1965.
17. Р. Рамишвили, Камарахевский могильник, Материалы к археологии Грузии и Кавказа, II, Тб., 1959.
18. М. Менабде, Ц. Давлианидзе. Триалетские могильники, Тб., 1968.
19. Б. В. Техов, К истории изучения памятников эпохи энеолита и бронзы в нижнем течении реки Большой Лиахви, Тб., 1963.
20. К. Н. Пицхелаури, Локализация археологических культур на территории Восточной Грузии, Труды Кахетинской археологической экспедиции, I, Тб., 1969.
21. Каталог археологических материалов, II, Тб., 1955.
22. О. Лордкипанидзе, Культура древней Колхиды, Тб., 1972.
23. Н. Н. Матиашвили, Местная керамика эллинистической эпохи из Вани (резюме), Материалы к арх. Грузии и Кавказа, Тб., 1975.
24. Вани, I, Тб., 1972.
25. Д. А. Хахутайшвили, Уплисцихе, II, Тб., 1970.
26. Б. В. Техов, Археологические изучения Южной Осетии за 50 лет Советской власти. Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института, выпуск XV, Цхинвали, 1969.
27. А. Н. Кахидзе, Материалы по истории древних городов Восточного Причерноморья (резюме), 1965.
28. К. Ф. Смирнов, Меотский могильник у станицы Пошковской. Материалы и исследования по археологии СССР № 64, Москва-Ленинград, 1958.
29. И. В. Синицын, Древние населения нижнего Поволжья. По следам древних культур, Москва, 1954.
30. Б. А. Куфтин, Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе, Тб., 1948.
31. К. Д. Квижинадзе, Памятники античного периода Тетрицкаройского района (резюме), 1973.
32. А. Бохочадзе, Вестник Государственного музея Грузии, XXII—В, Тб., 1961.
33. Г. Ниорадзе, Археологические раскопки по Алазанской долине, Тб., 1940.
34. К. Н. Пицхелаури, Древняя культура племен, населявших территории Иоро-Алазанского бассейна, (резюме), Тб., 1965.
35. Е. И. Крупнов, Древняя история Северного Кавказа, 1960.
36. Н. Н. Погребова, Позднескифские городища на нижнем Днепре, Материалы и исследования по Археологии СССР № 64, Москва-Ленинград, 1958.
37. В. И. Полтаратская, Памятники эпохи ранних кочевников в Туве, Археологический сборник № 8, Москва-Ленинград, 1966.
38. История таджикского народа, I, Москва, 1963.
39. Б. В. Техов, Скифские элементы в материальной культуре Юго-Осетии. Вопросы истории Кавказского народа, Тб., 1966.
40. Я. А. Манандян, О некоторых проблемах истории древней Армении и Закавказья, Ереван, 1944.

41 Г. М. Асланов, Р. М. Вайдов, Г. И. Ионе, Древний Мингечаур, Баку, 1959.
42 Я. И. Смирнов, Археологический клад, Тб., 1934.
43. Л. Г. Цитланадзе, К некоторым вопросам Казбекского клада, резюме.
44. П. С. Уварова, Коллекции Кавказского музея, т. V, Археология, Тб., 1902.
45. Г. Ниорадзе, Археологические разведки ущелья р. Куры XIII в. Тб., 1944.
46. Н. Кигурадзе, Кувшинное погребение из села Даннари, Тб., 1971.
47. А. П. Круглов, Северо-восточный Кавказ во II—I тысячелетиях до н. э. Материалы и исследования по Археологии СССР, № 68. Москва-Ленинград, 1958.
48. М. И. Завитухина, Курганы у села Бистрянского в Алтайском крае. Археологический сборник, № 8, Москва-Ленинград, 1966.
49. С. С. Сорокин, Памятники ранних кочевников в верховьях Бухтары. Археологический сборник, № 8, Москва-Ленинград, 1966.
50. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959.
51. К. Н. Пицхелаури, Основные проблемы истории племен Восточной Грузии в XV—VII вв. до н. э. (на груз. яз.) (резюме).
52. Е. Г. Пчелина, Погребальные комплексы из Сохта, УРС — дзуаррухе Юго-Осетии, Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института, Выпуск XV, Цхинвали, 1969.

გურამ კვირკველია

იაშთხვას ადრეანტიკური ხანის სამარხები

(ტაბ. 28-29)

იაშთხვას (იაშტუხის) მთა მდებარეობს სოხუმიდან 7 კმ-ის დაშორებით. აქ 1958—1959 წლებში სადაზვერვო სამუშაოებს ატარებდა შავიზღვისპირეთის პალეოლითური ექსპედიცია ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით. გათხრების შედეგად ქვედაპალეოლითურ ძეგლებთან ერთად მთის დასავლთ ნაწილში — უნაგირაზე, აღმოჩენილი იყო მეტად საინტერესო ინვენტარის შემცველი ორი სამარხი[1].

ორივე სამარხი გამართული იყო უშუალოდ გრუნტზე და ზევიდან ფარავდა მიწის თხელი ფენა. ნ. ბერძენიშვილის ცნობით, სიმინდის ნათესების ამოძირკვისას მათ თან მოჰყვებოდათ ბრინჯაოს ნივთები. სამარხი ორმოების კონტურების დაფიქსირება ვერ მოხერხდა, ვერ მოხერხდა აგრეთვე მიცვალებულის ორიენტაციის დადგენა. პირველი სამარხის ქამრის მიხედვით, რომელიც it situ მდგომარეობაში იმყოფებოდა, თითქოს მიცვალებულის გვერდზე მიკრუნჩხული მდგომარეობაა სავარაუდებელი, ინვენტარი ძირითადად ბრინჯაოს ნივთებისაგან შედგებოდა. არ იყო აღმოჩენილი არც ერთი თიხის ჭურჭელი.

სამარხი № 1. 1. ბრინჯაოს ზარაკი (ტაბ. 28_2), ცილინდრულტანიანი, რომელსაც მრგვალგანივკვეთიანი ყური აქვს მირჩილული. ზარაკს კორპუსის თავზე, ყურის ქვეშ აქვს მცირე ზომის ნახვრეტი. კორპუსის ერთ მხარეს შერჩენილი აქვს წიწვოვანი ორნამენტი. ყური წატეხილი აქვს. კორპუსის სიმაღლე — 3,5 სმ, პირის დიამეტრი — 2,5 სმ.

2. ბრინჯაოს ზარაკი (ტაბ. 28_3), მცირე ზომის, კორპუსი კონუსისებური მოყვანილობის, ცალი გვერდი ჩაჭრილი აქვს. კორპუსზე ერთმანეთის პირისპირ მოთავსებულია ორი ნახვრეტი. ყური ოვალური მოყვანილობისაა. კორპუსის სიმაღლე — 1,7 სმ, პირის დიამეტრი — 1,0 სმ.

3. ბრინჯაოს ზარაკი, № 2-ის ანალოგიური (ტაბ. 28_4) ზედაპირი შედარებით უკეთ აქვს დაცული. ზარაკის კიდეზე ჩანს ორი პარალელური ამოღარული ხაზი, რომლებიც კორპუსის ირგვლივ შემოუყვება.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს შავიზღვისპირეთის პალეოლითური ძეგლები. სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1959 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. თბ., 1960, შემდგომ, 1969 წ-ს, სოხუმელმა არქეოლოგმა ი. ნ. ვორონოვმა ნ. ბერძენიშვილის ნებართვის გარეშე გამოაქვეყნა ინვენტარის ნაწილი და ის გვიანბრინჯაოს ხანით დაათარიღა, თანაც სამარხის ინვენტარი ერთ სამარხეულ კომპლექსად ჩათვალა (См. Ю. Н. Воронов, Археологическая карта Абхазии, Сухуми, 1969). აქვე გულითადი მადლობა მინდა გადავუხადო ისტ. მეცნიერებათა კანდიდატს ნინო ბერძენიშვილს მასალისა და ინფორმაციის მოწოდებისათვის.

4—5. ბრინჯაოს ზარაკები, შემორჩა მხოლოდ ყურისა და კორპუსის ზედა ნაწილის ფრაგმენტები. წინა ორი ზარაკის ანალოგიურია.

6. ბრინჯაოს ზარაკი, კიდევ უფრო ფრაგმენტულადაა შემორჩენილი.

ამას გარდა შემორჩენილია ზარაკების კიდევ ოთხი ფრაგმენტი. ერთ-ერთი მათგანი როგორც ჩანს, № 1 ზარაკის კედლისაა, ხოლო დანარჩენი სამი ყურების ფრაგმენტებია.

7. ბრინჯაოს ბრტყელგანივკვეთიანი სამაჯურის ნატეხები (ტაბ. 28_7) ბოლოებშევიწროებული. ზედაპირი დაფარულია გრავირებული ორნამენტით, რომელიც შედგება წერტილების, მოკლე ხაზებისა და წრეებისაგან. სულ 12 ფრაგმენტი.

8. ბრინჯაოს ბრტყელგანივკვეთიანი სამაჯურის ნატეხები (ტაბ. 28_8) ბოლოებშევიწროებულია. ზედაპირი დაფარული აქვს გრავირებული ორნამენტით, რომლის დიდი ნაწილი დაზიანებულია. სულ 4 ფრაგმენტი.

9. ბრინჯაოს ბრტყელგანივკვეთიანი სამაჯურის ნატეხები (ტაბ. 28_9). ზედაპირი გრავირებული აქვს № 7 სამაჯურის მსგავსად. 3 ფრაგმენტი.

10. ბრინჯაოს ბრტყელგანივკვეთიანი სამაჯურის ნატეხები. (ტაბ 28_{10}). ზედაპირი გრავირებული აქვს № 8 სამაჯურის მსგავსად, 3 ფრაგმენტი.

11. ბრინჯაოს ბრტეყლგანივკვეთიანი სამაჯურის ორი ნახეტი (ტაბ. 28_{11}), როგორც ჩანს სამაჯურის თავებს წარმოადგენდნენ. ერთ-ერთ მათგანს ეტყობა გრავირებული ორნამენტი.

12. ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი თავებგახსნილი სამაჯურის ნატეხები (ტაბ 28_{12}) ზურგშეზნექილობის კვალი არ ეტყობა. ნაკეთებია წვრილი მავთულისაგან. თავები დაკეპნილი აქვს, ატარებს ზოომორფულ იერს.

13. ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი სამაჯურის ნატეხები (ტაბ. 28_{13}), გველისთავებიანი. ღერო ოდნავ შებრტყელებული აქვს. გველის თავები გრავირებულია ირიბი ჭდეებით. სულ 4 ფრაგმენტი.

14. ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი სამაჯურის ნატეხები, თავებგახსნილი. გრავირების კვალი არ ეტყობა. სულ 5 ფრაგმენტი.

15. ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი ძლიერდეფორმირებული სამაჯურის ნატეხები. ორი ფრაგმენტი.

16. რკინის მრგვალგანივკვეთიანი თავებგახსნილი სამაჯური (ტაბ. 28_{14}) ღერო დაფარული აქვს განივი ჭდეებით. სულ სამი ფრაგმენტი.

17. ბრინჯაოს ქამარი (ტაბ. 28_1) შედგენილი სამასამდე მოგრძო რგოლისაგან, რომლებიც განლაგებულია სამრიგად და მოგრძო ღეროებით დაყოფილნი არიან რვა მონაკვეთად. ქამარი ბოლოვდება ბალთებით. ორივე ბალთა სამკუთხედი ფორმისაა. ერთ-ერთ მათგანს კიდეებზე ჩამოუყვება წნული ორნამენტი. მეორეს — მოკლე პარალელური ხაზებით შედგენილი ბილიკები, ხოლო შუაში დაბალი ქედი გასდევს. ეს ბალთა ბოლოვდება ვერძის რქების სტილიზებული გამოსახულებით. პრინციპულად ორივე ბალთა თითქმის ანალოგიურია. ორივეს სიგრძე უდრის 10 სმ-ს, ფუძის სიგანე — 6 სმ-ს. ქამრის საერთო სიგრძე ბალთებიანად —75 სმ.

18. ბრინჯაოს ფიბულის ნატეხი (ტაბ. 28_5), რომბისებურზურგიანი. ზურგი გრავირებულია. რომბის დიდი დიაგონალის გაყოლებაზე ის გაყოფილია ორ ტოლ სამკუთხედად ირიბი ჭდეების ორმაგი ბილიკით. თითო ასეთი ბილიკი ფიბულას შემოუყვება კიდეებზეც. ერთ-ერთ მიღებულ სამკუთხედში მოთავ-

სებულია წრე. მეორე სამკუთხედში შესაბამისი ადგილი მოტეხილია, ფიბულის სიგრძე — 3,5 სმ.

19. ბრინჯაოს ფიბულის ნატეხი (ტაბ. 28_6) № 18-ის ანალოგიური. შემორჩენილი აქვს მხოლოდ ზურგის ფრაგმენტი რომბის ორ ნაწილად გამყოფი ორმაგი ბილიკით.

20. რკინის შუბისპირის ნატეხი (ტაბ. 28_{15}), წვერი და მასრა გადატეხილია და დაკარგული. პირზე შემორჩენილია ქედის ნაწილი.

სამარხი № 2. 1. ბრინჯაოს ბალთა (ტაბ 28_7) ბაყაყის მაგვარი გამოსახულებიანი. დარწმუნებით იმის თქმა, რომ ეს ბაყაყია და არა სხვა რომელიმე ცხოველი (კუ, ხვლიკი) — შეუძლებელია. ბალთის ზედა მხარე ამობერილია. თვალები და ფეხები გადმოცემულია ამოღარული წრეებითა და ხაზებით. ბალთის უკანა მხარეს მრგვალგანივკვეთიანი ყურია მირჩილული. სხეულის სიგრძე —7,5 სმ, სიგანე —1,5 სმ.

2. ბრინჯაოს ზარაკი (ტაბ. 29_2) № 1 სამარხის №№ 2—6 ზარაკების ანალოგიურია.

3. ბრინჯაოს საკინძი ირმის რქების სკულპტურულგამოსახულებიანი (ტაბ. 29_1). საკინძის ღერო წარმოადგენს მრგვალ გლუვ მავთულს წაწვეტებული ბოლოთი. თითო რქაზე — ორ-ორი ბურთულასებური გამონაშვერია. საკინძის სიმაღლეა 2,5 სმ, მანძილი რქების ბოლოებს შორის — 2 სმ.

4. ბრინჯაოს სამაჯურის ნატეხი (ტაბ. 29_5) ჩამოსხმული. წარმოადგენს თხელ ფირფიტას, რომელსაც შუაზე გასდევს დაბალი ქედი, ხოლო კიდეებზე ბურთულების რიგები. ერთ გვერდზე 9 ბურთულა აქვს შემორჩენილი, ხოლო მეორეზე — 11.

5. ბრინჯაოს ფრაგმენტი (ტაბ. 29_3). საფასადო მხარეს გაურკვეველი ხასიათის რელიეფური გამოსახულება აქვს. ანალოგიების მიხედვით, შესაძლოა, ზემოთაღწერილი სამაჯურის ერთ-ერთ თავს წარმოადგენდა.

6. ბრინჯაოს ძეწკვის ფრაგმენტი (ტაბ. 29_6). შემორჩენილი აქვს სულ სამი პრტყელგანივკვეთიანი რგოლი.

7. ბრინჯაოს ბალთების ფრაგმენტები (ტაბ. 29_8). ყველა ბალთა ერთი ტიპისაა. ბალთის ცენტრს წარმოადგენს წაგრძელებული რომბის ფორმის ბრტყელი ფირფიტა, რომელსაც უკანა მხრიდან ყური აქვს მირჩილული. ფირფიტას ორივე მხარეზე ორ-ორი ერთ სიბრტყეზე გაშლილი სპირალი აქვს, რომლებიც ვოლუტისებურადაა დახვეული, ცალკეული სპირალების დიამეტრები მერყეობს 2,4 სმ-დან 3,0 სმ-მდე. ყურების (ტაბ. 29_4) რაოდენობის მიხედვით სულ 9 ბალთა უნდა ყოფილიყო. ფრაგმენტების საერთო რიცხვი 33-ს აღწევს.

როგორც ვხედავთ, იაშთხვას სამარხებში წარმოდგენილია მეტად საინტერესო და ბევრ შემთხვევაში უნიკალური ნივთები, რომლებსაც არ მოეძებნება ანალოგიები კავკასიის სიძველეთა შორის. ასეთებია თუნდაც ბაყაყისმაგვარი გამოსახულებიანი ბალთა, № 1 სამარხის ჭამარი და სხვ. ორივე სამარხი დაახლოებით თანადროული უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ გარდა ზარაკებისა, ამ სამარხებში ერთმანეთის მსგავსი ნივთები ჩვენ არ გვხვდება, ამ თანადროულობას მოწმობს ორივე სამარხში შემავალი ნივთების თანაარსებობა აფხაზეთის სხვა დახურულ კომპლექსებში, მაგალითად სოხუმის მთის კრემაციულ სამარხებში რომბისებურზურგიანი ფიბულებისა და ბურთულებიანი

სამაჯურების[2] სოხუმის მთის კრემაციული სამარხების რაიონში გავლებულ თხრილში შემთხვევით მოპოვებული ნივთებიც (ზარაკები, ბრინჯაოს ბრტყელგანივკვეთიანი სამაჯურის ორნამენტი)[3] მოწმობენ ამ კრემაციული სამარხებისა და იაშთხვას სამარხეული კომპლექსების დიდ ქრონოლოგიურ სიახლოვეს. როგორც ცნობილია, ალ. კალანდაძემ სოხუმის მთის კრემაციული სამარხები დაათარიღა დროით არაუგვიანეს ძვ. წ. VI ს-ისა. ამ თარიღს ეწინააღმდეგება წითელი შუქურას სამაროვნის უმცროსი ჯგუფის № 12 სამარხში ორი რომბისებურზურგიანი ფიბულის აღმოჩენა უფრო გვიანდელ შავლაკიან კერამიკასთან ერთად[4].

გარდა სოხუმის მთის კრემაციული სამარხებისა, ბურთულებიანი სამაჯურები ჩვენთვის ცნობილია ბომბორის განძიდან[5] და აბგარხუკიდან[6], იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელს თავები მეტ-ნაკლებად სხვანაირად აქვს გაფორმებული (ექვსი-შვიდი სპირალით შედგენილი კომპოზიცია). ბ. კუფტინი აღნიშნავდა ბომბორის განძის დიდ სიახლოვეს ყაზბეგის განძთან[7] (ძვ. წ. V—IV სს.). აბგარხუკის მსგავსი თავებიანი სამაჯურები. ოღონდ ბურთულების გარეშე, აღმოჩენილია წითელი შუქურას სამაროვნის უფროსი ჯგუფის № 4 სამარხში ბრინჯაოს რომბისებურზურგიან ფიბულასთან, გველისთავებიან მრგვალგანივკვეთიან სამაჯურებთან და რკინის იარაღთან ერთად (მათ შორის რკინის კვერცული)[8]. კვერცულიცა და გველისთავებიანი სამაჯურიც ამ სამარხს ძვ. წ. VI—V სს-ით ათარიღებს.

ოთხსპირალიანი ბალთები იაშთხვას № 2 სამარხიდან მოულოდნელ ანალოგიებს პოულობს ჩეჩნეთში, ლუგოვოის სამაროვანზე, სადაც ძვ. წ. VI—IV სს-ით თარიღდება[9]. ასეთივე ბალთა ამ რაიონში ნაპოვნი იყო უფრო ადრეც, სოფ. ძველ ატაგიში[10]. ჩეჩნურ ნიმუშებს აფხაზურისაგან განასხვავებს მხოლოდ სპირალებს შორის მოთავსებული ვარდულა, მაშინ როცა იაშთხვას ბალთებზე ეს ადგილი გლუვია.

როგორც აღვნიშნეთ, იაშთხვას № 2 სამარხში უნიკალურ ნივთს წარმოადგენს სამრიგად დალაგებული წაგრძელებული ფორმის რგოლებისაგან შედგენილი ქამარი. ერთ-ერთ ბალთას კიდეებზე გასდევს ორმაგი წნულის ორნამენტი, რომელიც, ჩვენი აზრით წარმოადგენს ადრეანტიკური ხანის ბრინჯაოს სამკაულებზე გავრცელებული ირიბი ხაზებით შედგენილი ორმაგი ბილიკების სახესხვაობას. ამდაგვარ ბილიკებს ჩვენ ვხედავთ როგორც იაშთხვაზე (№ 1 სამარხების სამაჯურები, ფიბულები), აგრეთვე აფხაზეთის სხვა ძეგლებზეც. მაგალითად, ამდაგვარი პრინციპითაა გაფორმებული გუადიხუს უფროსი ჯგუფის სამარხების მთელი რიგი ნივთები[11] (მაგ., სამაჯურები, დიადემა და სხვა), სოხუმის მთის სამარხების ფიბულები, ბრტყელგანივკვეთიანი სამაჯური[12], ძვ. წ. VI ს-ის პირველი ნახევარის აკინაკის ჭარქაში სოფ. კოლ-

---

[2] ალ. კალანდაძე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1954.

[3] იქვე, გვ. 53-54, ტაბ. VII, 1, 2, 3.

[4] М. М. Трапш, Труды, II, Сухуми, 1969, გვ. 274; 276, ტაბ. XXXIX_4, 7, 8.

[5] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, I, 1949, стр. 240, рис. 54.

[6] იქვე, გვ. 241, ნახ. 54.

[7] იქვე, გვ. 254.

[8] М. М. Трапш, დასახ. ნაშრომი, გვ. 85, ტაბ. VI_1.

[9] Е. И. Крупнов, Древняя история Северного Кавказа, 1960. ტაბ. XXI_1.

[10] იქვე, გვ. 79, ტაბ. II_3.

[11] М. М. Трапш, დასახ. ნაშრომი. ტაბ. III_1, 2, 4, 14.

[12] ალ. კალანდაძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. VII_1.

ხეთში აღმოჩენილი სამარხიდან[13], ოვალურზურგიანი ფიბულა ძვ. წ. VII—VI სს. სამარხიდან ენჯებლიში[14], ბრინჯაოს სამაჯური ანუხვის ანტიკური ხანის სამაროვნიდან[15] და სხვა. ყველა ამ ნივთს აერთიანებს აგრეთვე ის გარემოება, რომ მათ დეკორში გამოყენებულია ე. წ. „ზენური“ ორნამენტი. იაშთხვას № 1 სამარხის №№ 8, 10 სამაჯურები სწორედ ამდაგვარი ირიბხაზიანი ბილიკითაა გაფორმებული, ხოლო № 10 სამაჯურის დეკორს სწორედ „ზენური“ ორნამენტი ავსებს. ამ მხრივ ეს სამაჯური დიდ მსგავსებას იჩენს როგორც გუადიხუს უფროსი ჯგუფის სამარხების სამაჯურებთან[16], ასევე ვანის ძვ. წ. V ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებულ № 11 სამარხის სამაჯურებთან[17].

იაშთხვას № 1 სამარხის მრგვალგანივკვეთიანი თავებგახსნილი ბრინჯაოს სამაჯურებიდან აღსანიშნავია №№ 12, 13 სამაჯურები, რომლებიც ზომორფული და გველისთავებიანი გამოსახულებებით ბოლოვდება. გველისთავებიანი სამაჯურების საქართველოს ტერიტორიაზე გაჩენის საწყის თარიღად ძვ. წ. VI ს. ითვლება. ო. ტყეშელაშვილი შორის ნასოფლარის სამაროვანზე აღმოჩენილ მსგავს სამაჯურებს ძვ. წ. VI ს-ით ათარიღებს[18]. უნდა აღვნიშნოთ, რომ სამი ასეთი სამაჯური აღმოჩნდა № 22 სამარხში ვერცხლის სხივანა საყურესთან ერთად[19]. ამ საყურეს ო. ტყეშელაშვილი ათარიღებს ძვ. წ. VI ს-ით ბეშთაშენის სამაროვანზე ასეთივე საყურის პოვნის საფუძველზე[20]. ზუსტად დათარიღებულ კომპლექსებში ასეთი საყურეები ნაპოვნია მხოლოდ ვანის სამარხებში, სადაც ძირითადად ძვ. წ. V—IV სს-ით თარიღდება[21]. უფრო ადრინდელი თარიღის მისაღებად ჯერჯერობით არავითარი საფუძველი არ არსებობს. ამიტომ შორის სამაროვნის № 22 სამარხიცა და მასში შემავალი ნივთებიც ამ დროით უნდა დათარიღდეს. კამარხევის სამაროვანზე ამგვარ სამაჯურებს რ. რამიშვილი ძვ. წ. V ს-ით ათარიღებს[22]. საკუთრივ აფხაზეთში გველისთავებიანი სამაჯურები გვხვდება წითელი შუქურას უფროსი ჯგუფის სამარხებში, თანაც მხოლოდ რკინის იარაღის თანხლებით, რომელიც ამ სამაჯურებს ძვ. წ. VI—V სს-ით ათარიღებს.

დიდი ზომის ზარაკი იაშთხვას სამარხიდან უახლოვდება წითელი შუქურასა[23] და სოხუმის მთის[24] სამარხების ზარაკებს, რომლებზედაც არწივებია გამოსახული. ამ ზარაკებთან ერთად ის დიდ მსგავსებას პოულობს ყაზბეგის განძის დიდი ზომის ზარაკებთან[25].

რაც შეეხება ბრინჯაოს რომბისებურზურგიან ფიბულებს იაშთხვას № 1

---

[13] М. М. Трапш, Новая археологическая находка в Абхазии, КСИИМК, 53, 1954; Ю. Н. Воронов, Археологическая карта Абхазии, Сухуми, 1969, таб. XXXIX, стр. 44.

[14] Ю. Н. Воронов, დასახ. ნაშრომი. ტაბ. X_3.

[15] იქვე. ტაბ. X, II_{10}.

[16] М. М. Трапш, Труды, II, ტაბ. III_4, $_{14}$.

[17] ვანი I, თბ., 1972, გვ. 232, ილ. 205.

[18] ო. ტყეშელაშვილი, ფოლადაურის ხეობა, 1969, გვ. 73.

[19] იქვე, გვ. 69.

[20] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, стр. 41—47.

[21] ოთ. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი, ვანი, I, თბ., 1972, გვ. 15.

[22] რ. რამიშვილი, კამარხევის სამაროვანი, მსკა, II, 1959.

[23] М. М. Трапш, დასახ. ნაშრომი, გვ. 88, ტაბ. XXII_5.

[24] ალ. კალანდაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 54, ტაბ. VII_2.

[25] МАК, VIII, 1900, Рис. 135, 136.

სამარხიდან, ისინი ორნამენტაციის პრინციპების მხრივ ახლოს დგანან ცნობილ კოლხურ დიადემებთან, რომლებიც ძირითადად ძვ. წ. V—IV სს.-ებშია გავრცელებული. დამახასიათებელია, რომ ფიბულის ზურგი იღებს რომბის ფორმას, რომელიც გრძელი დიაგონალის გაყოლებაზე ორ ტოლ სამკუთხედადაა გაყოფილი და მათში სარკისებურად სიმეტრიული გამოსახულებებია მოთავსებული, სოხუმის მთის სამარხების შემთხვევაში სამ-სამი წრე, იაშთხვაზე — თითო-თითო. როგორც ჩანს ეს ფიბულები აღნიშნულ დიადემებთან ერთად ერთი წრის ნივთებს წარმოადგენდნენ და იმავე პერიოდით უნდა დათარიღდნენ. ამას მხარს უჭერს ამგვარი ვერცხლის ფიბულების აღმოჩენა წითელი შუქურას უმცროსი ჯგუფის № 12 სამარხში შავლაკიან ჭურჭელთან ერთად[26].

ასე რომ ყველა მონაცემით იაშთხვას სამარხები VI—V სს-ით უნდა დათარიღდეს. უფრო რეალურ თარიღად კი ძვ. წ. V ს. მიგვაჩნია.

უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ ჩვენი თარიღი სწორია, მაშინ ფრიად საგულისხმოა ის გარემოება, რომ მიუხედავად სოხუმის — ძველი დიოსკურიის — სიახლოვისა, ბერძნული ნივთები ჩვენ არა მარტო არ გვხვდება ინვენტარში, არამედ თვითონ მოპოვებულ ნივთებზეც არა ჩანს ბერძნული კულტურის არავითარი, თუნდაც უმნიშვნელო გავლენა. ეს, რა თქმა უნდა თავისებურ ახსნას მოითხოვს, რაც რამდენადმე ცილდება ჩვენი პუბლიკაციის მიზანს.

Г. Т. КВИРКВЕЛИА

ПОГРЕБЕНИЕ РАННЕАНТИЧНОГО ВРЕМЕНИ НА ГОРЕ ЯШТХВА

(табл. 28—29)

Резюме

В 1959 году в результате разведывательных работ причерноморской палеолитической экспедиции под руководством Н. Бердзенишвили на горе Яштхва (пос. Н. Яштух, в 7 км от Сухуми) было открыто два погребения, содержащих довольно интересный инвентарь. Оба погребения грунтовые, ингумационные. Судя по положению бронзового пояса на погребения № 1, покойник лежал в скорченном положении на боку.

Погребение №1. 1. Бронзовый колокольчик с цилиндрическим туловом и круглым в сечении ушком. На одной стороне колокольчика сохранился елочный орнамент. Высота корпуса — 3,5 см, диаметр — 2,5 см. (табл. 28_2).

2—6. Однотипные бронзовые колокольчики с конусообразным корпусом с прорезью и двумя отверстиями друг против друга. Высота корпуса — 1,7 см, диаметр — 1,0 см. Два колокольчика сравнительно хорошей сохранности (табл. $28_{3,4}$), от остальных трех сохранились лишь ушки и верхние части корпуса.

7—11. Бронзовые лентообразные браслеты. Все фрагментированы. Поверхность украшена разнообразным гравированным орнаментом (табл. $28_{8—11}$).

---

[26] М. М. Трапш, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XXXIX.

12—15. Бронзовые круглопроволочные браслеты. Двое из них (№№ 12, 13) оканчиваются зооморфными и змеевидными головками (табл. $28_{12,13}$), остальные браслеты лишены всякой орнаментации.

16. Железный круглопроволочный браслет с поперечными насечками (табл. 28_{14}).

17. Бронзовый пояс, составленный из трехсот продолговатой формы обоймиц, уложенных в три ряда. Продольными стержнями пояс разделен на восемь секций. С обеих сторон пояс оканчивается треугольными бронзовыми бляхами (табл. 28_1).

18—19. Фрагменты двух бронзовых фибул с ромбовидной спинкой. Спинка фибул по длинной диагонали разделена на два треугольника двойной дорожкой из косых насечек. В более сохранившемся экземпляре в одном из треугольников помещен кружочек. Соответствующее место в другом треугольнике отломано (табл. $28_{5,6}$).

20. Обломок железного наконечника копья. Перо и втулка отломаны.

Погребение № 2. 1. Бронзовая бляха в виде лягушки (возможно черепахи или ящерицы). На обратной стороне прикреплено ушко (табл. 29_7).

2. Бронзовый колокольчик, аналогичный №№ 2—6 погребения № 1 (табл. 29_2).

3. Бронзовая булавка со стилизованным изображением оленьих рогов (табл. 29_1).

4. Обломок бронзового лентообразного браслета с шариками вдоль краев (табл. 29_5).

5. Фрагмент бронзового украшения с неясным рельефным орнаментом. По аналогиям, возможно, головка вышеописанного браслета (табл. 29_3).

6. Фрагмент бронзовой цепочки из трех звеньев (табл. 29_6).

7. Бронзовые бляхи, фрагменты. Все однотипные. Центр бляхи представляет собой пластинку удлиненно-ромбовидной формы, от которой отходят по обеим сторонам по две спирали, волютообразно свернутые в одной плоскости. Судя по ушкам, всего девять блях. Общее число блях — 33 (табл. 29_8).

Часть инвентаря описанных двух погребений («Лягушка», бронзовый пояс) не имеет аналогии среди древностей Кавказа. Другие же предметы, как по формам, так и по орнаменту тесно примыкают к группе памятников VI — IV вв. до н. э. на территории Абхазии (Гуадиху, Сухумская гора. Красный Маяк, Абгархук, Бомборская поляна и др.). Подкреплением предложенной датировки служит нахождение блях, аналогичных погр. № 2, на Луговом могильнике VI—IV вв. до н. э.[1], а также принципиальная идентичность принципов оформления бронзовых фибул из погребения № 1 и Колхидских диадем V—IV вв. до н. э. Подтверждением одновременности этих памятников (т. е. данных фибул и диадем) служит совместное нахождение аналогичной серебряной фибулы и чернолаковой чашки в погребении № 12 младшей группы красномаяцкого могильника[2].

---

[1] Е. И. Крупнов, Древняя история Северного Кавказа, 1960, табл. LXXI.

[2] М. М. Трапш, Труды, II, Сухуми, 1969, табл. XXXIX.

ვერა თოლორდავა

ანტიკური ხანის სამარხები სოფ. ულიანოვკიდან

(ტაბ. 30—39)

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1960—1961 წლებში სოფ. ულიანოვკასთან (ლაგოდეხის რაიონი) გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებთან ერთად მიაკვლია და შეისწავლა ანტიკური პერიოდის ორი, საკმაოდ საინტერესო ორმოსამარხი[1]. ეს სამარხები სავალე დოკუმენტაციაში ფიქსირებულია, როგორც ქვევრიანი სამარხები, რადგან მიცვალებულისათვის სხვა ინვენტართან ერთად ქვევრიც ჩაუტანებიათ.

პირველი სამარხი აღმოჩნდა სოფელში შემავალი გზის მახლობლად კოლმეურნეობის ვენახთან გავლებულ თხრილში, მიწის ზედაპირიდან 0,7 მ სიღრმეზე. სამარხი დაზიანებული იყო მიწის სამუშაოებისას. მიცვალებული ესვენა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, მარჯვენა გვერდზე, მკვეთრად მოხრილი კიდურებით, მუხლებით ქვევრზე იყო მიბჯენილი. ჩონჩხი დაზიანებულია, მას აკლია ხერხემლის ზედა მალები, ნეკნები და თავის ქალას მარცხენა მხარე (ტაბ. 30,1).

მიცვალებულის თავთან აღმოჩნდა წითელკეციანი, ცალყურა, პირგადაშლილი თიხის ჭურჭლის ნატეხები ლეგა ლაქებით; თავის ქალას ჩრდილოეთით, მისგან 20-მდე სმ დაცილებით — მოწითალოდ გამომწვარი თიხის, თეთრი ანგობის ხაზებით შემკული ქილისებური ჭურჭლის ნატეხები; ფეხებთან — ლეგად გამომწვარი თიხის ძაბრისებურტანიანი პირგადაშლილი ცალყურა ტოლჩის და მოყვითალო თიხის სამფეხა ცალყურა თეფშის ნატეხები; მენჯის ძვლებთან — ბრინჯაოს წრიული (ერთი) და ოვალური ფირფიტის ბალთები, შუაში ამობურცული, ბურცობის ირგვლივ სადა და გრეხილი რელიეფური ზოლებით, გარშემო ნახევარსფერული კოპებით (ბალთები ალბათ ქამრის მორთულობას წარმოადგენდნენ); თითზე წამოცმული ჰქონდა ბრინჯაოს უბრალო ბეჭედი, რომელიც იქვე დაიშალა. სამარხში აღმოჩნდა აგრეთვე მოყავისფროდ გამომწვარი თიხის ქოთნის ფრაგმენტები, რკინის დანების ნატეხები და მინის მძივები. შეიძლება ამავე სამარხს ეკუთვნოდეს ამ ფართობზე შემთხვევით აღმოჩენილი რკინის ნამგალი, მასრა გახსნილი შუბისპირები და პატარა დანისპირი, რომლებიც სახნისს ამოჰყოლია. სამარხის საერთო ფართობია 2×2,3 მ.

---

[1] ექსპედიციის ხელმძღვანელი რ. აბრამიშვილი (იხ. არქეოლოგიური გათხრები ლაგოდეხის რაიონში, გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის და ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გაერთიანებული I სამეცნიერო სესიის თეზისები, 1965, გვ. 31, 32).

სამარხეული ინვენტარი

1. ქვევრი მოწითალოდ გამომწვარი თიხისა, თხელკეციანი, მომცრო, ძირგამოყვანილი.

2. წითლად გამომწვარი თიხის პირგადაშლილი, ცალყურა ჭურჭლის ნატეხი (ინვენტ. № 103, ტაბ. 32,2).

3. მოყვითალოდ გამომწვარი თიხის ქილისებური ჭურჭლის ნატეხები (ინვენტ. № 107).

4. ტოლჩა, ლეგად გამომწვარი თიხისა, ცალყურა, პირფართო, ძირისკენ შკვეთრად შევიწროებული ტანი ბრტყელი ჭუსლით მთავრდება, პირს გარშემო ღარი შემოუყვება (ინვენტ. № 105, ტაბ. 32,1).

5. ნატეხები მოწითალოდ გამომწვარი თიხის ჭურჭლის, თეთრი ანგობის ხაზებით შემკული (ინვენტ. № 106).

6. ნახეტი მოყვითალოდ გამომწვარი თიხის სამფეხა თეფშისა (ინვენტ. № 109, ტაბ. 32, 3).

7. წითლად გამომწვარი თიხის ცალყურა ქოთნის ნატეხები (ინვენტ. № 107, ტაბ. 32,4).

8—12. ბალთები ბრინჯაოს წრიული ფირფიტის, შუაში ამობურცული ბურცობს ირგვლივ სადა და გრეხილი რელიეფური ზოლები და ნახევარსფერული კოპებისაგან შედგენილი სარტყელი შემოუყვება (ინვენტ. № 96—100, ტაბ. 33,1; ტაბ. 39,1).

13. ბალთა ბრინჯაოს ოვალური ფირფიტისა, შუაში რომბისებურად შემაღლებული, შემკული რელიეფური და გრეხილი ზოლებით, ისევე როგორც ზემოაღწერილი ბალთები (ინვენტ. № 101, ტაბ. 33, 1).

14. რკინის დანა (ტაბ. 33,2).

15. რკინის დანის ნატეხები (ტაბ 33, 4).

16. მინის მძივები, მრგვალი ირიზებული (ინვენტ. № 103, ტაბ. 33, 5).

17. რკინის ნამგალი (ტაბ. 39,3).

18. რკინის შუბისპირები (ტაბ. 39,2).

მეორე სამარხი გაითხარა 1961 წელს ე. წ. „მრგვალ ტყესთან“, მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით სახნავ ფართობზე, მიწის ზედაპირიდან 0,4—0,5 მ-ის სიღრმეზე. სამარხი ძლიერ იყო დაზიანებული, როგორც ჩანს, მიწის სამუშაოთა შედეგად, რის გამოც მისი დამხრობის ზუსტად დადგენა ვერ მოხერხდა, მაგრამ სამარხეული ინვენტარის და ჩონჩხის შემორჩენილი ნაწილების განლაგების მიხედვით სავარაუდოა იგი ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ყოფილიყო დამხრობილი. ჩონჩხი ფეხებით, ისე როგორც პირველ სამარხში ქვევრისკენ იყო მიქცეული. ქვევრი სამარხის განაპირას იყო ჩადგმული (ტაბ. 30,2).

სამარხეული ინვენტარი პირველ სამარხთან შედარებით გაცილებით მდიდრული და მრავალფეროვანია. მასში 30-ზე მეტი მთელი და დაზიანებული თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა, ზოგიერთ მათგანში ცხოველისა და ფრინველის ძვლები ელაგა. მიცვალებულს ახლდა აგრეთვე რკინის სატევარი, შუბისპირები, დანები, ბრინჯაოს აბზინდები და სხვა. სამარხი საკმაოდ დიდ ფართობზეა გაშლილი (ტაბ. 31, 1, 2).

1. ხელადა მოყვითალოდ გამომწვარი თიხისა, მრგვალმუცლიანი, მხრებში გაფართოებული, ცალყურა და ბრტყელძირიანი (ინვენტ. № 312, ტაბ. 34,1).

2. ჭოთანი მოწითალოდ გამომწვარი თიხისა, ლეგალაქებიანი, პირგადმოკეცილი, ყელდაბალი, ძირბრტყელი. ბრტყელგანივკეთიანი ყური მიძერწილია მუცელზე. მუცელზე დაძერწილია კოპისებური შვერილები (ინვენტ. № 313, ტაბ. 34,2).

3. სამფეხა თეფში, მოყვითალოდ გამომწვარი თიხისა (ინვენტ. № 314, ტაბ. 34,3).

4. ტოლჩა, ლეგად გამომწვარი თიხისა, ცალყურა, პირისკენ ძაბრისებურად გაფართოებული, პირი გაშლილია და ოდნავ გოფრირებული, ჭურჭელი ძირისაკენ მკვეთრად შევიწროებულია და ფართო ქუსლით მთავრდება. პირს გარშემო ღარი შემოუყვება (ინვენტრ. № 315, ტაბ. 34,4).

5. სამფეხა თეფშის ფრაგმენტი მოყვითალოდ გამომწვარი თიხისა (ინვენტ. № 316. ტაბ. 34,5).

6. წითლად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნატეხები (ინვენტ. № 317, 319).

7. ჭურჭელი მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა, პირგანიერი და ძირვიწრო (ინვენტ. № 318).

8. სამფეხა თეფში, მოწითალო-აგურისფრად გამომწვარი თიხისა, პირგადაშლილი, ფეხები თითქმის ცილინდრულია, ბოლოში თათისებურად გაბრტყელებული (ინვენტ. № 320, ტაბ. 35,1).

9. ტოლჩა, რუხად გამომწვარი თიხისა, ცალყურა, პირგადაშლილი, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული, ქუსლგამოყვანილი (ინვენტ. № 321, ტაბ. 35,2).

10. სამფეხა თეფში. მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, პირგადაშლილი (ინვენტ. № 322, ტაბ. 35,3).

11. სამფეხა თეფში მოთეთრო-მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, პირგადაშლილი, ცალყურა (ინვენტ. № 323, ტაბ. 35,4).

12. სამფეხა თეფში, მოყვითალო-აგურისფრად გამომწვარი თიხისა, პირგადაშლილი, მრგვალბაკოიანი, ცალყურა, ყური უშუალოდ ბაკოს გაგრძელებას წარმოადგენს და ფეხს უერთდება, ფეხები ცილინდრულია, ბოლოში გაბრტყელებული (ინვენტ. № 324, ტაბ. 35,4).

13. ტოლჩა, რუხად გამომწვარი თიხისა, ცალყურა, პირფართო, ძირისკენ ძაბრისებურად შევიწროებული, პირს გარშემო ღარი შემოუყვება, რომელიც შიდა მხრიდან წიბოს ქმნის (ინვენტ. № 325, ტაბ. 36,6).

14. ტოლჩა, მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა, პირგადაშლილი, ძირისკენ უსწორმასწოროდ დაჭანებული, ბრტყელძირა, ყური პირს მაღლა აზიდული (ინვენტ. № 326, ტაბ. 36, 1).

15. ტოლჩა ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, პირგადაშლილი, ძირისკენ შევიწროებული, ძირბრტყელი, მრგვალგანივკვეთიანი ყური პირზეა მიძერწილი პირს გარშემო ღარი შემოუყვება (ინვენტ. № 327, ტაბ. 36, 2).

16. ტოლჩა, მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა, პირისკენ ოდნავ გაფართოებული, უსწორმასწორო გვერდებით, ბრტყელძირიანი, მრგვალგანივკვეთიანი ყური პირზეა მიძერწილი (ინვენტ. № 328, ტაბ. 36.3).

17. ტოლჩა, მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა, პირგადაშლილი, ძირისა-

კენ ძაბრისებურად ვიწროვდება და მთავრდება ბრტყელი, განიერი ძირით. მრგვალგანივკვეთიანი ყური პირზეა მიძერწილი (ინვენტ. № 329, ტაბ. 36, 4).

18. სამფეხა თეფში, აგურისფრად გამომწვარი თიხისა, პირგადაშლილი, ბაკო გადმოკეცილია და ქმნის ორფერდა პირს. ბრტყელგანივკვეთიანი ყური პირის გაგრძელებას წარმოადგენს და მეორე ბოლოთი ფეხს უერთდება (ინვენტ. № 331, ტაბ. 36,5).

19. სამფეხა თეფში, აგურისფრად გამომწვარი თიხისა, ძლიერ გადაშლილი, პირგადაკეცილი, ბრტყელი ყური პირთან იწყება და ჭურჭლის ძირს უერთდება. ივი კედელს ოდნავ მოცილებულია. ფეხები ცილინდრულია, ბოლოში თათისებურად გაბრტყელებული (ინვენტ. № 333, ტაბ. 36,6).

20. სამფეხა ჯამი მოყავისფროდ გამომწვარი თიხის (ინვენტ. № 330, ტაბ. 37,1).

21. სამფეხა ჯამი, მოყვითალოდ გამომწვარი თიხისა, პირი სუსტად გოფრირებულია, ღრმაა, სამი მოკლე კონუსური ფეხი განზე აქვს გადგმული. ბრტყელგანივკვეთიანი ყური პირსა და ძირზეა მიძერწილი (ინვენტ. № 332, ტაბ. 37,2).

22. ტოლჩა, ლეგად გამომწვარი თიხისა, პირგადაშლილი, პირი სუსტად გოფრირებული, ჭურჭლის კედლები ძირისკენაა დაქანებული, ძირი ბრტყელია, მრგვალგანივკვეთიანი ყური პირთან იწყება და ჭურჭლის შუა ნაწილს უერთდება (ინვენტ. № 334. ტაბ. 37,3).

23. ნატეხები მოყავისფროდ გამომწვარი თიხის ტოლჩისა (ინვენტ. № 336).

24. ტოლჩა, მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა, პირგანიერი კორპუსი კონუსური ფორმისაა, ძირი ბრტყელი, ყური მრგვალგანივკვეთიანი (ინვენტ. № 335, ტაბ. 37,3).

25. სამფეხა თეფში აგურისფრად გამომწვარი თიხისა, პირგადაშლილი, მომრგვალებული ბაკოთი, ფეხები ცილინდრულია, ბოლოში გაბრტყელებული და ოდნავ განზეა გადგმული, ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირსა და ფეხს შუა (ინვენტ. № 338).

26. ნატეხები ვარდისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭლისა (ინვენტ. № 348).

27. სამფეხა თეფში, აგურისფრად გამომწვარი თიხისა (ინვენტ. № 331, ტაბ. 37,4).

28—34. ბრინჯაოს აბზინდები, აჟურული, ბორბლისებური (ინვენტ. № 304—310, ტაბ. 39).

35. რკინის შუბისპირი, მრგვალმასრიანი (ინვენტ. № 300).

36. შუბისპირი რკინისა, მრგვალმასრიანი, მხრებდაშვებული (ინვენტ. № 301).

37. სატევარი რკინისა, ვადისაკენ დავიწროებული (ინვენტ. № 302).

38. დანისპირი რკინისა, მოხრილი (ინვენტ. № 303).

39. მძივები, თეთრი და მწვანე მინისა, მრგვალი, ნახვრეტებთან დაბრტყელებული (ინვენტ. № 311).

39. რკინის ნივთის ნატეხები, ძლიერ დაჟანგული, გაურკვეველი დანიშნულების (ინვენტ. № 349).

როგორც ვხედავთ, სამარხეული ინვენტარი ძირითადად თიხის ჭურჭლით არის წარმოდგენილი. პირველ სამარხში ხუთი ჭურჭელი აღმოჩნდა,

ხოლო მეორეში ოცდაათზე მეტი. მათგან უმრავლესობა ღია ფერის სამფეხა თეფშები და ლეგა ფერის ტოლჩებია.

ამ სამარხების დათარიღება სადღეისოდ სირთულეს არ წარმოადგენს. მათგან მომდინარე კერამიკას ახლა მრავალი პარალელი მოეძებნება კარგად დათარიღებულ კომპლექსებთან, რომელთა მეშვეობით ისინი საკმაოდ ზუსტად თარიღდებიან ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მომიჯნავე საუკუნეებით. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა სამფეხა თეფშები და იაბრისებური ტოლჩები.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სამფეხა ჭურჭელი საკმაოდ დეტალურად აქვს განხილული პროფ. გ. ნიორაძეს, რომელიც მათ ფართო პარალელურ მასალათა ფონზე განიხილავს, ცდილობს მათ პროტოტიპები უფრო ადრეულ ძეგლებში მოუძებნოს, იძლევა ამ ჭურჭლების ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას. მათ იგი IX ტიპში აერთიანებს და მათ შემცველ სამარხებს რიგი მონაცემების საფუძველზე ძვ. და ახ. წ. მიჯნით ათარიღებს[2]. მის მიერ ალაზნის ველზე გათხრილ 8 სამარხში 12 ასეთი ჭურჭელია აღმოჩენილი (ახალი ულიანოვკის № 2 სამარხში კი 14). პროფ. გ. ნიორაძის აზრით ზოგიერთი სამფეხა ჭურჭელი საკულტო დანიშნულების უნდა ყოფილიყო[3]. მას აღნუსხული აქვს საქართველოს ტერიტორიაზე ანალოგიური ჭურჭლების აღმოჩენის თითქმის ყველა შემთხვევა — აბსოლუტური უმრავლესობა დღევანდელი კახეთის ტერიტორიაზე მოდის[4].

განსაკუთრებით გავრცელებულია ანალოგიური ჭურჭელი აზერბაიჯანში, სადაც მათ ხშირად მონეტით დათარიღებულ სამარხებში ვხვდებით (ძვ. წ. I საუკუნის რომაული დენარები და არშაკიდული დრაქმები): მინგეჩაური[5], იალოილუთეფე[6], კიროვაბადი[7] და სხვ.

ახალი ულიანოვკის სამარხების მეორე, მეტად გავრცელებული ჭურჭელია ლეგად გამომწვარი ცალყურა ტოლჩები. ყველა მათგანს ზემოთკენ ძაბრისებურად გაფართოებული კორპუსი და გამოყვანილი ბრტყელი ძირი აქვთ. სულ 13 ასეთი ტოლჩაა აღმოჩენილი. სამფეხა ჭურჭლებთან შედარებით ანალოგები მათ ნაკლებად ეძებნებათ. მსგავსი ჭურჭლები ალაზნის ველიდან გამოქვეყნებული აქვს გ. ნიორაძეს. მათ იგი თავისი კლასიფიკაციის XIII ტიპში აერთიანებს და ჩარებს უწოდებს. მის მიერ გათხრილ სამარხებში სულ 5 ასეთი ჭურჭელია აღმოჩენილი[8]. მეტ-ნაკლებად ანალოგიური ტოლჩები აღმოჩენილია იალოილუთეფეშიც[9].

---

[2] გ. ნიორაძე, ალაზნის ველის გათხრები, თბ., 1940, გვ. 89—92.

[3] გ. ნიორაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 80—81.

[4] გ. ნიორაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 28—39.

[5] Е. А. Пахомов, Монеты Мингечаура, МКА, II, 1951, стр. 146—148; С. М. Казиев, Археологические раскопки в Мингечауре. МКА, I, 1949, стр. 75; მისივე, Археологические памятники Мингечаура, МКА, II; მისივე, Альбом кувшинных погребений Мингечаура, Баку, 1960, стр. 26; Г. И. Ионе, Мингечаурские кувшинные погребения с оружием, КСИИМК, вып. 60, 1955; მისივე, Археологические раскопки в Мингечауре (Еще раз о датировке кувшинных погребений), Доклады АН Аз. ССР, IV, 10. 1948, стр. 455.

[6] О. Ш. Исмизаде, Ялойлутепинская культура, Баку, 1956, стр. 61, 62.

[7] О. Ш. Исмизаде, დასახ. ნაშრომი, გვ. 68, 69.

[8] გ. ნიორაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 26, სურ. 30, გვ. 57, 83.

[9] О. Ш. Исмизаде, დასახ. ნაშრომი, ტაბ. VI_5.

როგორც ახალი ულიანოვკის ანტიკური ხანის სამარხების შესწავლამ გვიჩვენა, ისინი დღევანდელი კახეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ სხვა ძეგლებთან ერთად (ალაზნის ველი, წინანდალი, ანაგა, ძველი გავაზი, გურჯაანი და სხვა) დიდ მსგავსებას იჩენენ დასავლეთ აზერბაიჯანის მატერიალური კულტურის ძეგლებთან და ერთ კულტურულ წრეში ერთიანდებიან, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერჯერობით იალოილუთეფეს კულტურის სახელითაა ცნობილი.

ამაზევე მიუთითებს ახალი ულიანოვკის სამარხების აგებულებაც: მათი განლაგება შედარებით დიდ ფართობზე, სამარხეული ინვენტარის მრავალრიცხოვნება, მიცვალებულისათვის ჭვევრების ჩატანების ფაქტი[10], რაც არ არის დამახასიათებელი აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთი რაიონებისთვის (იბერია), ხოლო აზერბაიჯანში კი საკმაოდ გავრცელებულია.

როგორც ცნობილია, იალოილუთეფეს კულტურის ძეგლები პირველად აზერბაიჯანში, ადგილ იალოილუთეფესთან იქნა აღმოჩენილი და სახელიც ამ პირველი აღმოჩენის ადგილის მიხედვით შეერქვა[11]. ამ ძეგლებმა მკვლევართა შორის ცხოველი ინტერესი და აზრთა სხვაობა გამოიწვია. აზრთა სხვაობა იყო მისი თარიღის ირგვლივაც. მიუხედავად იმისა, რომ მას მრავალი შრომა მიეძღვნა გარკვეული აზრი მისი რაობის შესახებ დიდხანს არ ყოფილა შემუშავებული[12]. მნიშვნელოვანი იყო ამ მხრივ გ. ნიორაძის მონოგრაფია „ალაზნის ველის გათხრები“, რომლის მეშვეობითაც ხსენებული კულტურის სულ ახალი მასალები იქნა შემოტანილი სამეცნიერო მიმოქცევაში, დაკონკრეტდა მისი თარიღი და ასე თუ ისე მოიხაზა მისი გავრცელების არეალი. გ. ნიორაძე ამ კულტურის გავრცელების სამ ძირითად რაიონს გამოჰყოფს: ალაზნის ველი (კახეთის ფარგლებში), მტკვრის შუაწელის მარცხენა ნაპირი ალაზნის შესართავს ქვემოთ, მტკვრისა და არეზის შესართავიდან სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მილისა და მუღანის ველები[13]. სადღეისოდ არსებული მასალების მიხედვით გ. ნიორაძის მიერ მოხაზული ეს საზღვრები ძირითად ხაზებში რეალურად გამოიყურება.

გ. ნიორაძის მონოგრაფიას გამოეხმაურა აკად. ს. ჯანაშია და ერთ-ერთ თავის ნაშრომში გამოთქვა აზრი, რომ ამ კულტურას ახლა უკვე ა ლ ა ზ ა ნ - ი ა ლ ო ი ლ უ თ ე ფ ე ს კ უ ლ ტ უ რ ა უნდა ეწოდოს და რომ ამ კულტურის ეთნიკური კუთვნილების განსაზღვრისას ყურადღება უნდა მიექცეს ჰერებს[14].

ს. ჯანაშიას ეს მინიშნება ალაზან-იალოილუთეფეს კულტურის ეთნიკური კუთვნილების შესახებ უკიდურესად განავითარა რ. რამიშვილმა თავის სადისერტაციო ნაშრომში და რიგი მსჯელობის შედეგად მივიდა იმ დასკვნამ-

---

[10] სამარხში ჭვევრის ჩატანების ფაქტი ლაგოდეხის რაიონში სხვაგანაც არის დადასტურებული (რ აბრამიშვილი, არქეოლოგიური გათხრები ლაგოდეხის რაიონში, გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის და ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გაერთიანებული I სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, 1965, გვ. 32).

[11] Д. М. Шарифов, Раскопки в Ялойлутепе, Баку, 1926.

[12] ამ ძეგლების შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა იხ. გ. ნ ი ო რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომში, გვ. 67—71; О. Ш. И с м и з а д е, Ялойлутепинская культура, Баку, 1956, стр. 7 და შემდ.

[13] გ. ნ ი ო რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

[14] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 101.

დე. რომ ამიერიდან ამ კულტურას ჰერული უნდა ეწოდოს[15]. რ. რამიშვილის ეს დებულება არ გაიზიარა კ. ფიცხელაურმა[16], რომელმაც კახეთის ახალ აღმოჩენათა გათვალისწინებით ახლებურად დასვა იალოილუთეფეს კულტურასთან დაკავშირებული რიგი საკითხი. იგი კატეგორიულად უარყოფს იმ მკვლევართა მოსაზრებას, რომლებიც ამ კულტურის სახელწოდებაში კორექტივის შეტანას მოითხოვენ, და ფიქრობენ რომ მას ალაზან-იალოილუთეფეს ან ჰერული კულტურა უნდა ეწოდოს. კ. ფიცხელაურის აზრით ეს კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში აშკარად შემოტანილია და მისთვის ისეთი სახელწოდების მიკუთვნება, რომლის შინაარსშიც ადგილობრივი საფუძველი იქნება ჩადებული სრულიად მიუღებელია[17].

ამ აზრის დასასაბუთებლად მას შემდეგი არგუმენტები მოჰყავს: 1. იალოილუთუფეს კულტურის გავრცელების არე, რომელიც მისი სიტყვებით აზერბაიჯანის დიდი ნაწილისთვისაა დამახასიათებელი და შედარებით კომპაქტურად იორ-ალაზნის მხოლოდ უკიდურეს ქვემო დინებაში გვხვდება, ამ მდინარეთა შუა წელზე ამ კულტურის მასალები კლებულობს და შიდა ქართლის აღმოსავლეთ ნაწილამდე მხოლოდ მისი ელემენტებიღა აღწევს. ამგვარად, ასკვნის ავტორი, იალოილუთეფეს კულტურის გავრცელების საკითხის კვლევა მის აღმოსავლურ წარმოშობაზე მიგვითითებს. 2. იალოილუთეფეს კულტურის შემოტანილ ხასიათზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ ამ კულტურას არ ეძებნება პროტოტიპები ადგილობრივ მასალებში, ე. ი. იგი არ არის გენეტიკურად დაკავშირებული წინამორბედ ადგილობრივ კულტურებთან. ამავე დროს იგი კახეთის ელინისტურ და გვიანანტიკურ მასალებში გამოარჩევს მასალათა ჯგუფს, რომელიც მისი აზრით გენეტიკურ კავშირშია წინამორბედ კულტურებთან, ძირითადად გავრცელებულნი არიან იორ-ალაზნის აუზის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში, ე. ი. უკავშირდებიან იმ ტერიტორიას, რომელიც ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით ჰერთა სამოსახლოდაა მიჩნეული და რომ ჰერთა კუთვნილად უნდა მივიჩნიოთ ეს უკანასკნელი (ლაპარაკია თეთრი ანგობის ხაზებით მოხატულ კერამიკაზე) და არა იალოილუთეფეს კულტურა, რომელიც ამ ტერიტორიაზე აშკარად შემოტანილია[18].

ჩვენც სავსებით ვიზიარებთ კ. ფიცხელაურის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ იალოილუთეფეს კულტურას არ შეიძლება ეწოდოს ჰერული, რომ ამ კულტურის გავრცელების არე ზოგიერთ ნაშრომში მეტისმეტად დასავლეთითაა გადატანილი მხოლოდ და მხოლოდ ცალკეული ელემენტების გავრცელების საფუძველზე[19] და სხვ.

ხოლო რაც შეეხება აკად. ს. ჯანაშიას მიერ შემოთავაზებულ სახელწოდებას ალაზან-იალოილუთეფეს კულტურა, ჩვენ იგი კვლევის დღევანდელი ეტაპისთვის ისევე უფლებამოსილად მიგვაჩნია, როგორც იალოილუთეფეს კულტურა. ამ სახელწოდებას არა აქვს ამ

---

[15] რ. რამიშვილი, კამარახევის სამაროვანი, მსკა, II, თბ., 1959, გვ. 40, 41.

[16] კ. ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV—VII სს.), თბ., 1973, გვ. 202.

[17] კ. ფიცხელაური, დასახ. ნაშრომი, გვ. 201—207.

[18] კ. ფიცხელაური, დასახ. ნაშრომი, გვ. 20—202.

[19] რ. რამიშვილი, დასახ. ნაშრომი; „საქართველოს არქეოლოგია", თბ., 1959, გვ. 272.

კულტურის ეთნიკური ატრიბუციის პრეტენზია და არც არავითარი მინიშნება ამ კულტურის მაინცდამაინც ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებისა. ეს ტერმინი უბრალოდ ასახავს რეალურ ვითარებას, მიგვანიშნებს ამ კულტურის გავრცელების არეს დროის გარკვეულ მონაკვეთში.

უყოყმანოდ კ. ფიცხელაურს ვერც იმაში დავეთანხმებით, რომ ჰერული უნდა ეწოდოს კულტურას, რომელიც თეთრი ანგობით მოხატული კერამიკით არის წარმოდგენილი, ხოლო იალოილუთეფეს კულტურის დაკავშირება ჰერებთან გაუმართლებელია, რადგან იგი აღმოსავლეთ საქართველოში მთლიანად შემოტანილია[20]. ასეთ ვარაუდს საეჭვოდ ხდის თუნდაც ის გარემოება, რომ გარკვეული პერიოდიდან თითქმის ყველგან (ჰერთა სამოსახლოდ მიჩნეულ ტერიტორიაზე), სადაც კი თეთრი ანგობით მოხატული კერამიკაა აღმოჩენილი ტიპიურ იალოილუთეფეს კულტურის ძეგლებსაც ვხვდებით, ხშირად ერთ კომპლექსში და როგორც წესი ამ უკანასკნელთ დომინირებული მდგომარეობა უკავიათ. ეს რა თქმა უნდა არ არის არგუმენტი ამ კულტურის ადგილობრიობის სამტკიცებლად. მით უმეტეს, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მას არ ეძებნება პროტოტიპები საკვლევ რეგიონში და მაშასადამე, იგი არ არის გენეტურად დაკავშირებული წინამორბედ კულტურებთან[21], სავსებით დასაშვებია, რომ ეს კულტურა კახეთის ტერიტორიაზე მართლაც შემოტანილი იყოს. მაგრამ უთუოდ გასათვალისწინებელია ამ კულტურის ხვედრითი წონა ჰერული კულტურის განვითარებაში. აქ მსჯელობა შეიძლება იყოს არა არქეოლოგიური კულტურის მექანიკურ შემოტანაზე, არამედ ამ კულტურის მატარებელი ტომების შეღწევაზე ქვეყნის შიგნით, ადგილობრივ და მოტანილ კულტურათა შერწყმაზე, რამაც შესამჩნევი კვალი დაამჩნია ადგილობრივ მატერიალურ კულტურას და გარკვეული როლი ითამაშა ჰერული კულტურის შემდგომ ჩამოყალიბებაში. სწორედ ამის გამოვლენა უნდა იყოს კ. ფიცხელაურის მიერ შენიშნული ვითარება, რომ მას შემდეგ, რაც ჰერეთის ტერიტორიაზე მოზღვავებული ჩანს ე. წ. იალოილუთეფეს კულტურა ქართლში ამ ახალი კულტურის გავლენა შეინიშნება, წმინდა ჰერული კულტურისათვის დამახასიათებელი ელემენტები კი ქრება[22]. მაგრამ როგორც ჩანს, ჰერული კულტურის დამახასიათებელი ელემენტები კი არ ქრება, არამედ ჰერული კულტურა იცვლება ისტორიული განვითარების პროცესში, რაშიც დიდი როლი უნდა ჰქონდეს შესრულებული ე. წ. იალოილუთეფეს კულტურას და ამ კულტურის მატარებელ ტომებს.

ალაზან-იალოილუთეფეს კულტურა საკმაოდ ფართო ტერიტორიას მოიცავს და ალბათ სცილდება რომელიმე გარკვეული ეთნიკური ერთეულის ფარგლებს. თუ მაინცდამაინც ვეცდებით ამ კულტურის ეთნიკურ ატრიბუციას კვლევა ამ კულტურის შიგნით ლოკალურ კულტურათა ძიების გზით უნდა წარიმართოს და გამოიძებნოს რაღაც კრიტერიუმი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა ამ კულტურის შიგნით ლოკალურ ვარიანტთა გამიჯვნისა. ზო-

---

[20] კ. ფიცხელაური, დასახ. ნაშრომი, გვ. 202; К. Н. Пицхелаури. Памятники второй половины I тысячелетия до н. э. на территории Кахети, СА, 3, стр. 221 и след.

[21] დღესდღეობით არც ამის მტკიცება შეიძლება კატეგორიულად მასალის სიმცირისა და სუსტად შესწავლილობის გამო, ამას კ. ფიცხელაურიც აღნიშნავს (კ. ფიცხელაური, დასახ. ნაშრომი, გვ. 201).

[22] კ. ფიცხელაური, დასახ. ნაშრომი, გვ. 205.

გიერთი მკვლევარის მიერ ძველი ალბანეთის მიმართ ასეთად დამარხვის წესი იქნა მიჩნეული[23], მაგრამ კვლევის ამ გზას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია[24]. ასე რომ, ჯერჯერობით ალაზან-იალოილუთეფეს კულტურის მატარებელი ხალხის ეთნიკური კუთვნილების საკითხი ღიად რჩება.

ამრიგად, ლაგოდეხის რაიონში აღმოჩენილი ანტიკური ხანის სამარხები ალაზან-იალოილუთეფეს კულტურაში ერთიანდებიან და აქ მოსახლე ტომების მეურნეობის გარკვეული დარგის, მევენახეობა-მეღვინეობის დაწინაურებაზე მიუთითებენ. ამის უტყუარი საბუთია სამარხებში ქვევრების ჩატანების ფაქტი. ამ რაიონში მევენახეობის მაღალი განვითარების მაჩვენებელია აგრეთვე ლაგოდეხის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აქ დიდი სარწყავი სისტემის ნაშთების აღმოჩენა. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე სოფელი არ ირწყვის, ანტიკური ხანისათვის აქ არა ერთი რუ იქნა დამოწმებული. ეს ნარუალები ალაზნის სარწყავი სისტემის ნაწილი უნდა იყოს[25].

В. А. ТОЛОРДАВА

ПОГРЕБЕНИЯ АНТИЧНОГО ВРЕМЕНИ ИЗ сел. УЛЬЯНОВКА (табл. 30—39)

Резюме

Археологическая экспедиция Гос. Музея Грузии им. С. Н. Джанашиа в 1960—61 гг. в с. Ульяновке (Лагодехский р-н) наряду с памятниками позднебронзовой эпохи обнаружила два грунтовых погребения античного времени[26].

Погребения оказались очень плохой сохранности. Сильно потревоженные костяки лежали на правом боку в скорченном положении с подогнутыми коленями. В первом погребении костяк был ориентирован с востока на юг, во втором с северо-запада на юго-восток (табл. 30, 31).

Погребальный инвентарь главным образом состоял из керамики, в малом количестве были обнаружены и металлические предметы: бронзовые бляхи и железные дротики (табл. 32, 39). Особенностью этих погребений является то обстоятельство, что они были снабжены большими винными кувшинами (квеври). Этот обряд чужд для западных районов Восточной Грузии (Иберия). Керамика в основном представлена двумя типами сосудов — блюдца на трех ножках и одноруч-

---

[23] К. В. Тревер, Очерки по истории и культуре Кавказской Албании, М.-Л., 1959, стр. 176; К. Алиев, Племена древней Кавказской Албании, Автореферат, Л., 1962, стр. 9—16.

[24] ამის შესახებ დაწვრ. იხ. В. А. Толордава, Материалы к истории Картлийского царства в III—I вв. до н. э. Автореферат, Тб., 1968, стр. 16—18.

[25] ი. კიკვიძე, მორწყვა ძველ საქართველოში, თბ., 1963, გვ. 104.

[26] Руководитель экспедиции Р. М. Абрамишвили.

ные кружки, которые находят себе множество аналогии в хорошо датированных комплексах («Алазанс вели», Мингечаур, Ялойлутепе, Кировабад и др.) и довольно точно датируют наши погребения I в. до н. э. — I в. н. э.

Изучаемые погребения из с. Ульяновки, как по характеру инвентаря, так и по типу погребении включаются в ареал т. н. Алазано-Ялойлутепинской культуры. Характер погребального инвентаря так же указывает на высокий уровень развития виноградарства и виноделия в данном регионе.

ვახტანგ ნიკოლაიშვილი

ანტიკური ხანის ძეგლები დიღმის ხეობიდან
(ტაბ. 40—57)

ანტიკური ხანის ძეგლები დიღმის ხეობაში ძირითადად დიღმის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგად აღმოჩნდა. ამჟამად ჩვენ განვიხილავთ ანტიკური ხანის მასალებს, რომლებიც ცნობილი გახდა შემთხვევითი შონაპოვრების სახით ან სტაციონარული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა.

1924 წელს, დიდგორის ჩრდილო აღმოსავლეთით, ადგილ „სქელჯაგებში“ დიღმელმა გლეხმა ვანო სისაურმა სახლისათვის საძირკვლის გათხრისას აღმოაჩინა სამარხი, რომელიც თვითონვე გათხარა. ამის გამო სამარხის ტიპი და დაკრძალვის პოზა დაუდგენელი დარჩა. აღმოჩენილი ინვენტარის მიხედვით (სამარხში აღმოჩნდა: ოქტავიან-ავგუსტუსის დენარი და ჰოტარზეს დრაქმა, აგრეთვე მინისა და ლითონის სამკაული) ს. მაკალათიამ სამარხი ახ. წ. I საუკუნის შუა ხანებით დაათარიღა[1].

1959 წელს, ს. ვაშლაჯვართან, დიღმისწყალზე ხიდის მშენებლობის დროს აღმოჩნდა გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის მასალა, რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ერთი კოლექციის სახითაა შესული (22—59/1—15). ამ კოლექციაში დაცულია შემდეგი ნივთები:

1. აბზინდა, ვერცხლისა (ტაბ. 40,1) ნახევარწრისებურია, დაწახნაგებული, თავისაკენ დამსხვილებული, შუა ნაწილში სწორ ღეროზე წამოცმულია წახნაგოვანი, წელში გაღუნული ენა. ამავე ღეროზე მიმაგრებულია ორმაგი ფირფიტა თასმასთან შესაერთებლად, რომელშიც სამი მანჭვალია გაყრილი.

2. აბზინდა, ვერცხლისა (ტაბ. 40,2). ორწილადი, დაწახნაგებული, ოდნავ წაგრძელებული ნახევარწრისებური ფორმის. სწორ ღეროზე მიმაგრებულია წელში გაღუნული, დაწახნაგებული ენა. ენაზე შესაკრავთან ორი ჯვარედინი, ირიბი ზოლია ამოღარული, ღეროზევე მიმაგრებულია ორმაგი ფირფიტა თასმასთან შესაერთებლად, რომელსაც ნაპირები დაკბილული აქვს.

3. აბზინდა, ბრინჯაოსი, მცირე ზომის (ტაბ. 40,3). თავთან დავიწროებული ოვალის ფორმის თავგახსნილი, შევიწროებულ ადგილზე დამაგრებულია წელში გაღუნული წახნაგოვანი ენა.

4. აბზინდა, ბრინჯაოსი, ბრტყელგანივკვეთიანი, წელში გაღუნული, ვიოლინოს ფორმის (ტაბ. 40,4). სიგრძეზე გაყრილი აქვს ბრინჯაოს ღერო, რომელიც ბოლოებში დამსხვილებულია.

---

[1] ს. მაკალათია, 1920—1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის, სსმმ, თბ., 1928, გვ. 161—188.

5. ფირფიტები, ვერცხლისა, სამი სამანჭვლით, ქაჩრის თასმასთან შესაერთებელი ნაწილები უნდა იყოს.

6. ვერცხლის ბეჭდის ნატეხები, რომელზეც რკინის თვალბუდე ყოფილა დამაგრებული. ფუყე, შიგნით შეზნექილი რკალი ფარაკისაკენ თანაბრად ფართოვდება.

7. მძივები, გიშრის (3 ც.), ბიკონუსური ფორმის. ერთი ცისფერი პასტის ბურთულა მძივია, მეორე გიდელის ფორმის მინის მძივსაკიდი (ტაბ. 40,5).

8. მახვილი, რკინის, ორპირლესული, ბრტყელი, ყუნწიანი, სამადაა გატეხილი, შერჩენილი აქვს ქარქაშის ხის ნაწილები.

9. კოტა, ქალცედონის (ტაბ. 40, 6) დისკოსებური. შუაში გახვრეტილია. ამავე კოლექციაში შედის ოქროს ნივთები, რომლებიც, ჩვენი აზრით, სხვა კომპლექსიდან უნდა მომდინარეობდეს.

10. ბეჭედი, ოქროსი. ოვალური ბრტყელი ფურცლისაგან შეკრული რკალი თვალბუდისაკენ თანაბრად ფართოვდება. რკალზე ოვალური თვალბუდეა დამაგრებული, რომელსაც ოთხი მხრიდან თითო-თითო ცვარა აქვს დარჩილული (ტაბ. 41,7).

11. საკიდი. ოქროსი, ფოთლისებურ ბუდეში იისფერი მინის თვალი ზის, თავზე მირჩილული აქვს ორი სასახსრე რგოლი, თვალბუდეს გარშემო გავარსი შემოუყვება (ტაბ. 41,8).

12. საკიდი, ოქროსი, სამკუთხედის ფორმის ბუდეში იისფერი პროფილირებული თვალი ზის. საკიდის ორივე მხარე ტალღისებურია, რომელზედაც გარედან მირჩილულია ოქროს მავთულის ღეროები (ნაკლულია). საკიდის თავზე დარჩილულია ორი სასახსრე რგოლი, ბოლოში კი ყუნწი (ტაბ. 41,9).

13. რგოლები, ოქროსი. თავებგადახსნილი მავთულის სამი რგოლი, რომელზედაც დარჩილულია მრგვალი ყუნწები (ტაბ. 41,10).

აღნიშნული კოლექციის ერთი ნაწილი (22—59/1—10) II—III საუკუნეებით უნდა დათარიღდეს. აქ დაცული აბზინდების ანალოგიური ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს აბზინდები აღმოჩენილია არმაზისხევის ერისთავთა სამაროვანზე[2] და იქვე ერისთავთა სამაროვნის სინქრონულ კრამიტყუთებში[3]. მსგავსი ვერცხლის აბზინდები აღმოჩენილია ზემო ავჭალაში, მცხეთაში[4] და ჟინვალში[5]. ანალოგიური ვერცხლის აბზინდა აღმოჩნდა აგრეთვე კლდეეთის სამაროვანზე[6]. ამგვარი აბზინდების აღმოჩენის ფაქტი დადასტურებულია საქართველოს ფარგლებს გარეთაც — სარმატულ სამარხებში[7]. ყველა ზემოჩამოთვლილი აბზინდა მიეკუთვნება II—III საუკუნეებით დათარიღებულ კომპლექსებს.

ახ. წ. III საუკუნეს უნდა მივაკუთვნოთ ამავე კოლექციაში დაცული

---

[2] ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა, I, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1955, ტაბ. XXXIX$_2$, LXXVIII.

[3] იქვე, ტაბ. VIII.

[4] ს. მაკალათია, 1920—1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი..., გვ. 175, ტაბ. VIII$_{30}$ და გვ. 181, ტაბ. IX$_{12}$.

[5] რ. რამიშვილი, ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია 1971 წელს, „მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 4, 1971, გვ. 168, ტაბ. II$_2$.

[6] გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, თბ., 1957, ტაბ. X.

[7] К. А. Смирнов, Сарматские погребения Южного Приуралья, КСИИМК, Москва-Ленинград, 1948, стр. 80—86, стр. 30$_6$.

რკინის მახვილი და ქალცედონის კოტა (ვადისთავი). ანალოგიური მახვილი აღმოჩნდა 1968 წელს დიღმის მასივში გათხრილ სამარხში, რომელიც თანმხლები ინვენტარის მიხედვით კარგად თარიღდება III საუკუნით. ახ. წ. პირველ საუკუნეებშია გავრცელებული კოლექციაში დაცული მინისა და პასტის მძივებიც*.

აღნიშნულ კოლექციაში დაცული ნივთების ნაწილი, კერძოდ ოქროს სამკაული (ტაბ. 41,7-10) უფრო გვიანია და შესაძლოა ახ. წ. IV საუკუნით დათარიღდეს. ამაზე მეტყველებს კოლექციაში დაცული ოქროს თვალედი ბეჭედი, რომელიც შემკულია თვალბუდის გარშემო განლაგებული ოთხი ცვარათი (ტაბ. 41,7). ანალოგიური ოქროს ბეჭედი აღმოჩენილია სოფ. თელოვანში, IV საუკუნით დათარიღებულ კომპლექსში[8]. აღნიშნული ბეჭდისა და თანმხლები ოქროს ნივთების ანალოგები დადასტურებულია არმაზისხევის ერისთავთა სამაროვანზე[9]. აგრეთვე ურბნისის ნაქალაქარზე აღმოჩენილ IV საუკუნის სამარხებში[10].

1967 წლიდან დიღმის ხეობას სისტემატურად სწავლობს დიღმის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია. 1968 წელს დიღმის ექსპედიციამ გათხარა გვიანანტიკური ხანის ხის სამარხი. 1969 წელს, დიღმის მასივში, სახლისათვის ქვაბულის ამოღებისას მშენებლებმა დაანგრიეს რამდენიმე ანტიკური ხანის სამარხი (ამ სამარხებზე დაწვრილებით ქვევით გვექნება საუბარი).

1970 წელს დიღმის ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნასოფლარ თრელის ტერიტორიაზე აღმოაჩინა ორმოსამარხთა ჯგუფი, რომელიც ძვ. წ. I საუკუნეს მიეკუთვნება. იქვე, თრელის სამაროვანზე გამოვლინდა გვიანანტიკური ხანის რამდენიმე სამარხი[11].

თრელის სამაროვანი**

სამარხი № 1

სამარხი 1968 წლის დეკემბერში აღმოჩნდა დიღმის მასივში, ერთ-ერთი შენობის საძირკვლისათვის ამოთხრილ ქვაბულში. სამარხი ნაწილობრივ დაზიანდა ექსკავატორისაგან. იგი აღმოჩნდა თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 2,2 მ-ის სიღრმეზე. სამარხის ნაწილი დედაქანში ყოფილა ჩაჭრილი, მიცვალებული ხის სამარხში დაუკრძალავთ, რაზედაც მეტყველებდა ორმოს კედლებზე შერჩენილი ხის ანაბეჭდის კვალი. სამარხი O—W ღერძზე ყოფილა დამხრობილი. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე ესვენა, თავით დასავლეთისაკენ. ჩონჩხი ძლიერ დეფორმირებული იყო. მიცვალებულის ზევით —0,7 მ-ის სიმაღლეზე აღმოჩნდა ცხენისა და ძაღლის ჩონჩხი, ცხენი იწვა მარჯვენა გვერდზე, თავით W-კენ, ცხენის წინ კი ძაღლი ესვენა.

სამარხში აღმოჩნდა: რკინის მახვილი, სატევარი, დანები, ისრისპირები,

---

* ზემოჩამოთვლილ კომპლექსებში შედის ანალოგიური ფორმის მძივები.

[8] რ. აბრამიშვილი, ვ. ნიკოლაიშვილი, ა. რამიშვილი, დიღმის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის 1971 წლის მუშაობის ანგარიში, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს, თბ., 1972, გვ. 14.

[9] ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე. მცხეთა, I, გვ. 104—128, ტაბ. $XCVII_7^3$, CV_{9-21}, სურ. 136_5.

[10] ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964, სურ. 34.

[11] ამ აღმოჩენათა შესახებ იხ. დიღმის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშები.

** სამარხეული ინვენტარის აღწერილობა იხ. კატალოგში.

აბზინდები, ბალთები; რკინისგემმიანი ბეჭდები, ვერცხლის მონეტები და სხვადასხვა მასალისა და ფორმის მძივები (ტაბ. 43—45,15-23).

სამარხი № 8

სამარხი 1969 წლის დეკემბერში აღმოჩნდა გზის მშენებლობისას გამოჩენილ ჭრილში. იგი მიწის ზედაპირიდან 2,1 მ-ზე მდებარეობდა. სამარხში ორი მიცვალებული აღმოჩნდა, პირველი მიცვალებულის ჩონჩხი დაზიანებული იყო მშენებელთა მიერ. მეორე მიცვალებული მარჯვენა გვერდზე ესვენა მოკუნტულ პოზაში, თავით O-კენ მიმართული.

სამარხში აღმოჩნდა: რკინისფარაკიანი ბეჭედი, ბრინჯაოს სამაჯური, ზარაკები, ვერცხლის რგოლი და მძივები (ტაბ. 46$_{24-28}$).

სამარხი № 17

სამარხი აღმოჩნდა 1970 წლის თებერვალში. მას გაჭრილი ჰქონდა № 16 ყორღანული სამარხის ქვაყრილი. სამარხი მიწის ზედაპირიდან 0,5 მ-ზე მდებარეობდა. იგი NS ღერძზე იყო დამხრობილი. მიცვალებული მარცხენა გვერდზე იწვა ხელფეხმოკეცილი, თავით N-კენ.

სამარხში აღმოჩნდა: თიხის ხელადა და ჯამი (ტაბ. 47, 29-30).

სამარხი № 18

სამარხი მიწის ზედაპირიდან 1,2 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა. მას ქვაყრილი არ ჰქონია. მიცვალებული ორმოში ჩაუსვენებიათ (ზომები-1,2×1 მ). სამარხში ორი მიცვალებულის ჩონჩხი აღმოჩნდა. ისინი მარჯვენა გვერდზე იწვნენ — ხელფეხმოკეცილი. სამარხში როგორც ჩანს, ცოლ-ქმარია დაკრძალული. მიცვალებულები თავით N-კენ იყვნენ დამხრობილი.

სამარხში აღმოჩნდა: რკინის დანები და ისრისპირი, ბეჭედი, სამაჯურები, პორტუპეის რგოლი, საყურეები, თიხის ჭურჭელი და სხვადასხვა მძივები (ტაბ. 48, 31-39, ტაბ. 51, 48-49).

სამარხი № 20

სამარხი 1970 წლის აპრილში აღმოჩნდა. იგი თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 1,2 მ-ის სიღრმეზე მდებარეობდა. მიცვალებული ორმოში დაუკრძალავთ, იგი მარცხენა გვერდზე იწვა. ძლიერი ხელფეხმოკეცილი. ჩონჩხი NO-დან SW ღერძზე იყო დამხრობილი.

სამარხში აღმოჩნდა: თიხის კოჭობი, ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლები და სხვადასხვა ფორმის მძივები (ტაბ. 49, 40-43).

სამარხი № 21

სამარხი მიწის ზედაპირიდან 1 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა (ზომები = 1 × 7 მ). მიცვალებული ოვალისებურ ორმოში ესვენა, მარჯვენა გვერდზე კიდურებმოკეცილი, თავით NO-კენ მიმართული.

სამარხში აღმოჩნდა: ვერცხლისა და ბრინჯაოს საყურეები და თიხის ჭურჭელი (ტაბ. 50, 44-47).

სამარხი № 22

სამარხი ყორღანის ქვაყრილში აღმოჩნდა. ორმოსამარხში მიცვალებული მარჯვენა გვერდზე ესვენა, კიდურებმოკეცილი, თავით N-კენ დამხრობილი.

სამარხში აღმოჩნდა: რკინის დანა და თიხის კოჭობი (ტაბ. 52, 50-51).

სამარხი № 2

აღმოჩნდა 1969 წლის მაისში სამშენებლო ქვაბულის ამოღებისას. ექსკავატორმა სამარხის მეტი ნაწილი დაანგრია. გადარჩენილი ნაწილის პრეპარაციისას გაირკვა, რომ სამარხი ქვიშაქვის ნატეხი ფილებისაგან შედგებოდა. მიცვალებული თავით W-კენ ყოფილა დამხრობილი.

სამარხში აღმოჩნდა: ოქროს საყურეები, ბრინჯაოს სარკე, ბეჭედი, ზარაკები, ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავი, იასპის გემმა — ინტალიო, თიხის ხელადები და ოქტავიან ავგუსტუსის ვერცხლის ორი მონეტა (ტაბ. 53—55, 52—64).

სამარხი № 4

სამარხი აღმოჩნდა 1969 წლის აგვისტოში, მიწის ზედაპირიდან 1,2 მ-ის სიღრმეზე. სამარხი დაზიანდა ექსკავატორის მიერ ქვაბულის ამოღებისას. მიცვალებული ქვევრში დაუკრძალავთ, ძლიერ მოკუნტულ პოზაში. იგი თავით W-კენ ყოფილა დამხრობილი.

სამარხში აღმოჩნდა: თიხის ჯამი და პასტის ოტები (ტაბ. 56, 65-66).

სამარხი № 5

სამარხი აღმოჩნდა 1969 წლის აგვისტოში, მიწის ზედაპირიდან 1,15 მ-ის სიღრმეზე. სამარხი ექსკავატორის მიერ მთლიანად განადგურდა. როგორც ჩანს, ორმოსამარხთან გვქონდა საქმე. მიცვალებულის პოზის დადგენა შეუძლებელი იყო.

სამარხში აღმოჩნდა: ბრინჯაოს სამაჯური და სასაფეთქლე რგოლები. (ტაბ. 56, 67-68).

სამარხი № 3

სამარხი აღმოჩნდა თრელის ტერიტორიაზე, 1969 წლის მაისში. იგი ექსკავატორმა მთლიანად დაანგრია. სამარხის ტიპი და დაკრძალვის პოზა გაურკვეველი დარჩა.

სამარხში აღმოჩნდა ორი თიხის ჭურჭელი (ტაბ. 57, 69-70).

სამარხი № 25

აღმოჩნდა 1970 წლის აგვისტოში. სამარხის ნახევარი ექსკავატორმა დაანგრია. შემორჩენილი ნაწილის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ ორმოსამარხი. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე წოლილა კიდურებმოკეცილი, თავით W-კენ დამხრობილი. მიცვალებულს, როგორც ჩანს, ჭსოვილი ჰქონია გადაფარებული. სამარხის მთელ ფართობზე შეინიშნებოდა შავი ფერის ფენა.

სამარხში აღმოჩნდა: ორი თიხის ჭურჭელი (ტაბ. 57, 71-72).

მსგავსი სამკაულები მრავლადაა აღმოჩენილი ქვევრსამარხებში. არქ. ვ. თოლორდავამ აღნიშნული სამაჯურები II ტიპში გააერთიანა და II—I სს. დაათარიღა[30].

თრელის სამაროვანზე აღმოჩენილი მრგვალგანივკვეთიანი, სადა რკინის სამაჯურები გვხვდება ზემოაღნიშნულ კომპლექსებში ზურგჩაზნექილ სამაჯურებთან ერთად.

ბეჭდები, რკინისა, ფარაკიანი. ძლიერ დაჟანგულია და ფორმის ზუსტად დადგენა ჭირს. მსგავსი ბეჭდები გვხვდება ქვევრსამარხებში[31]. ამ ფორმის ბეჭდები უფრო ახ. წ. პირველ საუკუნეებში ჩანს გავრცელებული.

საყურეები ან სასაფეთქლე რგოლები. თრელის სამაროვანზე გვხვდება მრგვალგანივკვეთიანი და ბრტყელი, თავებგახსნილი სასაფეთქლე ან საყურე რგოლები (ტაბ. 50, 45; 57, 68).

ყველაზე ფართოდ ეს მასალა წარმოდგენილია ქვევრსამარხებში[32], აღნიშნული ტიპის სასაფეთქლე ან საყურე რგოლები გავრცელებულია გვიანანტიკურ ხანაშიც.

ზარაკები. თრელის სამაროვანზე პირველი ჯგუფის სამარხებში ნახევარსფეროსებური ფორმის ბრინჯაოს ზარაკებია აღმოჩენილი (ტაბ. 46, 26). ანალოგიური ფორმის ბრინჯაოს ზარაკები გვხვდება ელინისტური ხანის ნასახლარებსა თუ სამაროვნებზე[33] (სამადლო, თრიალეთი). ამავე ფორმის ზარაკები გავრცელებული ჩანს ახ. წ. პირველ საუკუნეებშიც[34].

თრელის სამაროვნის პირველი ჯგუფის სამარხებში იარაღი წარმოდგენილია რკინის მოღუნული ნამგლისებური დანებითა და რკინის კონუსური ფორმის ისრისპირით.

რკინის ნამგლისებური დანები ფართოდაა გავრცელებული ელინისტური ხანის საქართველოში. ანალოგიური დანები გვხვდება ქვევრსამარხებში[35], აგრეთვე სინქრონულ ძეგლებზე[36]. განსხვავებული შეხედულებაა გამოთქმული აღნიშნული დანების დანიშნულების შესახებ[37]. ჩვენი აზრით, თრელის სამაროვანის მე-4 სამარხში აღმოჩენილი მოღუნული დანა საბრძოლო იარაღია და არა სამეურნეო დანიშნულების ნივთი. ამაზე უნდა მიუთითებდეს სამხარიღლიე ყაწიმის (პორტუპეის) რგოლის და ისრისპირის აღმოჩენის ფაქტი.

თრელის სამაროვანზე გამოვლენილი სამარხების II ჯგუფი ახ. წ. I—III სს. თარიღდება. ეს სამარხებია: № 1, 2, 3, 17 და 25. აღნიშნული სამარხებიდან კარგად თარიღდება № 1 სამარხი, რომელსაც ცალკე განვიხილავთ.

---

[30] В. А. Толордава, Материалы к истории Карталинского царства в последние века I тысячелетия до нашей эры (Кувшинные погребения Восточной Грузии), Автореф. диссертации, стр. 8.

[31] ვ. თოლორდავა, მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის, ტაბ. VI_2.

[32] იქვე, გვ. 149—150.

[33] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 31, სურ. 33; ი. გაგოშიძე, ელინისტური ხანის მასალები სამადლოდან, სსმმ, XXVII-B, თბ., 1967, ტაბ. IV.

[34] გ. ნემსაძე, ბრინჯაოსნივთებიანი სამარხი ძამას ხეობიდან, სსმმ, XXIX-B, თბ., 1972, ტაბ. I_{11}.

[35] ვ. თოლორდავა, მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის, გვ. 151; ს. მაკალათია, 1929—24 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი..., ტაბ. IX_{22}.

[36] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, Тбилиси, 1950, стр. 37.

[37] იქვე, გვ. 37—38.

№ 1 სამარხის ძირითად ნაწილს შეადგენს იარაღი და მასთან დაკავშირებული ნივთები.

1. მახვილი (ტაბ. 43,12), გრძელი, ყუნწიანი, ორპირლესიანი. ამ ტიპის მახვილები საქართველოში გვხვდება I—III საუკუნეებით დათარიღებულ კომპლექსებში (ბანძა[38], ზემო ავჭალა[39], ბორი, ძევრი, კლდეეთი[40]). დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი მსგავსი მახვილები საქართველოს გარეთ, ე. წ. სარმატულ სამარხებში[41]. სარმატულ შეიარაღებაში ამგვარი ყუნწიანი მახვილები გვიანდელად ითვლება და თანმხლებ კომპლექსებთან ერთად III საუკუნის ბოლოთი და IV დასაწყისით თარიღდება[42].

2. სატევარი, რკინის (ტაბ. 43, 13), ძლიერ დაჟანგულია, ამიტომ ფორმის დადგენა ჭირს. სატევრის პირი ჩამოჰგავს არმაზისხევის ერისთავთა სამარხში აღმოჩენილ სატევრისა და დანის პირებს[43], აგრეთვე კლდეეთში აღმოჩენილ სატევრებს[44].

3. დანები, რკინის (4 ც.) (ტაბ. 43, 14). ძლიერ დაჟანგული და დამტვრეულია. ზოგიერთის ფორმის აღდგენა ჭირს. ანალოგიური დანები აღმოჩენილია ასპარუგ ერისთავის (II ს.) სამარხში[45], აზერბაიჯანში — იარაღის შემცველ ქვევრსამარხებში[46]. ამ ფორმის დანისპირები გვხვდება სარმატულ შეიარაღებაში[47].

4. ისრისპირები (ტაბ. 44, 15), რკინისა, სამფრთიანი. იდენტური ისრისპირები აღმოჩენილია კლდეეთში[48], მსგავსი ისრისპირები გვხვდება მინგეჩაურში[49] და სარმატულ სამარხებში[50].

5. აბზინდები, ბრინჯაოსი (ტაბ. 44,16). ანალოგიური ვერცხლისა და ბრინჯაოს აბზინდები გვხვდება არმაზისხევის ერისთავთა სამარხებში[51] და მათ სინქრონულ კრამიტყუთებში სამთავროს სამაროვანზე[52], მსგავსი აბზინდები აღმოჩენილია კლდეეთში[53] და ჟინვალში[54]. როგორც ირკვევა, ამ აბზინ-

---

[38] ს. მაკალათია, 1920—24 წწ. საქართველოში..., ტაბ. IX20.

[39] იქვე, ტაბ. IX1.

[40] გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, თბ., 1957, გვ. 131—132, სურ. 26.

[41] А. М. Хазанов, Очерки воеенного дела Сарматов, Москва, 1971; К. Ф. Смирнов, Сарматские погребения Южного Приуралья, КСИИМК, выпуск XXII, Москва-Ленинград, 1948, стр. 80—86.

[42] იქვე, გვ. 86, სურ. 30.

[43] ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე. მცხეთა, I, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1955, ტაბ. III, LX 1-3.

[44] გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, ტაბ. XXI1-2.

[45] მცხეთა, I, ტაბ. LXI1-3.

[46] Г. И. Ионе, Мингечаурские кувшинные погребения с оружием, КСИИМК, вып. 60, Москва, 1955, გვ. 54—62, სურ. 23—24.

[47] А. М. Хазанов, დასახ. ნაშრომი.

[48] გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, გვ. 143, სურ. 30.

[49] Г. И. Ионе, Мингечаурские..., სურ. 243-4.

[50] А. М. Хазанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 254.

[51] მცხეთა, I, სურ. 1112.

[52] М. И. Иващенко, Краткий отчет о работе Самтаврской группы Мцхетской археологической экспедиции за 1941 г. (ხელნაბეჭდი).

[53] გ. ლომთათიძე, კლდეეთის..., ტაბ. XXII.

[54] რ. რამიშვილი, ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია 1971 წელს, გვ. 168, სურ. 2.

დებს სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდა. თრელის სამაროვანზე აღმოჩენილი აბზინდები სამხარიღლიე ყაწიმის (პორტუპეის) შესაკრავი ნაწილები უნდა იყოს. ანალოგიური აბზინდები კარგად დაცულ პორტუპეის სხვა ნაწილებთან ერთად აღმოჩნდა სამხრეთ ურალისპირეთში — სარმატულ ყორღანში[55]. აღნიშნული აბზინდები ჩნდება II—III საუკუნეებით დათარიღებულ ძეგლებზე.

6. სამაჯურები, ოქროსი (ტაბ. 45, 23), ორნაწილედი. ღრუ რკალით, ერთი წყვილია, ძლიერ დაზიანებული. მსგავსი სამაჯურები გვხვდება არმაზისხევის ერისთავთა სამარხებში[56] და კლდეეთში[57]. თრელის სამაროვანზე აღმოჩენილის ზუსტ ანალოგს წარმოადგენს ბიჭვინტაში, III საუკუნის შუა ხანებით დათარიღებულ ფენაში დადასტურებული ოქროს სამაჯურები[58]. აღნიშნული სამაჯურები ძირითადად საქართველოს ტერიტორიაზე ჩანს გავრცელებული[59].

7. ბეჭედი, რკინისა (ტაბ. 45, 18), სარდიონის ინტალიოთი, რომელზედაც ათენა პალადაა გამოსახული. მ. ლორთქიფანიძის აზრით მსგავსი გემმები რომაულ სამყაროში მესამე საუკუნეშია გავრცელებული.

8. ბეჭედი, რკინისა (ტაბ. 45, 19), სარდიონის ინტალიოთი, გემმაზე გამოსახულია ლარნაკი მუდმივი ცეცხლით. მ. ლორთქიფანიძის აზრით იგი რომაულ იმპორტს წარმოადგენს და III საუკუნით შეიძლება დათარიღდეს.

9. დენარები, ვერცხლის, ავგუსტუსის (ტაბ. 55, 63), უსწორო ოვალური ფორმის, შუბლი — დაფნის გვირგვინიანი ავგუსტუსის პროფილი მარჯვნივ (ძვ. წ. 37 — ახ. 14 წწ.).

მონეტას ნაპირზე გარშემოუყვება ლათინური წარწერა: CAESAR AVGVSTVS DJVJ F ПАТЕR ПАТRIAE ზურგი—ორი ყრმა—გაიუსი და ლუციუსი მთელი ტანით. მათ ხელში შუბები უჭირავთ და ფარებს ეყრდნობიან. გარშემოუყვება წარწერა: C. L. CAESARFS AVCVSTI F. COS DESIG PRINC JVVENT მოჭრილია რომის პროვინცია გალიაში (ლუგუდუნუმში) ძვ. წ. 2 ახ. წ. 11 წ. შორის*.

როგორც ზემოთ ჩამოთვლილი კომპლექსის განხილვიდან ჩანს, სამარხი ახ. წ. III საუკუნით უნდა დათარიღდეს.

თრელის სამაროვანზე გამოვლენილი II ჯგუფის დანარჩენი სამარხები შესაძლოა I—III საუკუნეებს მივაკუთვნოთ, ამიტომ მათ ერთად განვიხილავთ აქ აღმოჩენილი მასალის მიხედვით.

1. **კერამიკა.** თრელის სამაროვანზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭელს ანალოგები ეძებნება გვიანანტიკური ხანის აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებზე. სამაროვანზე გამოვლენილი კერამიკა ოთხ ჯგუფად იყოფა:

I. სამტუჩა ხელადები (ტაბ. 57, 71) ოინოხოიას მოყვანილობისა. აღნიშნული ფორმის ჭურჭელი ჯერ კიდევ ქვევრსამარხებში გვხვდება[60]. შემდეგ იგი

---

[55] К. Ф. Смирнов, Сарматские погребения..., სურ. 30_{5-6-7}.

[56] მცხეთა, I, ტაბ. XVI, XXXIX.

[57] გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, ტაბ. $XIX._{6-9}$

[58] რ. ფუთურიძე, ბიჭვინტის შიდა ციხე ახ. წ. II—VI ს. (ხელნაბეჭდი).

[59] იქვე, გვ. 36.

* მონეტა განსაზღვრა ნუმიზმატმა გ. დუნდუამ.

[60] ვ. თოლორდავა, მასალები..., გვ. 142—143.

გვიანანტიკურ ხანაში ფართოდ ვრცელდება. ამ ტიპის კერამიკა აღმოჩენილია ახ. წ. I—III საუკუნეებით დათარიღებულ კომპლექსებში (მცხეთა[61], ურბნისი[62], ზემო ავჭალა[63], თბილისი[64]).

II. დოქისებური სასმისები (ტაბ. 55, 61-62). რელიეფური კოპებით შემკული დოქისებური სასმისები სამტუჩა ხელადებთან ერთად გვხვდება. იგი გავრცელებული ჩანს სომხეთშიც — ქვის სამარხებში[65].

III. პირგადაშლილი დოქისებური სასმისები (ტაბ. 57, 69-70). ამ ფორმის კერამიკაც ზემოდასახელებულ კომპლექსებში გვხვდება.[66]

IV. წერნაქით მოხატული დოქი (ტაბ. 47, 29). ზუსტი ანალოგები ამ ტიპის დოქს ვერ მოვუძებნეთ. მოხატვის ტექნიკით იგი გვიანელინისტურსა და ახ. წ. პირველი საუკუნეების თიხის ჭურჭელს ემსგავსება[67].

თრელის სამაროვანზე გამოვლენილი მეორე ჯგუფის სამარხებში დიდი რაოდენობით გვხვდება სამკაული.

1. მ ძ ი ვ ე ბ ი (ტაბ. 54, 60). აღნიშნული ფორმისა და მასალის მძივები საქართველოს გარდა გავრცელებული ჩანს სამხრეთ კავკასიაში[68], აგრეთვე ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში[69].

2. ს ა ყ უ რ ე ე ბ ი, ო ქ რ ო ს ი (ტაბ. 53, 52). ანალოგიური საყურეები აღმოჩენილია ბორში[70], კლდეეთში[71]. მსგავსი საყურეები გვხვდება აზერბაიჯანში — კატაკომბურ სამარხებში[72].

3. ზარაკები (ტაბ. 54, 58) ნახევარსფეროსებური ბრინჯაოს სადა ზარაკები, რომლებიც ზოგჯერ ნაჭდევი ზოლებითაა შემკული დადასტურებულია ძვ. წ. I საუკუნის ნახევრით დათარიღებულ კომპლექსში[73]. როგორც აღვნიშნეთ, ამ ტიპის ზარაკები გავრცელებული ჩანს გვიანანტიკურ ხანაშიც[74].

თრელის სამაროვანზე, მეორე ჯგუფის სამარხებში გვხვდება რომაულ სამყაროსთან ურთიერთობის ამსახველი ნივთები, აღსანიშნავია ე. წ. ეგვიპტური პასტისაგან დამზადებული მძივსაკიდი, რომელზედაც ლომის სკულპტურაა გამოსახული (ტაბ. 53, 53). ამ ტიპის მძივსაკიდები განსაკუთრებით გავრცელებული ჩანს ახ. წ. პირველ საუკუნეებში[75]. ლომისფიგურიანი მძივსაკიდი

---

[61] ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, ახლად აღმოჩენილი სამაროვანი მცხეთაში, მიმომხილველი, I, თბ., 1949, გვ. 259—287, ტაბ. IV_1.

[62] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ნაქალაქარი ურბნისი, ტაბ. XIII_1.

[63] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, 1920—24 წწ. საქართველოში..., ტაბ. IX_{18}.

[64] დ. ქ ო რ ი ძ ე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ტაბ. XII_{14-15}.

[65] Б. Аракелян, Гарни, I, Результаты раскопок 1949—50 гг., Ереван, 1951, გვ. 47—48, სურ. 37 (სამარხი № 13).

[66] ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, ახლად აღმოჩენილი სამაროვანი..., ტაბ. IV, სურ. II.

[67] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ნაქალაქარი ურბნისი, გვ. 55 (641, 1728).

[68] А. И. Ионе, Мингечаурские..., სურ. 22_{6-7}.

[69] В. Н. Корпусова, Некрополь у с. Золотое, КСИА, 128, 1971, გვ. 86—92, სურ. 36_{5-6}.

[70] Е. Придик, Новые..., ტაბ. 11.

[71] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, კლდეეთის სამაროვანი, ტაბ. XV.

[72] Г. М. Асланов, К изучению раннесредневековых памятников Мингечаура, КСИИМК, вып. 60, Москва, 1955, стр. 64.

[73] დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, უფლისციხე, I, ტაბ. XVIII.

[74] გ. ნ ე მ სა ძ ე, ბრინჯაოსნივთებიანი სამარხი..., გვ. 24.

[75] Б. Б. Пиотровский, Древнеегипетские предметы, найденные на территории Советского Союза, СА, № 1, 1958.

აღმოჩენილია მცხეთაში — კრამისტსამარხში[76], აგრეთვე ბორში[77]. ამ ტიპის საკიდები დიდი რაოდენობით გვხვდება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში და ჩრდილო კავკასიაში[78]. აღნიშნული ნივთები რომაულ იმპორტად ითვლება და ახ. წ. I—III სს. თარიღდება.

ამავე სამარხში აღმოჩნდა ბეჭდის თვალად განკუთვნილი იასპის გემმა, რომელზედაც სიცოცხლის ხეა ამოკვეთილი. მ. ლორთქიფანიძე კვეთის ხასიათის მიხედვით აღნიშნულ გემმას ახ. წ. II საუკუნის იმპორტულ ნახელავად მიიჩნევს (ტაბ. 53, 55).

თრელის სამაროვანზე აღმოჩნდა, აგრეთვე ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავი (ტაბ. 53, 54). საბეჭდავზე გამოსახული სიუჟეტი ზედმიწევნით ჰგავს წალკისა და არკნეთის ანალოგიურ ნივთებზე ამოკვეთილ სიუჟეტებს[79]. როგორც ცნობილია, აღნიშნული მრავალწახნაგა საბეჭდავები აქემენიდური ქვის საბეჭდავების იბერულ პირებადაა მიჩნეული. იგი ადგილობრივ ნაწარმად ითვლება და გავრცელებული ჩანს ელინისტურ ხანაში[80]. ამ ტიპის საბეჭდავები, როგორც ჩანს, ახ. წ. პირველ საუკუნეებშიაც იყო ცნობილი. ამაზე მეტყველებს ოქტავიან ავგუსტუსის დენარის შემცველ სამარხეულ კომპლექსებში მათი აღმოჩენის ფაქტი[81].

თრელის სამარხების მეორე ჯგუფის სამარხეული ინვენტარი ახ. წ. I—III საუკუნეებში ჩანს გავრცელებული. ამ პერიოდში შეინიშნება საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობის აღმავლობა[82] (წინა აზია, ხმელთაშუაზღვისპირეთი). იბერიის სამეფოს მონაწილეობა საერთაშორისო ურთიერთობაში აისახა სხვადასხვა იმპორტულ ძეგლებში[83] (ნუმიზმატიკური მონაპოვარი, ლითონის მხატვრული ჭურჭელი, სამკაული და სხვა).

აღნიშნული ვითარება გაპირობებული იყო აგრეთვე ანტიკურ ხანაში იბერიის სამეფოს ტერიტორიაზე გამავალი მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო-სატრანზიტო გზით[84]. ეს გზა დიღმის ხეობაზეც გადიოდა.

---

[76] Б. Б. Пиотровский, Древнеегипетские предметы, найденные на территории Советского Союза, СА, № 1, 1958, გვ. 24.

[77] იქვე, გვ. 27.

[78] Е. М. Алексеева, Предметы из Египетского фаянса VI в. до н. э. — IV в. н. э. в Северном Причерноморье, КСИИМК, вып. 130, Москва, 1972, стр. 3; Могильники Северного Кавказа, МАК, вып. VIII, М., 1900, стр. 233, 322.

[79] Б. А. Куфтин, Археологические раскопки..., ტაბ. V; მ. ლორთქიფანიძე, ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი, I, თბილისი, 1969, გვ. 110, ტაბ. V, 187.

[80] М. И. Максимова, Стеклянные многогранные печати, найденные на территории Грузии, ენიმკის მოამბე, X, 1941, გვ. 75—92; მ. ლორთქიფანიძე, გვიანაქემენიდური ხანის მცირეაზიური საბეჭდავების იბერული პირები — ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავები, სმგმ, № 6, თბ., 1963.

[81] ქ. ჯავახიშვილი, ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, თბ., 1972, გვ. 80—81.

[82] ო. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო, თბ., 1968, გვ. 127—128.

[83] იქვე.

[84] ო. ლორთქიფანიძე, ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზის შესახებ, სმამ, XIX, № 3, თბ., 1957.

თრელის სამაროვანზე აღმოჩენილი ორივე ჯგუფის სამარხები გამოირჩევა ტიპოლოგიური მრავალფეროვნებით. აქ დადასტურდა სამარხთა ოთხი ტიპი: ხის სამარხი (სამარხი № 1), ქვის სამარხი (სამარხი № 2), ქვევრსამარხი (სამარხი № 4) და ორმოსამარხები. უმეტესი წილი სამარხებისა ინდივიდუალურია, გარდა ორი შემთხვევისა (სამარხი № 8 და № 18), სადაც დადასტურებულია წყვილადი დაკრძალვა. მიცვალებულები დაკრძალული არიან ხელფეხმოკეცით, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე. პირველი ჯგუფის სამარხებში მიცვალებულები თავით ჩრდილოეთისაკენ არიან დამხრობილი, გარდა ერთი შემთხვევისა — ქვევრსამარხში მიცვალებული დასავლეთით ჩანს დამხრობილი.

თრელის სამაროვანზე გამოვლენილი მეორე ჯგუფის სამარხებში მიცვალებულთა ნაწილი დასავლეთისაკენაა ორიენტირებული, ნაწილი სამარხებისა დანგრეული იყო, ამიტომ მიცვალებულთა დაკრძალვის პოზა გაურკვეველი დარჩა.

თრელის სამაროვანზე გამოვლენილი სამარხთა ტიპები, დაკრძალვის წესი და სამარხეული ინვენტარი გავრცელებული ჩანს იმდროინდელ იბერიის სამეფოს სავარაუდო ტერიტორიაზე და გამოირჩევა ერთფეროვნებით. აღნიშნული ვითარება ელინისტური ხანის მიწურულსა და გვიანანტიკურ ხანაში იბერიის სამეფოს პოლიტიკური, ეკონომიურ და აგრეთვე კულტურულ ერთიანობაზე უნდა მიუთითებდეს.

თრელის სამაროვანზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა ძირითადად იბერიის (ქართლის) მოსახლეობის დაბალი მწარმოებლური ფენის სოციალური ვითარების ამსახველია.

სამაროვანი შესაძლოა მივაკუთვნოთ, იბერიის მოსახლეობის მესამე გენოსს, რომელშიაც სტრაბონმა მიწათმოქმედნი და მეომრები გააერთიანა[85].

თრელის სამაროვანზე ინვენტარის სიუხვითა და სიმდიდრით გამოირჩევა ახ. წ. III საუკუნით დათარიღებული მეომრის სამარხი, რომელშიც, როგორც ჩანს, დაწინაურებული ფენის წარმომადგენელთა ოჯახის წევრია დაკრძალული.

აღნიშნული სოციალური წრიდან შემდგომში სავარაუდებელია დიღმის ხეობის მებატონე-ფეოდალთა გამოსვლა.

В. В. НИКОЛАИШВИЛИ

ПАМЯТНИКИ АНТИЧНОГО ПЕРИОДА ИЗ ДИГОМСКОГО УЩЕЛЬЯ

(табл. 40—57)

Резюме

В Дигомском ущелье памятники античной эпохи обнаружены в следующих местах: Трели, Вашладжвара, Дигоми и Дидгори.

В фондах Государственного Музея Грузии хранятся памятники из

[85] Страбон, География, в 17 книгах, изд. «Наука», Ленинград, 1964, стр. 475.

Вашладжвара. Эти случайные находки можно датировать III и IV вв. нашей эры.

Экспедицией Дигомского ущелья на Трельском могильнике выявлены погребения хронологический диапазон которых охватывает время с конца I в. до нашей эры до IV в. нашей эры.

Материалы античного периода обнаруженные в Дигомском ущелье в основном местного происхождения (керамика, золотые изделия). Часть материала отражает сношения с античным миром (геммы, монеты).

Археологический материал добытый в Дигомском ущелье дает определенное представление о материальной культуре населения античной Картли (Иберии).

ჯაბლეთ ჯღამაია

შუასაუკუნეთა ნაციხვარი „ნოჯიხუ“ სოფ. ფახულანთან

(ტაბ. 58—59)

ენგურის არქეოლოგიური ექსპედიცია 1969—70 წწ. აწარმოებდა არქეოლოგიურ თხრას სოფ. ფახულანთან (წალენჯიხის რ-ნი) მდებარე ბორცვზე განლაგებულ ფეოდალური ხანის ნაგებობათა ნაშთების შესასწავლად, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ნოჯიხუს“, ე. ი. ნაციხვარს უწოდებს.

აღნიშნული ბორცვი წარმოადგენს ოვალური მოყვანილობის 70—80 მ სიმაღლის გორას, რომელიც აღმოსავლეთის მხრიდან ხელოვნურადაა გადაჭრილი ფართო თხრილით და შემოზღუდულია რიყის ქვის გალავნით.

ბორცვის დაზვერვის დროს აკრებილ მასალაში დადასტურდა ძვ. წ. VII—VI სს. კერამიკული ჭურჭლის ნატეხები, რაც მიუთითებს აღნიშნულ ხანაში ამ ადგილას სამოსახლოს არსებობაზე. იმავე ხანაშია იგი გადაჭრილი ფართო თხრილით, რის შედეგად ეს ბორცვი საცხოვრებელ ყელგადაჭრილ გორად იქცა.

მას სამივე მხრიდან ციცაბო ფერდობები აქვს, რომლებზედაც ალაგ-ალაგ ხელოვნური ტერასებია გაკეთებული. ბორცვის თხემი რამდენადმე სწორ ადგილს წარმოადგენს, რომელზედაც ციხის ნანგრევებია შემორჩენილი. ნაციხვარის ფართობი 400 კვმ-ია.

გალავნის კედლები შედარებით უკეთაა დაცული ნაციხვარის აღმოსავლეთით, ხოლო მის ჩრდილო, დასავლეთისა და სამხრეთის მხარეს მორღვეულ-დაშლილია.

გალავანი ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით, დუღაბად გამოყენებულია სილანარევი კირი. შემორჩენილი კედლების სიმაღლე 0,5—1,5 მ, სიგანე კი 1 მ-მდე.

აღნიშნული ბორცვი ორი მდინარის შუაა მოქცეული. ჩრდილო დასავლეთით მას ჩამოუდის მდ. ო ლ ო რ ი, რომელიც უერთდება ბორცვის სამხრეთ მხარეს მომდინარე მდ. ე ნ გ უ რ ს. ბუნებრივია, ამგვარი გეოგრაფიული მდებარეობა ციხეს სტრატეგიულად მნიშვნელოვან პუნქტად აქცევდა ისტორიულ ხანაში.

ნაციხვარის აღმოსავლეთ ნაწილში გალავნის კედლიდან შვიდიოდე მეტრის დაშორებით დგას ეკლესიის ნანგრევი (ტაბ. 58), რომლის რაობის გარკვევა გათხრამდე შეუძლებელი იყო, რადგან იგი მთლიანად დაფარული იყო ჯაგნარით, მიწითა და ქვა-ღორღით.

სოფ. ფახულანის ღრმად მოხუცებულ მცხოვრებლებსაც კი არაფერი

სმენიათ „ნოჯიხურზე“ „ნაოხვამუს“ (ე. ი. ნაეკლესიარის) არსებობის შესახებ.

აღნიშნული ნანგრევის გათხრამ გამოარკვია, რომ იგი წარმოადგენს დარბაზულ ეკლესიას. მას გეგმაში წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმა აქვს, დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე, ჩრდილოეთისაკენ ოდნავი გადახრით.

ეკლესია ნაგებია რიყის ქვით, სილანარევი კირის დუღაბზე და მოპირკეთებულია გულდაგულ გათლილი კირქვიანი ქვიშაქვის ფილებით, რომელთა ზომა დაახლოებით 50 სმ × 60 სმ, სისქე კი 8—10 სმ შორის მერყეობს. ამ ჯიშის ქვის გამოსავლები ეხლაც შეიმჩნევა მდ. ოლორის ნაპირებზე.

ეკლესიას გარეთა პერანგი მთლიანად აქვს შემოცლილი. მისი იატაკი კი მოგებულია იმავე ზომის ქვიშაქვის ფილებით.

ეკლესიის შემორჩენილი კედლების სიმაღლე დაახლოებით 1—2,30 მ შორის მერყეობს. ეკლესიის სიგრძე 11,70 მ-ია, სიგანე 7,10 მ. შიგა ფართობი —64 კვმ-ია, კედლების სისქე —90 სმ.

აფსიდის დასაწყისიდან კედლის სისქე მატულობს და თანდათანობით აღწევს 2,25 მ-მდე. აფსიდას ეკლესიის ფართობის 1/3 უჭირავს.

თავდაპირველად ეკლესიას შესასვლელი სამი მხრიდან ჰქონია: დასავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან.

კარის სიგანე ყველგან ერთი ზომისაა და 1,25 მ უდრის. სამხრეთისა და ჩრდილოეთის კარებს ორივე მხრიდან, 35 სმ-ის დაშორებით, 52 სმ-ის სიგანის და 15 სმ სისქის პილასტრები აქვს, რომლებზედაც სართავი თაღის კამარები იდგა.

ეკლესიას შიგნით, დასავლეთი კედლის გაყოლებით, ვიდრე მის ჩრდილო და სამხრეთის კარებამდის, იატაკის დონიდან 50 სმ-ის სიმაღლის და 45 სმ სიგანის მერხი შემოუყვება, რომლის საერთო სიგრძე —6,50 მ-ია.

ეკლესიას აქვს საძვალე, რომელიც დატანებულია მის სამხრეთ კედელთან. საძვალეებში ჩასასვლელი სამხრეთის კარის პირდაპირ, 50 სმ დაშორებით მდებარეობს. ჩასასვლელის კედლები ამოყვანილია კირქვიანი ქვიშაქვის 40 სმ სისქის კვადრებით, რომელთაც საძვალის სახურავის სამაგრი შვერილი აქვთ ამოჭრილი.

თვით სახურავი არ აღმოჩნდა (in situ) რადგანაც ეკლესიის დანგრევის შედეგად, სამხრეთი კარის არქიტრავს, რომლის სიგრძე 2,50 მ, სიგანე 50 სმ, სისქე —20 სმ-ია, იგი ერთბაშად ჩაუნგრევია და თვითონ გაჩხერილა საძვალის ჩასასვლელში.

საძვალე პირამდე იყო ამოვსებული ქვა-ღორღით. მისი ამოწმენდისას იატაკის დონეზე აქა-იქ შეიმჩნეოდა ძალზე დაშლილი ნაშთები ადამიანთა ძვლებისა.

საყურადღებოა მასში ირმის რქების აღმოჩენა, რაც ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ხშირად არის დადასტურებული შეწირვის ერთ-ერთ სახედ, განსაკუთრებით მთისა და მთის წინა ზოლში.

საძვალის სიგრძე —4 მ-ია, სიგანე 1 მ, სიმაღლე 1,30 მ. იგი ისევე გულდაგულ არის ნაგები, როგორც თვით ეკლესია.

მას ჭერი თაღოვანი აქვს და კარგად ჩანს კირის დუღაბში შემორჩენილი ხის გამირების ნაბუდარები, რაც თაღის ამოშენების ტექნიკაზე მიგვითითებს.

ეკლესიის შიგა კედლების წმენდის დროს, განსაკუთრებით მის დასავლეთ მხარეს, შეიმჩნა, რომ ისინი თავის დროზე შელესილი ყოფილა შემორჩენილი საღებავგადასხმული ბათქაშის ნაწილების მიხედვით. ზოგ მათგანს წითელი და ყავისფერი საღებავის კვალი აჩნდა, რაც ნათლად მეტყველებდა, რომ ეკლესია თავდაპირველად მოუხატავთ კიდეც.

ეკლესიის თხრის შედეგად მოპოვებულმა არქეოლოგიურმა მასალამ და სამშენებლო ტექნიკის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ბაზილიკა აშენებულია შუაფეოდალურ ხანაში, ხოლო შემდგომ გვიანფეოდალურ ხანაშია გადაკეთებული.

იგი შუაფეოდალურ ხანაში დაბურული ყოფილა ფირუზისფრად მოჭიქული კრამიტით, რომელსაც ყალიბშივე გამოყვანილი სტილიზებული ყვავილის რელიეფური გამოსახულება ამშვენებს. ჭიქური თეთრ ანგობზეა გადასხმული. ამ ხანის მოჭიქული კრამიტის აღმოჩენა კი განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგანაც მისი არსებობა დასავლეთ საქართველოში აქამდე დადასტურებული იყო მხოლოდ გეგუთში, გიორგი III-ის მიერ ნაგებ სასახლეში[1].

გვიანფეოდალურ ხანაში ეკლესიისათვის ჩრდილო მხრიდან მიუდგამთ მინაშენი. იგი ნაგებია სხვადასხვა ფორმისა და სიდიდის რიყის ქვით, რითაც აშკარად განსხვავდება ეკლესიის სამშენებლო ტექნიკისაგან. იგი თავის წყობის ხასიათით მსგავსია, აქვე, ნაციხვარზე გვიანფეოდალურ ხანაში განახლებული გალავნის კედლებისა, აგრეთვე ჩვენ მიერ გათხრილ (1968 წ.) სოფ. ლიას (წალენჯიხის რ-ნი) „დიდა ქირსას“ შემორჩენილი გალავნის, შხეფის ციხის, ჭაქვინჯის და სხვათა ამავე ხანის ცნობილ ნაგებობათა წყობისა.

მინაშენს შესასვლელი მხოლოდ ეკლესიის ჩრდილო კარიდან ჰქონია. მას აღმოსავლეთ კედელში სარკმელი უნდა ჰქონოდა (ამჟამად გადმონგრეულია).

მინაშენის სიგრძე — 4,50 მ-ია, სიგანე 2,25 მ, კედლების სისქე — 1 მ.

მას ჩრდილო კედელში შიგნითა მხრიდან ორი სხვადასხვა სიდიდის ნიში აქვს დაყოლებული. ერთი მათგანი კარის პირდაპირ მდებარეობს იატაკიდან 1,20 მ სიმაღლეზე. მისი სიგრძე — 70 სმ-ია, სიგანე — 60 სმ, სიმაღლე — 50 სმ. თახჩის უკანა, გამოსაჩენი კედელი მოპირკეთებულია კირქვიანი ქვიშაქვის ოთხი ფილით, რომლებიც თავის დროზე, უდავოა, ბაზილიკის პერანგის ნაწილს შეადგენდნენ.

მეორე ნიშის კედელი მოუპირკეთებელია, მისი სიგრძე 85 სმ-ია, სიგანე 50 სმ, სიმაღლე — 65 სმ. მინაშენის თხრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მოგვცა გვიანფეოდალური ხანის მასალა. იგი დაბურული ყოფილა კრამიტით, რომელიც კეცით, ფორმით, გამოწვის ხარისხითა და ზომებით თვალშისაცემად განსხვავდება ეკლესიაში აღმოჩენილ მოჭიქული კრამიტისაგან.

ნაეკლესიარის თხრის დროს გაირკვა, რომ ეკლესიის განადგურების შემდეგ, რის კვალიც აშკარად შეიმჩნეოდა, მის ნანგრევში ჩაუჭრიათ სამარხები, რომლებშიაც მიცვალებულთა მხოლოდ დაშლილი ძვლები აღმოჩნდა. ეს სამარხები ეკლესიის იატაკის დონიდან 50—60 სმ-ზე მდებარეობდნენ.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ნაციხვარის გალავნის კედლებს, რომ-

---

[1] ვ. წ ი ლ ო ს ა ნ ი, გეგუთი (ციხე დარბაზი), კრ. „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, თბ., 1938, გვ. 467.

ლებიც ძირითადად შუაფეოდალურ ხანაში არიან ნაგებნი, შემდგომში არაერთგზის განუცდიათ განახლება-აღდგენა.

შედარებით უკეთ დაცული კოშკი მდებარეობს „ნოჯიხუს“ სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს. იგი სწორკუთხა მოყვანილობისაა. ნაგებია საგანგებოდ შერჩეული დიდრონი რიყის ქვებით, ჰორიზონტული წყობის დაცვით. დუღაბად გამოყენებულია სილანარევი კირი. კოშკის შემორჩენილი კედლების სიმაღლე 2—2,50 მ-ია. მისი შიგა ფართობი 14 კვ მ-ია. კედლების სისქე თითქმის ერთნაირია და 1 მ-ს შეადგენს. კოშკის კედელწყობის მოსწორების მიზნით ზოგიერთი დიდრონი რიყის ქვა საგანგებოდაა ჩამოტეხილი. კოშკის ამოწმენდისას აღმოჩენილი მასალა მას შუაფეოდალური ხანით ათარიღებს.

როგორც გაირკვა, კოშკი შუაფეოდალურ ხანაშივე დანგრეულა და გვიანფეოდალურ ხანაში აღარ აღუდგენიათ. მასზე გარედან მიუშენებიათ ნახევარწრიული კოშკი, რისთვისაც გამოუყენებიათ სწორკუთხა კოშკის აღმოსავლეთი კედელი. როგორც ეტყობა სწორკუთხა კოშკის აღდგენა მშენებლებს უფრო რთულ საქმედ მიუჩნევიათ, ვიდრე ახალი კოშკის ამოყვანა.

ეს უკანასკნელი აშენებულია საძირკვლის გარეშე, პირდაპირ დედაქანზე. მისი შემორჩენილი კედლების სიმაღლე 2,10 მ-ია, სიგანე 80 სმ. კოშკი ნაგებია აშკარად განსხვავებული ტექნიკით, რიყის წვრილი ქვებით წვრილმარცვლოვან სილანარევ კირის დუღაბზე.

დროთა განმავლობაში კოშკი საძირკვლის უქონლობის გამო გადაწეულა და მისი კედლები სწორკუთხოვანი კოშკის კედელს 20—30 სმ-ით დაშორებია.

ნახევარწრიული კოშკის ამოწმენდის დროს ძირითადად გვხვდებოდა სხვადასხვა სისქის კეცის მქონე ჭურჭელთა უსახური ნატეხები, რომლებიც პარალელური მასალების მიხედვით ზოგადად გვიანფეოდალურ ხანას მიეკუთვნებიან.

კოშკის ძირა ფენაში აღმოჩნდა ორი, სხვადასხვა შემკულობის მქონე თურქული ჩიბუხი, რამაც მოგვცა საშუალება დაგვედგინა კოშკის აშენების თარიღი.

აღნიშნული ჩიბუხები საიმედოდაა დათარიღებული XVIII ს-ით. მათი მსგავსი ჩიბუხები ათეულობითაა აღმოჩენილი ჯავახეთის ახალქალაქის გათხრების დროს, თითო-ოროლა კი გონიოს ციხეზე, ფოთში და სხვა, რაც ამ ადგილებში გარკვეულ დროს თურქთა შემოსევის ნაკვალევს წარმოადგენს.

აქვე გვინდა გავიხსენოთ ჩვენ მიერ სოფ. ლიას „დიდა ქირსა“-ზე № 2 კოშკში, მის ზედა ფენაში აღმოჩენილ XVIII საუკუნის თურქული ფაიანსის ჭურჭლის ნატეხები, რაც არქეოლოგიურად მხარს უბამს ზემოთ აღნიშნულ დაკვირვებას.

„ნოჯიხუს“ ჩრდილო კუთხეში შეიმჩნევა სწორკუთხა მოყვანილობის კოშკის ნაშთი, ამჟამად შემორჩენილია მისი ძირა წყობის უმნიშვნელო ნაწილი, რომლის მოსინჯვამაც ვერაფერი მოგვცა, რადგანაც მისი კედლების მორღვევის შედეგად, რომლის ნაშთები ბორცვის ციცაბო ფერდობზე აჭაიქაა შემორჩენილი, კულტურული ფენაც განადგურებულა.

გალავნის სამხრეთ კედელს შემორჩენილი აქვს 4 მ სიგრძისა და 2 მ სიგანის ნახევარწრიული კონტრფორსი, ნაგები რიყის დიდრონი ქვებითა და ისეთივე ჰორიზონტული წყობით, როგორიც მასთან ახლოს 15-ოდე მ

დაშორებით მდგარი სწორკუთხა კოშკი. მათი თანადროულობა ეჭვს არ იწვევს, რომ ისინი წარმოადგენენ „ნოჯიხუს“ შუაფეოდალური ხანის სამშენებლო პერიოდს.

ნაციხვარ „ნოჯიხუს“ სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში დგას ორი ერთმანეთთან ახლოს მდებარე კაპიტალურად ნაგები შენობათა ნანგრევი, რომელთა კედლების წყობა სავსებით ერთნაირია. ისინი ნაგებია საგანგებოდ შერჩეული დაახლოებით თანაბარი ზომის რიყის მოზრდილი ქვებით, ჰორიზონტული წყობის დაცვით, რაც როგორც ზემოთ არაერთგზის გვაქვს შენიშნული, წარმოადგენს „ნოჯიხუ“-ზე შუაფეოდალურ ხანაში შექმნილ ნაშენობათა დამახასიათებელ ნიშანს.

აღნიშნულ შენობათა კედლები უშუალოდ გალავნის კედლებში არიან ჩამჯდარნი და მათ გაგრძელებას წარმოადგენენ. ისინი ერთმანეთის მიმართ რამდენადმე კუთხით არიან ნაშენები, რაც რელიეფის თავისებურებით უნდა იყოს გამოწვეული.

№ 1 შენობა წარმოადგენს წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმის ნაგებობას, რომლის სიგრძე —12 მ, სიგანე —6 მ, ხოლო კედლის სისქე — 1 მ-ია.

№ 2 შენობის სიგრძე —8 მ, სიგანე —5 მ, კედლის სისქე —1 მ.

ორივე ნაგებობა ამოვსებული იყო ქვა-ღორღითა და დაფარული ჯაგნარით. ამ შენობათა რაობის გარკვევის მიზნით დავიწყეთ № 1 ნაგებობის თხრა.

თხრის დროს ჩნდებოდა სხვადასხვა სისქის კეცის მქონე ჭურჭლის ნატეხები, რომელთა ზედაპირი ზოგჯერ ურთიერთგადამკვეთი, დაღარული, დაბალრელიეფური ხაზებით იყო შემკობილი.

ნაგებობის კედლები შელესილი და წითელი და ყავისფერი საღებავით მოხატული ყოფილა, ზუსტად ისევე როგორც ეკლესია, რაც მათ ურთიერთკავშირზე და თანადროულობაზე მიუთითებს.

ჩვენი დაკვირვების თანახმად, ნათელი გახდა, რომ ეკლესია და ეს ორი ნაგებობა აგებულნი არიან შუაფეოდალურ ხანაში (XI—XIII სს.) და ისინი თავის დროზე ერთ მთლიან კომპლექსს შეადგენდნენ.

გვიანფეოდალურ ხანაში აღნიშნული ნაგებობანი აღდგენილი სახით განაგრძობენ ფუნქციონირებას. № 1 შენობაში აღმოჩნდა მოჭიქული ჯამის ნატეხები. ორი მათგანი ერთი ჯამისაა და მის ძირგვერდის ნატეხს წარმოადგენს, ხოლო მესამე სხვა ჯამის გვერდის ნატეხია. მათზე ამოკაწვრის ტექნიკით შესრულებული ხაზოვანი ორნამენტია დატანებული. გამჭვირვალე ჭიქურის ქვეშ კი ყავისფერი და მწვანე ჭიქურის ლაქებია დაღვენთილი.

აღნიშნული მოჭიქული ჯამის ნატეხები ანალოგს პოულობს აღმოსავლეთ საქართველოს შუაფეოდალური ხანის მოჭიქულ ჭურჭლებთან (თბილისი, რუსთავი, თელავი, გუდარეხი) და შესაძლოა აქედან არის შეტანილი.

როგორც ცნობილია, მოჭიქული ჭურჭლის აღმოჩენის შემთხვევები დასავლეთ საქართველოს განათხარ ძეგლებში იშვიათობას წარმოადგენს. ციხეს თავის დროზე, ბუნებრივია, შესასვლელი კარიბჭე ექნებოდა, რომლის ნაშთი ამჟამად არა აჩნს გალავნის კედლების ცუდად დაცულობის გამო, მაგრამ საგულისხმოა, რომ იგი მას ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს უნდა ჰქონოდა, რადგან აქ ბორცვის ფერდობი ნაკლებდაქანებულია და ამრიგად, უკეთ მისადგომი.

ჩვენ ამ ბორცვის ფერდობებიც მოვსინჯეთ. ბორცვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობის ერთ-ერთ ტერასაზე გავლებულ თხრილში აღმოჩნდა ოთხი დიდი ქვევრის ძირგვერდი. ქვევრები დაკირულნი იყვნენ და გვიანფეოდალური ხანით დათარიღდნენ. აშკარაა, რომ აქ საქმე გვქონდა ციხესთან კავშირში მყოფ ღია მარანთან.

მოგვაქვს „ნოჯიხუზე“ არქეოლოგიური თხრის შედეგად მოპოვებული ზოგიერთი ნიმუშის (ტაბ. 59) აღწერა:

1. კრამიტი, ბრტყელი, გვერდებაკეცილი, კეცი უხეშადაა მოზელილი და არაერთნაირი სისქის —1,7—2 სმ. მოვარდისფროდაა გამომწვარი, ნაყალიბევია. კრამიტში შესადგმელი უბე გამოწვამდე დანით აქვს ამოჭრილი (საინვ. № 1) გვიანფეოდალური ხანის.
2. ვერცხლის მოსართავი სარტყლისა(?) (შერჩენილი აქვს ჭსოვილის ანაბეჭდები), თხელი, მრგვალი, ნაპირზე ამობურცული წერტილების ერთი წყება შემოუყვება, ცენტრში ნასვრეტი აქვს, რომლის გარშემოც ასეთივე ამობურცული წერტილების წრეა (საინვ. № 5) შუაფეოდალური ხანის.
3. რკინის ლურსმანი, განივკვეთში ოთხწახნაგა, სწორკუთხა მოყვანილობის ბრტყელი თავით (საინვ. № 6) გვიანფეოდალური ხანის.
4. თიხის ჭურჭლის ყური, მოყვითალოდ გამომწვარი, ბრტყელი, ზედაპირზე სამრიგად, წყვეტილი, ჩაღრმავებული ორნამენტი გასდევს (საინვ. № 4) შუაფეოდალური ხანის.
5. კრამიტი, ბრტყელი, გვერდებაკეცილი, ფირუზისფრად მოჭიქული, ანგობიანი, ზედაპირზე ყალიბშივე გამოყვანილი რელიეფური სტილიზებული ყვავილი აქვს. ფართო ბოლოში კი გარდიგარდმო დაბალი ღობე წვიმის წვეთების შესაჩერებლად (საინვ. № 8). შუაფეოდალური ხანის.
6. თიხის ჭურჭლის ნატეხები, მოვარდისფროდ გამომწვარი, კეცის სისქე —1 სმ-ია. ზედაპირზე დაბალრელიეფური, ურთიერთგადამკვეთი წვრილხაზოვანი ორნამენტი აქვს (საინვ. № 15) გვიანფეოდალური ხანის.
7. თიხის ჩიბუხი, ნაყალიბევი, კარგად განლექილი და მოზელილი კეცით, მოვარდისფროდ გამომწვარი, ჭდეული ორნამენტით (საინვ. № 17) გვიანფეოდალური ხანის.
8. თიხის ჩიბუხი, ნაყალიბევი, რუხად გამომწვარი, ვერტიკალური, გოფრირებული ორნამენტით შემკული (საინვ. № 19). გვიანფეოდალური ხანის.
9. ორმხრივ მოჭიქული ჯამის ნატეხები, „გრაფიტო“-ს წესით შესრულებული ხაზოვანი ორნამენტით, ანგობიანი, გამჭვირვალე ჭიქურის ქვეშ ალაგ-ალაგ ყავისფრად და მწვანე ჭიქურის ნაღვენთები აქვს ორნამენტად გამოყენებული (საინვ. № 23) შუაფეოდალური ხანის.
10. მოყავისფროდ გამომწვარი დერგის ნატეხი, ზედაპირზე წვრილი რელიეფური ორნამენტით, ყელთან ჭდეული ამობურცული ზოლი გასდევს. შუაფეოდალური ხანის.

აქ საგანგებოდ მოტანილია არქეოლოგიური თხრის შედეგად მოპოვებული რამდენიმე დამახასიათებელი ნიმუში, რომელიც სტრატიგრაფიული

ჭრილისა და პარალელურ მასალებთან ურთიერთშეჯერების მიხედვით, ძეგლის დათარიღებისათვის საიმედო საფუძველს იძლევიან.

ამრიგად, სოფ. ფახულანის „ნოჯიხუს“ არქეოლოგიურმა შესწავლამ დაგვანახვა:

1. ამ ბორცვზე ჯერ კიდევ ძვ. წ. VII—VI სს. წარმოქმნილა საცხოვრებელი გორა (მხედველობაში გვაქვს მისი გადაჭრა ფართო თხრილით) და დაზვერვისას მოპოვებული ამ ხანის კერამიკული მასალა.
2. გაირკვა, რომ ნაციხვარ „ნოჯიხუზე“ შუაფეოდალურ ხანაში შექმნილა გალავნით შემოზღუდული ნაგებობათა თანადროული კომპლექსი(ეკლესია და ორი სწორკუთხა შენობა), ამავე პერიოდს (XI—XIII სს.) ეკუთვნის გალავნის აღმოსავლეთით მდებარე სწორკუთხა კოშკი და ზღუდის ზოგიერთი წყობა.
3. გვიანფეოდალურ ხანას ეკუთვნის ეკლესიის მინაშენი, ამავე ხანაშია აშენებული ნახევარწლიური კოშკი ამ დროისათვის უკვე გაუქმებულ სწორკუთხა კოშკზე.

სოფ. ფახულანის „ნოჯიხუს“ შესახებ რაიმე ცნობა ისტორიულ წყაროებში არაა დაცული, მაგრამ ცხადია, ამ ადგილის შერჩევას მრავალი მიზეზი განაპირობებდა.

როგორც ცნობილია, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ადრეშუასაუკუნეებიდანვე მრავლდება ცალკეულ ხევებში, თუ ხეობებში აღმოცენებული რელიგიური, ეკონომიური თუ პოლიტიკური ცენტრების რიცხვი, რასაც თან სდევდა ციხეთა მშენებლობა, თუ უკვე არსებულის შეკეთება-შენარჩუნება.

როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, „საერთოდ ციხე, ეს პოლიტიკური (და სოციალური) ბატონობის საშუალება (და ნიშანი) არა მარტო გზის ყელზე იდგა, არამედ გზას თავისკენ ეწეოდა. ამა თუ იმ ციხის „შემავალ“ ქვეყანაში გამვლელი, რასაკვირველია, გვერდს ვერ აუქცევდა ამ ციხეს, ხოლო მთელი საქართველო ხომ გარკვეულ დროს ასეთ საციხისთაო ტერიტორიული ერთეულებისაგან შედგებოდა“[2].

სოფ. ფახულანის „ნოჯიხუს“ არქეოლოგიურმა შესწავლამ გამოავლინა შუა საუკუნეების ციხის საინტერესო კომპლექსი, რომელიც მოქმედებდა შუაფეოდალური ხანიდან გვიანფეოდალური ხანის ჩათვლით. ამრიგად, მას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება შუა საუკუნეთა საქართველოს ნაციხვარების შესაწვლაში.

Д. К. ДЖГАМАЯ

РАЗВАЛИНЫ СРЕДНЕВЕКОВОЙ КРЕПОСТИ «НОДЖИХУ» ОКОЛО СЕЛА ПАХУЛАНИ

(табл. 58—59)

Резюме

Один из отрядов Энгурской археологической экспедиции в 1969—1970 гг. вел раскопки развалин средневековой крепости на холме «Ноджихиу» около села Пахулани (Цаленджихский р-н).

[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 326.

Во время разведок (подъемный материал) выяснилось, что он был освоен еще VII—VI вв. до н. э., а сохранившиеся развалины крепости относятся к средне- и позднефеодальной эпохам.

К среднефеодальному периоду относятся: зальная церковь, первоначально крытая глазурованной черепицей с рельефным изображением стилизованного растения, развалины двух зданий и прямоугольная башня.

В позднефеодальную эпоху к церкви был пристроен придел, а к прямоугольной башне — полукруглая башня.

Раскопки этого интересного комплекса имеет определенное значение в деле изучения средневековых крепостей Грузии.

გურამ გრიგოლია

რეცენზია ლ. ნეგიერიძის ნაშრომზე „დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი“

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ნეოლითი ანუ ახალი ქვის ხანა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფეხურთაგანია.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ წინაკლასობრივი საზოგადოების არც ერთ ეტაპზე არ მომხდარა ისეთი გრანდიოზული „რევოლუციური“ ხასიათის ცვლილებები, რასაც ადგილი ჰქონდა ნეოლითის საფეხურზე ამ 8—10 ათასი წლის წინათ.

საილუსტრაციოდ საკმარისია გავიხსენოთ, რომ ნეოლითში არსებითი ხასიათის ცვლილებები ხდება ქვის დამუშავების ტექნიკაში: იწყება ქვის გახეხვა-გაპრიალება და ჩნდება ახალი ტიპის იარაღები, რაც აჩქარებს სამეურნეო განვითარების ტემპებს და აუმჯობესებს ადამიანის ყოფას.

ასევე და კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვანია ნეოლითის მეორე აღმოჩენა, რასაც მეთუნეობა ეწოდება. როცა ადამიანმა შეძლო ცეცხლის საშუალებით საკუთარი სურვილისათვის დაემორჩილებინა ბუნებაში არსებული ჩვეულებრივი თიხა და მიეღო პირველი გამომწვარი ქოთანი.

დასასრულს, სოციალურ მომენტებზეც რომ არაფერი ვთქვათ, უთუოდ საკაცობრიო მნიშვნელობისაა ნეოლითური ადამიანის მიერ მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის საიდუმლოების ამოცნობა, რასაც დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და აქამდე ადამიანის არსებობის საფუძველთა საფუძველია.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყოდით, რომ მიმთვისებლური მეურნეობიდან (ნადირობა, შემგროვებლობა) მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა კაცობრიობის ყველა მონაპოვართა შორის უდიდესი მონაპოვარია.

სწორედ ამიტომ არის, რომ ნეოლითური ხანის ყოველი ახალი ძეგლის აღმოჩენა სადაც არ უნდა იყოს და განსაკუთრებით კი თუ იგი კავკასიაშია, მეცნიერთა ფართო საზოგადოების ყურადღებას იმსახურებს.

ამ მხრივ კავკასიისადმი განსაკუთრებული ინტერესი სავსებით ბუნებრივია, რადგან როგორც ვიცით, კავკასია ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ ერთ-ერთ უმოკლეს გზას წარმოადგენს და იგი ისტორიის ყველა ეტაპზე იყო ის რეგიონი, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ და გამოცდილებას უზიარებდნენ სამხრეთისა თუ ჩრდილოეთის კულტურათა ნაკადები. კავკასიის მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა და მისი ხელსაყრელი ეკოლო-

გიური პირობები აფიქრებინებს მკვლევარებს, რომ სწორედ აქ არის საძიებელი იმ ეპოქალურ სიახლეთა სათავეები, რომელსაც რევოლუციური მნიშვნელობა ენიჭება ადამიანთა განვითარების ისტორიაში და „ნეოლითური რევოლუციის“ სახელით არის ცნობილი.

კავკასიის ცალკეულ მხარეებს შორის ნეოლითური თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა დასავლეთ ამიერკავკასია ანუ ისტორიული კოლხეთის ტერიტორია, სადაც არაერთი ნეოლითური ხანის ძეგლია მიკვლეული და შესწავლილი, რომლის საფუძველზე დაიწერა მრავალი სპეციალური ნაშრომი და მონოგრაფიული გამოკვლევა. ნეოლითის საკითხებისადმი მიძღვნილ ნაშრომებს შორის, რომელიც უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნდა, განსაკუთრებით საყურადღებოა ლამარა ნებიერიძის მონოგრაფიული გამოკვლევა — „დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი“ („მეცნიერება“, 1972 წელი).

ვიდრე სარეცენზიო ნაშრომის განხილვას შევუდგებოდეთ, ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მასში თავმოყრილი დასავლეთ ამიერკავკასიის ძეგლების ქრონოლოგიური დაჯგუფებისა და განზოგადების შედეგები გარკვევით პასუხობს საქართველოს ნეოლითური პრობლემის თანამედროვე მოთხოვნებს.

სარეცენზიო ნაშრომი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ძეგლების გამოწვლილვითი შესწავლის შედეგებზეა დაფუძნებული. ანასეული I, ანასეული II, გურიანთა, მამათი, კისტრიკი, ხუცუბანი, ქობულეთი და ოდიში — აი, იმ ძეგლების სრული სია, რომელიც ავტორის კვლევის სფეროშია მოქცეული. აქვე უნდა ხაზი გაესვას იმ მომენტებსაც, რომ ზემოხსენებული ძეგლების უმეტესობა თვით ავტორის უშუალო მონაწილეობის შედეგად არის მოპოვებული და ამდენად, ნაშრომი მათ პირველ მეცნიერულ პუბლიკაციას წარმოადგენს. თარიღის, კულტურისა თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით ნაშრომში, აგრეთვე, მოშველიებულია დასავლეთ ამიერკავკასიისა და ჩრდილო კავკასიის სხვა კარგად შესწავლილი ძეგლების მასალებიც, როგორიც არის ნიჟნაია შილოვკა, კამენომოსტსკოე, ოვეჩკო და სხვ.

სარეცენზიო ნაშრომი, რომელიც დასტამბულია ქართულ ენაზე, შედგება 118 ნაბეჭდი გვერდისაგან, რუსული რეზიუმეთი. მას თან ერთვის ტაბულების ქართულ-რუსული აღწერილობა და 48 ტაბულა ცალკეული ძეგლებიდან მომდინარე მასალების გრაფიკული ჩანახატებით, ნეოლითურ სადგომთა ხედების ამსახველი ფოტოებით და ძეგლების გავრცელების რუკით.

ნაშრომის წერილობითი ნაწილის არქიტექტონიკა წარმოდგენილია წინასიტყვაობისა, შესავალისა, სამი თავისა და დასკვნის სახით.

წინასიტყვაობაში ავტორი საუბრობს კავკასიის ნეოლითური პრობლემის აქტუალობაზე და ამ მიმართულებით ნაშრომის მიზანდასახულებაზე. აქვე მოკლედაა ჩამოთვლილი საკითხთა ძირითადი ჯგუფი, რომელიც ამ სოლიდური მოცულობის ნაშრომის შექმნას დაედო საფუძვლად.

ნაშრომის შესავალი ფაქტიურად ისტორიოგრაფიული ნაწილია, სადაც ავტორი საკმაოდ დეტალურად იხილავს ნეოლითის შესწავლის ისტორიის საკითხს როგორც საქართველოში, ისე მთელ კავკასიაში და ხაზს უსვამს ამ დარგში მომუშავე ყველა საბჭოთა სპეციალისტის სათანადო დამსახურებას. საერთოდ ეს ნაწილი ლიტერატურის კარგი ცოდნით არის დაწერილი და ჩვენც არაფერი გვექნებოდა სასაყვედუროდ, რომ ავტორს მხედველობიდან არ

გამორჩენოდა ზოგიერთი მკვლევარის დამსახურება ამა თუ იმ ძეგლის აღმოჩენისა თუ შესწავლის საქმეში.

სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ ძეგლი გურიანთა, სადაც ისტ. მეცნ. კანდ. ნინო ბერძენიშვილმა 1963 წ. სარეცენზიო ნაშრომის ავტორთან ერთად აწარმოა მცირე მასშტაბის გათხრითი სამუშაოები და გამოაქვეყნა ამ ძეგლის შესწავლის შედეგებისადმი მიძღვნილი ვრცელი წერილი (იხ. ნ. ბერძენიშვილი, უძველესი ნამოსახლარები სოფ. გურიანთაში, გაზეთი „ლენინის დროშა“, № 117, 22 აგვისტო, 1963 წ.).

შესავალი ნაწილის მეორე ნახევარი ეთმობა დასავლეთ ამიერკავკასიის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებას. ავტორი ფართოდ იყენებს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურას და ვფიქრობთ, სამართლიანად დაასკვნის, რომ ნეოლითელ ადამიანს ცხოვრება უხდებოდა ისეთსავე ბუნებრივ გარემოცვაში, როგორიც არის დღეს და რაც მტკიცე საფუძველს უქმნიდა ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარებას.

სარეცენზიო ნაშრომის პირველი თავი — „დასავლეთ ამიერკავკასიის ძეგლები და მათი სტრატიგრაფიის საკითხი“ ორი პარაგრაფისაგან შედგება: 1. „სტრატიგრაფიის შესახებ“ და 2. „ნეოლითური ძეგლების ნივთიერი მასალა“. პირველ პარაგრაფში ავტორი იხილავს დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური ძეგლების სტრატიგრაფიის საკითხს და სწორად შენიშნავს, რომ ამ მხრივ მძიმე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, რადგან ერთადერთი ძეგლის ნიჟნაია შილოვკას გარდა, ყველა სხვა სადგომთა ფენების თავდაპირველი განლაგება დარღვეულია, რის გამოც იძულებულია ავტორი ამ ძეგლების დათარიღებისას გამოიყენოს მხოლოდ მასალის ტიპოლოგიური, შედარებისა და გამორიცხვის მეთოდები.

ახალი მასალების მოშველიებით, ნ. ხოშტარიასა და ა. ფორმოზოვის კვალდაკვალ, ავტორი ერთხელ კიდევ ასაბუთებს და მხარს უჭერს ოდიშის ნეოლითურ სადგომზე მხოლოდ ერთი — ნეოლითური ფენის არსებობის საკითხის სასარგებლოდ გამოთქმულ მოსაზრებას.

ამ პარაგრაფში ნაშრომის მიმართ შესანიშნი ბევრი არაფერი გვაქვს, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ ისეთ უზუსტობას, როგორიც არის გურიანთას ნამოსახლარის „სკურდუმის ბორცვად“ გამოცხადება (გვ. 16). საქმე იმაშია, რომ გურიანთას სადგომი მორფოლოგიურად ბორცვი კი არა, მდ. სკურდუმის მარჯვენა ნაპირის ტერასაა. რომელზეც სოფ. გურიანთაა გაშენებული. თუკი ავტორი სადგომის მისებურ სახელწოდებაში სოციალურ შინაარსსაც დებს, მაშინ უმჯობესია ეხმარა სკურდუმის გორა-ნამოსახლარი, თუმცა ბოლომდე სრული არც ეს იქნებოდა და სათანადო განმარტებას უთუოდ ესეც მოითხოვდა.

ჩვენი მეორე შენიშვნა ეხება ხუცუბნისა და ქობულეთის ძეგლების სტრატიგრაფიას, რომელთა მაგალითზე ავტორი დაასკვნის: ნეოლითელ ადამიანს „ყვითელ დელუვიურ ნიადაგზე უნდა ეცხოვრა“ (გვ. 17). თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ დაზუსტებას საჭიროებს ნაშრომის შესავალ ნაწილში მსჯელობა ნაყოფიერი ნიადაგების შესახებ, რომელიც ხელსაყრელ პირობას ქმნიდა პირველყოფილი მიწათმოქმედების ჩასახვა-განვითარებისათვის (გვ. 18).

ცნობილია, რომ ყვითელი თიხნარი, ანუ ენწერი ნიადაგები გამოირჩევა მცირე ნაყოფიერებით და გვიანფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს პროვინციებში მათი ფართო გავრცელება იყო გურია, სამეგრელო, აფხაზეთის ეკონომიური დაქვეითების ერთ-ერთი მიზეზი, ვიდრე არ იქნა შემოტანი-

ლი ასეთი ნიადაგებისათვის შესაფერისი ისეთი ტექნიკური კულტურები, როგორიც არის ჩაი და ციტრუსები.

მეორე პარაგრაფში ავტორი დაწვრილებით ჩერდება დასავლეთ ამიერკავკასიის ძეგლებიდან მომდინარე მასალების ტიპოლოგიურ აღწერა-დახასიათებაზე, სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ანასეულ I, ანასეულ II, გურიანთას და ოდიშს. მასალები დალაგებულია გარკვეული ქრონოლოგიური პრინციპით, რაც საშუალებას აძლევს ავტორს დეტალური ცხრილების სახით ნათელი სურათი შექმნას ცალკეული ძეგლებიდან მომდინარე იარაღებისა და წარმოების ნარჩენების პროცენტული შეფარდებისა როგორც მასალის საერთო რაოდენობასთან, ისე იარაღების ცალკეულ ჯგუფებთან.

ამ თავის გაცნობისას თვალნათლივ ჩანს, რომ ავტორი ღრმად ჩასწვდომია ქვის მასალის არსს და მის მიერ მოცემული ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ნორმები მოსაწონია. სამწუხაროდ, არც ეს თავია დაზღვეული ზოგიერთი წვრილმანი ჩრდილოვანი მხარეებისაგან. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთია ტექსტში ტაბულების ან ტაბულებზე განლაგებული ნახატების არასწორი მითითება, ლაპარაკია ერთ საგანზე და მითითებულია სულ სხვა. ასეთი შემთხვევები იმდენად ხშირია, რომ მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

შეცდომებს ვხვდებით აგრეთვე მასალის არითმეტიკულ გამოთვლებსა და პროცენტულ გაანგარიშებაში (გვ. 28—30). რასაკვირველია, ჩვენ გვესმის, რომ ეს არის რიგითი ტექნიკური ცდომილებანი, რაც სასურველია მომავალში გასწორდეს.

ნაშრომის ამ ნაწილში გვხვდება აგრეთვე ზოგიერთი ტერმინოლოგიური უზუსტობანიც, მაგალითად, ჩვენი აზრით, აჯობებდა რიყის ქვის გარკვეული იარაღებისათვის ავტორს სახეხების ნაცვლად სასრესები ეწოდებინა. მით უფრო, რომ მისივე თქმით, ეს იარაღები გამოყენებული უნდა ყოფილიყო მარცვლეულისა და შემგროვებლური პროდუქტების ან საღებავების სასრესად (გვ. 27). ასევე ალბათ უკეთესი იქნებოდა გვეხმარა ქართული ტერმინი გამოკოდვა ან მოკოდვა, ე. წ. „წერტილოვანი“ ტექნიკის ნაცვლად, რაც რუსულის (точечная техника) პირდაპირ თარგმანს წარმოადგენს.

დასასრულ, აქვე უნდა შევნიშნოთ ავტორს, რომ მაშინაც კი როცა ამის საფუძველი არ გააჩნია, იგი გადამეტებული გამბედაობით იყენებს გამორიცხვის მეთოდს, რაც გაუმართლებლად მიგვაჩნია. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ რიყის ქვის გახვრეტილი ცულების მაგალითი. როგორც ნაშრომიდან ვგებულობთ, ანასეულ II-ში აღმოჩენილა ორი გახვრეტილი იარაღი: ერთი ცული დ ერთი ჩაქუჩი (გვ. 37), ხოლო ოდიშიდან მომდინარეობს ორი გახვრეტილი და ერთი გახვრეტის პროცესში მყოფი იარაღი. ორივე სადგომიდან მომდინარე იარაღებს ავტორი რატომღაც უნდობლად ეპყრობა და „იმის გამო, რომ ანასეული II-ის არც ერთი (სხვა გ. გ.) ცული და ჩაქუჩი არაა გახვრეტილი, ამასთანავე აღნიშნული გახვრეტილი იარაღები მეტად განსხვავებული ფორმისაა...“ მათ ნეოლითურ კომპლექსს არ აკუთვნებს (გვ. 37). სამწუხაროდ, ამ იარაღთა „მეტად განსხვავებული ფორმის“ საილუსტრაციოდ ნაშრომში ვერც აღწერილობას, ვერც ჩანახატს და ვერც ფოტოს ვხვდებით, რაც ავტორისეული ვარაუდის უნდობლობის საცდურსა ქმნის.

ანალოგიური ვარაუდი აქვს გამოთქმული ავტორს ოდიშის გახვრეტი-

ლი იარაღების მიმართაც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში იგი საილუსტრაციო მასალასაც იშველიებს, რითაც საშუალება გვეძლევა წარმოდგენა ვიქონიოთ ამ „მეტად განსხვავებული ფორმის“ იარაღზე. ეს არის გახეხილ-გაპრიალებული მოგრძო, ოვალურგანივკვეთიანი ხელცულისა და ჩაქუჩის თუ თოხის ნატეხი, რომლის შუა ნაწილი სატარე ხვრელთან რამდენადმე გაფართოებულია (ტაბ. XXXIV$_{2, 3}$) (ცულის სატარე ხვრელთან ასეთი გაფართოება არ შეიმჩნევა).

ხსენებული ძეგლების გარდა ქვის იარაღთა გახვრეტის ცდის ფაქტები დადასტურებულია აგრეთვე გურიანთისა (იხ. ნ. ბერძენიშვილი, უძველესი ნამოსახლარები სოფ. გურიანთაში, გაზ. „ლენინის დროშა“, № 127, 1963 წ., გვ. 3, სურ. 5) და ხორშის ნეოლითურ ნამოსახლარებშიც და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში მსგავსი აღმოჩენები სულ უფრო და უფრო მოიმატებს.

ინტერესს მოკლებული არ არის ის ფაქტიც, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა იმ პუნქტში, სადაც კი გახვრეტილი ან გახვრეტის ცდის ნიშნების მქონე იარაღებია მიკვლეული, მხოლოდ და მხოლოდ ნეოლითის ხანის ფენებია დადასტურებული და ვერც ერთ შემთხვევას ვერ დავასახელებთ, სადაც ნეოლითთან ერთად ენეოლითური ან ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარებიც არსებობდნენ, საიდანაც შეიძლებოდა ამ „გვიანდელი“ ელემენტების ადრეულ მასალებში მოხვედრა გვევარაუდა. ე. ი. არ არსებობს არც გვიანდელი წყარო და არც მისი მასალის გავრცელების გზები და ალბათ არც გამოჩნდება, რადგან გახვრეტილი ცულები, ისევე, როგორც ზოგი სხვა იარაღიც (ორმხრივდამუშავებულ ისრის წვერები) ნეოლითური ეპოქის კუთვნილებად გამოიყურება. მათი ფორმის რამდენადმე შეცვლა ნაკარნახევი ჩანს იმ მნიშვნელოვანი ტექნიკური სიახლით, რაც ქვის იარაღის გახვრეტაში მდგომარეობს. აქ მთავარია ხვრეტის საიდუმლოების აღმოჩენა ნეოლითელის მიერ, რაც, თავის მხრივ, ტექნიკური მიზნით, რამდენადმე ცვლის იარაღის გარეგნულ სახეს. კითხვაზე, თუ რატომ არის მცირე გახვრეტილი იარაღების რაოდენობრივი მაჩვენებლები, შეიძლება პასუხი გაეცეს სარეცენზიო ნაშრომის ავტორის სიტყვებითვე — „მანამდე უცნობი იარაღების გაჩენა ქვის დამუშავების ტექნიკის სიახლეა. ყოველი სიახლე კი მოითხოვს შრომის ჩვევების გამომუშავებასა და ხელოვნებას. ამის გამო ნეოლითის ადრეულ საფეხურზე (ანუ ახალი ტექნიკის სათავეებთან — გ. გ.) მათი დამზადება საკმაოდ შრომატევადი პროცესი უნდა ყოფილიყო, რის გამოც ამ იარაღების რაოდენობა მცირეა“ (გვ. 71).

II თავი — „დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურის დახასიათება და ქრონოლოგიის საკითხები“ მიძღვნილია დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითის შედარებითი დათარიღების საკითხებისადმი, რაც დღემდე არავის გაუხდია საგანგებო კვლევის საგნად. შედარებითი ანალიზისა და გამორიცხვის მეთოდების მომარჯვებით დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითურ კულტურაში ავტორი წარმატებით გამოჰყოფს ძეგლების ორ ქრონოლოგიურ ჯგუფს. ადრენეოლითურს: ანასეული I, ხუცუბანი, ქობულეთი და გვიანნეოლითურს: ანასეული II, ოდიში, გურიანთა, კისტრიკა, შილოვკა და სხვ. ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სტრატიფიცირებული ძეგლების უქონლობის მიუხედავად, იგი წარმატებით ართმევს თავს ამ მეტად რთულსა და საპატიო ამოცანას. განსაკუთრებით მოსაწონია დასაბუთების ცდა და-

სავლეთ-ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურასა და კავკასიის მეზოლითურ კულტურებს შორის გენეტიკური კავშირის გამოვლენისა.

მოგვიანო ძეგლებზე მსჯელობისას ავტორი ხაზს უსვამს რა მათ შორის არსებულ ზოგად თუ კონკრეტული სახის საერთო ნიშანს, იმავე დროს არანაკლები ინტერესით ამახვილებს ყურადღებას საპირისპირო მონაცემებზეც, რაც საბოლოო ჯამში საშუალებას აძლევს მეორე ჯგუფის ძეგლებიც დაალაგოს ქრონოლოგიური პრინციპის მიხედვით, გამოჰყოს ლოკალური ვარიანტები და შეძლებისდაგვარად მოხაზოს მათი გავრცელების საზღვრები.

ამავე თავში ავტორი ცდილობს განსაზღვროს დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითის ზედა აბსოლუტური თარიღი, რისთვისაც იშველიებს უკანასკნელ წლებში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გამოვლენილი ადრესამიწათმოქმედო კულტურათა ქრონოლოგიურ მაჩვენებლებს, რომლის ქვედა აბსოლუტურ თარიღად V ათასწლეულია მიღებული (უკანასკნელი მონაცემების მიხედვით VI ათასწლეულიც ივარაუდება). ავტორს აღმოსავლურ ამიერკავკასიის ე. წ. შულავერ-შომუთეფეს კულტურა ნეოლითის მომდევნო ხანისად მიაჩნია და აქედან გამომდინარე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითის ზედა ქრონოლოგიურ საზღვარს VI ათასწლეულს უკავშირებს (გვ. 83).

დასავლეთ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის კულტურებს შორის გარკვეული კავშირის დამყარების ცდა თავისთავად მოსაწონია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ჯერჯერობით მას მყარი საფუძველი არ გააჩნია და ისევე ზოგად ჩარჩოებში რჩება, როგორც არაერთი წინამორბედი მკვლევარის ცდა, რომელთაც სურდათ დასავლეთ საქართველოს ნეოლითსა და „მტკვარ-არაქსის“ კულტურებს შორის გენეტიკური კავშირი დაენახათ.

ასეთი მნიშვნელობის საკითხებზე მსჯელობისას უმჯობესი იქნებოდა ავტორს ან დეტალურად განეხილა შულავერ-შომუთეფეს კულტურის ძეგლების მასალები და აქედან მიღებული დასკვნებით ესარგებლა, ანდა ამ ძეგლებზე უშუალოდ მომუშავე მკვლევართა (ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, თ. კილურაძე) აზრი გაეზიარებინა, რომლებიც ხსენებული კულტურის განვითარების თავისებურ გზებზე მიუთითებენ და ზოგიერთი მათგანი ამ კულტურის ქვედა ფენებს დასავლეთ ამიერკავკასიის გვიანნეოლითური კულტურის თანადროულადაც კი თვლის.

რასაკვირველია, მხედველობაშია მისაღები წოფის გეომეტრიული ფორმის მიკროლითების თუ პირდაჭდეული ჭურჭლის მსგავსება დასავლურთან, ან თეთრიწყაროს სატეხის სიახლოვე ნეოლითურ ქვის იარაღებთან, მაგრამ ამ მცირე მასალაზე დაყრდნობით დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურის აბსოლუტური თარიღის გამოყვანა მაინც ნაკლებად დამაჯერებლად გამოიყურება.

ცალმხრივობა უნდა ვუსაყვედუროთ ავტორს თეთრამიწის ქრონოლოგიის საკითხისადმი დამოკიდებულების გამო. იგი წინასიტყვაობიდან მოყოლებული (გვ. 3), შესავალისა (გვ. 6) და მეორე თავის (გვ. გვ. 84—87) ჩათვლით დაბეჯითებით ცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ თეთრამიწის ნეოლითური ხანით დათარიღება (ნ. ბერძენიშვილი, ბ. პიოტროვსკი) შეცდომაა და მისი ასაკი ლითონის ხანით უნდა განისაზღვროს (გვ. 87). ე. ი. ავტორი იზიარებს მისი წინამორბედი მკვლევრების (ა. ფორმოზოვი, ლ. სოლოვიოვი, დ. თუშაბრამიშვილი) მოსაზრებას ამ საკითხში, მაგრამ ამას ხელაღებით კი არ უარყოფს, არამედ მისებური ვრცელი მსჯელობით (გვ. 84—87) უფრო

აღრმავებს და ავითარებს მას. ამ მიზნით თეთრამიწის კომპლექსიდან ავტორი გამოჰყოფს ათ ნიშანს, რომლებიც მისი აზრით ეწინააღმდეგებიან ხსენებული ძეგლის ნეოლითის ჩარჩოებში დატოვების საკითხს (გვ. 84—87). შეიძლება დავეთანხმოთ ავტორს, რომ მის მიერ გამოყოფილი ზოგიერთი მასალა (ქვის სამაჯურები, დაკბილული, ორმხრივდამუშავებული ნამგლის ჩასართები, კვირისტავები, ქვის თოხები და ცალკეული ისრისწვერი) მართლაც, შოგვიანო იერს ატარებს, რასაც ვერ ვიტყოდით სხვა ისეთ მონაცემებზე, როგორიც არის გეომეტრიული მიკროლითების არარსებობა, ანატკეცთა ტექნიკის ბატონობა, ტრაპეციის მსგავსი განივკვეთის მქონე ცულების სიმრავლე, ოვალური ხელსაფქვავები და სხვ. ასეთი მონაცემები როგორც ძველი, ისე ახალი (ჟირსუკი, ხორში) აღმოჩენების ფონზე საკმაოდ ბუნებრივი ჩანს ნეოლითისათვის. ასეა თუ ისე, მსგავსი საკამათო საკითხის განხილვისას საჭირო იყო ავტორს მოეტანა თეთრამიწის მთელი კომპლექსი, რაზეც მას ხელი თავისუფლად მიუწვდებოდა და მკითხველისათვის ეჩვენებინა, რა არის მასში ნეოლითური ან მსგავსი და რა არის მოგვიანო, აგრეთვე გამორიცხვის მეთოდის გამოყენებით დაესვა საკითხი, ხომ არ შეიძლება საქმე გვქონდეს თეთრამიწის ადრეულ კომპლექსში გვიანდელი მასალების შერევის ფაქტთან. მით უფრო, რომ თვით ავტორის დაკვირვებით, თეთრამიწა მრავალფენიანი ძეგლია, სადაც გვხვდება მასალები მუსტიედან მოკიდებული ანტიკურ ხანამდე და „არ უნდა გამოირიცხოს აქ ნეოლითური ფენისა თუ მისი ელფერის მასალის პოვნა“ (გვ. 87). ყოველ შემთხვევაში, ასეთი ყოველმხრივი მიდგომის შემდეგ ავტორისეულ დასკვნებს მეტი დამაჯერებლობა მიეცემოდა.

არაერთი საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული სარეცენზიო ნაშრომის მესამე თავსა და დასკვნით ნაწილში, სადაც განსაზღვრულია დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურის ადგილი სხვა სინქრონულ კულტურებს შორის, ყურადღება გამახვილებულია კულტურულ-ეკონომიურ დონისა თუ მახლობელ და შორეულ რეგიონებთან მისი ურთიერთობის საკითხებზე და სხვ.

ნაშრომის ამ ნაწილში რამდენადმე სადავოდ მიგვაჩნია ადრეულ ძეგლებში (ანასეული I, ხუცუბანი, ქობულეთი) ობსიდიანის მოჭარბების საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული ვარაუდი, რაც ავტორის აზრით მიმთვისებლური მეურნეობის ხასიათით უნდა აიხსნას, როცა ადრენეოლითელ ადამიანს მოხეტიალე ცხოვრების პირობებში ხშირად უხდებოდა ყოფნა ობსიდიანით მდიდარ რაიონებში, საიდანაც მოტანილი მასალით ამზადებდა საჭირო იარაღ-ხელსაწყოებს. გვიან ნეოლითში კი დამჯდარ ცხოვრებაზე გადასვლის შემდეგ თანდათან უნდა შემცირებულიყო ობსიდიანის როლი. ნეოლითელი ადამიანის სამეურნეო ცხოვრებაში. მართალია, ეს მოსაზრება ვარაუდის სახით არის გამოთქმული, მაგრამ ამ ვარაუდშიც ბევრი რამ ბუნდოვანია. მაგალითად, გაუგებარია რატომ არ იყო ხელმისაწვდომი იგივე მასალა დასავლეთ ამიერკავკასიაში მოსახლე პალეოლითელისათვის, ის ხომ კიდევ უფრო მეტს მოძრაობდა? რატომ ენიჭება უპირატესობა ობსიდიანს მხოლოდ ნეოლითის ადრეულ საფეხურზე? რატომ არის უგულვებელყოფილი მაღალხარისხოვანი კაჟის მასალა ადრენეოლითელის მიერ, რაც ქვის ხანის ყველა პერიოდში დიდი მოწონებით სარგებლობს და რაზეც კიდევ უფრო იოლად მიუწვდება ხელი ადამიანს? თუ ავტორისეულ ვარაუდს გავიზიარებთ, მაშინ ყველა ეს კითხვა ახსნას საჭიროებს.

ჩვენი აზრით, გურია-აჭარის ადრენეოლითურ კულტურაში ობსიდიანის გაბატონების საკითხი უნდა აიხსნას ზსენებული კულტურის მესხურ-ჯავახური თუ თრიალეთური წარმოშობით, ე. ი. ამ კულტურების გენეტიკური კავშირით ობსიდიანის საბადოს მიდამოებში გავრცელებულ კულტურებთან, სადაც ობსიდიანის ნედლეულზე შემუშავებულ ტექნიკურ ტრადიციებს აგრძელებს ახალ რეგიონში გადმოსახლებული ადამიანი, რომელიც პირველ ხანებში მაინც ორგანულად ჩანს დაკავშირებული ობსიდიანის საბადოებით მდიდარ რაიონებთან.

თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ სავსებით ლოგიკურია ვეძიოთ და გავარკვიოთ წმინდა დასავლურ-ამიერკავკასიული ადრენეოლითური კულტურის რაობა და ხასიათი, რომელსაც უთუოდ ადგილობრივ მეზოლითურ კულტურაში ექნება გადგმული ფესვები.

ვფიქრობთ, საკითხის ასე დაყენება და ძიება ბევრს ახალს შესძენდა კარგად აგებულ ნაშრომს.

დასასრულს, კიდევ ერთხელ გვინდა გავუსვათ ხაზი, რომ ლ. ნებიერიძის ნაშრომი „დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი“ მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული გამოკვლევაა, სადაც ახლებურადაა დასმული და მეტწილად წარმატებითაა გადაჭრილი არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი.

ნაშრომის ღირსებას კიდევ უფრო მაღლა სწევს ის ფაქტი, რომ იგი კარგი ენითაა დაწერილი. სარეცენზიო ნაშრომის დასტამბვით ნაწილობრივ მაინც შეივსო ის დიდი ხარვეზი, რომელიც დღემდე არსებობდა საქართველოს ნეოლითური კულტურის შესწავლის საქმეში.

ვახტანგ ლიჩელი

რეცენზია ჯ. მიშელსის ნაშრომზე «DATING METHCDS IN ARCHAECLCGY». NEW-YORK, SAN FRANCISCO, LCNDCN, 1973

განხილვის საგანს წარმოადგენს ჯოზეფ მიშელსის ნაშრომი „დათარიღების მეთოდები არქეოლოგიაში“, გამოცემული შეერთებულ შტატებში და განკუთვნილი დამწყები არქეოლოგისათვის.

ნაშრომი, როგორც დასათაურებიდან ჩანს მთლიანად მიძღვნილია დათარიღების მეთოდებისადმი არქეოლოგიაში, მაგრამ სხვა ჩვენთვის ცნობილი მეთოდური სახელმძღვანელოებისაგან განსხვავებით, ძირითადად განხილულია მასალის ახალი მეთოდებით დათარიღების საშუალებები.

მაგრამ მე იმდენად თვით დათარიღების ახალი მეთოდების განხილვაზე არ შევჩერდები, რამდენადაც თვით „ახალი არქეოლოგიის“ ამ წიგნში მოცემულ არსზე, რადგან ჯერ ეს ერთი ქრონომეტრული ე. ი. აბსოლუტური დათარიღების მიშელსის მიერ შემოთავაზებული მეთოდების უმეტესობის (მაგ., კალიუმ-არგონული, თერმოლუმინესცენციური ან ობსიდიანის ჰიდრატით დათარიღებები) გასაგებად და მით უმეტეს გამოსაყენებლად საჭიროა გარკვეული ცოდნა ქიმიას, ფიზიკასა თუ მათემატიკაში, და მეორეც თანამედროვე ქართული არქეოლოგია ამ მეთოდების დანერგვა-გამოყენებამდე ჯერ ალბათ არ მისულა. ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია ყურადღება გავამახვილოთ ნაშრომის პირველ თავზე, რომელსაც ეწოდება „ახალი არქეოლოგია“ და შედგება ორი თავისაგან: ახალი ტენდენციები საველე არქეოლოგიურ მუშაობაში და ნივთების ანალიზის ახალი ტენდენციები.

განვითარების ახალი ერის დასაწყისად არქეოლოგიაში მიშელსს 60-იანი წლები მიაჩნია. იგი წერს: „ათწლეული 1960 წლიდან მოწმე გახდა რევოლუციისა არქეოლოგიაში... არქეოლოგები, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ ამ მოვლენას თავისი უმნიშვნელო წვლილით ეთნოლოგიურ კვლევაში, ცდილობდნენ გათავისუფლებულიყვნენ იმ ვიწრო როლისაგან კულტურის ისტორიაში, რომელიც მათ ჰქონდათ... უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე არქეოლოგია უკვე წინა პლანზე გადმოვიდა ეთნოლოგიაში და დასპეციალდა კულტურული პროცესების კვლევაში. ამ რევოლუციამ ხელი შეუწყო დათარიღების მეთოდების ახალ განვითარებას“.

მიშელსის ამ ციტატიდან კარგად ჩანს, რომ ამ რევოლუციის არსი ახალი დათარიღების მეთოდების მექანიკურ დანერგვაში კი არ მდგომარეობს, არამედ თვითონ არქეოლოგიური კვლევის ბუნებაში, ე. ი ახალ საფეხურს არქეოლოგიაში ქმნის კვლევის წარმართვა ეთნოლოგიური, კულტურული

პროცესების შესასწავლად, რაც თავისთავად გულისხმობს დათარიღების სრულყოფილი მეთოდების გამოყენებას.

შემდეგ მიშელსი წერს: არქეოლოგია ანთროპოლოგიაა იმ გაგებით, რომ იგი უბრალო ისტორია — მოვლენათა უბრალო ჩაწერა არაა. თუ ბოლოდროინდელ ცვლილებებს არ მივიღებთ მხედველობაში, არქეოლოგია მეტად საცოდავ მდგომარეობაშია იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს კულტურულ ანთროპოლოგიას. აქვე ავტორი იმეორებს კლარკის აზრს, რომ სწორედ კულტურული პროცესების შესწავლის წყალობით რჩებოდა არქეოლოგია მნიშვნელოვან დისციპლინად მეცნიერებაში. დათარიღება კი ყოველთვის „აქილევსის ქუსლი“ იყო არქეოლოგიისათვის.

გასული ათწლეული, მიშელსის აზრით, მოწმე გახდა ტექნოლოგიის შეღწევისა არქეოლოგიაში, რომელიც საბოლოო ჯამში მას ქრონოლოგიური ანალიზის განსაზღვრებამდე მიიყვანს (გამოთვლითი ტექნიკა, შერეული დათარიღება, სერიაცია). დამატებით, ჩვენ გვაქვს დათარიღების გაუმჯობესებული ტექნიკა რადიოაქტიური იზოტოპით, დენდროქრონოლოგიით, არქეომაგნიტური დათარიღება და დათარიღება ობსიდიანის ჰიდრატით. ესენი. აღნიშნავს მიშელსი, გვიჩვენებენ ბიოლოგიური, ფიზიკური, ქიმიური და მათემატიკური მეცნიერებების ურთიერთქმედებას, რომლებიც აღნიშნული დროის მონაკვეთში გაერთიანდნენ დათარიღების ტექნიკის ამომწურავ დამუშავებაში.

ამის შემდეგ ავტორი აღნიშნავს, რომ ადრე არქეოლოგიური ანალიზი ექვემდებარებოდა მიზანს როგორმე შეენარჩუნებინათ კონტროლი მოვლენათა კლასიფიკაციაზე დროში. ამის მაგალითია მასობრივი დაიმედება სტრატიგრაფიული თხრილების ჭრით, მხოლოდ იმ მასალის ამოკრეფა, რომელიც თარიღს იძლეოდა, მონუმენტალური არქიტექტურითა და მასთან დაკავშირებული ხელოვნების ნიმუშებით გატაცება, ნივთების ტიპოლოგია ფორმებისა და არა ფუნქციების მიხედვით. ძველი არქეოლოგიის დიდ ნაკლად ავტორს მიაჩნია პუბლიკაცია ანგარიშებისა, სადაც ტექსტის ასეულობით გვერდი და მრავალრიცხოვანი ილუსტრაციები ეძღვნებოდა ქრონოლოგიის დოკუმენტირებას, მაშინ როდესაც ადამიანთა „ქცევის“ განხილვა თითქმის მთლიანად უარყოფილი იყო.

საველე არქეოლოგიური სამუშაოების ახალი ტენდენციების განხილვას მიშელსი იწყებს ძველი გათხრებისადმი რეგიონალური მიდგომის კრიტიკით. იმის მაგივრად, რომ გამოეკვლიათ დათარიღებისათვის მოსახერხებელი ერთი უბანი (site), არქეოლოგი ეწეოდა სისტემატურ კვლევას საკმაოდ დიდ გეოგრაფიულ არეალზე და ირჩევდა გათხრებისათვის რამდენიმე უბანს, რომლებიც ერთად გამოსახავდნენ რამდენიმე ვარიაციას — კულტურულს, ქრონოლოგიურსა და ეკოლოგიურს — რეგიონისათვის. ავტორი შენიშნავს, რომ არქეოლოგები ერთი უბნის გათხრისადმიც იჩენდნენ ინტერესს, თუ იგი დათარიღების კარგ შანსსა და რეგიონის კულტურულ ნიმუშს იძლეოდა. ჩვეულებრივ, გათხრები მსგავს უბნებზე ამომწურავი იყო, ხოლო აღწერითი მონოგრაფიები შედეგებს ნაბეჭდ გამოცემებში 5 და 10 წლის დაგვიანებით იძლეოდნენ და შეიცავდნენ რამდენიმე პარაგრაფს, სადაც „ქცევა“ (behavioral) იყო განხილული (აქვე შევნიშნავთ, რომ ტერმინში „ქცევა“ ავტორი გულისხმობს როგორც ცალკეულ ადამიანთა, ისე საზოგადოების და კულტურის მოქმედებასა და ცვლილებას ქრონოლოგიასთან კავშირში). ასეთი მეთოდი (მიშელსი ხმარობს ტერმინს „სტრატეგია“ — strategy) ხშირად ზღუ-

დავდა იმ უბნების რაოდენობას, რომლის შესწავლასაც არქეოლოგი ასწრებდა თავის პროფესიონალური არსებობის მანძილზე.

ავტორის აზრით, ადრე არქეოლოგი ყურადღების კონცენტრირებას დათარიღების შესაძლებლობაზე ახდენდა, გასათხრელად ირჩევდა ნაგებობებს, სტრატიფიცირებულ ნაყარს, სამარხს, ირჩევდა ნივთებს, რომელთა დათარიღებაც შესაძლებელი იყო. დღეს კი არქეოლოგი საჭიროებს დემოგრაფიული, პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური სისტემების რეკონსტრუქციასაც. ამ კვლევას თან სდევს მონაკვეთის დიდი არეალის ამომწურავი გეგმების შედგენა (კარტოგრაფირება). ჩვენ ვცდილობთ აღვნუსხოთ სამოქალაქო ცენტრების მდებარეობა, სამოსახლო ნაგებობების სიახლოვე, სამიწათმოქმედო ველები და სხვ. მსგავსი ინფორმაციის დაგროვება კი, მიშელსის მიხედვით, გულისხმობს უბნის არეალის ნიმუშების შეგროვებას. ამასთან, როგორც შედეგი, საუკეთესო ნაწილი დროისა და თანხისა მიდის იმ ინფორმაციის აღსადგენად, რომელიც ქრონოლოგიის არსებობის ვარაუდის საშუალებას იძლევა. ასეთი საველე სამუშაოების გასამართლებლად მიშელსის აზრით, არქეოლოგი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ აღდგენილი ინფორმაცია უშუალოდ იქნება დაკავშირებული „ქცევის“ პრობლემების ამოხსნასთან. ავტორი აქვე შენიშნავს, რომ გათხრებისადმი საჭიროა კონტროლი (იგი, ცხადია, ქრონოლოგიურ კონტროლს გულისხმობს), მით უმეტეს მაშინ, როდესაც საქმე ეხება „ქცევის“ რეკონსტრუქციას, თუმცა ხშირად არც ეს დათარიღების შედეგებისადმი აუცილებელი კონტროლიც არაა დამაკმაყოფილებელი კრიტერიუმი „ქცევის“ წარმატებითი აღდგენისათვის.

მიშელსს ტრაგიკულ საკითხად მიაჩნია ძეგლების გათხრა იმისათვის რომ ისინი დანგრევის საშიშროების წინაშე დგანან. იგი შენიშნავს, რომ უნივერსიტეტების, ფედერალური მუზეუმებისა და დაწესებულებების საცავები სავსეა განათხარი მასალით, რომელიც გაუანალიზებელი ან ნაწილობრივ გაანალიზებულია და ამის მიზეზად ავტორი ტრადიციული ქრონოლოგიური კონტროლის უსუსურობას ასახელებს. ამ მასალასთან არავინ ცდილობს აწარმოოს ეთნოლოგიური კვლევა. მასალას მტვერი ედება და არქეოლოგები კი ახალ გათხრებს იწყებენ. ახალი დათარიღების მეთოდებს, კერძოდ თერმოლუმინესცენციურსა და ობსიდიანის ჰიდრატით დათარიღებისას, როდესაც დათარიღება უშუალოდ ნივთებზე ხდება, შეუძლიათ წაახალისონ მკვლევარი ძველი კოლექციების ანალიზზე.

მოკლედ კი მიშელსის აზრი ახალი ტენდენციების შესახებ იმაში მდგომარეობს, რომ რეგიონალური მიდგომა საველე სამუშაოებისადმი დაუშვებელია თუ არქეოლოგი ერთდროულად აწარმოებს რამდენიმე უბნის კვლევას და თუ იგი მტკიცედ არაა დარწმუნებული თავის შესაძლებლობებში სწორად და სრულად აღადგინოს კულტურულ-ეთნოლოგიური პროცესები ამ რეგიონის ფარგლებში. ხოლო ერთი უბნის საფუძვლიანი და ამომწურავი კვლევა გაუმართლებელია, თუ მას შედეგად არ მოჰყვება თემისა თუ საზოგადოების „ქცევის“ ინტერპრეტირება. დედააზრი კი ახალი ტენდენციისა ისაა, რომ საველე არქეოლოგიური სამუშაოები უნდა ემსახურებოდნენ არა მარტო მასალის მოპოვებასა და ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენას, არამედ დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული „ქცევის“ პრობლემების ამოხსნას.

ახალ ტენდენციებს ნივთების ანალიზში ავტორი მცირე ადგილს უთ-

მობს და ამდენად, მეც მხოლოდ ძირითადს აღვნიშნავ: მოპოვებული მასალიდან ნივთების ამორჩევითი ანალიზი, ე. ი. დამუშავება მხოლოდ ისეთი ნივთებისა როგორიცაა, მაგალითად, ორნამენტირებული თასები ან ქანდაკებები, დაუშვებელია. ისინი უნდა დამუშავდეს ისეთ „მიწიერ“ საგნებთან ერთად როგორიც ჭვის იარაღი და უტილიტარული ჭურჭელია (აქვე უნდა შეგახსენოთ, რომ ეს ნაშრომი დამწყები არქეოლოგებისათვისაა განკუთვნილი და ამიტომ ავტორს ხშირად ყურადღება ელემენტარულ საკითხებზე გადააქვს).

ყოველივე ამის შემდეგ მიშელსი აღნიშნავს, რომ მისი მიზანი არაა იმ შეხედულებით დატოვოს მკითხველი, რომ თითქოს ძველი არქეოლოგი ცუდი არქეოლოგია. პირიქით, როგორც ყველა მეცნიერება, არქეოლოგიაც განვითარებადია. ავტორს მხოლოდ სურს აღნიშნოს თავისი შეხედულება იმაზე, რომ დათარიღების ახალი მეთოდები არქეოლოგიაში, მათი ახალი განვითარება მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმ მხრივ, რომ არქეოლოგს წარსულ ეთნოლოგიაზე ყურადღების კონცენტრირების საშუალება ეძლევა.

შემდეგ ავტორს განწილული აქვს პერიოდიზაცია, შეფარდებითი და აბსოლუტური ანუ ქრონომეტრიული დათარიღებები. მე ამ ნაწილზე არ შევჩერდები, რადგან ავტორი ძირითადად მაგალითებს იხილავს და არსებითად ახალს არაფერს გვთავაზობს.

მე უფრო მიზანშეწონილად მივიჩნიე ყურადღება გამემახვილებინა ზოგიერთი ტერმინის განსაზღვრაზე. მიშელსს გამოყენებული აქვს ვაილისა და ფილიპსის მიერ შემოთავაზებული განსაზღვრებები (აქვე შევნიშნავ, რომ ავტორს შენიშნული აქვს ტერმინოლოგიის სიჭრელე და იზიარებს რა ვაილის და ფილიპსის აზრს, არქეოლოგიური ანალიზის ერთ-ერთ საფუძვლად ტერმინოლოგიის დადგენა მიაჩნია). მიშელსი იწყებს უბნის (site) განსაზღვრით (მისი განსაზღვრებების ნაწილი გეოგრაფიული ხასიათისაა, ნაწილი არქეოლოგიური). უბანი (ნაკვეთი) არის სივრცის უმცირესი ერთეული, რომელიც შეისწავლება არქეოლოგის მიერ. მისი ფიზიკური საზღვრები ვრცელდება რამდენიმე კვადრატული იარდიდან (1 იარდი =91 სმ) რამდენიმე მილამდე (1 მილი —1,609 კმ-ს); ადგილმდებარეობა (Locality) მიეკუთვნება სივრცეს, რომელიც შეიძლებოდა რამდენჯერმე ყოფილიყო გამოყენებული ლოკალური ჯგუფების ერთად საცხოვრებლად ან სამოსახლოდ. ადგილი შეიცავს რამდენიმე უბანს (ნაკვეთს), რომელიც გამოსახავს სპეციალურ სამოქმედო ადგილმდებარეობას ისევე, როგორც საცხოვრებელ ადგილმდებარეობას. გეოგრაფიულად იგი შეიძლება შეესაბამებოდეს ზღვის სანაპირო ზოლს, მდინარისპირა ველებს ან სამოსახლოდ გამოყენებულ ბორცვს; რეგიონი (Region) მიშელსის განმარტებით, არის გეოგრაფიული სივრცის მნიშვნელოვნად დიდი ერთეული, რომელიც ხშირად ემთხვევა ისეთ ფიზიოგეოგრაფიულ ქვედანაყოფს, როგორიცაა მდინარეთა ველები, მთებს შორის მოქცეული აუზები ან ზღვის სანაპიროები, შემდეგ ავტორი ფაზის განსაზღვრას იძლევა: ფაზა (Phase) არის ადგილისა ან რეგიონის ისტორიის კულტურული ეპიზოდი; ეპიზოდი კი არის დროის შედარებით მოკლე ინტერვალი, რომელიც არქეოლოგიურად ისაზღვრება. განმარტებულია კომპონენტიც: კომპონენტი (Component) არის გარკვეულ უბანთან (ნაკვეთთან) ერთი ნებისმიერად აღებული ფაზის გამოვლინება (მხედველობაში აქვს მატერიალური გამოვლინება). უბანი (ნაკვეთი), რომელიც შეიცავს სამოსახლოების ან

ჭურჭლის გვერდის ფორმები

ჭურჭლის ცხვირის ფორმები

ჭურჭლის ძირის ფორმები

შეზომვრილი კერამიკის ნიშანთა სისტემა

სურ. 1

ჭურჭლის ძირითადი ფორმები

თასი

სფერული

ნახევარსფერული

ძირკუთხიანი

ძირკუთხიანი ან ძირქვიანი

ბრტყელძირა, მარცხ სილუეტიანი

თეფში

ჯამი

დამბაჩა

ვაზა

ცილინდრული

ფლორენტო

თას - ფინჯანი ქოთანი

ცეკომაცი

სწორყელიანი

კუთხოვან ყელიანი

გაღმოშვიდ ყელიანი

მეზობლური კერამიკის ნიშანთა სისტემა (უეთერინგტონისა და კოლბის მიხედვით)

სურ. 2

ადამიანთა ჯგუფის მოქმედების სხვა ნაშთების ცალკეულ ეპიზოდებს, იწოდება ერთეულ კომპონენტთა (Single component) უბნად (ნაკვეთად). ხოლო უბანი (ნაკვეთი) ცხოვრების პერიოდის ერთზე მეტი ეპიზოდით იწოდება მულტიკომპონენტურ უბნად. ქრონოლოგიის მხრივ მიშელსს ორი — ლოკალური და რეგიონალური თანმიმდევრობები აქვს განსაზღვრული: ლოკალური თანმიმდევრობა (Local Sequence), ეწოდება ფაზების ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას „ადგილის“ გეოგრაფიულ საზღვრებში. ხოლო რეგიონალურია (Regional Sequence) ფაზების თანმიმდევრობა რეგიონის გეოგრაფიულ საზღვრებში.

მიშელსის მიერ განხილულ ტერმინოლოგიის საკითხს უშუალოდ უკავშირდება მეექვსე თავში მოცემული კერამიკული ნივთების ტაბულა. მასზე მოცემულია მეზოამერიკული კერამიკის უეთერინგტონისა და კოლბის მიერ შემუშავებული კოდი. ესაა როგორც მთელი ჰურჭლის, ისე ფრაგმენტების ერთიანი ტერმინოლოგიით აღწერის მარტივი სისტემა. მოცემულია პროფილები და მათი სახელწოდებები (იხ. სურ. 1, 2).

ნაშრომი შეიცავს კიდევ მრავალ ახალ და საინტერესო მასალას, განსაკუთრებით ჩვენთვის ჯერჯერობით სრულიად უცხო დათარიღების მეთოდებსაც, მაგრამ მათ დაწვრილებით აღარ განვიხილავთ, თუმცა კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ყველა მეთოდი უაღრესად საინტერესო და არქეოლოგიური კვლევისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ ძვლების ქიმიური მეთოდით (მაგალითად, ურანის შემცველობით დათარიღება — ურანი კონტაქტში შედის ძვლებთან, ენაცვლება კალციუმის იონებს. ურანის დაშლის მიხედვით დგინდება თარიღი) და ნაშრომის მესამე ნაწილში მოცემული ქრონომეტრული დათარიღების მეთოდები. აქ განხილულია: დენდროქრონოლოგია (ხის ნაშთებით დათარიღება), არქეომაგნიტური (დედამიწის მაგნიტური ველის მიმართულებისა და ინტენსივობის წლიური ცვლილებების მიხედვით), რადიოკარბონული (C_{14}-ის მეთოდით), კალიუმ-არგონული (K—Ar მინერალებში ამ ელემენტების განზომილებათა გამოთვლით). დაშლის ნაშთებით (მინერალების დათარიღებით ურანის დაშლისა და ალფა გამოსხივების საფუძველზე). კერამიკის თერმოლუმინესცენციით (ნივთის გახურება მაღალ ტემპერატურამდე და რადიაციის ზომის დადგენა) და ობსიდიანის ჰიდრატით (ობსიდიანის წყლის შემცველობით — შეიცავს 0,1-დან 0,3%-მდე წყლის მოლეკულებს. ჰიდრაციის ხარისხი უჩვენებს დროს, რომელიც საგნის დამზადების შემდეგ გავიდა).

ჯ. მიშელსის ნაშრომი ფრიად საინტერესოა და მის მიერ განხილული მეთოდები უთუოდ საყურადღებო და გასათვალისწინებელია.

დარეჯან კაჭარავა

პოლიტიკური ორგანიზაციის პრობლემა თანამედროვე საზღვარგარეთულ არქეოლოგიაში

ბოლო წლების არქეოლოგიური ლიტერატურა ნათლად გვიჩვენებს არქეოლოგთა მზარდ ინტერესს ე. წ. პროცესუალური კვლევის მიმართ, რომლის მიზანია რთული საზოგადოებების განვითარების, პირველ რიგში, პოლიტიკური ორგანიზაციის ცვლილებების ახსნა. მართალია, პოლიტიკური ვითარება ახლა უფრო მეტად შედის არქეოლოგიის კვლევის სფეროში, ვიდრე ამას შეიძლება გვაფიქრებინებდეს ტრადიციული შეხედულება, მაგრამ ჯერჯერობით მაინც მცირე ყურადღება ექცევა პოლიტიკურ ორგანიზაციას, როგორც არქეოლოგიურ პრობლემას და ეს მაშინ, როდესაც არქეოლოგიური კვლევის შედეგად მოპოვებული მასალა ბევრ მონაცემს იძლევა პოლიტიკური სისტემების შესახებ. პოლიტიკურ ორგანიზაციასა და მატერიალურ კულტურას შორის ურთიერთობის შესწავლა, ცხადია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთი არქეოლოგიური კულტურების, ისეთი საზოგადოებების შესწავლისას, რომელთა შესახებ ან მცირე და უმნიშვნელო ხასიათის წერილობითი ცნობები გაგვაჩნია, ან საერთოდ არ მოგვეპოვება ისინი.

პოლიტიკური სუბსისტემა ერთ-ერთი იმ სუბსისტემათაგანია, რომელთა ერთობლიობა შეადგენს მთელ სოციალურ-კულტურულ სისტემას. ეს უკანასკნელი კი (იდეალურ შემთხვევაში) წარმოადგენს არქეოლოგიური კვლევის საგანს. სოციალურ-კულტურული სისტემის ელემენტების სირთულის გამო მხოლოდ ერთი მიმართულებით ჩატარებული კვლევის შედეგები შეიძლება მცდარი იყოს. ეს კი იწვევს იმის აუცილებლობას, რომ მოხდეს პრობლემის შესწავლა რამდენიმე მიმართულებით და შემდეგ მიღებული მონაცემების შედარება-შეჯერება. სტატიაში «The Archaeology of Government»,[1] რომელიც წარმოადგენს ჩვენი ინფორმაციის ძირითად საყრდენს, ბ. ტრიგერი გვთავაზობს კვლევის ხუთ მიმართულებას, ასპექტს.

1. დ ე მ ო გ რ ა ფ ი უ ლ ი. ეს კრიტერიუმი წინ წამოსწია ამერიკელმა სოციალ-ანთროპოლოგმა კ. ობერლიმ[2]. მისი აზრით, მოსახლეობის რიცხობრივად ზრდა და კონცენტრაცია წარმოადგენს ძირითად ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს სოციალური სტრუქტურის განვითარებაზე. ჯ. მადროკმა მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით გამოჰყო პოლიტიკური გაერთიანებების შემდეგი ტიპები: ავტონომიური ლოკალური თემი (1500 ან ნაკლები მოსახ-

[1] World Archaeology, vol. 6, № 1, 1974.

[2] K. O b e r l y, Types of Social Structure, AA, 1955, 57 : 472—87.

ლე), მინიმალური სახელმწიფო (1500—10 000), პატარა სახელმწიფო (10 000—100 000), სახელმწიფოები (100 000-ზე მეტი)[3]. რ. ნაროლი თვლის, რომ თანამდებობის პირთა არსებობის აუცილებლობა ჩნდება იქ, სადაც მოსახლეობის რაოდენობა აჭარბებს 500-ს. ამ საწყის ეტაპზე ხელისუფლება იღებს ბელადთა საბჭოს ფორმას, რომელიც სცნობს უმაღლეს ბელადს. იქ, სადაც ლოკალური ჯგუფები სჭარბობს 1000-ს, ამ ოფიციალურმა პირებმა დამატებით კიდევ პოლიციის ფუნქციები უნდა შეასრულონ. თუკი მყარი თემი გაიზრდება რიცხობრივად, ის უნდა გადაიქცეს სოფლიდან პატარა ქალაქ-სახელმწიფოდ[4]. სხვათა აზრით[5], მარტივი თემის მოსახლეობის მაქსიმუმი აღწევს 5000—6000-ს; ბელადთა ხელქვეით გაერთიანებული ერთეულების —10 000—12 000-ს: საზოგადოებები 4-ჯერ მეტი მოსახლეობით შეიძლება მხოლოდ ცოტა ხანს არსებობდეს, სანამ დაჭუცმაცდებოდეს ან სახელმწიფოდ განვითარდებოდეს. ტრიგერის სამართლიანი შენიშვნით, თუ ეს დაკვირვება მისაღებია, მათი გამოყენება არქეოლოგიური მასალის ინტერპრეტირების დროს ჩვენს წინაშე ბევრ სერიოზულ პრობლემას აყენებს. მაგალითად; არა ერთი და ორი შემთხვევაა ცნობილი მცირე ქალაქ-სახელმწიფოების სახით, როდესაც ცენტრალიზაცია ჩნდება ისეთ პოლიტიკურ ერთეულებში, რომელთა მოსახლეობა 800 ან ნაკლებია. ამას ბ. ტრიგერი იმასაც უმატებს რომ, როგორც ირკვევა, მოსახლეობის სიმჭიდროვე არ განსაზღვრავს პოლიტიკურ ორგანიზაციას, ის არ მოქმედებს როგორც ურბანიზმის განვითარების ფაქტორი. ერთი სიტყვით, თეორიულ ძიებას ჯერ არ მიუღწევია ისეთი დონისათვის, როდესაც დემოგრაფიულმა მასალამ შეიძლება მოგვცეს საგულისხმო მონაცემები პოლიტიკური სისტემის ხასიათის შესახებ. ცხადია, აუცილებელი ხდება მათი შედარება სხვა ასპექტებით ჩატარებული კვლევის მონაცემებთან.

2. კ უ ლ ტ უ რ უ ლ ი. კვლევის მეორე ასპექტად ბ. ტრიგერი გვთავაზობს მატერიალური კულტურის კვლევას და შემდეგნაირად შლის მას. აზრი, რომ პოლიტიკური ერთეულები ჩვეულებრივ უნდა შეესაბამებოდნენ კულტურულ ერთეულებს, მომდინარეობს G. Kossina-ს და V. G. Childe-ის საერთო დებულებიდან, რომ არქეოლოგიური კულტურა ერთი ხალხის გამოხატულებაა. ეს დებულება შემდგომ შემაგრდა პოლიტიკური დოგმით, რომ სახელმწიფო საერთო ეროვნულობის ლოგიკური გამოხატულებაა. აღსანიშნავია, რომ ისტორიული მასალა აშკარად მიგვითითებს, რომ ზოგ შემთხვევაში მატერიალური კულტურის ნიმუშები დიდად სცდება ნებისმიერი ერთი ხელისუფლების საზღვრებს; ხდება პირიქითაც, ერთ სახელმწიფოში შეიძლება შედიოდეს ჯგუფები, რომლებსაც სხვადასხვაგვარი კულტურა გააჩნიათ. ეს ჩვეულებრივ იმპერიის შემთხვევაში ხდება. იმპერიის ტიპის სახელმწიფოს კიდევ ერთი თვისება გამოდგება არქეოლოგიური კვლევისათვის— პოლიტიკური მიზნებით დაპყრობილი ხალხის ძალით გადასახლება, რომელიც ახალ სამოსახლოზეც ინარჩუნებს თავის კულტურას.

საზოგადოებებში, სადაც ზოგიერთი საქონელი მაინც, მაგალითად, კერა-

---

[3] J. P. Mudrock, World Ethnographic Sample, AA, 1957, 59 : 664—87.

[4] R. Naroll, A Preliminary Index of Social Development, AA, 1956, 58 : 687—715.

[5] P. T. Baker, W. T. Sanders, Demographic Studies in Anthropology, ARA, 1972, 1 : 157 : 88.

მიკა, მასობრივად მზადდებოდა, ამ ნაწარმის ფართო მასშტაბით გავრცელება გვაძლევს მასალას სავაჭრო ზონებისა და კომუნიკაციების შესახებ (თუმცა ეს სავაჭრო ზონები შეიძლება არ შეესაბამებოდნენ ეთნიკურ ჯგუფებს ან პოლიტიკურ საზღვრებს, რადგანაც ვაჭრობა ხშირად არღვევს კიდეც ამ საზღვრებს). ტომობრივ საზოგადოებებს შორის, სადაც კერამიკულ ჭურჭელს ქალები ამზადებენ საოჯახო გამოყენებისათვის, კერამიკის სტილების მსგავსება შეიძლება შედეგი იყოს არა მხოლოდ პოლიტიკური და ქორწინებითი კავშირებისა, არამედ აგრეთვე ომის შედეგი — ორივე მხრიდან ქალების ტყვედ ჩაგდების. ასე, რომ კერამიკის სტილების ვარიაციების მნიშვნელობის გარკვევამდე ბევრი საბუთი შეიძლება იყოს გამოკვლეული.

საინტერესო ჩანს ბ. ტრიგერის შემდეგი დებულება: რთულ საზოგადოებებში ზედა ფენის მატერიალურმა კულტურამ შეიძლება მოგვცეს საუკეთესო გასაღები პოლიტიკური სტრუქტურისათვის, რადგანაც საერთო სტილის კულტურა შეიძლება გამოვიყენოთ როგორც პოლიტიკური იდენტიფიცირების ნიშანი. ელიტის ერთგვაროვანი კულტურა განსხვავებული ხასიათის „სოფლის კულტურების“ (ქვედაფენის) რაიონებში შეიძლება გამოდგეს პოლიტიკური ერთიანობის საბუთად.

მეორე მხრივ, ბ. ტრიგერი არ გამორიცხავს, რომ მაღალი და დაბალი სტატუსის მოსახლეობის კულტურები, ვთქვათ, მთელი ქალაქ-სახელმწიფოს სისტემისა, შეიძლება ატარებდნენ ერთგვაროვან სტილს მიუხედავად პოლიტიკური სტატუსის სხვადასხვაგვარობისა. ელიტამ შეიძლება აითვისოს მის მიერ დაპყრობილი კუთხის მატერიალური კულტურა ისე, რომ მხოლოდ მათი ენა ან სხვა არქეოლოგიურად მიუწვდომელი ნიშნები გვაძლევს საბუთს მათი არსებობის შესახებ. როგორც ვხედავთ, კულტურული კრიტერიუმი მეტად გამოსადეგია, თუმცა, ცხადია, ის უფრო მეტი ინფორმაციის მომცემი შეიძლება გახდეს სხვა კრიტერიუმებთან კომბინირებისას.

3. სოციალური. არქეოლოგიურ მასალებში ბევრგან დადასტურებული ქონებრივი დიფერენციაცია შეიძლება გამხდარიყო საზოგადოებაში კონფლიქტის მიზეზი და ამდენად გარკვეულ ურთიერთობაში უნდა ყოფილიყო პოლიტიკური სისტემების განვითარებასთან, რომელსაც უნდა დაეცვა ქონების ეს განაწილება. გარკვეულ ეტაპზე ბუნებრივი დიფერენციაცია არ არის ეკვივალენტური სახელმწიფოს განვითარებისა. მართალია ბ. ტრიგერი, როდესაც აღნიშნავს, რომ ზოგიერთ ბავშვის სამარხში მდიდრული ინვენტარის არსებობა აუცილებლად მიგვითითებს საზოგადოებაზე, რომელშიც გარკვეული კლასების, ოჯახების წევრებს დაბადებიდანვე ენიჭებოდათ მაღალი სტატუსი. მაგრამ ეს ვერ ახსნის ასეთი ძალაუფლების პოლიტიკური საფუძვლის არსს. კიდევ მეტი, არაა აუცილებელი, რომ სამარხის ინვენტარი შეესაბამებოდეს გარდაცვლილის ქონებას (ან სტატუსს). ამიტომ ასეთი სამარხების ალტერნატიული ახსნა ყოველ შემთხვევაში გათვალისწინებული მაინც უნდა იყოს — ვთქვათ, რომ ისინი რიტუალური მსხვერპლთშეწირვის შედეგია. ასეთ გარემოებას ჰქონდა ადგილი ქალდეველთა ურში „სიკვდილის ორმოების“ სახით — ერთი ტექსტის აღმოჩენამ, რომელშიც იხსენიებოდა მსახურთა შეწირვა მესოპოტამიურ სამეფო სამარხებში, განაპირობა მათი მიჩნევა სამეფო სამარხებად.

ვარიაციები პოლიტიკური ორგანიზაციის შესახებ შეიძლება დაფუძნებული იყოს ფართო არქეოლოგიურ მასალაზე, ბევრ მონაცემზე. სახელ-

მწიფოს არსებობა შეიძლება დარწმუნებით ვამტკიცოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შეიძლება იმის ჩვენება, რომ ელიტის პრივილეგიები დაფუძნებულია საზოგადოებისაგან მნიშვნელოვანი დოვლათის მითვისებაზე: საჭიროა ამისათვის საზოგადოებაში მკვეთრად გამოხატული ასიმეტრიის არსებობის დამტკიცება.

ქონებრივი დიფერენციაცია ევოლუციური პროცესია და გარდამავალი საზოგადოებებისათვის შეიძლება არ იყოს შესაძლებელი იმის განსაზღვრა, იყო თუ არა სახელმწიფო. თუმცა ზოგიერთი საბუთი, რომელიც გარკვეულად მიგვითითებს სახელმწიფოს არსებობაზე, ბ. ტრიგერის აზრით, შემდეგია: 1) რთული სამშენებლო საქმიანობა, რომელიც ინტენსიური შრომის გამოყენებას ითხოვს; ეს სამშენებლო პროგრამები მიმართულია მაღალი სტატუსის პირთა პირადი განდიდებისათვის ან სახელმწიფოს ძლიერების საჩვენებლად — მაგ., პერიკლეს სამშენებლო საქმიანობის ერთ-ერთ მიზანი სწორედ ათენის ძლიერების ილუსტრაცია იყო. სამშენებლო პროგრამები მოიცავენ სამარხებს, სასახლეებს, ტაძრებს, გზების გაყვანას და სხვ. ნაგებობათაგან ზოგიერთი, როგორიცაა სამეფო სამარხებზე დიდი ყორღანები, შედარებით მცირე ტექნიკურ ოსტატობას ითხოვს, მაგრამ დიდი რაოდენობის საჭირო სამუშაო ძალა ამ ნაგებობას აქცევს სამეფო ავტორიტეტის სიმბოლოდ. 2) სპეციალისტების გაჩენა, რომლებიც ემსახურებიან მხოლოდ ელიტის საჭიროებებს და აგრეთვე მათ მიერ კონტროლირებულ სახელმწიფო აპარატს; მთელ სამუშაო დღეს ისინი ერთ საქმეს ანდომებენ (4 კლასია სპეციალისტების — ხელოსნები, მოხელეები, ჯარისკაცები, მსახურები): ისინი უფრო მეტად შეიძლება დასპეციალდნენ, დაოსტატდნენ, ვიდრე ის სპეციალისტები, რომელთა მომსახურება ხელმისაწვდომია მთელი საზოგადოებისათვის და, რომელნიც ჩნდებიან საზოგადოების განვითარების უფრო ადრეულ საფეხურზე. ოსტატ სპეციალისტთა არსებობას მივყავართ ელიტის კულტურის წარმოქმნამდე, რასაც ზოგი არქეოლოგი (მაგ.: რ. რედფილდი) უწოდებს „დიდ ტრადიციას“, დაბალი ფენის „მცირე ტრადიციისაგან“ განსხვავებით. არქეოლოგიურად „დიდი ტრადიციის“ არსებობა შეიძლება განისაზღვროს ტექნოლოგიის დახვეწით და დახვეწილი და თანმიმდევრული ხელოვნების სტილების გაჩენით, რაც აისახება სასახლეებში, ტაძრებში, აკლდამებში, ნივთებში, რომლებიც გაკეთებულია ელიტისათვის. ლოკალური ვარიანტების არსებობამ შეიძლება მოგვცეს ბევრი რამ მმართველობის ცენტრალიზაციის ხარისხზე ცალკეულ პოლიტიკურ სისტემაში. 3) დიდი რაოდენობით ადამიანთა შეწირვა მაღალ სტატუსთა პირთა სამარხებში საერთო მოვლენაა ბევრი ძველი სახელმწიფოსათვის.

4. გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი. პოლიტიკური ფაქტორები დიდ როლს ასრულებენ დასახლებების ადგილმდებარეობასა და მათ ზომებზე. სასაზღვრო ზონებში ურბანისტული ცენტრები ჩვეულებრივ გაშაგრებულია. თუმცა მეორე მხრივ, დიდ სახელმწიფოებში ადმინისტრაციული ცენტრები ხშირად გამაგრებულია ისე, რომ ისინი შეიძლება იყვნენ საკონტროლო ცენტრები ცენტრალური ხელისუფლებისათვის და ის ადგილები, სადაც ელიტამ შეიძლება იცხოვროს უსაფრთხოდ. არქეოლოგიის გამოყენებით სახელმწიფოებს შორის საზღვრები სხვადასხვა გზით შეიძლება გამოიყოს: ზოგჯერ შეიძლება აღმოჩნდეს ფორმალური სასაზღვრო ნიშნები, ზოგჯერ სახელმწიფოები გამოიყოფიან არავისი კუთვნილი მიწებით, ხშირად რთული სასაზღვრო სისტე-

მა შეიძლება ჰყოფდეს სახელმწიფოებს ერთმანეთისაგან. ამის მაგალითად ბ. ტრიგერს მოჰყავს ეგვიპტის რთული თავდაცვითი სისტემა შუა სამეფოს ხანაში სამხრეთ საზღვარზე, ჩინეთის დიდი კედელი, რომაული limes-ი. წერილობითი წყაროების გარეშეც ფორტიფიკაციისა და სასაზღვრო თავდაცვითი სისტემის შესწავლა საშუალებას მისცემს არქეოლოგს თვალი გაადევნოს პოლიტიკური ერთეულის საზღვარს, ექსპანსიას. ადმინიტრაციული ელემენტების ლოკალიზება-გამოყოფა უწყობს ხელს ადმინისტრაციული სისტემის გარკვევას. ეგვიპტეში, სადაც დასახლებების შესახებ მცირე არქეოლოგიური მასალა გაგვაჩნია, აკლდამების ტიპების იერარქია უხეშად შეესაბამება ადმინისტრაციულ იერარქიას; ხოლო პროვინციის მმართველთა მიდრეკილება თავიანთი აკლდამები მოათავსონ თავიანთ ადმინისტრაციულ ცენტრებში და არა სამეფო ნეკროპოლებზე წარმოადგენს საზომს სხვადასხვა პერიოდებში ცენტრალიზაცია-დეცენტრალიზაციისა. წერილობითი წყაროების გარეშეც კი არც ერთი არქეოლოგი არ ეჭვობს, რომ ეგვიპტეში პოლიტიკური ერთიანობა იყო იმ დროს, როცა აიგო ყველაზე დიდი პირამიდები.

ზოგჯერ პოლიტიკური გაერთიანება შეიძლება იყოს დამოწმებული სახელმწიფო მშენებლობებით — საირიგაციო და სატრანსპორტო სისტემები. საგზაო სისტემები სახელმწიფოს განვითარებასთან ერთად ინტენსიური ხდება და, როცა კარგადაა ისინი შესწავლილი, წერილობითი წყაროების გარეშეც ასახავენ სახელმწიფოს ფარგლებს.

5. ი კ ო ნ ო გ რ ა ფ ი ა. რიგ არქეოლოგიურ კულტურებში მმართველთა და მათი საქმიანობის ასახვა ხელოვნებაში ჭარბადაა წარმოდგენილი. გამოსახულებები ფორმალიზებულია და თემების რიცხვიც შეზღუდულია. ფიგურათა ზომები, პოზები, კოსტუმების სირთულე, სპეციფიკური იკონოგრაფიულ-პორტრეტული სიმბოლოები (გვირგვინი და სხვ.) მიგვითითებენ გამოსახულთა რანგებზე. წარწერის გარეშე ასეთი გამოსახულებების ინტერპრეტაცია ძნელია, თუმცა ქვეტექსტის დეტალურმა ანალიზმა შეიძლება ახსნას ამ ფიგურებთან დაკავშირებული ატრიბუტების სხვაობის ფუნდამენტალური მნიშვნელობა. იკონოგრაფია ასევე შეიძლება წარმოადგენდეს წყაროს საზოგადოების პოლიტიკური სტრუქტურის, აგრეთვე პოლიტიკური ფსიქოლოგიის შესასწავლად.

ტაბულების აღწერილობა—ОПИСАНИЕ ТАБЛИЦ

ტაბ. 1. დაბლაგომი. მტკვარ-არაქსის ტიპის კერამიკა ნასახლარის ქვედაფენიდან.

ტაბ. 2. 1305, 1348, 1350, 1351; 1366 — დაბლაგომი. ნასახლარის ზედაფენის კერამიკა; 1, 2, 3 — საჩხერე — თიხის ჭურჭელი.

ტაბ. 3. არგვეთი. მტკვარ-არაქსის ტიპის კერამიკა ნასახლარის ქვემო ჰორიზონტებიდან.

ტაბ. 4. არგვეთი. კერამიკული მასალა ნასახლარის ზედა ჰორიზონტიდან.

Табл. 1. Даблагоми. Куро-Араксская керамика из нижнего культурного слоя поселения.

Табл. 2. 1305, 1348, 1350, 1351, 1366 — Даблагоми. Керамика из верхнего слоя поселения; 1, 2, 3 — керамика из Сачхере.

Табл. 3. Аргвети. Куро-Араксская керамика из нижних культурных горизонтов поселения.

Табл. 4. Аргвети. Керамика из верхних горизонтов поселения.

ტაბ. 5. არახლო I. 1 — ენეოლითური ხანის ქვის ქანდაკება მამაკაცის სახის გამოხატულებით (ძვ. წ. V—IV ათასწლეული); 2 — ენეოლითური ხანის ირმის რქის სახნისი (ისტ. მეცნ დოქტ. გ. ჯალაბაძის რეკონსტრუქცია).

ტაბ. 6. არახლო I. 1 — ითიფალური ხელაპყრობილი მამაკაცის გამოსახულება თიხის ჭურჭელზე (ნახევარმიწურიდან. ენეოლითის ხანა); 2 — ითიფალური ხელაპყრობილი მამაკაცის გამოსახულება კერამიკაზე (№ 14 ნახევარმიწური ორმო). ენეოლითის ხანა; 3—ამირანის გორა—ზესადგარი თიხის რქოსანი ითიფალური ფეხებგაშლილი მამაკაცის გამოსახულება (ძვ. წ. III ათასწლ. დასაწყისი).

Табл. 5. Арахло I. 1 — каменная скульптура с изображением мужской головы (V—IV тысяч. до н. э.); 2 —соха из оленьего рога (реконструкция док. ист. наук Г. Джалабадзе).

Табл. 6. Арахло I. 1 — изображение фаллической фигурки с поднятыми вверх руками (поселение полуземлянок, энеолит); 2 — изображение фаллической фигуры на керамике (полуземлянка № 14) энеолит; 3 — Амиранис гора — глиняная подставка с изображением мужчины (начало III тысяч. до н. э.).

Табл. 7. Фрагменты образцов керамики периода Ховле-III.
Первый ряд — карасов с рельефным поясом вокруг горла.
Второй ряд — верхних частей «сигарообразных» кувшинов, венчика в виде «трилистника», чаш.
Третий ряд — фиал.
Четвертый ряд — нижней части «сигарообразного» кувшина, мисок и чаш.
Пятый ряд — чаш и фиал.

Табл. 8. Фрагменты образцов керамики периода Ховле-II.
Первый и второй ряды — «чайниковидных» кувшинов.
Третий ряд — остродонных сосудов из периодов Ховле-III и Ховле-II, фиала и бронзовая статуетка «стыдливой Венеры».
Четвертый и пятый ряды — мисок, чаш и фиал.

ტაბ. 9. რკინის აკინაკები: 1 — თლის № 128 სამარხიდან; 2 — თლის № 164 სამარხიდან; 3 — რკინის აკინაკი და ბრინჯაოს ჭარჭაში სოფ. კოლხიდადან; 4 — ბიმეტალური აკინაკი თლის № 85 სამარხიდან; 5 — რკინის აკინაკი ბრილის სამაროვნიდან; 6 — რკინის აკინაკი თლის № 139 სამარხიდან; 7 — რკინის აკინაკი სოხუმის მთის № 4 სამარხეული კომპლექსიდან.

ტაბ. 10. რკინის ცულები: 1 — სამთავროს № 14 დაშლილი ორმოსამარხიდან; 2 — დვანის № 11 სამარხიდან; 3 — დვანის № 2 სამარხიდან; 4 — სოხუმის მთის № 3 სამარხეული კომპლექსიდან; 5 — სამთავროს № 196 ორმოსამარხიდან; 6 — ბრილის სამაროვნიდან; 7—8 — სოხუმის მთის № 5 და № 2 სამარხეული კომპლექსებიდან.

ტაბ. 11. ბრინჯაოს ისრისპირები: 1 — თლის № 129 სამარხიდან; 2,5—6, 9, 11, 14 — სამთავროს № 27 ორმოსამარხიდან; 4—№ 194; 10, 12—№ 293 სამთავროს სამარხებიდან; 3, 7, 8, 13 — ყულანურხვას № 5 სამარხიდან.

ტაბ. 12. 1, 2, 4 — ბრინჯაოს ლაგამი და ძვლის საყბეურები თლის № 68 სამარხიდან; 3, 5 — ბრინჯაოს ლაგამი და რკინის საყბეური ყულანურხვას № 4 სამარხიდან; 6, 7 — ძვლის საყბეურების ფრაგმენტები სამთავროს № 106 ორმოსამარხიდან.

ტაბ. 13. ქარქაშის ბრინჯაოს (1,5) და ძვლის (2, 3, 4) ბუნიკები: 1—4 თლის №№ 164, 246, 258 და 216 სამარხებიდან; 5 — დაბა როკადან.

ტაბ. 14. რუკა.

Табл. 9. 1, 2 — железные акинаки из погр. №№ 128 и 164 Тлийского могильника; 3 — железный акинак в бронзовых ножнах из пос. Колхида; 4 — биметалический акинак из погр. № 85 Тлийского могильника; 5 — железный акинак из Брили; 6 — железный акинак из погр. № 139 Тлийского могильника; 7 — железный акинак из погребального комплекса № 4 Сухумской горы.

Табл. 10. Железные топоры: 1 — из погр. № 14 в Самтавро; 2 — из погр. № 11 Дванского могильника; 3 — из погр. № 2 в Двани; 4 — из погр. комплекса № 3 Сухумской горы; 5 — из погр. № 196 Самтаврского могильника: 6 — из Брильского могильника; 7, 8 — из погребальных комплексов №№ 5 и 2 Сухумской горы.

Табл. 11. Бронзовые наконечники стрел: 1 — из погр. №№ 129 Тлийского могильника; 2, 5 — 6, 9, 11, 14 — из погр. №27 Самтаврского могильника; 3, 7—8, 13 из погр. № 5 Куланурхвского некрополя.

Табл. 12. 1, 2, 4 — бронзовые удила и костяные псалии из погр. № 168 Тлийского могильника; 3, 5 — бронзовые удила и железный псалий из погр. № 4 Куланурхвского некрополя; 6, 7 — фрагменты костяных псалий из погр. № 106 Самтаврского могильника.

Табл. 13. Бронзовые (1, 5) и костяные (2, 3, 4) наконечники ножен: 1—4 из погр. №№ 164, 246, 258 и 216 Тлийского могильника; 5 — из пос. Рока.

Табл. 14. Карта.

Табл. 15. 1 — топографическая карта; 2 — план могильника.

Табл. 16. Археологический материал, собранный на Цихиана.

Табл. 17. Археологический материал, полученный при раскопках поверхности Цихиана.

Табл. 18. Археологический материал, полученный при раскопках южного склона горы Цихиана.

Табл. 19. Археологический материал из могилы № 1.

Табл. 20. Археологический материал из могилы № 2.

Табл. 21. Археологический материал из могилы № 3.

Табл. 22. Археологический материал из могилы № 4.

Табл. 23_{1-2}. Археологический материал из могилы № 5; 3—4— археологический материал из могилы № 7.

Табл. 24. Археологический материал из могилы № 6.

Табл. 25. 1—2— общий вид горы Цихиана; 3 — раскопок № 2.

Табл. 26. 1— могила № 1; 2 — могила № 2; 3 — могила № 3.

Табл. 27. 1— могила № 4; 2 — могила № 6; 3 — могила № 5.

ი ა შ თ ხ ვ ა , ს ა მ ა რ ხ ი № 1

ტაბ. 28. 1— ბრინჯაოს სარტყელი; 2 — ბრინჯაოს მოზრდილი ზარაკი; 3 — 4 — ბრინჯაოს მცირე ზომის ზარაკები; 5—6—ბრინჯაოს რომბისებურზურგიანი ფიბულების ფრაგმენტები; 7—11— ბრინჯაოს ბრტყელგანივკვეთიანი სამაჯურების ფრაგმენტები; 12—13—ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი სამაჯურები; 14—რკინის სადა სამაჯურის ნატეხები; 15—რკინის შუბისპირის ნატეხი.

იაშთხვა, სამარხი № 2

ტაბ. 29, 1— ბრინჯაოს საკინძე; 2 — ბრინჯაოს ზარაკი; 3 — ბრინჯაოს სამაჯურის ბოლო; 4 — ბრინჯაოს ბალთების ყურები; 5 — ბრინჯაოს ბურთულებიანი სამაჯურის ფრაგმენტი; 6 — ბრინჯაოს ძეწკვის ფრაგმენტი; 7 — ბრინჯაოს ცხოველისგამოსახულებიანი ბალთა; 8 — ბრინჯაოს საქამრე ბალთები.

Яштхва, погребение № 1

Табл. 28, 1— бронзовый пояс; 2 — бронзовый колокольчик; 3—4 — бронзовые маленькие колокольчики; 5—6 — бронзовые ромбовидные фибулы; 7—11 — бронзовые лентообразные браслеты, фрагменты; 12—13. — бронзовые круглопроволочные браслеты; 14 — фрагменты железного круглопрозолочного браслета; 15 — фрагменты железного наконечника копья.

Яштхва, погребение № 2

Табл. 29, 1 — бронзовая булавка; 2 — бронзовый колокольчик; 3 — головка бронзового браслета; 4 — ушки бронзовых блях; 5 — обломок бронзового лентообразного браслета; 6 — фрагмент бронзовой цепочки; 7 — бронзовая зооморфная бляха; 8 — бронзовые поясные бляхи.

ტაბ. 30. 1— სამარხი № 1, პრეპარაციის შემდეგ, წინა პლანზე ჩანს ქვევრი; 2—სამარხი № 2, დეტალი.

ტაბ. 31, 1 — სამარხი № 2, საერთო ხედი პრეპარაციის შემდეგ; 2 — სამარხი № 2, წინა პლანზე ჩანს ქვევრი.

№ 1 სამარხის ინვენტარი

ტაბ. 32, 1 — ტოლჩა ლეგა ფერისა, სიმაღლე 10,3 სმ; 2 — ყურიანი ჭურჭლის პირის ნატეხი, პირის დმ — 14 სმ; 3 — სამფეხა თეფშის ნატეხი; 4 — ცალყურა ქოთნის გვერდის ფრაგმენტი, სიმაღლე — 12,7 სმ.

ტაბ. 33, 1 — ბრინჯაოს ბალთები, 1 დმ-4 სმ, 2 დმ-3,7 სმ; 3,4 6 დმ—3, 8 სმ; 5 დმ—6,1 სმ; 2 — რკინის დანა. სიგრძე — 18,7 სმ; 3 — მინის მძივები 3 ცალი; 4 — რკინის დანის ფრაგმენტი.

№ 2 სამარხის ინვენტარი

ტაბ. 34, 1 — ცალყურა ხელადა; სიმაღლე — 11 სმ; 2 — ცალყურა ქოთანი, სიმაღლე — 13,4 სმ; 3 — სამფეხა თეფში, სიმაღლე — 14 სმ; 4 — ცალყურა ტოლჩა, სიმაღლე — 13,5 სმ; 5 — სამფეხა თეფშის ფრაგმენტი, პირის დმ — 16 სმ.

ტაბ. 35, 1 — სამფეხა თეფში, სიმაღლე — 12,7 სმ; 2 — ცალყურა ტოლჩა, სიმაღლე — 9 სმ; 3 — სამფეხა თეფში, სიმაღლე — 12,6 სმ, 4 — სამფეხა თეფში, სიმაღლე — 10,9 სმ; 5 — სამფეხა თეფში, სიმაღლე — 13, 1 სმ; 6 — ცალყურა ტოლჩა, სიმაღლე — 9 სმ;

ტაბ. 36, 1 — ცალყურა ტოლჩა, სიმაღლე — 9 სმ; 2 — ცალყურა ტოლჩა, სიმაღლე — 9 სმ; 3 — ცალყურა ტოლჩა, სიმაღლე — 9 სმ; 4 — ცალყურა ტოლჩა, სიმაღლე — 9,5 სმ; 5— სამფეხა თეფში, სიმაღლე — 11,4 სმ; 6—სამფეხა თეფში, სიმაღლე — 14,2 სმ.

ტაბ. 37, 1 — სამფეხა თასი, სიმაღლე — 8 სმ; 2 —სამფეხა თასი, სიმაღლე— 8,4 სმ; 3 — ცალყურა ტოლჩა, სიმაღლე — 10 სმ; 4 — ცალყურა ტოლჩა, სიმაღლე — 7,5 სმ; 5 — სამფეხა ჯამი, სიმაღლე — 12,6 სმ.

ტაბ. 38. — ბრინჯაოს ბორბლისებური აბზინდები, დმ — 5,5—6 სმ.

ტაბ. 39 — რკინის მასრაგახსნილი შუბისპირები: 1 — სიგრძე —20, 2 სმ; 2 — სიგრძე—21,2 სმ; 3 — სიგრძე — 17,7 სმ.

Табл. 30. 1 — погребение № 1, после препарации; 2 — погребение № 2, деталь.

Табл. 31. 1 —погребение № 2, общий вид после препарации; 2 — погребение № 2, деталь.

Инвентарь погребения № 1

Табл. 32, 1 — кружка одноручная, бурoглиняная, д—10,3 см; 2 — фрагмент венчика одноручного сосуда, д—14 см; 3 — фрагмент блюдца на трех ножках; 4 — одноручный горшочек, 12,7 см.

Табл. 33, 1 — бронзовые пластинчатые бляхи; 2 — железный нож; 3 — стеклянные бусы; 4 — фрагменг железного ножа.

Инвентарь погребения № 2

Табл. 34, 1 — одноручный кувшинчик, красноглиняный, 11 см; 2—одноручный горшочек, сероглиняный, 13,4 см; 3 — блюдце на трех ножках 14 см; 4 — кружка одноручная, бурoглиняная, д—13,5 см; 5 — обломки блюдца на трех ножках, 16 см.

Табл. 35, 1 — блюдце на трех ножках, 12,7 см; 2 — кружка одноручная из коричневатой глины, 9 см; 3 —Блюдце на трех ножках, 12,6 см; 4 — блюдцы на трех ножках, 9—10, см; 5 — блюдцы на трех ножках, 13 см; 6 — кружка одноручная, 9 см.

Табл. 36, 1 — кружка одноручная, 7 см; 2 — кружка одноручная, 9 см; 3 — кружка одноручная, 9 см; 4 — кружка одноручная, 9, 5 см; 5 — блюдце на трех ножках, 11,4 см; 6 — блюдце на трех ножках, 14,2 см.

Табл. 37, 1 — миска на трех ножках, 8 см; 2 — миска на трех ножках, 8,4 см; 3 — кружка одноручная, 10 см; 4 — кружка одноручная, 7,5 см; 5 — миска на трех ножках, 12,6 см.

Табл. 38. Бронзовые бляшки колесообразные, 5,5—6 см.

Табл. 39. Железные наконечники копья; 1 — длина — 20 см; 2 — 21,2 см; 3 —17,7 см.

კოლ. 22—59/1—15

ტაბ. 40, 1 — აბზინდა, ვერცხლისა; 2 — აბზინდა, ვერცხლისა; 3 — აბზინდა, ბრინჯაოსი; 4 — აბზინდა, ბრინჯაოსი; 5 — მძივები; 6 — კოტა, ქალცედონის.

ტაბ. 41, 7 — ბეჭედი, ოქროსი; 8 — საკიდი, ოქროსი; 9 — საკიდი, ოქროსი; 10 — რგოლი, ოქროსი.

ტაბ. 42, 11 — სამარხი № 25 პრეპარაციის შემდეგ.

ტაბ. 43—57. აღწერილობა მოცემულია ტაბულაზე კატალოგის სახით.

Колл. 22—59/1—15

Табл. 40,1 — пряжка, серебряная; 2 — пряжка, серебряная; 3 — пряжка бронзовая; 4 — пряжка, бронзовая; 5 — бусы; 6 — навершье меча хальцедоновое.

Табл. 41, 7 — перстень, золотой; 8 — подвеска золотая; 9 — подвеска золотая; 10 —кольцо золотое.

Табл. 42, 11 — погребение № 25 после препарации.

Табл. 43—57 — описание даны на таблице в виде каталога.

ტაბ. 58. ფახულანის ნაციხვარის გეგმა.

ტაბ 59, 1—3—თიხის ჭურჭლის ყურები; 4 — რკინის ლურსმანი; 5 —ვერცხლის მოსართავი; 6, 7 — თიხის ჩიბუხები; 8—10 — მოჭიქული ჯამის ნატეხები; 11 — მოჭიქული ბრტყელი კრამიტის ნატეხი; 12 — მოუჭიქავი ბრტყელიჭ კრამიტის ნატეხი; 13 — დერგის ნატეხი.

Табл. 58. План крепости «Ноджиху».

Табл. 59. 1—3 — ручки глиняных сосудов; 4 — железный гвоздь; 5 — серебряное украшение; 6—7 — глиняные трубки; 8—10 — обломки глазурованной миски; 11 — обломок глазурованной черепицы; 12 — обломок плоской черепицы; 13 — обломок глиняного сосуда (дерги).

ცხრილები

ТАБЛИЦЫ



ტაბულა 2



103



103



93



84



77



159





189

ტაბულა 4





1



2

ტაბულა 6



1



2



3


523


2185


859


860


702


371 603_1


1058


857


858


708 706 702_1 856 711_1 603_2 701_2 706_1


561 546 1222 711 1283 7011 545 844

ტაბულა 8


1004 - 1005
1032
1006 8
999


740
1200
912


960
987 6
987 5
588
987 2
965
987 1
1089
987 3
1026
917
821
987 7
1027 1
987 4
10006 2


1
2
3
4
5
6
7
0
20

ტაბულა 10



1



5



2



6



3



7



4



8

0 20


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14

ტაბულა 12



1



2



3



4



5





6



7





1



2



3



4



5

არქაული ხანის სკვითური კულტურის ძეგლების გავრცელება საქართველოში




1:100
№3
№2
1


№3
1:0,25
1
2
3
4
5
2

ტაბულა 16




1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
0 1 2 3

ტაბულა 18




1
2
3
4
5
6
7
8
9
10
0 1 2 3

ტაბულა 20




1
2
3
4
5
1
0
6
7
8
9
10
11
0 1 2 3

ტაბულა 22




1
0 1 2 3
2


3
0 1 2 3
4

ტაბულა 24





1



2



3

ტაბულა 26



1



2



3



1



2



3

ტაბულა 28




1
2
3
4
5
6
7
8

ტაბულა 30



1



2



1



2

ტაბულა 32



1



3



2



4



1



2



3



4

ტაბულა 34



1



2



3



4



5



1



2



3



4



5



6

ტაბულა 36



1



2



3



4



5



6



1



2



3



4



5

ტაბულა 38















1



2

3



1



2



4



3



5



6



7



8



9



10



ტაბულა 42



11

ანტიკური ხანის ძეგლები დიღმის ხეობიდან

(კ ა ტ ა ლ ო გ ი)

ПАМЯТНИКИ АНТИЧНОГО ПЕРИОДА ИЗ ДИГОМСКОГО УЩЕЛЬЯ

(К А Т А Л О Г)

ს ა მ ა რ ხ ი № 1
Погребение № 1

12. მახვილი, რკინისა М — 1 : 5
Меч железный

13. სატევარი, რკინისა М — 1 : 2
Кинжал железный

14. დანები, რკინისა М—1 : 2
Ножи железные



სამარხი № 1
Погребение № 1

15. ისრისპირები, რკინისა, სამფრთიანები М — 1 : 1
Наконечники стрел, железные, трехлопастные

16. აბზინდები, ბრინჯაოსი М — 1 : 1
Пряжки бронзовые

17. დენარი, ოქტავიან ავგუსტუსის
Денарий Октавиана Августа



15



16



17

სამარხი №.1
Погребение № 1

18. ბეჭედი, რკინისა, გემიანი М — 1 : 2
Перстень железный

19. ბეჭედი, რკინისა, გემიანი М — 1 : 2
Перстень железный с геммой

20. ბალთა, ბრინჯაოსი М — 1 : 1
Бляха бронзовая

21. კოტა, ქალცედონისა М — 1 : 2
Навершие меча халцедоновое

22. მძივი, ნიქარისებური, თეთრი ფერისა
Бусинка раковинообразная, белого цвета

23. სამაჯურები, ოქროსი М — 1 : 1
Браслеты золотые


18


19


20


21


22


23

სამარხი № 8
Погребение № 8

24. ბეჭედი, რკინისა, ფარაკიანი
Перстень железный со щитком

25. სამაჯური, ბრინჯაოსი
Браслет бронзовый

26. ზარაკები, ბრინჯაოსი (2)
Колокольчики бронзовые

27. რგოლი ვერცხლისა
Колечко серебряное

28. მძივები, სარდიონისა (2) და მინისა (1)
Бусы сердоликовые (2) и стеклянная (1)



24



25



26



27



28

სამარხი № 17
Погребение № 17

29. ხელადა, თიხისა, მოწითალო ფერის М — 1 : 3
Кувшин из красной глины

30. ჯამი, თიხისა, მოწითალო ფერის М — 1 : 2
Чаша из красной глины

სამარხი № 18
Погребение № 18

31. ისრისპირი, რკინისა, კონუსისებური М — 1 : 1
Наконечник стрелы, конусовидный



30



29



31

32. ბეჭედი, რკინისა, ფარაკიანი М — 1 : 1
Перстень железный со щитком

33. სამაჯურები, რკინისა (2) М — 1 : $\frac{1}{2}$
Браслеты железные (2)

34. რგოლი, რკინისა М — 1 : 1
Кольцо железное

35. საყურე ან სასაფეთქლე რგოლები, ბრინჯაოსი (2) М — 1 : 2
Серьги или височные кольца, бронзовые (2)

36. ჯამი, თიხისა, ჩალისფერი
Чаша глиняная, светлого обжига

37. მძივი, ქვისა М — 1 : 1
Бусина из камня

38. მძივები, სხვადასხვა
Бусы разные

39. დანა, რკინისა, მოღუნული, ფრაგმენტი М — 1 : 3
Нож железный



სამარხი № 20
Погребение № 20

კოჭობი, მოწითალო ფერისა
Горшочек из красной глины

40—41. სასაფეთქლე რგოლები, ბრინჯაოსი (2) М — 1 : 2
Височные кольца бронзовые (2)

42. რგოლი, ტალკისა М — 1 : 1
Кольцо тальковое

43. მძივები, სხვადასხვა М — 1 : 2
Бусы разные



40



42



41



43

სამარხი № 21
Погребение № 21

44. საყურე, ვერცხლისა М — 1 : 1
Серьга серебряная

45. სასფეთქლე რგოლები, ბრინჯაოსი (2) М — 1 : 1
Височные кольца бронзовые (2)

46. კოჭობი, თიხისა М — 1 : 1
Горшочек глиняный

47. ხელადა, მოწითალო ფერისა М — 1 : 2
Кувшинчик из красной глины











სამარხი № 18
Погребение № 18

48. ჯამები, თიხისა, შავი ფერის M — 1 : 1

Чаша из черной глины

49. ფიალა, თიხისა, მოწითალოდ გამომწვარი
Чаша из красной глины



48



49

სამარხი № 22
Погребение № 22

50. დანა, რკინისა М — 1 : 1
Нож железный

51. ჯოჯობი, თიხისა, მოწითალო ფერის М — 1 : 3
Горшочек глиняный, красноватого цвета



50



51

სამარხი № 2
Погребение № 2

52. საყურეები, ოქროსი (2) М—1 : 2
Серьги золотые (2)

53. მძივსაკიდი, ეგვიპტური პასტისა М — 3 : 1
Пронизка из египетской пасты

54. მრავალწახნაგა საბეჭდები, ლურჯი მინისა М— 2 : 1
Многогранная печать из синего стекла

55. გემა-ინტალიო, იასპისა М — 3 : 1
Гемма-интальо из яшмы

56. ფარაკიანი ბეჭედი, ბრინჯაოსი М — 1 : 1
Перстень бронзовый со щитком

57. სარკე, ბრინჯაოსი М — 1 : 1
Зеркальце бронзовое


52


53


54




55


56


57

სამარხი № 2
Погребение № 2

58. ზარაკები, ბრინჯაოსი (2) М — 1 : 1
Колокольчики бронзовые (2)

59. აბზინდა, ბრინჯაოსი М — 1 : 2
Пряжка бронзовая

60. მძივები, სხვადასხვა М — 1 : 1
Бусы разные



სამარხი № 2
Погребение № 2

61. ხელადა, მოწითალო ფერის М — 1 : 3
Кувшинчик глиняный, светлого обжига

62. ხელადა, ჩალისფერი
Кувшинчик глиняный, светлого обжига

63. დენარი, ოქტავიან ავგუსტუსის
Денарий Октавиана Августа

64. მონეტა, გოტარზესი
Монета Готарза



61



62



64



63



სამარხი № 4
Погребение № 4

65. ჯამი, თიხისა, შავად გამომწვარი, შავპრიალა М — 1 : 2
Чаша глиняная, чернолощенная

66. იოტები, პასტისა (150) М — 1 : 1
Бисер (150)

სამარხი № 5
Погребение № 5

67. სამაჯური, ბრინჯაოსი, ზურგჩაზნექილი М — 2 : 1
Браслет бронзовый

68. სასაფეთქლე რგოლები, ბრინჯაოსი (2)
Височные кольца, бронзовые



65



66



68





67

სამარხი № 3
Погребение № 3

69. დოქისებური სასმისი, ჩალისფერი М — 1 : 3
Кувшинообразный сосуд из красной глины

70. დოქისებური სასმისი, მოწითალო ფერისა
Кувшинообразный сосуд из красной глины

სამარხი № 25
Погребение № 25

71. სამტუჩა დოქი, წითელი ფერისა
Кувшин из красной глины с венчиком в виде тридистника

72. ხელადისებური სასმისი, მოწითალო ფერისა
Кувшинообразный сосуд из красной глины


69


70


71


72

. ფასულის ნასახლარი 1970



სარჩევი — ОГЛАВЛЕНИЕ

სტატიები — СТАТЬИ

გურანდა ფხაკაძე, მტკვარ-არაქსისა და დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის კულტურების ზოგიერთი შეხვედრა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე . 3

Г. Г. Пхакадзе, О некоторых встречах Куро-Араксской и западногрузинской раннебронзовой культур на территории Западной Грузии. Резюме 11

ტარიელ ჩუბინიშვილი, ერთი დათარიღების ცდა ნაყოფიერების კულტის ისტორიიდან 13

Т. Н. Чубинишвили, Из истории культа плодородия. Резюме 16

Д. Л. Мусхелишвили, К вопросу о связях центрального Закавказья с передним Востоком в раннеантичную эпоху 17

მარინე ფირცხალავა, სკვითური კულტურის ძეგლების საქართველოში გავრცელების საკითხისათვის 31

М. С. Пирцхалава, К вопросу о распространении памятников скифской культуры в материальной культуре древней Грузии. Резюме 51

ნინო კიღურაძე, კოლხური სოფელი ანტიკურ ხანაში 53

Н. Ш. Кигурадзе, Колхское село античной эпохи. Резюме. 59

პუბლიკაციები — ПУБЛИКАЦИИ

А. А. Нуцубидзе, Археологические раскопки в сел. Абано 61

გურამ კვირკველია, იამთხვას ადრეანტიკური ხანის სამარხები 74

Г. Т. Квирквелия, Погребение раннеантичного времени на горе Яштхва. Резюме 79

ვერა თოლორდავა, ანტიკური ხანის სამარხები სოფ. ულიანოვკიდან 81

В. А. Толордава. Погребения античного времени из сел. Улановка. Резюме . 89

ვახტანგ ნიკოლაიშვილი, ანტიკური ხანის ძეგლები დიღმის ხეობიდან 91

В. В. Николаишвили, Памятники античного периода из Дигомского ущелья. Резюме 103

ჯამლეთ ჯღამაია, შუასაუკუნეთა ნაციხვარი „ნოჯიხუ“ სოფელ ფახულანთან . . . 105

Д. К. Джгамая, Развалины средневековой крепости «Ноджиху» около села Пахулани. Резюме 111

რეცენზიები, ინფორმაციები — РЕЦЕНЗИИ. ИНФОРМАЦИИ

გურამ გრიგოლია, რეცენზია ლ. ნებიერიძის ნაშრომზე „დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი“ 113

ვახტანგ ლიჩელი, რეცენზია ჯ. მიშელსის ნაშრომზე „Dating methods in Archaeology“ 121

დარეჯან კაჭარავა, პოლიტიკური ორგანიზაციის პრობლემა თანამედროვე საზღვარგარეთულ არქეოლოგიაში 128

ტაბულების აღწერილობა — Описание таблиц 133

ტაბულები — Таблицы 137



დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

ИБ 506

რედაქტორი ო. ლორთქიფანიძე
გამომცემლობის რედაქტორი ელ. ქაჯაია
ტექრედაქტორი ც. ქაზუშაძე
მხატვარი გ. ნადირაძე
კორექტორი ლ. ჯაში

გადაეცა წარმოებას 3.3.1977; ხელმოწერილია დასაბეჭდად 7.3.1978; ქაღალდის ზომა 70×108 1/16; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 17,68; საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16,16;

უე 01030; ტირაჟი 1100; შეკვეთა 785;

ფასი 2 მან. 10 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060 კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

СБ. ВОПРОСЫ АРХЕОЛОГИИ ГРУЗИИ

(на грузинском языке)

«Мецниереба»
1978